

644 /4
1959



Օրաշար

3-4

5



ლიტერატურულ-მხატვრული ცენტრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ლიტერატურა

საქართველოს ალკჰ ც. კ-სა და მფიკალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბ. ჩოგოვამ — საბჭოთა საქართველოს შვიდ-წლელი 3

თ. ჯანაშვილი — ლექსები 10

ნ. კილასონია — ლექსები 12

თ. გოგოლაძე — ხოჯერაანი (მოთხრობა) . . . 15

მ. ქახიძე — ლექსები 49

ლ. ხანდარაძე — მეზობელი (მოთხრობა) . . . 51

ო. მამუკია — ლექსები 64

ი. ნაზიზანი — კლდე-კარი 67

შ. შავთელაშვილი — თბილისი პური (მოთხრობა) 77

ო. ცარიძე — მე სულ სხვაგვარი მებრე ვარ (ლექსი) 82

ლ. სტვილია — ლექსები 83

ნ. გოგოლი — კალიასკა (თარგმანი რ. ქეხულაძემ) 84

მემუარები

შ. დადიანი — რაც გამახსენდა (გაგრძელება) . . 98

ჩვენი აღმზიანები

მ. ელიოვი — ფეხით გათელილი ათასობით კილომეტრი 104

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. შველიძე — რომანი საკომედიურნო სოფლის აღამიანებზე 114

ი. ტყეშელაშვილი — ეგნატე ნინოშვილის მსოფლმხედველობა 118

5
1959
მაისი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

ე. ტორტაძე — ზოგი რამ დიდი ილიას შე-
სახებ 125

სატირა და იუმორი

ვ. ღუმბაძე — შე, ბებია, ილიკო და ილა-
რიონი (დასასრული) 131

ჟოკელი მხრიდან

ქრონიკა 151



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 277.
უე 03177. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 7500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

მიორბი ჩოგოვაძე

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის
საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა საქართველოს შვიდწლიანი

უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა საბჭოთა ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის რიგ-გარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებას. ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის ღირსეულად და გადააქარბებით შესრულებისათვის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არნახული შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად აქტიურად იბრძვის ქართველი ხალხიც. ეს გასაგებია, რადგან კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული გეგმები ყოველთვის მკაფიოდ გამოხატავენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების ფართო შესაძლებლობას. ყრილობის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრებიც ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

896

საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის უდიდეს ზრდას, ამასთან იმგვარ ზრდას, რომ თვითეულ რესპუბლიკაში უზინარეს ყოვლისა განვითარდეს მეურნეობის ის დარგები, რომლებისთვისაც აქ ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებია.

როგორია ამ თვალსაზრისით ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები შვიდწლიან და რას მისცემს ჩვენს ხალხს ამ გეგმის შესრულებაში მის ზრად მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად?

უზინარეს ყოვლისა მრეწველობის განვითარების საკითხებზე შეეჩერდეთ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის ყველა დარგის მნიშვნელოვან ზრდას. როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც ეს ზრდა მიღწეული იქნება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე. ყველაზე სწრაფი ტემპებით განვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, აგრეთვე ჩაისა და ღვინის მრეწველობა.

საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია შვიდწლიან დასასრულისათვის 1958 წელთან შედარებით 75 პროცენტით გაიზარდება.

მრეწველობის ასეთი ღიძი ზრდის აუცილებელი წინაპირობაა მისი თანამედროვე საფუძვლის — ენერგეტიკის განვითარება. ამის შესაბამისად შვიდწლიან დიდი ყურადღება დაეთმობა ელექტროენერჯის გამოშუშავების გადიდებას. შვიდწლიან უკანასკნელ წელს ჩვენი ენერჯის ტემპმა გამოშუშავება ორჯერ უფრო ნიჭს, ვიდრე 1958 წლის მანძილზე.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა ტემპებით ვითარდება ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერჯეტიკა, საკმარისია გავისვენოთ, რომ 1918 წელს საქართველოში არსებული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე შეადგენდა 8 ათას კილოვატს, ხოლო მათი წლიური გამოშუშავება—20 მილიონ კილოვატსაათს. მომდევნო 15 წლის მანძილზე, ე. ი. 1933 წლისათვის, ელექტროენერჯის გამოშუშავება დაახლოებით ორჯერ გადიდება და მიაღწია 42 მილიონ კილოვატსაათს. ამ დროიდან დაწყებული ელექტროენერჯის გამოშუშავება იმდენად სწრაფი ტემპებით იზრდება, რომ მომდევნო 17 წლის მანძილზე, ე. ი. 1945 წლისათვის, ელექტროენერჯის გამოშუშავებამ უკვე 37-ჯერ გადააჭარბა 1918 წლის დონეს და მიაღწია 740 მილიონ კილოვატსაათს, გავიდა კიდევ 13 წელიწადი და 1958 წელს ელექტროენერჯის გამოშუშავებამ დაახლოებით 3 მილიარდი

საქართველოს
საკონტროლო
და მართვის
სახალხო
მეურნეობის



კოლფაქტორით შეადგინა, ე. ი. 1918 წლის დონეს 150-ჯერ გადააქარბა. მიუხედავად გაზრდილ რაზს ასეთი არნახული ტემპებისა, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრობრიანება დღესდღეობით მიიწე დაკვირვება, რადგან ელექტროენერჯის მოხმარება კიდევ უფრო მეტი სისწრაფით იზრდება. 1954 წლიდან დაწყებული, ჩვენი იმულებული ვართ ელექტროენერჯის ნაწილი მივიღოთ სხვა მეზობელი რესპუბლიკებიდან, რათა დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის აუცილებელი მოთხოვნილება ელექტროენერჯით.

ამიტომაც არის, რომ რესპუბლიკის შვიდწლიანი გეგმით უდიდესი ყურადღება ეთმობა ახალი ელექტროსადგურების მშენებლობას და მათს მწყობრში ჩაყენებას. შვიდწლიდის მანძილზე საქართველოს ენერჯის სისტემას შეემატება დიდი ახალი ჰიდროელექტროსადგური — ლაჯანურისა და ხრამის მეორე ჰიდროელსადგურები.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის დასასრულს თბილისი და რუსთავი მიიღებენ ბუნებრივ გაზს აწერბაიჯანიდან. იაფი გაზი გამოყენებული იქნება, როგორც ნედლეული ქიმიური მრეწველობისათვის; გარდა ამისა აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი მძღვარი ელექტროსადგური, რომელიც აგრეთვე გაზზე იმუშავებს. ამასთან ნიშნულზენად გაიზრდება რუსთავის თბოენერჯის, ტყვარჩელისა და ბათუმის თბოელექტროსადგურების სიმძღვარე. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მოლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება ელექტროენერჯით ჩვენივე ელსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯით.

შვიდწლიდის მეორე ნახევარში დაიწყება მძღვარი ჰიდროელსადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე. ამ სადგურის მწყობრში შეყვანა საშუალებას მოგვცემს არა მარტო მოლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი საჭიროება ელექტროენერჯით, არამედ ექთვარი მარაგაც შევქმნათ იმ გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც უექველად იჩენს თავს ამ შვიდწლიდის მომდევნო პერიოდში სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით.

როგორც აღინიშნა, მრეწველობის იმ დარგთა შორის, რომლებიც მიმდინარე შვიდწლიდში უპირატესი ტემპებით განვითარდება, არის ქიმიური მრეწველობა. იგი 1958 წელთან შედარებით ექვსჯერ გაიზრდება. საქართველოს ქიმიური მრეწველობა უკვე იძლევა და კვლავაც უფრო მზარდობს რაოდენობით მოგვცემს მინერალური სასუქებს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მეზობელი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის; გარდა ამისა, იგი უშვებს კალუშის პერმანგანატს ტექნიკური საჭიროებისა და მედიცინისათვის. დავსქნეთ, რომ ამ პროდუქციას საქარხნო მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკა უშვებს. ცნობილია საქართველოს ლიტონიის მრეწველობა, რომლის პროდუქციაც ზეთის სრესილი სადებავების გამოსამუშავებლად არის საჭირო. ჩვენი ქიმიური მრეწველობა იძლევა აგრეთვე შაბიშანს, ქვანახშირის ფისს, ისეთ ძვირფას სამედიცინო პრეპარატებს, როგორიცაა კოფეინი, კელინი, ომინი, თეალინი, ტანილი და ა. შ. კოფეინს იძლევა ბათუმის ქარხანა, რომელიც ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

რუსთავის აზოტის ქარხანასთან აშენდება კაროლაქტამის საამქრო. კაროლაქტამიდან გამოიმუშავდება კორი ტექნიკური საჭიროებისათვის და კარონის ბოქსი საფეიქრო და სატრიკოტაჟო მრეწველობისათვის. ამ მიზნით რუსთავივე შენდება კარონის ბოქსის მძღვარი ებარკია. გარდა ამისა, აზოტის ქარხანასთან შენდება შარდოვანის საამქრო. ამ პროდუქტიდან მიიღება მაღალხარისხოვანი სასუქი და მრავალი სხვის პლასტიკური მხა. იქვე შენდება ხელოვნური პეროქსიდის საამქრო, რომელიც აუცილებელია ელექტრო-ბატარეების ელემენტების წარმოებისათვის. ნედლეულიად აქ გამოყენებული იქნება ჰიათურის მანგანუმის დარიბი მადანი.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივა მიმდინარე შვიდწლიდში.

მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა 1958 წელთან შედარებით მ, 2-ჯერ გაიზრდება.

ყველაზე სწრაფი ტემპით ამ დარგებში გაიზრდება ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც რვაჯერ გააიძლებს საერთო პროდუქციის გამოშვებას. ამ მიზნით ნაწილობრივ უკვე შექმნილია და მშენებლობის პროცესშია 21 ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა. ეს ქარხნები გამოიშვებენ (ზოგი მათგანი უკვე უშვებს) მაღაროებისათვის ელექტრომავლებს, ქანსატორთავ მანქანებს, ელექტროსიარდებს, ელექტრომდლელებლ მოწყობილობას, ელექტროვიბრაციული მანქანებს, სხვადასხვა სიმძღვარის აპის ელექტროძრავებს, სიქარსაწომებს ელმავლებისათვის, მომინაქრულ სადენებს, კაბლებს, საყრდენ ელექტრომანქანებს (მესაქონლეობისათვის), მკროძრავებს ვენტიატორებისა და მტვერსასრუტებისათვის, მაცივრებს, სარეცხ მანქანებს, სამაგიდო ვენტიატორებს, ბატარეებს ჯაბის ფანრებისათვის, განათების არმატურას, ლუმინესცენცურა



ნათურებს და ა. შ., სულ ასზე მეტი სახელწოდების პროდუქციას, რომლის ღირებულებაც 1965 წელს შეადგენს მილიარდნახევარ მანეთს.

შვიდწლიანი მანძილზე სწრაფად გაიზარდა ელმავალსამშენებლო ქარხანა: 1965 წელს ის გამოუმუშავა გასულ წელთან შედარებით თორმეტნახევარჯერ მეტი.

მანქანათმშენებელი ქარხნები მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვედნ ისეთ მანქანებსა და მოწყობილობებს, რომლებიც საჭიროა კვების მრეწველობაში ავტომატური ხაზების შესაქმნელად. მანქანა-მოწყობილობის ასეთი კომპლექსები დაიდგება ჩაის, ღვინისა და კონსერვის საწარმოებში, რაც გაზრდის სათანადო საწარმოთა წარმადობას და გააუმჯობესებს მათი პროდუქციის ხარისხს.

შვიდწლიანი გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქუთაისის საავტომობილო ქარხანას. იგი სპეციალიზებული იქნება მთის პირობებში სამუშაოდ განკუთვნილ სატვირთო ავტომანქანათა გამოსაშვებად. ამასთან ქარხანა აითვისებს შვიდტონიანი ავტოგამწვევების გამოშვებას და მკვეთრად გაზრდის მანქანებისა და ტრაქტორების სათანადო ნაწილების წარმოებას.

ქუთაისის სამთო მოწყობილობათა მანქანათმშენებელი ქარხანა გადადის ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობისათვის საჭირო ტუმბოებისა და ელექტრობურღების წარმოებაზე.

ორნახევარჯერ იზრდება ლითონმჭერელი ჩარხების წარმოება. ფართოდება მანქანების გამოშვება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისეთი სპეციალური დარგებისათვის, როგორცაა მენაიეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა და ა. შ.

მანქანათმშენებლობის საფუძველია მეტალურგია. საქართველოს ახალგაზრდა მეტალურგია სწრაფად ვითარდება. თუჯის გამოდნობაში ერთ სულ მოსახლეზე ჩვენი რესპუბლიკა დღესდღეობით უკვე მნიშვნელოვნად უსრებს წინ ისეთ ინდუსტრიულ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია და იტალია, ხოლო თუჯის წარმოების მოცულობით მან შორს ჩამოიტოვა თურქეთი, მექსიკა, ნიდერლანდები და ზოგიერთი სხვა ქვეყანა. საქართველო უშვებს გაცილებით უფრო მეტ ფოლადს, ვიდრე ნორვეგია, შვეიცარია და თურქეთი ერთად აღებულნი. შვიდი წლის მანძილზე მათ მეტალურგის საერთო პროდუქტია გაიზარდა კიდევ 32 პროცენტით. ეს ზრდა მიღწეული იქნება უმთავრესად წარმოების რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე. განხორციელდება აგრეთვე მთელი რიგი ღონისძიებებისა საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისათვის.

საგრძობლად გაიზარდა თუჯისა და ფოლადის სხმულის გამოშვება თბილისის ქარხანა „ცენტრალიტში“. ეს ქარხანა როგორც ჩვენი, ისე ზოგი სხვა მომხმე რესპუბლიკის მანქანათმშენებელი ქარხნებისათვის საჭირო სხმულის მთავარი მიმწოდებელია.

საქართველო მდიდარია თავისი წიაღისეულით. მას აქვს დედამიწის ზურგზე მანგანუმის ერთ-ერთი უდიდესი საბადო.

შვიდწლიანი მანძილზე მანგანუმის მადნის ამოღება გაიზარდა თითქმის 32 პროცენტით. საქესპლოტაციოდ გადაღებმა ახალი მადაროები დარკვეთში, ხრამში, ზედარგანში, მრევეში, პასიეთში. ამასთან ერთად უზრუნველდება გამახვილებდა დაბალი ხარისხის მადნის გამომდრებაზე. ცენტრალური დამუშავანი გამამდიდრებელი ფაბრიკა გადაამუშავებს მეოთხე ხარისხის მანგანუმს და გადაიყვანს მას უფრო მაღალ ხარისხში. ამჟამად შენდება ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკა, რომელიც მანგანუმის ლამს გადაამუშავებს. აშენდება ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები მჩატე ფორებისანი და კარბონატული მადნების გადასამუშავებლად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მანგანუმის გამომუშავების გადიდებას და ამ ძვირფას მადანზე ჩვენი ქვეყნის მშარდი მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

შვიდწლიანი შეიქმნება სამთო მრეწველობის ახალი ბაზა. მარნეულის რაიონის სოფ. მადნეულში საქართველოს გეოლოგებმა აღმოაჩინეს მრავალმადიანი საბადო. აქ 1961 წლიდან გაიშლება ტყვია-თუთისა და სპილენძის მოპოვება-გადამუშავება.

ქვანახშირის მრეწველობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა შაორის საბადოთა დამუშავება. შაორში აღმოჩენილი ქვანახშირის საბადოების მარჯვ აღმეტება ყველა აქამდე ასრებული ქვანახშირის საბადოს მარჯვ საქართველოში. აქ შვიდწლიანი დაიწყება ორი მძლავრი მაღაროს მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ თვითული მთავანი წლიურად მოგვეცემს დაახლოებით იმდენსავე ქვანახშირს, რამდენიც მოგვეცემს რესპუბლიკის ქვანახშირის ერთად აღებული მაღაროებმა 1958 წელს.

ფართოდ გამოიყენება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც საქართველოს არამადნეული წიაღისეულები. მათ შორის თვალსაჩინო როლს ასრულებს ბარიტი, სულ უფრო და უფრო მშარდ მოთხოვნილებას აყენებს ბარიტზე ქიმიური მრეწველობა. ამიტომ შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მისი ამოღების მნიშვნელოვანი გადიდება. ამ მიზნით ძირითადი უზრუნველდება ექვევა ჩორღის ბარიტის მდიდარი საბადოს მშენებლობის უახლოეს ხანში დამთავრებას.

ანდღეიტის წარმოება მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველოში (ბაქო-ქუთაისის) წარმოებს. იგი ესპორტება კომპიურ მრეწველობას, აგრეთვე მრეწველობის რიგ სხვა დარგებსაც. ანდღეიტის თლილი ქვის დეტალები, ფქვილი და ღორღი გამოიყენება გოგირდმუყვას, აზოტის სასუქების, სინთეზური კაუჩუკის, სპირტის, ბენზინის წარმოებაში, აგრეთვე კოსმო-ქიმიკაში, ცელულოზის მრეწველობაში და ა. შ. ანდღეიტი გავრავს ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ვიეტნამში, ინდოეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირში ერთადერთი თელავის მინერალური ფზნილის ქარხანაც. მისი პროდუქცია იხმარება ტოლისა და რუბეროიდის მოჯავზნისათვის და ეგვავნება ტოლის უდიდეს ქარხნებს.

მხოლოდში საუკეთესოდ მიიჩნევენ ახალციხის რაიონის დიატომიტს. იგი ფქვილისა და ნატუი პროდუქციის სახით ეგვავნება ჩვენი ქვეყნის მრავალ ქარხანას, როგორც საიზოლაციო თეთრი ცემენტის დასამზადებელი მასალა და როგორც ცხიმებისა და სასმელების გასაქმენდი.

გასაგებია, რომ შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა ამ სასარგებლო და მეტად საჭირო წიაღისეულის მოპოვების მკვეთრ გადიდებას.

ჩვენი რესპუბლიკის მარმარილოს მრეწველობის პროდუქცია ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთში. შვიდწლედში მარმარილოს მოპოვება კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მიზნით, სახელდობრ, გაფართოვდება თელავისა და ახმეტის რაიონების ყვი-თლი და ყავისფერი მარმარილოს მოპოვება, განვითარდება აგრეთვე სალიეთის წითელი მარ-მარილოს საბადო.

დიდი ყურადღება ექცევა შვიდწლედში საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. კედლის მასალების წარმოება შვიდი წლის მანძილზე გაიზრდება 2,2-ჯერ, აქედან აგურისა — 1,6-ჯერ, კედლის დიდი და მცირე ბლოკებისა — 3-ჯერ, თითქმის 20-ჯერ გაიზრდება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოშვება.

საშენ მასალათა წარმოების სწრაფად განვითარებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს წარმოების პროცესების მექანიზაციას. უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ დიდია ხელიო შრომის ხვედრითი წონა. მაგალითად, ისეთი ოპერაციები, როგორიცაა ნახშირის მიტანა გა-ზოსაწვავ ღუმელებთან, ამ ღუმელებში აგურისა და კრამიტის ჩაწყობა და გადმოტვირთვა, ბევრ საწარმოში ხელით წარმოებს. ამ ოპერაციების მექანიზაცია დიდად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების გაზრდას საშენ მასალათა მრეწველობაში და, მასხალად, პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

ამვე დროს შვიდწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგება საშენ მასალათა ახალი საწარ-მოები. წელს შენდება სილიკატური აგურის ქარხანა აჯამეთში, ავქალაში და მაღალბარის-ხოვანი კრამიტის საამქრო მეტების აგურის ქარხანასთან. რიგი მოქმედი საწარმო გაფართოვ-დება და გამოუშვებს ახალი სახის საშენ მასალებს. ასე, რუსთავესა და კასპის ცემენტის ქარხნები დაიწყებენ ფიბროლიტის ფილების გამოშვებას, საბუქთალოს აგურის ქარხანა დაამზადებს კედლის ფილებს, ნოსირის აგურის ქარხანა ათვისებს კერამიკის გამოშვებას. თბილისის კერამიკული კომბინატი გადაყვანილი იქნება ადგილობრივ ნედლეულზე, დამთავრ-დება ქუთაისის აგურის ქარხნის რეკონსტრუქცია, რაც საგრძნობლად გაზრდის მის წარმა-დობას და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

ბე-ტყისა და ქალაღის მრეწველობა შვიდწლედში გაიზრდება 1,8-ჯერ. ათვისებული იქნება რესპუბლიკის ტყის ახალი მასივები, რაზედაც დაიხარჯება 318 მილიონი მანეთი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე ამ მიზნებისათვის იყო დახარჯული წინა შვიდი წლის მანძილზე. ქა-ლაღლის წარმოების გასაზიადებლად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ენგურის ცელულოზ-ქა-ლაღლის კომბინატში. კომბინატში დაწყებულია ცელულოზის წარმოების გაფართოება, მიმდი-ნარეობს საფუარის საამქროს მშენებლობა, წარმატებით დამთავრდა ცდები ძვირად ღირებული შემოკანილი ნედლეულის ადგილობრივი ბე-ტყის მასალით შესაცვლილად. ეწყობა მუყაოს წარმოება ნარჩენებისა და მაკულატურის გამოყენების ხარჯზე.

საგრძნობლად განვითარდება შვიდწლედში ჩვენი რესპუბლიკის კვებისა და მსუბუქი მრეწ-ველობის მრავალფეროვანი დარგები და მათ შორის უწინარეს ყოვლისა ჩაის მწვანე ფოთ-ლისა და ყურძნის გადამამუშავება.

კვების მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ბევრმა დარგმა და კვების მრეწველობის სათანადო საწარმოებმა თავისი პროდუქცია მიაწოდოს არა მარტო რესპუბლიკის მოსახლეო-ბას, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობასაც. ასეთებია ჩაის, ციტრუსების, ყურძნისა და ღვინის მასალების, ხილისა და ხილის კონსერვების, ხარისხოვანი თამბაქოს, ეთერეთოვან-ი კულტურების წარმოება.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენი რესპუბლიკა მენაიეობის ძირითადი ბაზაა საბჭოთა კავშირში და იგი იძლევა ჩვენს ქვეყანაში გამომუშავებული ჩაის პროდუქციის 97 პროცენტს. მაგრამ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაიზე ჩვენ ჯერ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ, რის გამოც იძულებული ვართ მწა ჩაი ნაწილობრივ შემოვიტანოთ ჩაის მწარმოებელი სხვა ქვეყნიდან. ახლა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასმულია ამოცანა, შეიღწეულში ისე განავითაროთ მენაიეობა და ჩაის მრეწველობა, რომ თითქმის მთლიანად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ხალხის მოთხოვნილება ჩაის პროდუქციით. ამ მიზნით შეიღწეულია გეგმა ითვალისწინებს ჩაის ფოთლის ვადა-მუშავების გადიდებას 67 ათასი ტონით. იმის ცხადსაყოფად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ზრდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 67 ათასი ტონა ჩაის ფოთლიდან მიიღება დაახლოებით 15 ათასი ტონა მწა ჩაი, ხოლო ჩაის ეს რაოდენობა დააკმაყოფილებს 80 მილიონზე მეტი აღამიანის წლიურ მოთხოვნილებას ჩაიზე. გაიზრდება ჩაის ფოთლის ვადამუშავებელი ფაბრიკების რიცხვი; შეიღწეულში აშენდება თხუთმეტი ახალი ჩაის ფაბრიკა.

ყურძნის ვადამუშავება შეიღწეულში გაიზრდება 175 ათასი ტონით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1965 წელს ჩვენი ღვინის მრეწველობა გამოუშვებს დამატებით 10 მილიონ დეკალიტრ ღვინო-მასალას და, ვარდა ამის სპირტისა და ღვინის ქვისმუყავას დიდ რაოდენობას. ორნახევარჯერ გაიზრდება მაღალხარისხიანი სამარკო ღვინოების წარმოება.

პროდუქციის გამოშვებას მნიშვნელოვნად გაზრდის აგრეთვე საკონსერვო მრეწველობა. რომელიც 1965 წელს 125 მილიონ ქილა კონსერვს გამოუშვებს 1958 წლის 98 მილიონის ნაცვლად. მომხმარებელი სულ უფრო მზარდი რაოდენობით მიიღებს ბოსტნეულის, ხილის, თევზის მაღალხარისხიან კონსერვებს.

ფხვნილი შაქრის გამოშვება მიაღწევს 25 ათას ტონას, ხორცისა და ხორცის პროდუქტების გამოშვება გაიზრდება 1,7-ჯერ, ძებვეულისა — ორჯერ, საქონლის ცხიმისა — ორჯერ, უველისა და რძის პროდუქტების — 2,4-ჯერ.

დიდად გაიზრდება საოჯახო ნივთების წარმოება; ეკრძოდ, ავეჯის გამოშვება 1965 წელს მიაღწევს 250 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1958 წლის 114 მილიონ მანეთისა.

შეიღწეულში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოების გამოშვება ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოსაგან, გაიზრდება აგრეთვე სამკერვალო ნაწარმისა და ტუავის ფხვსაცმლის გამოშვება. დამთავრდება გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის მეორე რიგი, რაც ამ კომბინატის წლიურ წარმადობას 80 მილიონ მეტრი ქსოვილით გაზრდის. თბლისში შენდება ახალი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, რომელიც 1960 წლიდან დაიწყებს უპარდის ქსოვილების გამოშვებას. საექსპლუატაციოდ გადაეცემა აგრეთვე სუფთა კაშვოლისა და სატრიკოტაჟო ფაბრიკები.

აბრეშუმის ქსოვილების წარმოება გაიზრდება 1,6-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 1,7-ჯერ, ბამბეულისა — 1,9-ჯერ.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივა მიმდინარე შეიღწეულში. სამრეწველო პროდუქციის დასახული ზრდის მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოთა შემდგომი ტექნიკური პროგრესი. ამ მხრივ კი ვადამუშავებთ რომელიც უნდა შეარსდეს ჩვენმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიუროებმა. დაახლოებით ორი წლის წინათ თბლისში, რუსთაველ, ქუთაისსა და გორში შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის მოწყობილობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები. მათ უკვე შექმნეს ახალი ხელსაწყოები, აპარატები და მანქანები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. შექმნილია მათემატიკური გამოთვლილი მანქანები ცალკეული პროცესების ავტომატიზაციისათვის მეტალურგიულ და ენერგეტიკულ მრეწველობაში, პნევმატური მემბრანული აღმასრულებელი მექანიზმები, ტენსოზომები ჩაის, თამბაქოს, ფქვილისა და ქვანახშირის მრეწველობის დარგებისათვის, რძის ცხიმსაზომი, მაღერებიდან ფრენის გადენის ავტომატურად აღმოჩენი ხელსაწყო. შემუშავებულია საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციის პროექტები რუსთაველს აზოტის ქარხანაში, ჭიათურის გამამდიდრებელ ფაბრიკებში, ქუთაისის ლიტომანის ქარხანასა და სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ავლოფაბრიკაში.

ბევრა გაკეთებული საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისათვის კვების მრეწველობაში. სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ, რომელიც პროექტებს მანქანებს კვების მრეწველობისათვის, შექმნა დუყის დამყოფი მანქანა, ჩაის ერთჯერადი ხმლის ღუმელი. მწვანე ბაიხის მწვანე ბაიხის, ჩაის უწყვეტი ხაზი, ჩაის დამხარისხებელი ორნაროულიანი მანქანა, ვაკუმჩამომსხმელი ავტომატი ღვინის ჩამოსახმელად, ავტომატური სა-



წომი გადაჭრული ღვინისა და ტბილის გასაწმენად, ქვევრებში ტბილის დამრევი მტკნარწყლის
ქვევრსარეცხი მანქანა, ქვევრიდან ჭაბის ამოპერევი მანქანა და ა. შ.

ახალ მანქანა-ხელსაწყოთა შექმნა განუწყვეტლივ იწარმოება მიმდინარე შვიდწლიან
და ექვს ვარშეა, რომ ჩვენს ინსტრუქტორთა და საკონსტრუქტორთა ბიუროები მიაწვდიან მრეწ-
ველობას მრავალ ახალ მანქანასა და მოწყობილობას, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმო-
თა შემდგომ ტექნიკურ პროგრესსა და სრულყოფას.

დღი ამოცანებიც დაგა შვიდწლიანი ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე, მთავარი ამო-
ცანა ის არის, რომ მთავარი ინსტრუქტორთა-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ისეთ დონეს,
რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება
სურსათზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე და უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო
პროდუქტებზე სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამ მიზნით გათვალისწინებულია შვიდწლიანი დამღევისათვის ცალკეულ სახეობათა პრო-
დუქციის წარმოება აუჯინოდ იქნას შემდეგ ოდენობამდე: მარცვლეულისა — 1 მილიონ 211
ათას ტონამდე 1958 წლის 939 ათასი ტონის ნაცვლად; ხორცისა (დაკლული წონით) — 150
ათას ტონამდე 99 ათასი ტონის ნაცვლად; რძისა — 975 ათას ტონამდე 502 ათასი ტონის
ნაცვლად; კვერცხისა — 497 მილიონ ცალამდე 299 მილიონ ცალის ნაცვლად; ბოსტნეული-
სა — 5.510 ტონამდე 4.430 ტონის ნაცვლად; ჭარბისა — 211 ათას ტონამდე 140 ათასი ტონის
ნაცვლად; თამბაქოსი — 20 ათას ტონამდე 16 ათასი ტონის ნაცვლად; კარტოფილისა — 330
ათას ტონამდე 232 ათასი ტონის ნაცვლად; ხილისა — 374 ათას ტონამდე 196 ათას ტონის
ნაცვლად და ა. შ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას ახლა ყველა წინასწარი პირობა აქვს საიმისოდ, რა-
თა პირნათლად შეასრულოს ეს დავალებები. მას საკმაოდ ჰყავს კვალიფიციური კადრები.
აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. შვიდწლიანი მანძილზე სოფლის მეურნეობის თანამედ-
როვე ტექნიკით აღჭურვა კიდევ უფრო გაიზარდება. იგი მიიღებს მრავალ ახელს მარცვლეუ-
ლის კომბინისა და სხვადასხვა მანქანა-მოწყობილობას. კომმეურნეობებისა და საბჭოთა
მეურნეობების ენერგოაღჭურვილობა თითქმის ერთიორად გადიდდება.

შვიდწლიანი დამღევისათვის ძირითადად დამთავრდება ყველა კომმეურნეობის ელექ-
ტროფიკაცია, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო
პროდუქციის წარმოების ხარჯები, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქ-
ციის თვითღირებულება.

დღი სახსრებია გამოყოფილი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა-
თვის. საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის მარტო სახელმწიფო სახსრებიდან შვიდი
წლის მანძილზე რესპუბლიკაში დაიხარჯება 4 მილიარდი 114 მილიონი მანეთი, — 1 მილიარდი
564 მილიონი მანეთით მეტია ამ მიზნებისათვის წინა შვიდი წლის განმავლობაში დახარჯულ
თანაზღ. სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო
დაწესებულებების მშენებლობას მოხმარდება 1 მილიარდი 509 მილიონი მანეთი ნაცვლად გასუ-
ლი წლის მანძილზე დახარჯული 678 მილიონი მანეთისა.

მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯება სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულე-
ბების მშენებლობაზე.

როგორც დავინახეთ, რესპუბლიკის შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურ-
ნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას. ამ საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება
მშრომელთა ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება, რაც კონკრეტულად გამოიხატება
შემდეგში:

მნიშვნელოვანად გაიზარდება ეროვნული შემოსავალი და ამ საფუძველზე სერიოზულად
გაიდიდება მშრომელთა რეალური შემოსავალი;

შემცირდება სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სამუშაო დღეების რიცხვი კვირაში;

გაიდიდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაუმჯობესდება მისი ხარისხი;

ფართო გასაქანი მიეცემა საბინაო მშენებლობას;

მნიშვნელოვანად გაუმჯობესდება მოსახლეობის საზოგადოებრივი კულტურული და სა-
ყოფაცხოვრებო მომსახურება. ფულადი ხელფასის, პენსიებისა და დახმარების ზრდის, საზო-
გადოებრივ კვებაში ფასების შემცირების შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსა-
ვალი ერთ მომუშავეზე გაანჯარებით შვიდწლიანი დამღევისათვის გაიზარდება 40 პროცენ-
ტით. მეორეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი გაიდიდება 270—350 მანე-
თიდან 560—600 მანეთამდე თვეში. კომმეურნეთა რეალური შემოსავალი აგრეთვე გაიზარდება
სულ ცოტა 40 პროცენტით.

უახლოეს წლებში გაიზარდება მოსახლეობის განთავისუფლება გადასახადებისაგან.
1960 წელს დამთავრდება მუშა-მოსამსახურეთა ვადუყვანა შვიდი-ექვსი საათის სამუშაო



დღეზე. 1962 წელს გათვალისწინებულია 87 საათის სამუშაო დღეზე მეფო მუშათა-მოსამსახურეთა გადაყვანა 40 საათიან სამუშაო კვირაზე. 1964 წლიდან განზრახულია დაიწყოს მიწისქვეშა საბუთაობებზე და შრომის მავნე პირობებიან წარმოებაში ჩაბმული მუშაკების თანდათანობით გადაყვანა 30 საათიან სამუშაო კვირაზე და ყველა დანარჩენი მუშაკისა — 35 საათიან სამუშაო კვირაზე. ნავარაუდევია შემოღებული იქნას ხუთდღიანი სამუშაო კვირა 6—7 საათის სამუშაო დღით.

ეს ღონისძიებები განხორციელდება არა მარტო ხელფასის შეუმცირებლად, არამედ მისი მნიშვნელოვანი გადიდების პირობებში.

ამრიგად, სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

როგორც მოგეხსენებათ, ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაეთმო კომუნისტური აღზრდის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საკითხებს.

ეს გასაგებიც არის. კომუნისტურმა გადასასვლელად საჭიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ აგრეთვე საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე, რაც უფრო მაღალია მილიონიანი მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით შესრულდება კომუნისტური მშენებლობის გეგმები. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა მშრომელთა, მეტადრე მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

ამ ამოცანათა შესრულებას ემსახურება, უწინარეს ყოვლისა, აღზრდის ორგანულად დაკავშირება ცხოვრებასთან, წარმოებასთან, მახების პრაქტიკულ საქმიანობასთან.

მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის სკოლას. მისი მუშაობის ყოველმხრივად გაუმჯობესების მიზნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ თეზისებმა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულლოვანი მხარდაჭერა პპოვეს, რის შედეგადაც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ამ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. ახალი კანონი უმაღლესი და საშუალო სკოლების მუშაობის გარდაქმნის შესახებ უზრუნველყოფს ახალ-გაზრდობის კომუნისტურ აღზრდას მარქსისტულ-ლენინური პრინციპების შესაბამისად.

კონკრეტული ამოცანები დაუსახა ყრილობამ აგრეთვე ჩვენს მეცნიერებს, ლიტერატორებს, ხელოვნების მუშაკებს. შეიძლება გეგმა ითვალისწინებს იდეოლოგიური მუშაობისათვის უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნას. ფართოდ განვითარდება პრესა, რადიო და ტელევიზია, კინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მნიშვნელოვნად გადიდება უფრანლ-გაზეთებისა და წიგნების ტირაჟი.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასაბამი მისცა ახალ ისტორიულ პერიოდს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდს. ყრილობის დიდი იდეები საბჭოთა მწერლების შთაგონების წყაროა. ცნობილი პარტიული დოკუმენტი — „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ — სახავს საბჭოთა მწერლობის განვითარების მთავარ ხაზს.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი აქვთ, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტურ მშენებლობაში და ახალი ადამიანის აღზრდაში, რათა ხალხის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებით, სოციალისტური რეალობის მეთოდის მართებული გამოყენებით შექმნან კომუნისტური მშენებლობის ეპოქის შესაფერისი მაღალმატრული იდეური ნაწარმოებები, რომლებიც ასახვენ საბჭოთა ადამიანების, შვიდწლიან გმირების ცხოვრებასა და გმირულ შრომას.

ჩვენ გრამად გვემს, რომ ქართველი მწერლები თავიანთი შემოქმედებითი შრომით აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დიდი შეიძლება იდეებით დასახულ გრანდიოზულ სამუშაოებში, დაეხმარებიან პარტიას საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.



თეიმურაზ ჯანგიაშვილი

მაისის მოსვლა

ველები, ცისფრად დაქარგულები,
მზის ცხელი გუთნით გადახნული ცა...
ჭქუნს სიყვარულის განკარგულებით
ეს წყალდიდობა გაზაფხულისა.

დიდება ცეცხლად დანთებულ ჭაღებს,
მაისის მზეს და დროშების ქარებს!
გაზაფხული და შენ ერთად აღებთ
დიდსა და ნათელ მომავლის კარებს.

თან შრომანების მოგდევს ამაღა
და სამაია ია-იათა,
ეს ცისარტყელამ შეჭკრა კამარა
და სიყვარულად შემოგრიოლდა.

ნაკადულები დაჯარდებიან,
მათი ტალღა მცემს დღეც და ღამეცა.
მშობლიურ ზეცის ლაყვარდებიდან
თვით გაზაფხულის ელვა ღამეცა.

ჩვენს მზეს ღრუბლები შემოჰფანტვიან,
მცირე ნისლსაც კი სხივით დაისრავს,
ქვეყნად მაისის შუქი ანთია, —
ჰოლი, გაღმექეც უქრობ მაისად.

მოდი!

ამ დღეებს დაფიცებული
გელი, ვით მოსვლას გაზაფხულისას! —
ვარ მიწა — მზისგან გაღვიძებული,
და მზის სახნისით გადახნული ცა.

არყის ხე მემოზრის საფლავზე

მიწა გავჰერ ხიშტის წვერით,
მეგობარი მივაბარე მიწას,
ტკივილს ველარ გავუძელი,
ცივი ლოდი დაუფტოვე ძიძად.

ღრო გავიდა. მომეწყურა
ბორცვად ქცეულ მეგობარის ძებნა;
ჰგავს ყვავილით ნახატ სურათს,
თავს არყის ხე დასდგომია ძეგლად.

ვანა ხეა? — სული არი,
ასე თეთრად ატყორცნილი ცისკენ,
ოცნებაა, — ჟრქოლვად უვლის
ღროისა და გრილი მიწის სისქეს:

სიცოცხლეა, რომლის შრიალს
უკვდავების საგალობლად ვისმენ,
ჩემი სიყრმის მეგობარი
ნათელ სვეტად ატყორცნილა ცისკენ.

წითელკაბა

რომ გავიზრდები,
წითელ კაბას გიყიდი, დედი,
გიყიდი წითელ კაბას!...
მაგრამ იმგვარად მობრუნდა ბედი,

წავიდნენ წლები,
წავიდნენ ისე სწრაფად,
ველარ შევძელი მე წითელი კაბა
მეყიდა,
დედილო, შენთვის...

მე მერხის მერე დავიდალე ომის
მეხითა,

ცეცხლით და დენით;
მზე წითლად ასჯერ ამოვივიდა
შუქით ცივითა.

მიწაც ვიხილე წითელ კაბაში.
წითელი სისხლით დავიდალე
და დავინახე —
ირგვლივ სიკვდილი ყეფდა კაპასი,
ხანდახან ახლაც რომ მეყურება...

შვილს აპატიე დაპირების
ვერშესრულება, —
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...
და ახლა, როცა მე შემიძლია
წითელი კაბის ყიდვა,
შენ იგი უკვე აღარ გპირდება.
... ძნელია ცალი უღელის ზიდვა.
შავ თმაში თეთრი გაგისშირდება...

კაბა გპირდება იმ თმათა ფერი,
შავი, მარტოდენ შავი...
და პა,
ქვირვობის საჩუქარი მოგართვი,
დედი,
და შენს წინ ვდგავარ, ვით დამნაშავე.
უფლება არ მაქვს,
მკაცრი წესი გულს მეწყლულება,

სხვა ფერის კაბის ყიდვა უკვე
შემიძლია...

შვილს აპატიე დაპირების
ვერშესრულება, —
შენი სისხლია, შენი ღვიძლია..

შენთან ხანდახან სიცილიც ვერ
გამაბედვინონ,
შენი ტყვილით, მამის ჯავრით გული
მევსება;

და ჩემი შვილი,
შენი შვილისშვილი.

დედილო,
ვითარცა მე შენ, თავის დედას
ეალერსება.

ტკბილად ღუღუნებს ჩემი ლალი.
გულთეთრა მტრედი:

— რომ გავიზრდები,
წითელ კაბას გიყიდი, დედი.
გიყიდი წითელ კაბას!

თვალს შეიმშრალე უწმინდესი
ცრემლებით ნაბანს,
ბავშვის წინაშე გასურს დამალო ეგ შავი
კაბა,
როგორც ტყვილი, როგორც ჭრილობა.
...დე, აღასრულოს შეილმა პირობა!

ნაზი კიდასონია

ჰოი, დედანო!

ეს იყო ომის პირველი ღამე,
 ეს იყო ტყვიის პირველი თქეში,
 ჩვენ ვაცილებდით ჯარისკაც მამებს
 და ზურგჩანთები გვეჭირა ხელში.
 შინ დაბრუნებულთ მაისი გვეწამდა,
 მაგრამ ზამთარიც გვექონდა საერთო,
 თქვენ მაშინ მამის წიგნებსაც წვავდით,
 ჩვენი ხელები რათა გავეთბოთ.

ასე გადავრჩით,
 ასე ვივარგეთ,
 სიცოცხლე ბრწყინავს —
 თქვენი მზე თუ არს:
 თქვენ ჩვენ გვითმობდით პურის გირვანქებს
 და ულუფაზე ამბობდით უარს.

თქვენ მოგვიტევეთ,
 ჰოი, დედანო,
 ბავშვის სიბეცე,
 ბავშვის სიხარბე...
 მას შემდეგ ვალში დავრჩით თქვენდამი
 და ველარაფრით გადავიხადეთ.

ეს კია —
 მრავალ ქარებს ვედავეთ,
 ზოგჯერ ვიცინეთ,
 ზოგჯერ ვინალვლეთ,
 მაგრამ, დედანო,
 ჰოი, დედანო,
 თქვენ დაგიტოვეთ ყველა სიმაღლე!

სამყარო გვიწვდის მორთოლვარე ხელებს
 უბედნიერეს ქვეყნის ბინადრებს,
 თქვენი სახელით შევებით ბნელეთს
 და თქვენი სული მიგვაქვს სინათლედ.



რომ მტრედებოვით მღერდნენ სარკმელთან
 ბავშვები — ჩვენი თვალთა საჩინო,
 დედები მშვიდად დავსვათ აკვნებთან,
 მამები ომებს გადავარჩინოთ.

მადლობა ხელებს,
 თქვენს დამკვანარ ხელებს,
თქვენს თვალებს —
 ჩვენი გულის ბინადრებს.
 დედანო! ლოცვა! —
 შევბმვივართ ბნელეთს
 და თქვენი სული მიგვაქვს სინათლედ!

ასეთი კარგი ნეტავ არ იყო!

მოვა სხვა ვინმე, ჰოდა წაგიყვანს,
 რომ გადამეჭყცეს ვარდი ეკალად.
 ასეთი კარგი ნეტავ არ იყო,
 არ ვიყურებდეს ნეტავ ქვეყანა.
 ჩიტი მომძახის „ბიჭო გოგის“,
 შენით ხმაურობს ჩემთვის საწუთრო,
 მე ყველა ქალი მტერი მგონია, —
 ვაიმე, სხვამ არ დავისაკუთროს.

მე ყველა ქალი მტერი მგონია,
 ჩემზე კარგი და ჩემზე ლამაზი,
 ვის გაავგონო, რომელ გონიერს,
 რომ მეც ვიწვევი ამ ქვეყანაზე.
 ქარი მაწყდება როგორც ქვა-რიყეს,
 გული გუგუნით დამდევს ყველგანა:
 ... ასეთი კარგი ნეტავ არ იყო,
 არ ვიყურებდეს ნეტავ ქვეყანა!..



რა შეიძლება იყიდოს კაცმა
 თებერვლის პირზე? —
 მხოლოდ იები.
 თავი ანებეთ ყოველგვარ განცდას,
 თავი ანებეთ ყველა ძიებებს.
 რა შეიძლება იყიდოს კაცმა
 თებერვლის პირზე? —
 მხოლოდ იები!
 კნაჭა ფეხებზე შემოხსნით ძაფებს,
 ვამაზეურებთ ზამთრის კილობებს.
 იებს სიზმრები
 მოჰყვება მძაფრი,
 თქვენ წარმოიდგენთ რილო-ჭრილოებს.

შუალამისას გადიხლით საბანს.
 ჩუმად მოსძებნით
 ასანთს,
 პაპიროსს...
 შეებოლება ცისფერი კაბა —
 ბედის ტრიალმა აღარ აფრინოს.
 თქვენ ზელახალი გეწყებათ განცდა,
 ჰო, ასე გსურდათ,
 ასე ინებეთ.
 რა შეიძლება იყიდოს კაცმა
 თებერვლის პირზე? —
 მხოლოდ იები!..

პეი, ტანაო! ტანაო!

ნიკო კეცხოველს

ადიდებულა ტანაო,
ტანაზე ქვევრი ქანაობს...
დამთვრალან მწყემსი ბიჭები,
მღერიან თანისთანაო,
ჰეი, ტანაო!
ტანაო!

თეთრი წნორები გინდოდა,
ტანას ნაპირებს მიჰყვები,
რამ გაახუნა მინდორი,
რამ გააფიცა რიყენი,
ვინ დაგცა შავი დანაო,
ჰეი, ტანაო!
ტანაო!

ატენის ხევი გუგუნებს,
ფშანებში ყანჩა ბანაობს,
უგუნურს,
ვთი უგუნურს.

კოჭამდე წვდება ტანაო.
ჰეი, ტანაო!
ტანაო!

თვალეზე ხელი იჩრდილე, —
რა ფიქრმა წაგიტანაო.
ლელი ლელებზე მიჯრილა,
რაო?
გახუნდა განაო?
ჰეი, ტანაო!
ტანაო!

ქრიალებს ზეცის თავხენი,
ე სიბი რალამ დანამა.
ტანამ თვალეში აგხედა,
დედაე! რა ნახა ტანამა...
... ჰეი, ტანაო!
ტანაო!
ფშანებში ყანჩა ქანაობს.





სოჭეაკანი

თავი პირველი

გაბრიელ თვაურის კარ-მიდამო ვეძისის ფერდობის შემადღებაზე იყო და იქიდან გაჰყურებდა ღრმალელესა და დიდუბეს.

დაბალ სახლს ზურგი ველისკენ ჰქონდა. მოშორებით ლისის საურმე გზა მიდიოდა, თბილისიდან დაწყებული ჯერ სწორედ მიემართებოდა მთისაკენ, მერე იკლაკნებოდა და მთის იქით სოფელში გადადიოდა.

ეზოში თავლა, ბოსელი და საქათმე ერთ წაფერდებულ შენობაში იყო მოთავსებული.

ახლო მეზობლებიც ფერდობზე სახლობდნენ. ისინი საცხოვრებლად მიწას არ დახარბებია.

თვაურების ეზოში ნორჩი კაკლის ხე იდგა. ეზოს ცალ მხარეს ბალახი ბინებდა. ამ ადგილს პირუტყვის არ აკარებდნენ და საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ, ბავშვები სუფთა მოლზე ბულრაობდნენ ხოლმე.

ეზო მზიანი იყო, გაზაფხულ-ზაფხულობით მეტად შეფიცებული.

კარგა ხანს იდგნენ ვეძისის ქოხმახები ობლად და საწყლად. მაგრამ აგერ თბილისმა საქართველოს სამხედრო გზის გარდიგარდმო გაიმართა წელი, ვეძის-საც მოედო და ქოხმახებთან დიდრონი სახლები გაჩნდა. თვაურის სახლის გადასწვრივ ძველი სასაფლაო და ეკლესია იყო. ეკლესია დაანგრიეს, საფლავის ქვები გაზიდეს და აქ სკოლის ოთხსართულიანი შენობა წამოქიმეს.

შემოდგომით, როცა ცა პირს მოხსნიდა, გაუვალი ხდებოდა ჯერ კიდევ მოუწყობელი ვეძისი. მხერხავ გაბრიელს ქალაქამდე ალაფულ-დალაფული გზა ჰქონდა ხოლმე სავალი. შინმობრუნებული კი შუაღამისას ალაღბედზე მოაბრტბდა წუმპეში.

მხერხავებისათვის შემოდგომით ბევრი სამუშაო იყო. წვრილშვილი კაცი დროს ემურებოდა და ცოტა რამ მოჰქონდა შინ. ფულს თითო-ორილა შეშის ღერს მოაყოლებდა. ოდესღაც სოფელს გამოქცეული გაბრიელი სოფლურ ყაიდაზე იცმევდა. ახალი ცხოვრების მზე მხოლოდ მის ბაღლებს მოეკიდათ, თავად კი თითქოს ხერხთან ერთად იყო დაბადებული, ხერხთან ბერდებოდა და ხერხთან მოკვდებოდა.

ძალზე ცოტა რამ ჰქონდა სასიხარულო მაროს, გაბრიელის უფროს ქალიშვილს. გაუხარელი იყო მისი ბავშვობა. ჯერ იყო და დედა გარდაეცვალა, როცა მეცხრეში გადადიოდა, სკოლას თავი მიანება და ოჯახს დაუტრიალდა, აწ მობერებულ მამასა და დებს, თამროსა და ქრისტინეს უვლიდა.

გაზაფხულმა მზე და იმედი მოიტანა.

დებს ეზოში ერთი გოჯი მიწა არ დაუტოვებიათ დაუმუშავებელი. გადაბარეს და მწვანელი დათესეს. მალე დამწვინდა და აყვავდა იქაურობა. მთელი ზაფხული თვალგასახარად ბიბინებდა მწვანინი მიწის პირი და გულგასახარად ეფინა ჩრდილი თვაურების კარ-მიდამოს.

ავგისტოს ერთ დღეს გაბრიელი შინიდან არ გასულა, კაკლის ხის ძირას იჯდა და ხერხს ლესავდა, კბილსა და კბილს შუა მძიმედ ატარებდა ქლიბს. საქმეს გულს აყოლებდა. დებიც იქვე შორიახლო ისხდნენ. თამროს კალთაში ჩადო წიგნი და ხმამალა კითხულობდა, ეტყობოდა მრავალგზის ჰქონდა წაკითხული, რომ ახლა სხაპასხუპით და გატაცებით ამბობდა სიტყვებს.

გაბრიელი ყურს არ უგდებდა, კაცის გონება ფიქრს წაეღო, ფიქრს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მოჰქანცა, დალაღა, გამოჰფიტა და გააშრო, დააბერა და დააბეჩავა. ოჯახის, ბაღლების რჩენაზე, მოვლა-პატრონობაზე ფიქრი მძიმედ დასწოლოდა მის გონებას. უჭირდა ბაღლების რჩენა და იმიტომ დაუდიოდა ისინი ნახევრად შიშველნი. თამროს და ქრისტინეს არა უჭირდათ რა, პატარები იყვნენ. მარო კი დაქალებულიყო, მომწიფებულიყო, ჩვილმეტ-თვრამეტი წლის გამხდარიყო. მამამ, როგორც იყო, ორიოდ უბრალო კაბა უყიდა, რომ ქალიშვილი სირცხვილით არ დამწვარიყო ტოლ-სწორებში.

ჭიშკარი ვიღაცამ შემოაღო. თამრომ მაშინვე შესწყვიტა კითხვა და გახედა. მარომ და ქრისტინემაც მოსულს შეავლეს თვალი. გაბრიელს ისევ ხერხზე დაეხარა თავი და მძიმედ და ნელა უსვამდა ქლიბს.

გაბრიელს გარეობიშვილი, ლევანი, ესტუმრა. იგი ხშირად ამოდიოდა ვეძისში, განსაკუთრებით ზაფხულობით უყვარდა აქეთ ამოვლა. იცოდა გაბრიელის ხელმოკლეობა და იმიტომ თავად მოიტანდა სასიმელს, ცოტაოდენ ძეხვსა და პურს, ხელცარიელი არასოდეს არ გამოჩნდებოდა. გოგოები კაკლის ხის ქვეშ გაუმოიღნენ კაცებს სუფრას. გარეობიშვილები ნელ-ნელა შეჰყვებოდნენ სმასა და საუბარს, გაბრიელი თუ სიტყვაძენწი იყო, სიმაგიეროდ ლევანმა არ იცოდა მოწყენით ჯდომა. ხშირად გაუმხიარულებია და აულაპარაკებია გულჩათხრობილი მასპინძელი.

ლევანი მხიარულად მიესალმა გოგოებს, რომლებიც მის გამოჩენაზე წამოდგნენ, მერე გაბრიელს მიუახლოვდა.



— გამარჯობა, გაბრიელ, სულ ამ ხერხს რომ დაჰყურებ, ცოტა წამოიხედე ცასა და ღმერთსაც შეხედე!

— ლევან, შენა? ვაგიმარჯოს... — თქვა გაბრიელმა, ხერხი და ქლიბი გვერდზე გადადო და ლევანს ხელი ჩამოართვა. — ცასა და ღმერთსაც შევეყურებდი, მაგრამ იქიდან არაფერი მომივიდა, ჩემო ლევან, ამ ხერხმა კი ბალები დამიზარდა.

— ჰო, თამროც კაიხელა გაზრდილა, — რატომღაც თამროზე თქვა ლევანმა.

— იზრდებიან, მა, ხომ არ ვაჩერდებიან! — გულუბრყვილოდ მიუგო გაბრიელმა და ისევ ხერხს გადასწვდა, ცერით კბილი გაუშინჯა.

ლევანი ამჯერად ხელცარიელი მოსულიყო. ეტყობოდა, დიდხანს დარჩენას არ აპირებდა. თამრო და ქრისტინე იქვე იყვნენ და სტუმარს უყურებდნენ, მარო კი შინ გაიქცა სკამის მოსატანად.

— ყური მიგდე, გაბრიელ, აი, რა უნდა ვითხრა, — დაიწყო ლევანმა, — თამრო უკვე დიდია, ოჯახში ეგ მოგეხმარება. მარო კი უნდა გაათხოვო, უკვე დროა. მაროს სკამი მოეტანა და ამ სიტყვების გაგონებისთანავე ელდანაკრავივით შეკრთა.

— რას ამბობ, ძია ლევან! — წამოიძახა მან და უმალ იგრძნო, როგორ აეწვა ლოყები და ცეცხლი ყურებზეც მოეკიდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა, სწორედ დროული საფიქრებელია, — აზრი მოუწონა ლევანს გაბრიელმა და მაროს შეხედა.

ქალიშვილმა ცივად გაუშვა ხელი სკამს, მერე უმალ შეტრიალდა, ოთახში შევარდა და ისე პატარა ეჩვენა იქაურობა, რომ ვერც თავად დაეტია და ვერც აჩქროლებული გული დასტია. ძარღვები უთრთოდა. თავისი თავი რაღაც მეტად უცხო და სხვაგვარი მოეჩვენა. რა თქვა ლევანმა? ეს ხომ რაღაც მეტად დიდი საშინელებაა, რომელსაც ვერ შეეგუება მარო. არა, მაშინვე მოკვდება, მაშინვე, როგორც კი გაათხოვებენ. მანამდე კი მიაღწევს? აი, როგორ შემოფოთებული ფეთქავს მისი გული!

„ნუთუ მე, მე უნდა გამათხოვონ. ვიღაც სხვას, უცხო კაცს უნდა მიმცენ?“

სარკესთან მივიდა. მალულად მიიბარა კედლის ძველებურ სარკესთან, რომელსაც გულში ლაქები გასჩენოდა. სარკის ერთი კიდედან, საღებავგადაცილებულ და ალაგ-ალაგ ჭიაშეჭმულ ჩარჩოს იქიდან, ნელ-ნელა წამოვიდა ქალიშვილის ალექსილი სახე. პირველად რატომღაც ვერ შეხედა თავისი ორეულისათვის გაბედულად შეეხედნა, თითქოს რაღაც დიდ დანაშაულს გრძნობდა მის წინაშე, მაგრამ მალე დასძლია გაუბედაობა და თვალი თვალში გაუსწორა. მარო აღარ იყო ბავშვი და თითქოს ახლა პირველად შენიშნა მოზრდილობა. მოწიფული გოგო საოცარის გულხეთქებით განიცდიდა ლევანისა და მამის ნათქვამს. სარკეს თვალი მოაცილა და გარეთ გაიხედა. ლევანი მამის გვერდით აღარ ჩანდა. გაბრიელი სახლისაკენ მოდიოდა. მალე კარში გამოჩნდა.

— რა დაგემართა, გოგო?


— მამი, რას მიპირებთ, რას?!

— რაც ღვთითა და ბუნებითაა დადგენილი. მიდი, კაბა გამოიცვალე. ერთორ საათში შენს სანახავად მოვლენ.

— აჰ, ჩვენთან? ვინ უნდა მოვიდეს, რას ამბობ? — მარომ ხელები აიფარა სახეზე, ხმაში ცრემლი გამოერია.

— ტირილის დრო არ არის. გვიჭირს, გვიჭირს... — რაღაც მეტად სასოწარკვეთით დაიძახა გაბრიელმა, თითქოს აი, ახლა თუ არ დათანხმდა მარო გათხოვებაზე, ყველაფერი დაიღუპებოდა.

7968





განა გაბრიელის გულს სიამოვნებით არ ეფონა ლევანის სიტყვებზე. მათი ოჯახს მართლა ეშველებოდა, მაროს პატრონი გამოუჩნდებოდა, და ეს თვალი ოჯახისათვის დიდი შეღავათი იქნებოდა. გაბრიელს ახლა ერთი სული ჰქონდა, მალე მოეყვანათ სასიძო და თვალის შეეცლო მისთვის, ენახა რა ვაქცაცი კაცი იყო. ლევანმა კი უქო, თვალ-ტანად მოხდენილია და ოჯახად წელგამართულო, მაგრამ სხვისი ნათქვამი მაინც სხვა არის და საკუთარი თვალის სხივი კიდევ სხვა.

— იდექი ეგრე და მიყურე! — დაუტია გაბრიელმა მაროს. — სადაცა მოვლენ.

— მოვიდნენ, რა ვქნა... მე არავის ვეწონები.

— შენ კიდევ შენსას იძახი... გაიგონე, რაც გითხარი!

სტუმრები მოვლენო, მშრალად როგორ დაეხედებოთო, გაიფიქრა გაბრიელმა შინ ორიოდე გროში მოეძეოდა, თადარიგი დაიჭირა, ხელჩანთა აიღო, შიგ რამდენიმე ცარიელი ბოთლი ჩასდგა და შინიდან გავიდა. მაღაზიაში ძეხვი, თევზის ორიოდე კონსერვი იყიდა, იქიდან ღვინის სარდაფში გამოიარა.

მამა რომ წავიდა, თამრო და ქრისტინე შინ შევიდნენ და აცრემლებულ მაროს მოეხვივნენ.

— არსად არ გაგიშვებთ, მარო, — ხმა უთრთოდა თამროს და ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა წასულიყო მარო სხვაგან, სამუდამოდ როგორ უნდა გამოემშვიდობებოდა თავის საყვარელ დებს. თამროს ეგონა, რომ სამუდამოდ ისე დაჰკარგავდა უფროს დას, თვალთ ველარ ნახავდა. ქრისტინეც აპყოლოდა შუათანა დას, ეხვეოდა მაროს, არა, არ გაგიშვებთო, ეუბნებოდა და ცრემლსა ღვრიდა.

მაროს უკვე ჩაეცვა საგარეო თეთრი კაბა. ტანად პატარა იყო, მაგრამ მოხდენილი ჩანდა.

და აი, დები ტიროდნენ. წელან თუ უდარდელად ისხდნენ და აზრადაც არ მოსვლიათ განშორება, ახლა სწორედ ეს აწუხებდათ. მაროს გათხოვების გამო უკვენსოდა გული, თამრო და ქრისტინე კი მის განშორებას დარდობდნენ.

გაბრიელი შინ შემოვიდა. დებმა სული გატრუნეს და მამას მიაჩერდნენ. გაბრიელმა სასმელ-საჭმელი მაგიდაზე დააწყო, მერე შვილებს გამოხედა, მაროს კაბის გულისპირი ცრემლით შენამული დაუნახა და სამივე გოგოს დაუცაცხანა, თამრო და ქრისტინე შინიდან დაიფრინა.

— რა გატირებს, გოგო! იქნებ ვინმე გიყვარს და... — ხმას დაუწია და ისე მიმართა გაბრიელმა მაროს.

— რას ამბობ, მამა, ვინ უნდა მიყვარდეს! მე არც გათხოვება მიფიქრია და არც არავინ მყვარებია... როგორ უნდა შევიყვარო ვიღაც სხვა... — მარომ ცრემლი მოიწმინდა და თავი დახარა.

— აი, ახლა ბიჭს მოიყვანენ, ენახოთ... ისიც გნახამს და... სამუდამო პატრონი გეყოლება, გოგო... მე აი, ვერა ხედავ, როგორ მოვტყედი, ჯანი არა მაქვს იმდენი, შეილო!.. ახლა ამ გოგოებსაც დაზრდა უნდათ და დაბინავება...

— მეც ვიმუშავებ, მამი... მოგეშეელები...

— სამუშაოდ გასული ქალი ოჯახისათვის ურგებია. აღარც იქ ევარგები და აღარც აქ... ახლა ლაპარაკის დრო არ არის, ეს საქმე უნდა გაკეთდეს.

გაბრიელი შეტრიალდა და ისევ ეზოს დაუბრუნდა.

თამრო და ქრისტინე კაკლის ხესთან იდგნენ და ჩუმად ტიროდნენ.

— ემანდ გაჩუმდით, თორემ!.. — გაბრიელმა კეტს წამოავლო ხელი და გოგოებისაკენ გაიწია, — ხალხი უნდა მოვიდეს, თქვენ კი ცრემლითა ხედებით?



რას იტყვიან, თავს ლავს დამსახემენ, ხეირიანად არც კი დაუზრდია, სტუმარნი როგორ დახედნენ, არ იციანო.

— მაროს რად ათხოვებთ, მამი? — შებედა თამრომ და ცრემლიანი თვალები მამას მიაპყრო.

— იმიტომ, რომა... გაჩუმდით და ნულარ ტირიხართ, თორემ!.. მტკვარში გადაგყრით ორივესა! — გაბრიელმა ზურგი შეაქცია ბავშვებს და ჭიშკართან მივიდა.

სკოლის მხრიდან მსუბუქი მანქანა წამოვიდა. გაბრიელს ენიშნა, რომ სტუმარები სწორედ ამით უნდა მოსულიყვნენ. არც მოტყუებულა. მანქანა თვაურის სახლთან გაჩერდა და იქიდან რამდენიმე კაცი გადმოვიდა. მათ შორის ერთი ქალი იყო, ორი უცნობი ახლავაზრდა და ერთიც ლევანი, რომელმაც დიდის ამბით და შინაურით შემოიბატიჟა სტუმრები თვაურის ეზოში.

— გაიცან, გაბრიელ, ეს ფილო ხოჯერაშვილია. ეს ამისი მამიდა და ესეც ბიძაშვილი.

რახან ლევანმა პირველად ფილო ხოჯერაშვილი წარუდგინა, სასიძოც სწორედ ეს იქნებო, იფიქრა გაბრიელმა, ყმაწვილკაცს ხელი ჩამოართვა და ხარბად შეათვალიერა. წუნდაუდები ვაჟკაცი ჩანდა, კონტად ჩაცმული. თამამი იყო და მარდი, პირველი შეხედვისთანავე თვალში გეცემოდათ მის ლოყახე დიდი შავი ხალი.

— საბატარძლო სად არის, საბატარძლო? — დაიძახა გამხიარულებულმა ლევანმა და ეზოში მიმოიხედა.

თამრო და ქრისტინე ისევ კაკლის ხის ძირას იდგნენ, აქეთ იყურებოდნენ და იბღვირებოდნენ.

ფილო ხოჯერაშვილმაც მიმოავლო თვალი იქაურობას, მაგრამ თავისი კბილა ვერავინ დაინახა, მისი ტოლ-სწორი ქალიშვილი არსად ჩანდა.

ლევანი შინ შევიდა, რათა მარო იქ ენახა. გაბრიელი წინ გაუძღვა სტუმრებს და შინ შეიბატიჟა.

— არ არის, ხალხნო. სად დაიკარგა? — ხელების გაშლით დახვდა მათ ლევანი.

— მაშ რა იქნა?.. ახლა აქ არ იყო?! — აქეთ-იქით მიმოიხედა თავგზაბანეულმა გაბრიელმა, სტუმრებს სკამი დაუდგა და თვითონ მაროს დაუწყყო ძებნა.

მარო სამზარეულოში დამალულიყო. ერთ ხანს, სანამ სტუმრები მამას ჭიშკართან ეცნობოდნენ, ქალიშვილმა ხარბად დახვერა ისინი. ფილო ხოჯერაშვილზე ენიშნა მასაც და გულმა მწყერივით დაუწყყო ფართქალი. მამის ფეხისხმა რომ გაიგონა, კედელს გაეკრა და სული გატრუნა.

გაბრიელი კარებში გამოჩნდა.

— აქ რას აკეთებ, გოგო? თავსა მჭრი და ეგ არის! განა ჩემს გასასინჯად მოვიდნენ?! — თვლები გადაუბრიალა გაბრიელმა და ხელი დაუჭირა, რომ გარეთ გამოეყვანა.

— შენი ჭირიმე, მამი!.. აი, გული ლამის გამიკდეს! — მარომ ტირილი დაიწყო. ამ დროს ლევანიც შემოვიდა, გაბრიელი ჩამოაშორა და ქალიშვილს მოეფერა:

— რა გატირებს, მარიამ ქალო?.. სატირალი რა გაქვს... შენისთანა ქმარი ბარე ორ-სამ ქალს არ ეყოლება თბილისში... ახლავე კი არ წაგიყვანს. ერთმანეთს ნახავთ, მოიწონებთ, დროს დასდებთ და ნიშნობაც მაშინ იქნება.

როგორც იქნა დაიყოლია ლევანმა, ხელი დაუჭირა და შინ შეიყვანა. იქ მყოფნი მაროს მიაჩერდნენ, განსაკუთრებით ფილო და მამიდა მისი. მარო თვალს ვე-



რავის უსწორებდა, ხელი კი ჩამოართვა სტუმრებს და განზე გადასწორებდა მათ. წყალი მწყურიაო და საპატარძლოს სთხოვა, დამალევიწიეო. ქალს გულში სხვა რამ ედო: საპატარძლოს მარიფათი უნდა ენახა, მიხრა-მოხრაში გაეშინჯა. მართმ წყალი მოუტანა. ქალმა ჭიქა გამოსცალა. წყალი ახლა ფიდოს მოუნდა.

— წყალი რა სასმელია... ღვინო დავლითო! — შეირხა აქამდე უბრად გაჩერებული გაბრიელი და თავად დაუტრიალდა მაგიდას.

— ბიძაჩემო, ნუ შესწუხდები, — თქვა ფიდოს ბიძაშვილმა, — ჩვენ მალე უნდა წავიდეთ... ჰურმარილი მერე იყოს.

— სტუმრებს უპატივისცემოდ როგორ გაგიშვებთ! ჩემს ოჯახში პირველად შემოვიდგამთ ფეხი!

ლევანმაც სტუმრების მსარი დაიჭირა.

— შენ რაღა მოგდის, ლევან? შენ რაღად მლაღატობ, კაცო! — იწყინა გაბრიელმა, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა და თითო ჭიქა ღვინით სტუმრები დალოცა. იმათაც, თავისი მხრივ, გაბრიელის ოჯახი დალოცეს.

გაუბედავად შემოვიდნენ თამრო და ქრისტინე, ნელ-ნელა შეაჩვიეს თვალი უცხო სტუმრებს. თამრო ფიდოს უყურებდა, მოხდენილსა და ლამაზ ვაჟკაცს, რომელიც მის დას მალულად შინჯავდა. „მაგან უნდა წაიყვანოს ჩვენი მარო?.. წაიყვანოს და სამუდამოდ მოგვაშოროს?!“ — მწარედ ფიქრობდა თამრო.

— მოდით, სტუმრები გაიცანით, — მიმართა დებს ლევანმა. მაგრამ არც თამრო და არც ქრისტინე ადგილიდან არ დაძრულან, ისინი კარებთან გაჩერდნენ და აქედან ფეხი არ მოიცივალეს. გაბრიელმა სტუმრების უჩუმრად გადაუბრიალა თვალები. დები მაინც არ დაიძრნენ. სტუმარმა ქალმა გაიცინა:

— ე რა ბუტია გოგოები ყოფილან!

— ბუტია არა ისა! — იწყინა თამრომ და თვალში ცრემლი მოერიო, მაროს გახედა, რომელიც მაგიდასთან ერთთავად თავდახრილი იჯდა, მხოლოდ ხანდახან ქალულად გამოიხედავდა და როგორც კი ფიდოს თვალებს შეხვდებოდა, ლოყებზე აღმური ედებოდა.

გაბრიელმა გარეთ გარეკა ბავშვები, სტუმრები წავიდნენ, მერე გაგისწორდებითო, გულში გაივლო და ჭიქები შეაესო.

სტუმრები მალე წავიდნენ. გაბრიელმა გააცილა ისინი. მარო შინ დარჩა და შვებით ამოისუნთქა. მის გათხოვებასა და მოწონებაზე სულ არ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ სუფრას რომ უჯდა, სულ ამის თქმას მოელოდა, გულისხმეთქებით განიცდიდა უცხო ხალხში ყოფნას.


„ლამაზი ბიჭი კი იყო, ლაპარაკიც კარგი ჰქონდა... ჩემსავით ეგეც ობოლი ყოფილა, დედინაცვალი ჰყოლია“, — ფიქრმა ფიქრი შეეცვალა მაროს გონებაში და თავისდაუნებურად გააბა თავის თავთან საუბარი. უთუოდ ოდენსე ჰკითხავენ, მოგეწონა თუ არა ბიჭიო. რა უთხრას, დასაწუნი რა ჰქონდა? „ღმერთო ჩემო, ეს რა დღე დადგა! ახლა მამა იჩივებს და საშველს არ მომცემს, კარგი ბიჭია და გაჰყვირო... როგორ უნდა გავყვე, სად უნდა გავყვე?!“

მაროს აგონდებოდა ფიდოს ცეცხლოვანი თვალები. არა, ასეთს არ ელოდა, ახოვანსა და ლამაზს. ეოლდა ერთ ტლუ ბიჭს. სოფლელიაო, მაგრამ ბევრ ქალაქელს სჯობს თვალტანადობით.

ცოტა ხნის შემდეგ მარო დებს ამშვიდებდა:

— სუ, ნუ ტირით, გოგოებო. ძალად როგორ წამიყვანენ!

მარო ამჯერად ის აღარ იყო, რაც წედან, სტუმრების მოსვლამდე. წედან თუ დებთან ერთად მოსთქვამდა, ახლა, რატომღაც, თვითონ ამშვიდებდა გოგოებს.



მაროს გონებაში ათასი აზრი ირეოდა და ფიდოსთან პირველ შეხვედრას მტკივნეულად განიცდიდა...

გაბრიელი დაბრუნდა.

— ეე, შემარცხვინეთ! თავი მომჭერთ! — ჩაიბურტყუნა მან, ბოთლში ჩაჩენილი ღვინო დაისხა და გადაჰკრა. — მოგეწონა ბიჭი? — მაროსთვის არ შეუხედავს, ისე ჰკითხა.

ქალიშვილი ღუმდა.

— შენ გეკითხები, გოგო!

— არც მომეწონა და არც არა რა! — მიუგო მარომ.

— იმას მოეწონე და წაგყვანს კიდევ, — ისე მშვიდად უთხრა გაბრიელმა, თითქოს არც კი გაეგონოს მაროს სიტყვები.

რამდენიმე დღე არც ლევანი გამოჩენილა და არც ფიდო ხოჯერაშვილი. ეს რამდენიმე დღე ღრმა ფიქრებში გაატარა მარომ. პირველ დღეს წუხდა თავის ცხოვრებაში ასე მოულოდნელად შემოჭრილ რალაც ახლის გამო. ჯერ ვერ მიუხედა, უცხო და უკარებელი იყო მისთვის ეს სიახლე, მერე დარდმა წაუღო გული და ეს საფიქრებელი ტანჯვად გადაექცა. ხანდახან თვალწინ დაუდგებოდა ფიდოს მშვიდი და უწყინარი სახე და ცოტა დამშვიდებოდა, გულის ჩქაროლვას ოდნავ დაიამებდა, მაგრამ კვლავ ადელდებოდა და მზად იყო ეტირნა. რა ემართებოდა, თვითონაც კარგად ვერ გაეგებოდა.

ასეთ ყოფაში გავიდა რამდენიმე დღე და ერთ საღამოს ფიდო და ლევანი კვლავ გამოჩნდნენ ვეძისში. გაბრიელიანთა მოულოდნელად მოვიდნენ. მარო ამ დროს ბოსელთან იდგა, უბრალო ჩითის კაბა ეცვა და როგორც კი ჰიშვარს მომდგარი სტუმრები დაინახა, ლოყებზე მხურვალემა მოედო, ხელიდან გაავლო აქანდაზი, რომლითაც ნაკელს ყრიდა, ადგილს მოსწყედა და შინ შევარდა.

გაბრიელი ამ დროს ჩვეულებისამებრ კაკლის ხის ძირას იჯდა და თავისთვის საქმიანობდა, თამრო და ქრისტინე მეზობელთან იყვნენ.

სტუმრებმა გაბრიელს მიაშურეს.

მარო თავისდა უნებურად კარადასთან გაჩნდა და კარი გამოაღო, ის თეთრი კაბა ჩამოხსნა, ამას წინათ რომ ეცვა, და ცოტა ხნის შემდეგ სარკის წინ ტრიალებდა, თავის თავს ვეღარ სცნობდა, თმები შეისწორა და ფანჯარასთან გაჩნდა.

„ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება!“

კაცები კაკლის ხესთან ისხდნენ და საუბრობდნენ, მარო ხედავდა ფიდოს, რომელიც ხანდახან ქურდულად სახლისკენ გამოიხედავდა. „მე მეძებს, მე მეძებს! — რეკავდა მაროს გული. — ნუ თუ ეგ არის ჩემი ბედი? მე საწყალი ვარ, პატარა, ეგ კი მაღალია, ვაჟკაცი კაცი. დამჩაგრავს, უთუოდ დამჩაგრავს!“

— მარო! — დაიძახა გაბრიელმა და მაროს გული შეუქანდა. სული გატრუნდა და გაინაბა. ნეტავ აღარ დაიძახოსო, ინატრა, მაგრამ მაშამ იცოდა, რომ მარო შინ იყო და არ მოეშვებოდა, სანამ არ გამოიყვანდა.

მარომ კარებში გაუბედავად გამოიხედა და მამას შეეხმინა:

— რა გინდა, მამი?

— აქ მოდი. ვერა ხედამ, ვინ მოვიდნენ.

როგორ ვერ ხედავს მარო, ვინც არიან. სწორედ ამის გამო ვერ გაუბედნია შინიდან გარეთ გამოსვლა.



ისევ ძია ლევანი ჩაერია საქმეში, მაროსკენ წამოვიდა. მაშინვე არტყვიანად
ნია გარეთ, შინ დაიმარტოვა ქალიშვილი და საუბარი გაუბა:

- მითხარი, გოგო, ბიჭი მოგეწონა თუ არა?
- დამეხსენ, ძია ლევან... ამას რეებს მეკითხები!

— მაშ რა უნდა გკითხო, გოგო?... კარგად ხელდავ რა ბიჭიც არი, განა შეიძლება კაცს არ მოეწონოს? არც ხასიათით არის ურიგო... შენისთანა ბედნიერი მეორე ქალი არ იქნება ქვეყანაზე... წაგიყვანს თავის სოფელში და ბედნიერად იქნებით. ყური მიგდე, რაც გითხრა, ლევანი მოკვდეს, თუ თქვენი ოჯახისათვის ცუდი რამე ინდომოს... ახლა ფილოს კინოში წაპყვე, ერთმანეთს დაელაპარაკეთ, მარტონი უფრო კარგად გაეცნობით. მე და მამაშენი ჩვენსა წავალთ და თქვენც კინოდან ჩვენსა გამოივლით...

— რეებს მეუბნები, ძია ლევან!.. კინოში მაგასთან ერთად რა მინდა! — მარომ ხელეები აიფარა სახეზე, თითქოს ამით დაემალებოდა მაჭანკალს.

— კიდე შენსა ამბობ. ბიჭი გაბატყებს, უნდა გაპყვე... ასე ჰქენი, თორემ იტყვიან, უკადრისა და პრანჭია ქალაქელიაო, — შეეხუმრა ლევანი და ხელი მოჰკიდა, გარეთ გამოიყვანა.

— თქვენც თუ წამოხვალთ კინოში... — ხმის თრთოლვით წაულაპარაკა მარომ.

— ჩვენ რა... ჩვენ ბებრები ვართ და შინ დავსხდებით.

ფილო ფეხზე წამოდგა და მაროს თავაზიანად მიეგება, ხელი ჩამოართვა და თვალის ერთი სწრაფი შევლებით ახედა ფეხიდან თავამდე, მერე თვალეში მიაჩერდა.

მარო კვლავ დაიბნა და თავი დახარა. „ღმერთო ჩემო! რა ლამაზი თვალეები აქვს!“ მაროს უმაღლვე მოუნდა კიდე შეეხედნა ვაჟისათვის, მაგრამ ვერ შეხედა, შიში კიდე უკომშავდა გულს.

წამს ღუმილი ჩამოვარდა. მარომ აღარ იცოდა რა ექნა. ნეტავ ვინმეს ეთქვა, წყალი მწყურთანო, მაშინვე მოსწყდებოდა ადგილს. ნეტავ მამამ მაინც დამსჯოსო. ისევ ლევანმა იხსნა. აბა, ახლა კი წავიდეთო, და გაბრიელი ააჩქარა.

ქალ-ვაჟს ვერაზე დაშორდნენ გაბრიელი და ლევანი.

ერთ ხანს გაბუტულებივით მიდიოდნენ მარო და ფილო. კინოთეატრში ისე შევიდნენ, რომ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. ფილომ კინოს დაწყებამდე ძვირფასი კამფეტები იყიდა, მარომ პირი არ დააკარა.

— ჯერ ერთმანეთი ხეირიანად არ გავცივნი და უკვე მებუტები, — უთხრა ფილომ.

— აბა როდის გებუტები!.. — შეცბუნდა მარო და თავი მაინც ვერ წამოსწია, ხელში ფილოს ნაყიდი კამფეტებით სავსე პარკუჭიანა ეჭირა და იმას დასცქეროდა.

— რა ვიცი... ეგრე კი გამოდის და. ხმას არა მცემ.

— როგორ არა... აი, თქვი რამე და მეც ვიტყვი.

ასე დაიწყო მათი „შერიგება“.

მეტად უშინაარსო და გაუგებარი ფილმი იყო, მაგრამ მათთვის ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ფილო გაუთამამდა ქალიშვილს და გზაში, კინოდან რომ წამოვიდნენ, რამდენიმე სახუმარო რამ უთხრა და მარო გაამხიარულა. ეს რა კარგი გულის ბიჭი ყოფილაო, გუნებაში გაივლო მარომ.

საოცრად პატარა ეჩვენა გზა ფილოს კინოთეატრიდან ლევანის სახლამდე, სადაც იმ საღამოს პატარა სუფრა იყო გაშლილი.



როცა ფილო და მარო გამოჩნდნენ, გაბრიელი უკვე შეზარხოშებული და გამხიარულებული იყო, ფეხზე წამოდგა და, თითქოს დიდი ხნის უნახავები არიანო, ისე მიეგება ქალ-ვაჟს, ორივე გულში ჩაიკრა, ორივე მხურვალედ გადაჰკოცნა. მარომ მამის თვალში ცრემლი შენიშნა.

მამა და შვილი შუალამისას დაბრუნდნენ შინ. გაბრიელი დაწვა თუ არა, მაშინვე ხვრინვა ამოუშვა, მარო კი თავიდან იგონებდა დღევანდელი დღის უჩვეულო წუთებს. ლევანისა და გაბრიელის ამასწინანდელი ნათქვამი შიშის ზარს აღარ სცემდა და თავის თავს გაკვირვებით ეკითხებოდა, ნეტა რა მატირებდაო.

იმ დღიდან მაროს ცხოვრებაში ახალმა სიომ დაჰქროლა. იმ დღიდან მარომ თავისი სახე სულ სხვანაირად დაინახა. შეეჩვია გულყვითელა სარკეს.

— ჰა, რას იტყვი? თანახმა ხარ, გოგო? — ეს მერამდენედ ეკითხებოდა გაბრიელი და სულ ერთი და იგივე ეყუბრებოდა:

— არა, მამი, არა!

და ერთ დღეს სიტყვა გამოსცვალა მარომ.

— რა ვიციო, — თქვა.

მერე კიდევ შეცვალა:

— ვფიქრობ, მამო, — და გაწითლდა. სულ ბოლოს, ჰოოდეო, და პირი იბრუნა. მაშინ გაბრიელი გამოეწყო, შინიდან გავიდა და საბურთალოსკენ გასწია, გზას ფეხით გაუყვა. მარო მიხვდა, სად და ვისთან მიდიოდა მამა. ქალიშვილს თვალში ცისკარი ჩასდგომოდა და გული გასაფრენად მზად ჰქონდა.

თამრო და ქრისტინე ვერაფერს ხვდებოდნენ. მარო აღარ ტიროდა და ისინიც ჩუმად იყვნენ. დებს კი მარო-ვერ უმხელდა გულის მურაზს, ისინი პატარები იყვნენ და კარგად მაინც ვერ გაუგებდნენ.

გაბრიელი ნაშუალამევს მოვიდა მთვრალი. თამროს და ქრისტინეს ტკბილად ეძინათ, მარო კი ლაფაროში იჯდა, ნაკვიანევ მთვარეს შეჰყურებდა და მტკვრის დუღუნს ისმენდა, დიდუბესა და ღრმალელეს გასცქეროდა, სადაც ნელ-ნელა, რიგრიგობით ქრებოდა სინათლე და ქალაქის ეს ორი უბანი ძილს ეძლეოდა.

გაბრიელმა ჭიშკარი შემოალო, ბარბაცითა და ღიღინით გამოსწია სახლისკენ.

— მამი, სად იყავ?

— ჩემს ლევანთან, ჩემს ფილოსთან... შენ გენაცვალე, ჩემო პატარა მარგალიტო, — მოხვდია მაროს და გადალოშნა, — ხვალ მოვლენ და ბარე დაგნიშნავს. ასეთია ჩვენი მოლაპარაკება... ჰაი დედასა, რა ბიჭი მეყოლება სიძედა!

დადგა ნიშნობა დღის საღამო.

— დღეს მარო უნდა გავათხოვოთ, — უთხრა გაბრიელმა თამროსა და ქრისტინეს. ქრისტინე მაროსთან მივიდა და ჰკითხა:

— რატომ არ ტირიხარ, მარო?

— რათ უნდა ვიტყო, ქრისტინე!

— მაშინ რო ტიროდი! აი, მე ვიტყობ... შენ წაგიყვანენ...

— შენ კი შემოგველე! — გული აუჩუყდა მაროს და ჩაიკრა გულში.

ქრისტინე ატირდა.

— აბა, აბა, ეგეები არ იყოს! — დაუტია ქრისტინეს გაბრიელმა. გოგონა მაშინვე გაირინდა.



მხიარულებით აივსო თვაურის კარ-მიდამო. სტუმრები მოვიდნენ, ჩხრიალ-ჩხრიალით გაშალეს სუფრა. მოტანილი ხურჯინები დაიცალა და დალაგდნენ და საპატარძლო მოიხმეს.

მაროს მუხლები უთრთოდა და ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა. მაშინ ფილო მივიდა მასთან, მოჰკიდა ღონიერი ხელები, აიტაცა და ხალხის სიცილ-ხარხარში მაგიდასთან დასვა, თვითონ გვერდით მოუჯდა.

თამადამ პირველად მათ სადღეგრძელოდ ასწია ჭიქა.

მარომ ფილოს შეხედა. თბილი და ალერსიანი იყო ვაჟის გამოხედვა. ქალიშვილი ერიდებოდა, არ შეეხნო, მაგრამ ატყობდა, რომ ვაჟს, პირიქით, სწყუროდა, რომ სულ ახლოს ყოფილიყო საცოლესთან.

ვილცამ დაიძახა, ნეფე-დედოფალმა ერთმანეთს აკოცნო.

ელდნაკრავი მარო ვაჟის არც თუ მკიდროდ მოხვეულ ხელებს დაუსხლტა, სკამზე ჩაცურდა და მაგიდის ქვეშ აპირებდა დამალვას. საერთო ხარხარში საქმრომ ღონივრად დაავლო ხელი, მალა ასწია, თავის ადგილზე დასვა, მოეხვია და მხურვალედ აკოცა ტუჩებში.

მოითენთა, მოირღვა მარო. პირველმა კოცნამ კიდევაც გაახელა, კიდევაც დააბნია, შერცხვა და თავი ჩალუნა. სულ მთლად დაპატარავდა.

— ბიჭო! — შეუძახეს სუფრაზე მსხდომებმა ფილოს. — უფრთხილდი, ლოგინში არ დაგეკარგოს. ნახე, ღამე თუ საბანში არ ეძებდე...

— თქვენ ნუ დასცინით ჩემს პატარა გოგოს! — თავმომწონედ და ამაყად გადახედა სასიძომ თავისიანებს. — წაიყვან სოფელში, ჩვენი კავთურის წყალს დალევს და ისეთი გახდება, ვეღარ იცნობთ... მე სულ იმას ვნატობდი, ასეთი პატარა გოგო შემხვედროდა და კიდევაც ამისრულდა.

თამი მერაბი

ერთი კვირის შემდეგ ფილო მეორედ ჩამოვიდა თბილისში, თან თავისი უმცროსი ძმა, სოსა და შავკაბამოსილი ძალუა ჩამოიყვანა. ნიშნობა ღღეს დათქვეს, რომ ქორწილი რთვლობას იქნებოდა, მაგრამ რატომღაც აჩქარებულან ზოჯერაანი. და აი, ფილო თავისიანებით აღრე მოადგა თვაურებს.

გაბრიელი ნიშნობა დღიდან თადარიგს შესდგომოდა, ქალს ცოტა მზითეს უმზადებდა, არა თქვან რა, თავს ლაფი არ დამასხას ხალხმაო, მშრომელი კაცი ხარ და ქალი ხეირიანად ვერ გავითხოვებიაო. ცოტა რამის ყიდვა კიდევაც მოესწრო. სასიძოს და მისიანებს ასე მალე არ მოელოდა.

მარო პირველად შეჰყურებდა თავის მავლს, სოსას. ის იქნებოდა ოცი წლის ჰაბუკი, ახალაბიბინებული უღვაშებით, დიდრონი ღამაზი თვალებით. მარო თავს ეველებოდა და ხარობდა, რომ ასეთი კარგი მავლი ჰყავდა.

— უკადრისა და პრანჭია მეგონე, — გაუთამამდა სოსა ქალს, — თბილისელი ძალუა არ მინდოდა, მაგრამ შენ კი კარგი ყოფილხარ. არაფერი გეწყინოს, ძალუაჩემო.

— არა, რას ამბობ, რა უნდა მეწყინოს! — ლოყები შეუხურდა მაროს.

ტახტზე გაბრიელი, ფილო და ძალუამისი ცალკე ისხდნენ.

— ძალიან აჩქარებულხარ, ჩემო შვილო, — ეუბნებოდა გაბრიელი სიძეს, — ახლა რომ ქალი გავატანო, ხალხი რას იტყვის... მანამდე კი ცოტა რამეს მოვეუხერხებდი.

— უმზითოვდაც არა უშავს რა, — ჩაერია ძალუა სიძე-სიმამრის საუბარში, — მზითვი სავალდებულო კი არ არის. შენმა მძახალმა, დათამ გამოგვგზავნა

და ჩქარა უნდა აფუყვანოთ რძალი... ქორწილის დღე ისევე შემოდგომას იქნება მსგავსი და თქვენც მაშინ ამოხვალთ.

— ღარიბები ვართ ფულითა და საქონლითა, მაგრამ სული არ გამღარიბებია... თუ კი დამითმობთ ღროსა, სახელს არ შევიტყვევებ თქვენთან, — შეწუხდა გაბრიელი. მას ერთის მხრივ არ უნდოდა მაროს ხელცარიელი გასტუმრება, მეორეს მხრივ სიძისა და მისი ხალხის მოერიდა და დათმობაზე წავიდა.

გაბრიელმა თუ იმდენი ვერაფერი გაატანა, რომ მზითვი დარქმეოდა, სამაგიეროდ ფილომ ბევრი რამ უყიდა მაროს, გაბრიელსა და მის ორ პატარა გოგონასაც მიუტანა საჩუქრები.

თამრო და ქრისტინე მეზობელთან ყოფილიყვნენ. შინ რომ გადმოვიდნენ და ფილომ დაინახეს, ჯერ შეკრთნენ, მერე გაუღიმეს და დაიმორცხვეს.

— ხელი ჩამოართვით, გოგოებო. ძმა არ გყავდათ და შეხედეთ, ერთად ორი ძმა შეგემატათ, — შეუძახა გაბრიელმა.

— ეს რა კარგი გოგოები გყოლია, მძახლო, — გადმოხიზარა ძალუა გაბრიელისკენ, — მაგათ უყიდე რამე, მაროს ახლა პატრონი ჰყავს... მზითვზე არაფერი გაიკარო გულში.

— ავაშენათ, კარგი ხალხი თქვენა ხართ! — თქვა გაბრიელმა.

თამრო და ქრისტინე გადაჰკოცნა ფილომ. ბავშვებს ქალმა და სოსამაც აკოცა. მერე მარომ ფილოს მოტანილი საჩუქრები მისცა და ბავშვებმა ერთხელ კიდევ გულთბილად გაუღიმეს სიძეს.

ძალუა წამისწამ თვალს შეაეღებდა გადასწვრივ, სოსას გვერდით მჯდარ მაროს, რომელსაც პირველად ხედავდა. არ იმჩნევდა, მაგრამ ხარბად ათვალიერებდა, წუხს ვერაფერში სდებდა და ეშმაკურად თვალს უკრავდა ფილოს. ამ თვალის ჩაკერაში ითქმებოდა, ეს რა კარგი გოგო ამოგიჩივიაო.

ფილომ გალაღებული იჯდა და არწივის თვალებს აქეთ-იქით მედიდურად ავლებდა. მარო შემოხედავდა ქვეშ-ქვეშ, გაუღიმებდა და ეჯის გულს ნეტარებით ავსებდა.

— მშვიდობით, ვეძისო! მშვიდობით, მშობლიურო კარ-მიდამოვ! თამრო, ქრისტინე, მამა, მშვიდობით! მშვიდობით, მეზობლებო!

— კეთილი მგზავრობა, ბედნიერება, — ეუბნებოდნენ ახლობლები და მეზობლები მათთან განშორების სინანულით აცრემლებულ მაროს.

მარო სათითაოდ გამოემშვიდობა ყველას, დები დაჰკოცნა, მამასაც მოეხვია და მანქანაში ჩაჯდა.

მალე თვალს მიეფარა მშობლიური შემოგარენი.

მარო ახლა ფილოს გვერდით იყო და მისი ვაჟკაცური სითბო უკეთებდა გულს.

მატარებელი შებინდებისას გაჩერდა კავთისხევის სადგურზე. ფილომ ეტლი დაიქირავა და სოფლისაკენ გასწიეს.

— პატარძალო, — ეუბნებოდა გზაში ძალუა, — აქაურმა მიდამომ არ შეგაშინოს. სადგურთან გადახრუკულია და გადამწვარი, მაგრამ კავთისხევში სული გაგინათლდება, ისეთი სოფელია.

მაგრამ იმ სადამოს ვერაფერი ინახულა მარომ. ეტლი რომ ფილოს სახლთან გაჩერდა, უკვე ბნელოდა, სოფელში ლამპები ბეჭუტავდა, ხოლო გარემო ბნელს მოეცვა.

ხოჯერაანთა სულ შინაურებს მოეყარათ თავი.



ოთახში, სადაც მარო შეიყვანეს, შემოვიდა მამამთილი — დათა ხოჯერაშვილი, შვილებივით ლამაზი, ტანადი კაცი, რომელსაც ფოცხვერივით მოუსვენარი თვალები ჰქონდა.

დათამ ახედ-დახედა თავის რძალს, ხელი ჩამოართვა, მომილოცავსო, მხოლოდ ეს უთხრა. სიხარული, რომელსაც მარო მოელოდა, ოდნავადაც არ გამოუმკლავნებია.

სხვებიც მოვიდნენ, ნათესავები, დათა ხოჯერაშვილის მეორე ცოლთან ნაცოლი შვილები. ყველამ მიულოცა მაროს. რატომღაც ყველა დაღვრემილი იყო და ზოგიერთის ნაძალადევი ღიმილი სრულებით არ გამოხატავდა მათს კმაყოფილებას ამ ბედნიერი დღის გამო.

ფილოს დედინაცვალი არსად ჩანდა.

მარო მამამთილს მისჩერებოდა. დათა თავისი ზვიადი, ამაყი გამოხედვით იმორჩილებდა რძლის მზერას. დათას რაღაც სევდა ეტყობოდა, დროდადრო ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე.

მარომ მამამთილის საქციელი თავისებურად ახსნა: ალბათ არ მოვეწონეო, და გული აუტირდა. ალბათ სხვებიც ამის გამო არიან ასე. ოჯახის უფროსს უყუჩებენ და მისი განწყობილება ძალაუვნებურად მათაც ედებათ. გაიხარებს დათა, ისინიც გაიხარებენ, მოიწყენს, ისინიც მოიწყენენ.

მაროსთვის გაუგებარი იყო, ასე უბრად რატომ დახვდა ხოჯერაშვილი ოჯახი. აღარც ფილო ჩანს მაინცდამაინც შუბლგახსნილი, ვერც ვერაფერს ეუბნება ცოლს, არ იცის, ვერ ხედება, რა მდულარე ქოთქოთებს მაროს გულში.

სუფრა გაშალეს, მაგიდას მოუსხდნენ. მარომ ლუკმა ვერ ჩაიდო პირში. მაშინ ძალუამ ცალკე ოთახში გაიყვანა, იქ პატარა ტაბლა გაუწყო, ფილოს ნახევარდა, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სონა ამ სუფრაზე დაუსვა და თვითონ ისევ დიდ ოთახში დაბრუნდა, პატარძალს თავისუფლება მისცა, რომ გემრიელად ეჭამა. მაგრამ მარომ იქაც არ დააკარა პირი რამეს. მალე ისევ საერთო სუფრას დაუბრუნდა.

სუფრაზე ამ დროს ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო. დათამ ხელი ასწია და მომლერალს შეუბღვირა:

— სიმღერა არ იყოს!

მაროს გული შიშით გადაელია. ძნელი ასახსნელი იყო ყველაფერი ეს მისთვის. გოცებული გადახედავდა ხოლმე ფილოს, რომელიც მდუმარედ მისძალებოდა ღვინოს.

პატარძალი მოიყვანეს და არც სიმღერა, არც ცეკვა და მხიარულება. სადღეგრძელოებსაც ძუნწად ამბობდნენ, უფრო მეტად ჩუმის ხმით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში.

ასე ისხდნენ მთელი ღამე.

გათენებისას სასმელ-საჭმელი ვენახში გადაიტანეს. იქ მოლზე გაშალეს სუფრა.

ახალ სუფრაზე ქალებმა წაიყვანეს მარო.

სუფრის გვერდით ფილოს ქვევრი მოეხადნა და ღვინოს იღებდა.

დათა ხოჯერაშვილს ღვინო მორეოდა, მამაკაცებს შორის ჩამდგარიყო და ცრემლს იწმენდა. ქალები ჩუმად ჭვითჭვითებდნენ.

ამ სურათმა უარესად შეაშფოთა მარო.

ერთმა ხანდაზმულმა მამაკაცმა მაროს მიუალერსა და უთხრა:

— აქეთ, ჩვენკენ მობრძანდი, პატარძალო... მხიარულება გვინდა, მაგრამ გული ტირის. აგერ, გაიხედე, იმ კაკლის ძირში შენი მაზლი მარხია.



მარომ უზარმაზარი კაკლის ხისკენ გაიხედა და იქ შემადლებული, საფლავი დაინახა.

„ფილოს ძმა მარხია? როდის მოკვდა? რატომ არაფერი მითხრა ფილომ? ან სოსამ რატომ არაფერი თქვა?“

— სრული წელიწადია, რაც მოგვიკლეს გიგა, — განაგრძობდა ბერიკაცი, — ლხინში თამაშობის დროს დასჭრეს. ახლა, ქართული წესით, მწუხარებას ჰკერი უნდა აეხადოთ სიმღერითა და მხიარულებით, ამიტომ ცოტა ადრე ამოგიყვანეთ, პატარძალო. რა ვქნათ, შენს გამო გულს ემღერება, მაგრამ ახლა უნდა გვაპატიო... კარგი ვაჟაკი დაგვარგეთ და აბა, ერთი წელი გულის ჭრილობას როგორ მოვეგირჩენდა.

ახლა კი ყველაფერი გასაგები იყო მაროსთვის, მას ცოტა მოეშვა გულზე, მაგრამ მგრძნობიარე ქალმა სხვათა გლოვა გაიზიარა.

ვენახში ჩუმად სვეს ღვინო.

სოსა მალე წავიდა ვენახიდან. მარომ მარტო რომ დაიგულა მახლი, ფეხდაფეხ აედევნა. სოსა შინისაკენ მიდიოდა, ჭიშკართან ფეხის ხმა რომ შემოესმა, მოხედა.

— შენა, ძალუაჩემო?

— მე ვარ, სოსა.

— გაწვალდრ, განა! მთელი ღამის უძილო ხარ.

ალერსითა და მოფერებით შეხვდა სოსა. შინ შევიდნენ.

— სოსა, შენ შემოგველე, მიამბე, რად მოკლეს გიგა. მიამბე, თორემ მეტი აღარ შემიძლია, სულ მეტირება.

ტახტზე ჩამოსხდნენ. შინ მათ გარდა არავინ იყო.

— ყველაფერს გეტყვი, ძალუაჩემო. სამნი ძმანი ვიყავით, გიგა, ფილო და მე. დედა მოგვიკვდა, მამამ სხვა ქალი მოიყვანა, სახელად ტასო ჰქვია. მასაც სამი შვილი ჰყავს, ორი მამაჩემის ხელში და ერთიც თან მოჰყავს, უფროსი გოგო, სონა. დედინაცვალს ჩვენ აინუნშიც არ მოვდიოდით. მამაც მამინაცვალი გავვიხდა. ძალიან მძიმე ყოფაში ჩავცვივდით. როცა მამა გვეცმდა, პაპასა და დიდედასთან გავიქცევოდით წინარეხში და ერთ ხანს იქ ვიყავით. სიმწრით დავიზარდენით.

ჩვენი უფროსი ძმა, გიგა, დიდი ამაყი და თავმომწონე ბიჭი იყო. დედინაცვალი ძალიან ეჯავრებოდა, მის დანახვას სიკვდილი ერჩია.

ერთხელ გიგა გაბრაზებული წავიდა მინდორში. იქ ბიჭებთან ჩხუბი მოსვლოდა და ერთი ბიჭი, ფარნა, პატარა დანით დაეჭრა. ფარნას ჭრილობა გაუმიზუნდა. მისიანებმა ჩვენებს შემოუთვალეს, ბიჭის მოსარჩენი მოგვეციო. დედინაცვალმა შუაქაცი უარით გაისტუმრა და ასე შეუთვალა: ფარნამაც დასჭრას გიგა და ამით გადაუხადოს ვალიო, ჩემი შვილების ლუკმას ვერავის გავუყოფო.

დაჭრილის მშობლებმა წესიერად გვთხოვეს დახმარება. ღარიბები იყვნენ, ფარნას კი გაძლიერებული კვება და მკურნალობა უნდოდა. ამ შემთხვევაში მართლა უნდა მიგვეცა ხელი, ნათესაებად გვეკუთვნოდნენ და მტრად გადავიდება არას გვარგებდა. მაგრამ ამ ჩვენი დედინაცვლის უარმა ჩავვიტეხა ხილი.

დედა რომ გვეყოლოდა, მაშინ სხვაგვარად წავიდოდა საქმე. მამას უნდოდა ცოტა რამ გავეზახენა, მაგრამ აქაც დედინაცვალი გადაუდგა წინ: გიგამ და ფარნამ მოუარონ ერთმანეთსო, გიგას არაფერი შემოუტანია ჩვენს ოჯახში, პირიქით, მიაქვს და ახლა მის მაგივრად ჩვენ რად უნდა ვიხადოთ სხვისი მოსარჩენიო. მკამელები აქაც გვეყოფათო.



გიგა ხშირად ეჩხუბებოდა დედინაცვალს. მამაჩემს ძალიან უყვარდა გიგა, გიგასაც უყვარდა მამა. ისინი გარეგნობით და ხასიათით ერთმანეთს გავსდნენ. მაგრამ ერთხელ მათაც მოუვიდათ ჩხუბი. აქაც დამნაშავე დედინაცვალი იყო. მაშინ გიგამ მოიყვანა სოფლის თავკაცები და უთხრა: ძმები და მამა-შვილი ვიყრებით, ჩვენ-ჩვენი წილი მოგვიზღეთო.

მე გიგას მივეხმარე, თათბირისა და დავიდარაბის შემდეგ ჩვენი წილი გავიტანეთ. მამას გიგა მაინც არ ემეტებოდა, ბავშვია, კერპია და თავნათქვამა, ვაი თუ უჩემოდ თავი წაავსო. მე და გიგამ გადავწყვიტეთ ერთად გვეცხოვრა. ფიქრად კი გვიღალატა, ჩვენთან ცხოვრება ვერ გაბედა.

მე და გიგა შევეუდექით ცალკე ცხოვრებას. სანამ საკუთარ სახლს დავდგამდით, სხვას შევეყვედით. სახლისათვის ქვა და ქვიშა მოვზიდეთ, ვცდილობდით, რომ ხალხში არ შეერცხვინილიყავით. ჩვენი ვენახის გვერდით რომ ბილიყი ადის, იქით, გორაკზე, კოლექტივის ბაღთან თავდება. ბაღის თავში ჩვენი სახლის საძირკველი ჩავყარეთ და ახლა რომ ახვიდე, ნახავ ნახევარ სახლს. დამთავრება ვერ მოვასწარი.

გიგა კოლექტივში მუშაობდა, მე კი საშუალო დავამთავრე და წინარების დაწყებით სკოლაში მასწავლებლად დავდექი. ჩემი ძმის სიკვდილის შემდეგ გადმოველ აქ, მაგრამ გული მაინც არ მიდგება. ისევ ამ დაწყებულ სახლს მივხედავ და ჩემთვის ცალკე ვიცხოვრებ.

ჰოდა, იმას ვამბობდი: ბლობა მოვიდა, გიგამ ჩვენს პატარა ბაღში ბალი მოკრიფა და ქაღალტში წაიღო გასაყიდად. ბაღში აღებული ფულით ტანისამოსი იყიდა და სოფელში ლაზათიანად გაიარ-გამოიარა, ცოტა რამ მეც მიყიდა და კარგად გამოვიჩნდით. მაშინ თურმე ტასოს დაუწყევლია გიგა: მიწაშიც ჩავყოლოდეს ეგ სამოსიო.

ერთ საღამოს თბილისიდან სტუმრები მოგვივიდნენ. ქალიშვილები იყვნენ, ლამაზები, რომელთა ბადალი კავთისხევში არ დადის. ამ გოგოებმა გიგას გამოსდეს ხელი და სოფელში გავიდნენ. სოფლის ფორზე იმ საღამოს დიდი ღვინო იყო გაჩაღებული. მიღეთის ხალხი შეკრებილიყო. ჩვენც მივედით. გიგა თავისი მეგობარი ქალიშვილებით მთელი სოფლის თვალ-ყურს იქცევდა. ისიც ამაყობდა თვალწარმტაც გოგოებში ყოფნით.

გიგაც ლამაზი იყო: მსხვილი წარბები, დიდრონი, ციმციმა თვალები, ახალი აბიბინებული უღვაშები. რა ძმა დავკარგე!

სოსამ ღრმად ამოიოხრა, თვალში ცრემლი მოადგა, რძლისა მოერიდა და სახლის ღია კარს მიხედა. ეზოში კრუხი დადიოდა წიწილების ამალით. კრუხი კრიახობდა, წიწილები წივწივებდნენ.

ოთახში წამს სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. სოსამ ერთხელ კიდევ ღრმად ამოიოხრა და განაგრძო:

— რას ვფიქრებდით. რომ იმ დამეს მოხდებოდა ის დიდი უბედურება. ღვინოში გიგამ ლღად გაშალა ხელები და კოხტად ჩამოუარა.

გავიცხდა დოლი, უფრო ხმიანად არაკრავდა სალამური.

გიგამ ჯერ ერთი სტუმარი ქალიშვილი ათამაშა, მერე მეორე. არც სოფელე გოგოებს აწყენინა, ისინიც ბევრი გამოიწვია, დაიღალა, ისევ იმ სტუმარ ქალიშვილებში ჩადგა და ახლა სხვა მოცეკვავე წყვილს დაუკრა ტაში.

ყველანი მოცეკვავეებს ვუყურებდით, აბა რა ვიცოდით, ან რას ვფიქრებდით, ჩვენს ზურგს უკან რა ხიფათი მზადდებოდა. გიგას კვნესაც კი ვერ გავიგე ტანისა და დოლ-სალამურის ხმაურში. უცებ წაიქცა ის მთასავით ვაქცაცი.



ატყდა წივილ-კივილი. ჩვენს სტუმრებს გული წაუვიდათ. ვილაც ყვიროდა, ვილაც წყალი მოიტანეთო, ვილაც უშლიდა, წყალი ავენებსო, ვილაც კიდევ პერანგს იხევდა.

მივევარდი გიგას. უკანასკნელ დღეში იყო. არ ვიცი, რა ძალამ წამომავდო, რამდენიმე წამში მამასთან გაეჩნდი.

— მამი, გვიშველე, გიგა მოკლეს, მამი!

მამა ტახტზე იწვა. ამის გაგონებაზე ერთ წუთს გაფითორდა, მაგრამ არ შეინძრა, აღბათ ყურს და თვალს არ დაუჯერა ჩემგან რაც გაიგონა და როგორსაც მე მხედავდა. მერე დაბალი ხმით იკითხა:

— რააო?

— გიგა მოგვიკლეს, გიგა! — ვიღრიალე სასოწარკვეთილმა.

— ვაიმე, შვილო! — დაიბლაღლა მამამაც. ვეფხვივით წამოვარდა, პერანგ-ამარა და წინდებიანი გავარდა სოფელში. შვილთან მუხლებზე დაემხო.

— რა მოგივიდა, ბიჭო?! შვილო, მომხედე, ბიჭო!

ვილაც კვარს ანათებდა. გიგას ზაფრანისფერ სახეს მკვდრის იერი დასდებოდა. აღარ იცნობოდა. ცრემლიანი თვალებით მამას მიშტერებოდა.

— მიშველე, მამი! — ისეთი ხმით შესთხოვა, თითქოს ახლა უკანასკნელი მშველელი ესლა იყო და თუ ამანაც არ დაუბრუნა სიცოცხლე, მაშინ ყველაფერი გათავდებოდა.

გიგამ გაიბრძოლა, სუნთქვა გაუჭირდა.

საცოდავი სანახავი იყო მამა. ლომივით ბრღვენიავდა, ორივე ხელით გულში იკრავდა მომაკვდავ შვილს, მზად იყო საკუთარი სიცოცხლე მიეცა მისთვის, მაგრამ უკვე აღარაფერი შეიძლებოდა, ყველაფერი გათავებული იყო.

მოიტანეს გიგას დიდი ხალიჩა. ეს დედაჩემის ნაქონი ხალიჩა იყო, წილში გიგას ერგო. მაგონდება ის წუთები, როცა გაყრისას ეს ხალიჩა წავიღეთ, დედინაცვალმა მიაწყველა გიგას: ღმერთსა ვთხოვ, მაგ ხალიჩაზე დაგასვენონ მკვდარიო.

და აკი ახლა კიდევაც.

იმ ხალიჩით მივასვენეთ შინ.

მამაჩემმა საერთო სასაფლაოზე ვერ გაიმეტა შვილის დამარხვა და აგერ, აი, ვენახში, კაკლის ხის ქვეშ მარხია. მას შემდეგ ასე დახოცილები ვართ და არ ვიცი, ჩვენი ჭრილობა როდის გამთელდება.

გიგას სიკვდილის შემდეგ მამა აღარ მიშვებს აქედან, მე კი მაინც ცალკე ვაპირებ ცხოვრებას, გიგას და ჩემ მიერ დაწყებულ სახლს როგორმე დაეამთავრებ. მართ სოსას ამ უკანასკნელ სიტყვებს ველარ ისმენდა, გული ამოსჯდომოდა და ქვითინებდა.

— ჩუ, შენ რა გატირებს, ძალუაჩემო... ეგებ შენ მაინც უმკურნალო ხოჯერაანთ დაჭრილ გულს, — მოეფერა სოსა.

თავი მისამი

სამი დღის შემდეგ, სამხრობის ხანს, შუა, მოზრდილი ოთახის კარებში გამოჩნდა ჯუჯა დედაკაცი, აგდებულად შეათვალიერა მარო და იკითხა:

— ეს არის ჩვენი რძალი?

მარომ არ იცოდა ვინ იყო ეს ქალი, გაკვირვებით შეხედა და მისმა აგდებულმა კილომ გუნება მოუწამლა.

უცნობი ქალი მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა:

— გამარჯობა, რძალო.

მარომ თვალეზში შეხედა და ტანში შეაქრყოლა, მის სახეზე საზიზღარი, დამცინავი ღიმილი დაინახა. ვინ იქნებოდა ეს დედაკაცი, თუ არა ფიდოს დედინაცვალი ტასო. ნამდვილად ის იყო, რადგან სხვა ასე თამამად არ შემოვიდოდა ხოჯერაანთა, ასე უქმეხად არ მოექცეოდა ფიდოს ახალმოყვანილ ცოლს.

მართლა გულცივი დედაკაცი ჩანდა, ტანად პატარა, შეუხედავი და მკვახე. თუმცა ბრიყვული გამომეტყველება ჰქონდა, თვალეზში ნაღვერდალი ენთო.

ტასო ოთხი დღე ხოვლეში იყო თავის მოკეთებთან. იმ დღეებში განგებ განერიდა შინ ყოფნას, რომ გიგას წლისთავს არ დასწრებოდა.

მაროს გაუკვირდა, როგორ შეირთო დათამ ეს ქალი, ანდა შვილები რად შეიძულა მის გამო.

ტასომ მოურიდებლად ახედ-დახედა მაროს.

— ნეტა სად გიპოვნეს ასე დალეული გოგო?!

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ოთახის სიღრმეში სოსას ანთებულ თვალეზს წააწყდა და გულმა რეჩხი უყო.

— კარგი ქალი ხარ, კარგი ქალი ხარ, — ჩაიქირქილა და მეორე ოთახში გავიდა.

„ღმერთო ჩემო, ეს რა ქალი ყოფილა“, გულში ნაღვლიანად თქვა მარომ და სოსას შეხედა, მერე ნაღვლიანადვე გაიღიმა და თავი გააქნია.

სოსა მიუახლოვდა.

— ნურაფერი გეწყინება, ძალუაჩემო, — უთხრა და ანუგეშა დაბალის ხმით, — რაც შეიძლება ნაკლები მოუსმინე და ნაკლები ელაპარაკე... მე და ფიდო შენს თავს არავის დავაჩავგრინებთ.

— ეჰ, ჩემო სოსა! — ამოიხზრა მარომ. — საწყენი ის არის, რომ სიძულვილის საბაბი არა მიმიცია რა და თავიდანვე ცუდი თვალით შემომხედა.

— ჩვენ ყველას მაგ თვალით გვიყურებს... ასეთი თვალეზი აქვს, რას იზამ. ეჰ, ძალუაჩემო, შენ კიდევ ბევრი რამის მოწმე გახდები და ბევრ რამეს გაიგებ ჩვენს ოჯახში... — ესა თქვა სოსამ, ხელი ჩაიჭნია და კარისაკენ გაემართა, რომ გარეთ გასულიყო. მარო წამოეწია და შეაჩერა.

— სოსა, რაღაცას მიმაღავე... ფიდოც სულ არაფერს მეუბნება.

— არა, დასამალი რა არის... რა უნდა დაგიმალოთ! შენ გული მაგრად გქონდეს, მე ვიცი და ჩემმა კაი კაცობამ, — თქვა და შეტრიალდა, კარი გაიხურა.

საგონებელში ჩავარდნილი მარო მარტო დარჩა. აგერ, ტასო კიდევ გამოჩნდა, მაგრამ პატარძლის იქ ყოფნა არად ჩაუგდია, ზედ არ შეუხედავს, ისე გაიარა შუა ოთახში და ეზოში გავიდა.

ტასოს შეხვედრის შემდეგ მარომ ველარ მოისვენა. წინასწარ იგრძნო აუტანელი იქნებოდა მისთვის ამ ქალთან ერთ ჰერქვეშ ცხოვრება.

როგორც იქნა, საღამოს, ერთ პატარა ოთახში, მარტო დარჩა ფიდოსთან და მაშინვე შესჩივლა საწუხარო.

ფიდომ გულზე მიიკრა ცოლი, მიუალერსა, დაჰკოცნა და დაამშვიდა:

— ნურას დარდობ, ცოტა ხანს მოითმინე, სულ ცოტა ხანს... ხომ ხედავ, არაფერს ვამბობ. მალე მოვა შემოდგომა და სხვაგან გადავალთ...

ფიდო რატომღაც სხვანაირი ეჩვენებოდა სოფლად მაროს. ვეძისში პირველად რომ გამოჩნდა, სიხარულითა და სიცოცხლით იბადრებოდა ვაჟკაცი, იმ ღამეს ლევანის ოჯახში და კინოშიც ენამჭევერობდა, ხუმრობდა, ახლაც გულკეთილი და სათნოა, მაგრამ რატომღაც დაღვრემილი გამოიყურება და იმდენსაც არ

ლაპარაკობს. მაშ ფიქრობს, რომ ცალკე დასახლდნენ?! ეს კარგია. ტასოსთვის თვალებს დაეხსნება მარო და ფიდოსთან ბედნიერად იცხოვრებს. ამ ოჯახში უთუოდ კიდევ რაღაც ამბები ტრიალებს და უთუოდ ყველა ავი რამ ტასოს მხრიდან იქნება. ეს რამდენიმე დღე უმისოდ მარომ თავისუფლად გაატარა. სოსას და ფიდოს გადმოცემით დედინაცვალი ბოროტი ქალი იყო. მაგრამ ასეთს კი არ მოელოდა: ღვარძლიანს, დამცინავს, ჯუჯას და მახინჯს. დათას შესაფერად კარგი შესახედაობის ქალი ჰყავდა წარმოდგენილი და გუმანმა უმტყუნა. მარო ღუმდა, ქმარს ეკვროდა და მის სითბოში შვებას გრძნობდა. გარეთ სიწყნარე სუფევდა. სოფელი ძილს მისცემოდა. შუალამე მოახლოვდა. ამ დროს გარეთ რაღაც ხმაური გაისმა. ფილო მაშინვე ფეხზე წამოხტა. მაროს გული შეუქანდა და ქმარს მიეტანა.

— ფილო!

— ნუ შეშინდები, მარო... მე უნდა წავიდე... როგორ დამავიწყდა შენთვის მეთქვა... მაგრამ მერე გეტყვი, — ფილო დროს არ კარგავდა, ცოლს ამშვიდებდა და თან იცმევდა.

— სად მიდიხარ, სად, ეს რა ამბავია ჩვენს თავს, ფილო?

— შენ ტყბილად იძინე... ეს ერთი ღამე უჩემოდ... სანამ ინათლებს. დავბრუნდები.

მაგრამ მაროს მისი სიტყვები აღარ ეყურებოდა, ახლა თვალწინ სოსა ედგა დანადვლიანებული სახით და მისი ნათქვამი აგონდებოდა: „ეჰ, ძალუაჩემო, შენ კიდევ ბევრ რამეს ნახავ და გაიგებ ჩვენს ოჯახში...“

— გული ცუდს მეუბნება, ფილო.

ვაჟმა ყური აღარ ათხოვა ქალს, ერთი მხურვალედ აკოცა და გარეთ გავიდა.

მარო ლოგინზე წამოჯდა, შიშით აცეცებდა თვალებს, თრთოდა, კანკალებდა, ათასი საშინელი ფიქრი ესეოდა. ტირილი მოერია. მარტოდმარტო დარჩენილი შიშმა შეიპყრო.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!

„სად მიდის? ამ ღამეს რა საქმე აქვთ? ბნელში რა უნდა კეთილ საქმეს?!“ დასცეცხლა მაროს. ამ დროს მან დაინახა, ფანჯარას დათას ლანდი რომ მოადგა. მის დანახვაზე სული გატრუნა ქალმა. გული შიშით ვადაელია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა აივანზე. ბოლოს ყველაფერი მიყუჩდა. ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი სასოწარკვეთილებაში აგდებდა მარტოდმარტო დარჩენილ მაროს. ცრემლი გამრობოდა, საოცრად გაოგნებული მისჩერებოდა ფანჯარას, სადაც წელან მამამთილის ლანდი იყო აკრული, ხოლო ახლა ბნელი ღამე იყურებოდა.

„სად წავიდნენ, სად?“ ახლავე ადგება მარო და სოსას გააღვიძებს. მაგრამ, იქნებ ისიც თან გაჰყვა ფიდოს? „ეჰ, ძალუაჩემო, შენ კიდევ ბევრ რამეს ნახავ და გაიგებ ჩვენს ოჯახში“. სოსა, სოსა!..

მარო ლოგინიდან გადმოვიდა, კარს მიადგა. ეს კარი შუა ოთახში გადიოდა. გამოაღო, მაგრამ ოთახში ისე ბნელოდა, საგნებს თვალი ვერ გააჩვენდა. ოთახში ვიღაც ხვრინავდა. მარომ ხმაზე იცნო ტასოს უფროსი ვაჟი გუგულა, რომელიც განჯინასთან ტახტზე წვებოდა ხოლმე. ახლა მოაგონდა მაროს, რომ სოსას გარეთ ეძინა, თუთის ხის ძირას, ძველისძველ ტახტზე. იქამდე მისვლა არ უნდა?! როგორ მივა და როგორ გააღვიძებს?! ბნელ ოთახში რაღაც საოცრად ჭრელი მოჩვენებანი აირივნენ, მოჩვენებებს ცეცხლოვანი თვალები გამო-



უკრთათ, მერე ჩაუქრათ და ისევ აენთოთ. მაროსკენ იწევდნენ, მოდიოდნენ და ვერ აღწევდნენ.

მაროს მუხლთ მოეკვეთა, კარი სწრაფად მიხურა და ახლა თავისი ოთახის სიბნელემ შეაშინა. იქნებ სჯობს ფანჯარა გააღოს და აქედან გასძახოს სოსას? ფანჯარას მიადგა კიდევ, მაგრამ ხელში სიძაბუნე იგრძნო და ძალა არ ეყო, რომ გამოეყო. იატაკზე ჩაიკეცა და მწარედ აქვითინდა.

წყნარად, მშვიდად და უხმაუროდ ვიღოდა ღამე.

განთიადის მახარობლად ხეთა ფოთლებს ნიაგმა ჩამოუქროლა, გარეთ მიძინარეთ შეაქრქოლათ, ხოლო შინ მყოფთ. ვისაც ამ დროს ეღვიძათ, ფოთლების შრიალი ჩაესმათ და ტკბილ ძილბურუსში მეტად საამოდ ეჩვენათ.

ჯერ ამ ხმაურმა და შემდეგ დილის სხვა ხმებმა მოაცოცხლეს, იმედი მისცეს მაროს სულს.

ჩიტები უკვე ეჩვივებდნენ.

გარიყრაჟდა. ფანჯრებთან ჯერ იისფრად, მერე მტრედისფრად გაიცრიცა ღამე.

მარომ ფანჯრიდან თუთას გახედა, რომლის ძირშიც ტახტი იდგა. თვალს არ დაუჯერა დანახული. იქ სოსა ეგულებოდა და იმ ღამეს კი დათას გამოუძინია ტახტზე. კაცი წამოძვდარიყო და წინდას იცმევდა.

ელდამ დაჰკრა მაროს. თუ ისიც დაიკარგა და ამ დილით აღარ დაბრუნდა, მაშინ ამ ოჯახში მფარველი და შემბრალებელი ვიღა ეყოლება მაროს, ვინ ანუგეშებს? ტასო?! ო, არა, ამ ქალთან შეხვედრა წამებას უდრის. დათა? რძალს იშვიათად უსწორებს თვალს და ძუნწად ელაპარაკება.

სად არის სოსა? იქნებ გუგულამ ან პატარა ამირანმა იცოდნენ? სონა მაინც შემოვიდოდა, რომ ჰკითხოს.

ტასოს ბავშვებს კიდევ არა უშავთ რა, ღედას არ ჰგვანან და მაროს შეუძლია მათგან ყველაფერი გაიგოს.

მარო ფანჯარას არ სცილდებოდა. მამამთილს უთვალთვალებდა, რას იზამსო. სად გაისტუმრა შვილები?

ასე არასოდეს დალილა და მორღვეულა მარო. უძილობამ ცალკე, დარღმა ცალკე ერთბაშად დააოხა ქალი, სულ ეტირებოდა, მაგრამ ცრემლი გაშრობოდა, თვალეები ვეღარ უსველდებოდა.

ღათამ ჩაიკეცა და გზაზე გავიდა. ერთ ხანს იქ იდგა, ალბათ ბიჭების დაბრუნებას უცდიდა, მერე ეზოს დაუბრუნდა. მარომ შეატყო, რომ იგი ღელავდა და დატყვევებული ნადირივით წინ და უკან დაიარებოდა. წავიდოდა, ღობეს მიაღებოდა, შარას გახედავდა და მერე ბოსლისკენ გამოსწევდა.

სოფელში საქონლის ხმა გაისმა, სადღაც ნახირს აგროვებდნენ.

ღათამ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შუა ოთახის კარი სწრაფად შემოაღო და მარომ გაიგონა მისი ბრაზიანი, მაგრამ დაბალ ხმაზე ნათქვამი:

— კიდევ გძინავს, ბიჭო?! *

— ეხლავე, ეხლავე, მამი...

დაფეთებული წამოხტა საწყალი გუგულა. რამდენიმე წამის შემდეგ მარომ დაინახა პირუბანელი, თმაგაჩეხილი და ფეხშიშველი გუგულა როგორ გაიქცა ბოსლისკენ ძროხის გამოსაყვანად.

დათა ისევ ეზოში იყო, როცა გუგულამ ძროხა ნახირში წაიყვანა.

ასე ახმაურდა და გაიღვიძა ხოჯერაანთ კარ-მიღამომ. შემდეგ ეზოში რიგრიგობით გამოჩნდნენ სონა, ამირანი და ტასო.

ტასო და დათა ერთ ხანს ჭიშკართან რაღაცას ლაპარაკობდნენ. მაროს არც



ერთი სიტყვა არ ეყურებოდა, მაგრამ გულმა უთხრა, რომ ნამდვილად ფილოზოფი და სოსაზე იყო მსჯელობა. დათა ნერვიულობდა და ცოლს რაღაცას უწყობდა.

მზის პირველი სხივები მოეფინა სოფელს.

სონა და ტასო დარბაზში შემოვიდნენ.

— ძალიან პატარძალი გეყავს, მე და ჩემმა ღმერთმა, — გაისმა ტასოს გესლიანი სისინი. — შედი, გოგო, გააღვიძე. აქ რა, გასასუქებლად კი არ ამოგვიყვანია.

— გაჩუმდი, დედი, გაიგებს.

— გაიგოს რა!.. პირში ვერ ვეტყვი თუ? ძალიან მომერიდება, მაგისმა მზემ. აქ ქვეყნის საქმე გვაქვს და მაგან ძილი გამოაცხოს?!

— სუ, დედი!

— შენ ხმა ჩაიციე და შედი, გააღვიძე!..

— არა, დედი, მე ვერ შევალ... თუ გინდა შენ გააღვიძე და რაც გინდა, ის უთხარი.

მალე მაროს შემოესმა ჯუჯა დედაკაცის ფეხის ხმა და კარებიც გაიღო. ტასო პარმალზე გაჩერდა და უცებ შეცბა, რა დაინახა ფანჯარასთან გაჩერებულნი, პერანგამარა და ნამტირალევი მარო.

— დილა მშვიდობისა! — ნაძალადევი ღიმილით მიესალმა იგი რძალს, ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა და ქვემ-ქვემ გამოიხედა.

მარომ პირი იბრუნა და კვლავ აქვითინდა. ეგონა, რომ ტასოს გულში ყინული გაულხვებოდა და დასამშვიდებლად მიუახლოვდებოდა, მაგრამ კარის მოხურვის ხმა მოესმა. მიიხედა. ტასო იქ აღარ იყო.

სხვა არავინ შემოსულა.

მაროს კარს იქით ნაბიჯი არ გადაუდგამს, ჩაიცვა კაბა და ოთახში გამოიკეტა. ნაშუადღევს სოსას ხმა გაიგონა, ფანჯარას მივარდა და გაიხედა. სოსა საიდანდაც მოსულიყო.

„ფილო, ფილო სადღა?“ მარომ ფანჯარა გამოაღო და სოსას გასძახა.

ვაკი მისკენ შემობრუნდა და რა დაინახა ფანჯარაზე მომდგარი ქალის ნამტირალევი და მწუხარებით სავეს თვალები, შეკრთა და რამდენიმე ნახტომით მასთან გაჩნდა.

— ეს რა მოგვლია, როგორ გიტყობა!

— ფილო სად არის, ფილო?

— ფილო?! — ბრაზიანად გაიმეორა ძმის სახელი სოსამ და ერთ ხანს უბრად იდგა ჩაფიქრებული.

— სად არის, სოსა? მითხარი, რა ამბავია ჩვენს თავს.

— კიდეც იმ საქმეზე გავზავნიდა მამაჩემი, — ჩაილაპარაკა სოსამ. მისი თქმული კარგად გაიგონა მარომ.

— რა საქმეზე? მალე მითხარი, თორემ გული გადამელია.

— შემოვალ და მანდ გეტყვი.

სოსა ადგილს მოსწყდა და მალე მაროს ოთახში გაჩნდა, კარი მიხურა და თითქოს აქ პირველად ყოფილიყოს, ისე მიმოიხედა.

— სოსა! — წამოიძახა მარომ, ყელზე მოეჭლო მაშლს და აცანცახდა.

სოსა ჩამოჯდა, მარო დაამშვიდა და უთხრა:

— ჩვენ დროზე უნდა ვუშველოთ მაგ ბიქსს, მამაჩემს კარგ გზაზე არა ჰყავს დაყენებული. შენ ვერც ვერაფერს ხვდები... მამაჩემი ხომ კოლექტივის საწყობში მუშაობს, ფილოც იქა ჰყავს და... ბნელ საქმეს სჩადიან, მარო...

— ფილოც?!

— ერთი-ორჯერ პირობა ჩამოვართვი, რომ მამას აღარ დაუჯერებდა და ხელს აიღებდა ამაზე... მე ვთქვი, შენი მაინც მოერიდებოდა, შენს ხათრს დაიჭერდა, მაგრამ ჩანს მამის შიში კიდევ აქვს და დროზე უნდა დავიხსნათ... მე რომ წუხელ შინ ვყოფილიყავი, არსად არ ვაუფშვებდი, მაგრამ, უყურე ერთი, რა დროს წასულა.

მაროს თავი ჩაეკიდა და თითებს იმტვრევდა.

დღე მეტად მძიმედ და ზანტად მიდიოდა. დათა მთელი დღე არ ჩანდა. ამირანმა და სონამ რამდენჯერმე წაიბუზღუნეს, გუგულამ ტირილიც მოასწრო, სიმღერაც.

ჩრდილები ჯერ ერთ მხარეს დაწვენენ, შებრუნდნენ და ახლა მეორე მხარეს მოექცნენ. მზე გადაიხარა.

მარო მხოლოდ ერთხელ გამოვიდა შინიდან, ისიც მაშინ, როცა ტასომ ჭიშკარი გაიხურა და სადღაც წავიდა.

სონამ ჭადბურა და ცოტაოდენი მშრალი კერძი შემოუტანა რძალს, მაგრამ ყველაფერი ხელუხლებლად იდო.

საღამო ხანს ხოჯერაანთა სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ჯავრით მოქანცულ მაროს ჩაეძინა. ლოგინზე გაუხდელად მიწოლილიყო. წუხანდელი ნაცრემლი ბალიში ისევ ნესტიანი იყო. დაცრემლილი ბალიშის სიგრილე ეამაქალს.

ხმაურმა გამოაღვიძა.

უკვე დაღამებულიყო და ოთახში წუხანდელივით ყომრალი ფერი და საშინელება იდგა, ხოლო შუა ოთახში გამავალი კარის თავსა და ბოლოში სინათლის ვიწრო ზოლები მოჩანდა, — დარბაზში ლამაზ ენთო.

— სად ჯანდაბაში გაგზავნეთ ის ბიჭი? რას დაეხეტება?! — ისმოდა სოსას ვაჟკაცური რიხიანი ხმა. — ველარ მოითმინეთ?! ერთი-ორი კვირა მაინც ყოფილიყო შინ. წინანდელი ნაცოდვილარი ჯერ არ მოგინელებიათ და ახლა სხვას უმატებთ. სჯობია პატიოსან საქმეს მიხედოთ. ამ ცოდვისშვილს რაღას ჰკიდებდით ზურგზე, თუ კაცს გაუბედურებას უპირებთ.

ერთი ხმა დაცხრა და ახლა მეორე, ძველი, დაღვინებული, ბოხი და ხოხინა შეენაცვლა:

— რეებს მიბედამ, შე ძალღიშვილო!

მეტის თქმა ველარ მოახერხა დათამ. ოთახში სკამის ჯახანი გაისმა. ეტყობოდა იატაკზე დაანარცხა გამხეცებულმა კაცმა, გულში ისედაც ჰქონდა ბოლმა შვილის დაგვიანების გამო. ახლა სოსა გამოუხტა.

— რათ გინდათ ასეთი გზით მოტანილი, განა ცოტა გაქვს დოვლათი?! — არ უთმობდა სოსა.

მამაკაცების ხმას ტასოს ხმაც შეერია, შეიქმნა ერთი მიხლა-მოხლა, გაწევ-გამოწევა. მაგრამ ბოლოს მაინც სოსას გაბედულმა ხმამ დააგვირგვინა ჩხუბი:

— ხმა-მეთქი, თორემ ორივეს ახლავე დაგაჭერინებთ და ჩემს საკუთარ ძმასაც არ დავინდობ...

დათამ ერთი ყრუდ დაიღმუვლა და ჩაჩუმდა. იქნებ იფიქრა, ამჯერად დათმობა სჯობიაო...

— აი, კირმა კი შეგვკამოს... დმერთსა ვთხოვ, არ გაიხარო ქვეყანაზე! — ტასოს ამ ხმას კარის ჯახანი მოჰყვა.

მაროს გარედან მოესმა გაჩქარებული ფეხის ხმა.

— სად მიხვალ, ბიჭო? — დაიძახა დათამ.

მარო ვერ ხედავდა მამა-შვილს, მაგრამ დაუნახავდაც გრძნობდა რა ყოფაში იყვნენ. ქალს მოსწონდა სოსას პატიოსნება, მისი ვაჟკაცური შემართებლობა, მაგრამ გული შეუქანდა, როცა წედან მან გამწარებით დაიძახა, საკუთარ ძმასაც არ დაეინდობო... ვასცემს? დააჭერინებს? ალბათ სწორედ ამის გამო გაიქცა შინიდან. ნეტავ კი დააბრუნებდეს დათა...

მარო ჩამოხტა ლოგინიდან, ფანჯარას აეკრა და ბნელით მოცულ ეზოს მოავლო თვალი, მაგრამ კაცთა ლანდები არსად ჩანდა.

ცოტა ხნის შემდეგ დათა გალანდა. იგი ნელა, მოწყვეტილი ნაბიჯებით მოდიოდა შინისკენ.

კარმა გაიხმაურა და ფეხის ხმა მიწყდა.

— ახლა, რაო?... მილიციას ველოდით? — დაიწრობინა ტასომ.

— წინარეხისკენ წავიდა, — უბასუხა მოტეხილი, დაოსებული ხმით დათამ, — გაშალე ლოგინი. ვხედავ კარგი დღე არ არის ჩემს თავს. ის ბიჭი არა ჩანს. მაროს რამე აქამეთ დღეს?

— ეგ სადარდებელი მაკლდა და გამიჩინეთ კიდევაც!.. ბავშვია, რომ დაღუპილი ლუკმა ჩავუღო პირში? ქალბატონობის და პატარძლობის დრო წავიდა!.. ხვალ ბოსელს გამოვაწმენდინებ, რამეს გავაკეთებინებ და ის იქნება! ოჯახს ბარაქა კი არ უნდა გავუწყვიტოთ უქნარობით!..

მარო თვაურების ოჯახის მთავარი დიასახლისი იყო და ქალური საქმე არასოდეს ეზარებოდა, დილიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებდა. ახლა კი ზოჯერაანთა თავიდანვე რიგიანად ვერ აეწყო მისი ცხოვრება, თორემ აჩვენებდა რა ქალიც იყო, თავს როგორ შეირცხვენდა! ტასოს ღვარძლით ნათქვამი „ქალბატონო“ ეკლად ესობოდა.

გათენდა დილა და ახალ უბედურებას ელოდა მარო. მაგრამ მზე კარგად ამოვიდა და მისი მყუდროება არავის დაურღვევია. ტასოს ხმა გარეთ ისმოდა. დათა არ ჩანდა. მარომ ვერ გაიგო, სად გაქრა ეს კაცი. დილას, უთენია, თუთისკენ რომ გაიხედა, იქ ულოგინო ტახტილა იდგა.

პატარა ამირანმა სიმღერა წამოიწყო და ტასომ შეაწყვეტინა:

— ჩაიციე ხმა!.. ნეტა რა გვემღერება!

ბოსს შემდეგ ერთ ხანს აღარ ისმოდა ჩამიჩუმი.

მოლოს კარი გაიღო და მაროს ოთახში ტასო შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა! — თქვა გუშინდელივით და ცალი ხელით შემოიყარა დოინჯი.

მარომ პირი აღარ იბრუნა, ხმა არ დაუძრავს, გაოგნებული მისჩერებოდა დედამთილნაცვალს.

— რაო, რას ფიქრობ, რძალო? განა იმისათვის მოგიყვანეთ, რომ მზეთუ-ნახავი გახდე!

— განა იმისათვის მომიყვანეთ, რომ დამჩავროთ! — ცრემლნარევი ხმით შეუბრუნა სიტყვა მარომ, გული გაიმავრა და რადგან ტასოს შეტევას მოელოდა, წინაღმდეგობის გასაწევად მოემზადა: „ო, რა ღვარძლიანი თვალები აქვს! ო, რა ბოროტი სული უტრიალებს!“

— გაჩაგრამთ? ეს რა დაჩაგვრავა, გეთაყვათ!.. ვინ გაგიბედამს ამას! — თავი მოიკატუნა ტასომ. — მხრლოდ შინ ჯდომა არ გარგია... აუარება საქმე გვაქვს



და დახმარება გვინდა. იქნებ შინაც არაფერს აკეთებდი, ჰა? შენზე ამბობდნენ, კარგი საქმის ქალიაო... ეს არი? გამო, გამო... ბოსელი რამდენი ხანია არ გამოგვიგვია, წამო, გამოვასუფთაოთ.

— მე საქმე არ მეზარება, მაგრამ... ფილო სად არის? მითხარით, რა გზას ადგას, თავს რად იღუპავს?! — წამოიძახა მარომ და ძარღვები აუკანკალდა.

— რამდენჯერ ის წავე, ასე თუ აიბუზე, კარგი ამბავია! — ტასოს სახე მოეღრიალა და შეტრიალდა. — მეორედ აღარ შემომიყვანო... ბოსელი გამოსაგველია.

თქვა და ისე გავიდა შუა ოთახში, რომ კარი არ გაუხურავს, ეს კი იმას ნიშნავდა, მალე გამოწყევით.

წავე მარო, ეგებ საქმეს მაინც გადააყოლოს გული.

დიდი ხნის წინ აშენებულ ბოსელში აუარება ხარახურა ეყარა. ძროხას, ფურსა და ხბოს მცირე ადგილია რჩებოდათ. შმორის, ნესტისა და შარდის შერეული სუნი იდგა. ეტყობოდა ტასო ხეირიანად არც კი უვლიდა.

მაროს არაფერს შეშველებია. ნიჩაბით დაუწყო ნეხვს შეგროვება. ტასო კარებში ჩამდგარიყო და ჩვეულებისამებრ ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა. მარო ზედ არ უყურებდა, მხოლოდ მის ჩრდილს ხედავდა თავდახრილი ქალი, ჩრდილს, რომელიც ღია კარის ნათელ ანაბეჭდს შუაში სურათივით ჩასდგომოდა ბოსლის მოთითხნილ იატაკზე.

— რაო არ მელაპარაკები, რძალო?

მარო დუმდა და საქმეს განაგრძობდა. გულში მწარედ ჩაეცინა.

— ასე რომ ვიყოთ, გამოვყრუვდებით, — განაგრძობდა ტასო და მისი დვარძლიანი კილო თანდათან ცეცხლად ეღებოდა მაროს, მაგრამ თავს მაინც იკავებდა, დედამთილნაცვალს შეეპასუხა:

— აბა რა ვიცი, რა უნდა ვთქვა...

— მაშ ენა მუცელში უნდა გქონდეს ჩავარდნილი?

— რა გინდა ჩემგან, რას ჩამაცვიდი!.. ბოსელს ხომ ვასუფთავებ...— წამოიხედა მარომ.

— არ უნდა მიამბო, ვისი შვილი ხარ, რა ოჯახიდან ხარ? დედა გყავს, მამა გყავს, დები და ძმები? არ უნდა ვიცოდე ჩემი რძლის ვინაობა?

— გაიგებთ... რა ვქნა! — შეწუხდა მარო, გულში ამბობდა, ნეტავ დამეხსნებოდეს, ეს რა ჭირად გადამეკიდა, ნამდვილად თავს მომაკვლევინებს დედა არისო.

მარომ ძალა მოეკრიბა და ნიჩაბი გამალებით ამოქმედა, დედამთილნაცვალს ზურგი შეაქცია.

— დიდი უზრდელი რამა ყოფილხარ! — თქვა მწლაკედ ტასომ. მარომ შენიშნა, როგორ გაქრა მისი ჩრდილი. ტასო წავიდა.

მარო წელში გასწორდა და ღრმად ამოიოხრა. აღარ სტიროდა, გაქვავებულ გულს ცრემლი აღარ სდიოდა.

თავი მეოთხე

მიძიედ და უღიმღამოდ მიდიოდნენ დღეები.

დათა არ ჩანდა, ფილო არ ჩანდა, სოსა არ ჩანდა. ხოჯერაანთ კერას ტასო ჩასდგომოდა მოთავედ. იგი არას ამბობდა, სად წავიდა დათა, ეს რამდენიმე დღე რატომ არ ჩანდა სოფელში.

მარო დაუახლოვდა სონას და იმასლა ელაპარაკებოდა. მამინაცვლის ბნე-



ლი საქმეებისა სონამ ბევრი არა იცოდა რა, ახლა სად იყო დათა, ესეც ვერც ვიცი გაეგო.

„იქნებ ფილოს მოსაძებნად გასწია? იქნებ ფილო სადმე მოჰკლეს, ან დაიჭირეს და ზედ მამაც მიაყოლეს? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ — კვნესოდა მარო. იქნებ სჯობს მიატოვოს ხოჯერაანთ ეს დაწყევლილი კერა, დაუბრუნდეს თბილისს, მამის ოჯახს?

მაგრამ ფილო ხომ დაბრუნდება... მისდამი სიყვარულით გახსნილი გული არ დახურვია მაროს, მის სულსა და გულში ღვივის ტრფობის ნალევრდალი. ქალს უზომოდ სწყურია სიახლოვე მისი, სიტყვა მისი და ღიმილი მისი...

„ფილო ქურდია!“ — ეს აზრი კი თავზარსა სცემდა და ვერ შერიგებოდა. არა სჯეროდა, არა. ფილოს სხვა მეტი ცეცხლი ჰქონდა, ვაჟკაცური. ნეტავ დაბრუნდებოდეს, ნეტავ გამოჩნდებოდეს. ახლა ხომ იცის მარომ, რა გზას ადგას ფილო, აღარ გაუშვებს, აღარ!.. ადრევე რომ სცოდნოდა, ამ დღეშიც ხომ არ ჩავარდებოდა.

მარო განმარტოვებოდა, ფიქრში წავიდოდა და სწორედ იმ დროს ტასო წამოადგებოდა თავზე.

— პატარალო, ეზოს დაგვა უნდა!

მარო დაჰკვიდა ეზოს, უსიტყვოდ, მორჩილად ასრულებდა დედამთილნაცვალის ბრძანებას. მისი ქალიშვილი სონა რომ მეზობლებში საჭორაოდ და სალაყბოდ დადიოდა, შინ არაფერს აკეთებდა, ეს არასოდეს არ წამოუძახებია მაროს.

— პატარალო, ცომია მოსაზელი!

მარო ცომს ზელს, შემდეგ თონეს ახურებს. არასოდეს არ გამოუცხვია და არ იცის, ვარვარა თონეში როგორ უნდა ჩაეკიდოს, გახურებულ კედელზე როგორ უნდა მიაკრას გუნდა. აქ ტასო ეშველება, გუნდას აკრავს, თან მაროს ბუზღუნით ასწავლის პურისცხობას. მარო ხელის გულზე იღებს ოდნავ შებრტყელებულ გუნდას, თონეში იხრება, ცომს სწრაფად ატყაპნის თიხის კედელს, სახე ეწვის, ხელი ეწვის... გუნდას შესწორება უნდა, ხელის რამდენჯერმე მარჯვენ მიკერა, თორემ გუნდამ ჩაიწია და სადაცაა კუტად ჩავარდება დადარში. მაროს ისედაც ბევრი გუნდა უეარდება.

— დასაქცევად, დასაქცევად, ჩვენი ოჯახის დასაქცევად შემოგიყვანეს! — კაპასობდა ტასო, ბრაზობდა, რომ მარო უცებ ვერ ითვისებდა ნასწავლს, — კუტად იქეც, კუტად! ღმერთსა ვთხოვ!

„ღმერთო, ეს რა დღეში ვარ!“ — მაროს გულში მეორე თონე უღვივოდა.

მთელი დღის სიციხით გათანგული მიდამო დაბინდებისას ხარობდა. მიწამ ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქა კავთურის ხეობის ბალ-ბოსტნებში ჩაფენილი ნესტი და სიგრილით.

მარო ძროხას წველიდა. უცებ ვილაცის სწრაფი ფეხის ხმა გაიგო. აიხვდა. კაცის ლანდმა საბძელზე გადაირბინა და სახლის სხვენში ჩაიმალა.

მარო შეკრთა. კაცს კარგად ვერ მოჰკრა თვალი. ძროხა მიატოვა და შინსკენ წამოვიდა შიშით გულგადალეული. შინ გუგულა და ამირანი იყვნენ. ტახტზე ისხდნენ და ერთი ჯამიდან მაწენის შეჭამაღს ჰამდნენ.

— გუგულა, სახლის სახურავზე ვილაც ავიდა... ვინ იქნება ნეტავ? — სული ამოითქვა მარომ.

— აბა რა ვი, ვინ იქნება!.. იქნებ მამაჩემი მოვიდა და... — თქვა გუგულამ და შეჭამადი შეხვრიბა, ზედ ჰადპურა მიაყოლა და მოზრდილი ლუქით გამოიტივნა ცალი ყბა.



— აი, გესმის? გესმის? ფეხის ხმა... — მარომ ჭერს ახედა. იქ მარჯვლეთკენ გაიარა ვიღაცამ. ფეხის ხმა მისწყდა, მაგრამ სულ მალე გაისმა ნაცნობი, ჩუმი, შორეული ხმა:

— გუგულას!

მარო შეკრთა ამის გაგონებაზე. პირველად ეგონა მომეჩვენაო, მაგრამ მალე უტყუარი გახდა, რომ სხვენზე ფილო იმყოფებოდა. იგი გუგულას უხმობდა. რატომ გუგულას? რატომ არ უხმობს მაროს?

გუგულას ლუქმა პირში შერჩა და ჭერს ახედა გაკვირვებით.

მარომ რძის ქოთანი იატაკზე დადგა, სწრაფად შემობრუნდა, ოთახიდან გამოიჭრა და სხვენში შესასვლელი კარისაკენ გაიქცა. საბძლის ბანი გადირბინა, კარს მიადგა და სხვენში შეიხედა, სადაც საგნები ძლივს გაირჩეოდა სიბნელის გამო.

მარომ ასანთი მოსძებნა კაბის ჯიბეში, გაჰკრა და ფილოს დანახვაზე შეპკივლა. სხვენში იჯდა ტანსაცმელშემოხეული, სახედაკაწრული და წვერმოშვებული ფილო. მარო მასთან გაჩნდა და გულშეღონებული მიესვენა ვაჟის მკერდს. ფილომ ორივე ხელი მოხვია ქალს და დამშვიდება დაუწყო.

— მარო... შემომხედე, მარო!.. — ჩურჩულებდა იგი. აკანკალებულ და აქვითინებულ ქალს ერთ ხანს არა ეყურებოდა რა. ბოლოს წამოიხედა და თვალების უცნაური ცეცებით შეათვალიერა ქმრის წვერგაბანჯგლული, შეცვლილი და არეული სახე.

— ნუთუ ეს შენა ხარ, ფილო? რად მღუპავ, რადა? ან შენ თავს რად იღუპავ?.. გესმის, რას გეუბნები? შენ არაფერი არ გესმის, არაფერი!..

— მესმის და გვიანდა არის... ჩუ, ნუ ტირი... ჩადი შინ, სანთელი, სარკე და სამართებელი ამომიტანე, ტანსაცმელიც არ დაგავიწყდეს.

მარო თვალს არ უჯერებდა, მაგრამ ცხადზე უცხადეს სიმართლეს მაინც თავისი გაჰქონდა.

შინ სწრაფად ჩავიდა. ქმარს დანაბარები შეუტსრულა.

სანთლის ფერმკრთალ სინათლეზე უფრო სხვანაირი გამოჩნდა ფილო. არა ეს ის ფილო არ არის, ვეძისში რომ პირველად გამოჩნდა... იქ სულ სხვა იყო, სულ სხვა; ნუ თუ მოჩვენებით გაითამაშა მხიარული და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის როლი?! ნუ თუ მხოლოდ რამდენიმე დღეს გამოიჩინა კარგი ბიჭობა, მხოლოდ იმიტომ, რომ მაროს მოსწონებოდა?!

ფილო წვერს იპარსავდა და კვლავ უბრუნდებოდა სილამაზე, მაგრამ დაკაწრულს ვერაფერს შველოდა.

— სად იყავ, ეს რა შავი დღეა ჩვენს თავს?! — კენესოდა მარო.

ფილო არაფერს ეუბნებოდა. აშკარად რცხვენოდა ცოლისა და თვალს ვერ უსწორებდა.

— ახლა აქ რაღად იმალები? ვის ემალები, ფილო?

— არ ვიცი, მე თვითონ არ ვიცი, რას მიშველის ეს სახურავი... მე დამნაშავე ვარ, მარო, ყველას და ყველაფრის წინაშე... ჯანდაბას ჩემი თავი. ჩავიდეთ შინ. მოსახდომი მოხდეს, — წამოიხედა ფილომ, მაგრამ ცოლის თვალებს მაინც ვერ შეხედა, — ოჰ, როგორ მინდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყოს. შენ რა გიყო, თორემ გამოსავალ გზას როგორმე გამოვნახავდი. სამუდამოდ წავიდოდი აქედან.

მარო ცრემლს ყლაპავდა ჩუმად და მხრები უთრთოდა.

— რაღად მინდა ამის შემდეგ სიცოცხლე! რისთვის დაიდე ჩემი ცოდობა, ორი კვირაც არ არის, რაც მომიყვანე და უკვე უბედური ვარ.

ფილო წამოდგა, შუბლზე შემოიკრა ხელი, მერე მუშტი მკერდზე დიდი ღრმად ამოიხრა.

კოლ-ქმარი შუალამედ სხვენში იჯდა. ფილო რაღაცას მოელოდა და ამიტომ წამისწამ გარინდებული წაუგდებდა ყურს სოფელში დარჩეულ ხმებს.

მამლებმა პირველად იყვილეს.

კოლ-ქმარმა სხვენი მიატოვა. თავის ოთახში ჩავიდნენ. შინ ამ დროს ყველას ეძინა. ფილომ მაროსგან გაიგო დათას უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი.

ფილო თავის რამდენიმე დღის თავგადასავალს არ უმხელდა ცოლს. მარომ ბევრჯერ შესთხოვა, მაგრამ მტკიცედ მალავდა სამარცხვინო ამბავს, რომელმაც შეაშინა, თავზარი დასცა და გონს მოიყვანა. აქამდე არასოდეს ასე ღრმად არ უფიქრია იმ აებედითს გზაზე, რომელზედაც მამამ დააყენა. სოფლის ქონება, სოფლის დოვლათი საიდუმლოდ გაჰქონდა მოკეთესთან კასპში, მოკეთე ასაღებდა და მამა-შვილს დიდძალ ფულს უგზავნიდა.

... მაგრამ, აგერ, მილიცია უცაბედად დაეცა მოკეთის ბინას... ფილო გაუსხლტა მილიციელებს, რამდენიმე დღეს იმალებოდა... შინ დაბრუნდა, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას.

სოფელში სიწყნარე იყო.

მამლებმა მეორედ იყვილეს.

მარო ქმრის ამდღერებულ მკერდს ეკვროდა, თბებოდა და ეს რაღაც ძლიერი, ცხოველური ძალა იმედსა და მხნეობას უბრუნებდა. — ასევე იკურნებოდა ფილოს გულის გახსნილი ჭრილობა.

ურთიერთის ალერსში ჩაეძინათ.

ამ დროს კასპის მილიციის უფროსი ორი მილიციელისა და რამდენიმე შეიარაღებული კოლმეურნის თანხლებით ხოჯეპარანთ სახლს უახლოვდებოდა.

სახლიდან ჩქამი არ ისმოდა.

მილიციის უფროსმა, ილიკო ნავროზაშვილმა, კოლმეურნეები გზაზე და ეზოში დატოვა, თავად მილიციელები გაიყოლა, რევოლვერი მოიმარჯვა და გაბედულად შეაღო ხოჯეპარანთ სახლის კარი.

განთიადის ხანი იყო. სადარბაზო ოთახში უკვე შემოჭრილიყო დილის სინათლე, მაგრამ იქ არავინ ჩანდა.

მილიციის უფროსი მარცხენა კარისკენ შებრუნდა და სწრაფად შეაღო იგი. ნავროზაშვილი და მისი თანამშრომლები კართან შეჩერდნენ.

პირდაპირ საწოლზე ეძინათ მაროს და ფილოს. ისინი ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ, საბანი მკერდზე დასკურებოდათ. ორივეს მოღლილსა და ტანჯულ სახეზე მკრთალი ღიმილი დასთამაშებდათ.

— ცოდო კია ამათი გაღვიძება, — თავი გააქნია ნავროზაშვილმა, — ორი კვირის შეუღლებულები ყოფილან.

ერთ-ერთი მილიციელი ხარბად მისჩერებოდა ქალის შიშველ მკერდსა და მკლავებს.

ნავროზაშვილი შებრუნდა და მილიციელებს თავის აქნევით ანიშნა გასულიყვენ. კარი გაიხურეს. მილიციის უფროსი შუა დარბაზში მაგიდასთან მივიდა, სკამი გამოსწია და ჩამოჯდა. მილიციელები მისჩერებოდნენ და ბრძანებას ელოდნენ.

— სად წავივია! — თქვა უფროსმა და კარს შეხედა. — ქალია ცოდო, თორემ მაგის ტკბილად გამოძინებას არ დავეძებ... ქალს პატივი უნდა დავდოთ.

მერე ერთ-ერთი მილიციელს უბრძანა გასულიყო და შეიარაღებული კოლმეურნეები შინ გაეშვა.

მილიციელი გამოვიდა და ეზოში მყოფ გლეხებს უთხრა:

— უფროსმა — წადითო.

— მაშ რაღად წამოგვიყვანა? — იკითხა ერთმა გლეხთაგანმა.

— გვეგონა, რამე დიდი ამბავი იქნებოდა... ცოლთან ისე სძინავს, რომ ნერვები მომეშალა, — მილიციელმა ტუჩები გააწკლავუნა.

კოლმეურნეები შინ ბუზღუნით დაბრუნდნენ, მილიციელი კი ისევ დარბაზში შევიდა. ნაეროზაშვილმა ახალი დავალება მისცა:

— წადი, შენ ფანჯარასთან დადექ, იქიდან არ გაიქცეს.

მილიციელი ისევ ეზოში გამოვიდა.

ხმაურზე ტასოს გამოეღვიძა და დარბაზში გამოიხედა. პერანგამარა ქალმა მილიციელები რომ დაინახა, გული ლამის გაუსკდა, კარი უმალ გაიხურა და ცოტა ხნის შემდეგ კაბაგადაცმული ჯიქურ შემოვიდა დარბაზში.

— გამარჯობათ, — თამამად და შინაურით მიესალმა მამაკაცებს, მიხვდა რისთვისაც იყვნენ მოსულნი. — მოხვედით, პა? არ გამოდის? — თქვა ტასომ და ფილოს ოთახის კარს შეხედა.

— როგორ არ გამოვა... სძინავს.

— მერე და რატომ არ აღვიძებთ?

— რა ვიცი, ჩვენ ასე გვიჩვენია. გამოუძინებელ კაცს ხომ არ წავიყვანთ, — მიუტო ხუმრობით ნაეროზაშვილმა და მერე ჰკითხა:

— დათა სადა გყავს, ქალო?

— დათა?! — შეკრთა ტასო და ვერაფერი თქვა.

— როდემდე დაიმალება. ან სად მიუგნებელ ადგილას დაიმალება. სჯობს თავისი ფეხით ჩამოვიდეს კასპში, ვიდრე აი, ასე ჩავუსაფრდებოდე და დავიპყრდე. გაიგე, ქალო?

— გავიგე, როგორ არ გავიგე... აბა, რა ვიცი სად არი!.. მე ერთი საწყალი დედაკაცი... — ტასოს ხმა აუთრთოლდა და ცრემლი მოიშველია. მერე დაფაცურდა, განჯინიდან არაყი გადმოიღო, მაგრამ ნაეროზაშვილმა ისევ შეადგმევინა.

მილიციელი, რომელიც ფანჯრის დასაცავად ვაგზავნა უფროსმა, ფეხაქრეფით მივიდა ფილოს ოთახთან. ფანჯარა დაბალზე იყო, შიგნიდან, ქვედა შუშებზე, უბრალო ფარდები ჰქონდა გაკრული.

ფილო უცებ შეკრთა და გამოეღვიძა. ამის დანახვაზე მილიციელი უცებ მოსცილდა ფანჯარას. თვალები ასჭრელებოდა და ერთ წუთს საგნებს ბუნდოვნად ხედავდა. ოთახში ხმაური გაისმა და მალე ფანჯარა ჯახანით გაიღო. მილიციელმა რევოლვერზე იტაცა ხელი და უმალ ამოიღო.

ღია ფანჯარაში გამოუძინებელი და ფერმკრთალი ფილო გამოჩნდა.

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილო! — უთხრა დაბალ ხმაზე მილიციელმა და რევოლვერი მიუშვირა, — ჩაიცივი და გამოდი.

ფილომ თავი ჩაჰკიდა, მერე საწოლისკენ გაიხედა. მარო წამომჯდარიყო და შეშინებული მისჩერებოდა ქმარს.

— მოვიდნენ!.. ყველაფერი გათავდა!.. მშვიდობით, მარო! — თქვა და ისე დინჯად და აუღელვებლად დაიწყო ტანისამოსის ჩაცმა, გეგონებოდათ ქორწილში წასასვლელად ემზადებო. მერე აჩქარდა, ცოლს მოეხვია, დიდხანს და მხურვალედ კოცნიდა. მარო ქვითინებდა და ვერაფერს ეუბნებოდა. ფილო ადგილს მოსწყდა და დარბაზის კარი გააღო. ნაეროზაშვილი ამდგარი დახვდა. მისმა თანხლებმა მილიციელმა თვალები დააბრიალა და რევოლვერის ბუდე გახსნა.

— წავიდეთ! — თქვა ფილომ და მილიციელებს წინ გაუძღვა ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს.

სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, თავი ამყად ეჭირა.

სანამ მარო კაბას ვადიცმევდა და გარეთ გამოვარდებოდა, ჭიშკარი უკვე გაიხურეს მილიციელებმა და პატიმართ ორღობეში დაეშვნენ.

მარო დარბაზში გამოვარდა. შუა ოთახში ტასო იდგა, გარს შვილები შემოხვეოდნენ. მარომ მუხლებში სიძაბუნე იგრძნო, ტახტზე დაეშვა გამშრალი და გაოგნებული.

ყველაფერი გათავდა, ყველაფერი დასრულდა ასე მალე, ასე-სიზმარივით გაჰქრა რამდენიმე ბედნიერი წუთი!

თავი მესამე

მარო თავისიანებს წერილს წერდა და თან ცრემლით ასველებდა, ასე მალე გაუვებდურდი, ასე მალე დამადგა შავი დღეო, შესჩიოდა მამას და დებს. არაფერს უმაღავდა, დიდსა და მრავალი ამბის შემცველ წერილს უგზავნიდა. დილას, შინაური საქმეები რომ მოითავა, სონა გაიყოლა სოფელში და ფოსტაში მივიდა.

აგერ სამი კვირაა, რაც კავთისხევში ცხოვრობს და სოფელში პირველად ჩაიარა. დიდი და მხარგამოლილი სოფელია, ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილა სახლები. როგორც ქართლის სხვა სოფლებში, აქაც ბალ-ვენახები და სახნავ-სათვის მიწები სოფელს გარშემო აკრავს. შორს ზურმუხტოვანი მთები ჩანან, ახლოს გორაკები ტყით შექოჩრილან.

სოფელში უამრავი ახალგაზრდა ჩანდა, ლამაზი და ზრდილი ხალხი, თავაზიანი და საღმიანი. მაგრამ მარო არავის აქცევდა ყურადღებას. გული სტკიოდა, მე ახლა ქურდის ცოლი მქვია და ვაი თუ ზიზლით შემომყურებენო.

წერილი ყუთში ჩაუშვა და მაშინვე მობრუნდა.

გზაში სონა ვიღაც ბიჭმა შეაჩერა. ღობესთან იდგა, თითქოს განგებ გამო-სულიყო ქალების დასახვედრად.

— რა გინდა, ბიჭო?

— აქეთ მოდი, რამე უნდა გითხრა.

სონა მიუახლოვდა. ბიჭმა ხმადაბლა ჰკითხა:

— ეგ ვიგო ვინ არი? წელან რომ ჩაიარეთ, დაგინახეთ და გამოველ.

სონამ წარბი შეჰკრა.

— ვინ არი და ჩვენი რძალია, ფილოს ცოლი... შენ თვალები დაიმიწე, თორემ ფილოს ვერ გადაურჩები!

— ბოდიში, სონა... მე რა ვიცოდი, რომ თქვენი რძალი იყო... ფილო კი კარგა ხანს იქნება ვირის აბანოში და ეგ ვიგო ცოლოა...

— გაგიხმა ეგ ენა! — მიახალა სონამ, ქოქოლა მიაყარა და ნელის ნაბიჯით მიმავალ მაროს წამოეწია. მაროს არაფერი უეითხავს, არც აინტერესებდა, რისთვის შეაჩერა ბიჭმა. სონა გაბრაზებული იყო.

შინ ამოვიდნენ. ტასო ცეცხლითა და მახვილით დახვდა ორივეს.

— აიღვით ფეხი, პა... უქნარებო, უქნარებო! პატარძალო, სოფელში სიარულს მოუკელი და აქ მოგვეხმარე, თორემ!..

— დედი, რა იყო, რა მოგივიდა?! — წამოენთო სონა და მაროს მიემხრო, — დღეს პირველად გავიდა და...

— ხმა ჩაიციე, შე არგასახარებელო. გაბოზდეს, რა მენალვლება... მაგრამ აქ საქმეა, საქმე!

— დედი!



მარომ ერთი მწყურალად შეხედა ტასოს და შინისაკენ გაიქცა. „დავრჩივარა თუ ტო ამის ამარა და სულსაც მიმწარებს! ჩამოვა მამაჩემი და ის მოუვლს მაგას. უნდათ აქედან წავიდე და თავად იპარპაშონ... წინააღმდეგობა, მაგრამ რა ვუთხრა მერე ფიდოს, ის ხომ სამუდამოდ ციხეში არ იქნება? არა, არა, მე აქ დავრჩები, ბოლომდე ერთგული ჩემი სიყვარულია... გამამწარებს ტასო? გავამწარებ მეც!“

გული ამოვარდნას ჰქონდა. ნეტავ კი შეეძლოს თმებით დაითრიოს ტასო, ათრიოს და ჰგვემოს ისე, რომ მისი წვივლ-კვილი ცასა სწვედებოდეს, ნეტავ შეეძლოს ფრჩხილებით დაუქაწროს სახე, დასჩიჩქნოს თვალები. არავის მიმართ ისე ბოროტად ანთებული არ ყოფილა მარო, როგორც ახლა დედამთილნაცვალის მიმართ.

მინც რა უკუღმართად აეწყო ცხოვრება! მინც როგორ უკუღმართ ოჯახში მოხვდა! სამი კვირა სამ წუთსა ჰგავდა, სიზმარს გავდა, ერთ მწარე სიზმარს. ტასო გარეთ იფრინებოდა, სონას სწყველიდა და ზედ მაროს გინებდასაც აყოლებდა. მისი ხმა მაროს ოთახში აღწევდა და გესლად ვლვრებოდა გულში.

დადნა მარო, დაილია, სარკეში ჩახედვის ეშინია, რომ თავისი გაუბედურებული სახე არ დაინახოს. სამი კვირის წინ იყო სწორედ, სარკე მისი მეგობარი გახდა, შიგ ხედავდა თავის ორეულს და თავის თავს მისი შემწეობით ამოწმებდა, რთავდა, აღამაზებდა და საოცნებო ბედნიერებისაკენ ილტვოდა. ახლა აღარ უნდა სარკე, მარო კეკლუცად ველარ შეხედავს თავის ლამაზ თვალებს. ორეულს ველარ გაანდობს სიყვარულის საიდუმლოს, თავის თვალებში ველარ დაინახავს სიხარულს. ამიერიდან მაროს ცხოვრების გზა ციხისკენ და ციხიდან შინისკენ იქნება. ამიერიდან უნდა ისმენდეს ტასოს გაუთავებელ წყევლასა და გინებას. სოსა მინც გამოჩნდებოდა, მაროს ეს ერთადერთი საიმედო ქომაგი. ის რომ აქ იყოს, განა ამდენს გაუბედავდა ტასო. მაგრამ ახლა სოსას ალბათ აღარ სცალია, სექტემბერი დადგა. სკოლაში მეცადინეობა დაიწყო. ჩამოვა გაბრიელი და ის მოურიგდება ტასოს, ხმას ჩააწყვეტინებს და მარო ქმრის ნივთებთან დარჩება მანამდე, სანამ არ დაბრუნდება ფილო.

ნაშუაღამევს მაროს დარბაზიდან ხმაური მოესმა და ადამიანთა ჩურჩულიც გაიგონა. დათას და ტასოს ხმა იცნო. კარის ჰრილში სინათლე არ მოჩანდა, ეტყობოდა ცოლი და ქმარი ბნელში ისხდნენ. საკუთარ სახლში სინათლის ანთებისაც კი ეშინიათ. ალბათ ქურდულად, ფრთხილად შემოიპარა დათა, რომ არავის დაენახა. ქვეყანას ემალება და ქვეყანაზე მინც არსებობს. როდემდე, როდემდე ივლის გარე-გარე? ერთხელაც იქნება და, ხომ უნდა გამოჩნდეს დღის სინათლეზე?

ეტყობოდა სხვაგან დიდხანს ვერ შეინახა თავი და ისევ მშობლიურ კერას დაუბრუნდა. მაგრამ ვაი, რომ აქაც ბნელში ზის და ვერაფერს ხედავს!

ტასო ურჩევდა, შინ დარჩიო. ისევ აქ გიჯობს დამალვით, კერძს მინც მოგაწვდით, შე უბედურო, ჩაიწუწუნა თანაც.

დათა დაეთანხმა და ცოლს უთხრა, სხვენზე გაეშალა ლოგინი.

ცოტა ხანს ისმოდა ფრთხილი ფეხის ხმა. მარომ გაიგონა, როგორ გაიარეს ტასომ და დათამ სხვენში. მერე ყველაფერი მიყუჩდა.

მაროს უძილობა დასჩემდა. მხოლოდ განთიადისას კურდღლის ძილით წასთვლემდა და მთელი დღე გაბრუებული დაიარებოდა.

ძილით დათამ რძალი აიხმო სხვენზე. ტასო ჩამოეგზავნა დასაძახებლად. იმ დღის შემდეგ, რაც ფილო იმ საცოდავ ყოფაში იხილა, მაროს ზარავდა სხვენისკენ გახედვა, სულ ის ეჩვენებოდა: ფილო ჩამოფლეთილი სამოსით და გაბანჯგლული, დაქაწრული, კუთხეში მიმჯდარი... არა, ეს უკანასკნელი, რაღაც



მოჩვენებითი სახება, მაროს გონებაში ვერ დაჰტარავს ფილოს ვაჟაკურ მზიურ სახეს... მაგრამ სხვენიში ნახული და განცდილი მაინც მწარე და გულსაკლავი იყო.

მარო ფრთხილად შევიდა მამამთილთან.

კრამიტებშუა ვიწრო ზოლებად იღვრებოდა სინათლე. სხვენი საკმაოდ განათებული იყო. კასრებსა და ყუთებს შორის, თივაზე, ლოგინი იყო გაშლილი და ზედ ჩაცმული დათა წამოძვდარიყო. მასაც მოშვებული ჰქონდა წვერი. საკმაოდ გამოცვლილი და ულამაზო ეჩვენა მაროს. მხოლოდ ფოცხვერის მოელვარე თვალები ისევ ჯიქურ და ჯიუტად იყურებოდნენ.

ქალი მიესალმა და მორიდებით გაჩერდა შორიახლო.

— აქეთ მოდი და დაჯექ, ორიოდ სიტყვა მინდა გითხრა.

მარო ყუთზე ჩამოჯდა.

— ფილოსი რა ისმის?

— აბა რა ვიცი. მე ვინ რას გამაგებინებს!

— შენ თვითონ უნდა გაიგო.

— მე როგორ!

— კასპში უნდა წახვიდე და მილიციაში გეტყვიან.

მარომ ამოიოხრა. ცრემლი მოადგა თვალებში.

— ჰო... სოფელში სიარულს ვერიდე... აბა რა საქმე გაქვს. თუ რამე დაგჭირდეს, სონას უთხარი და ის გაგიკეთებს... კასპში კი უთუოდ უნდა წახვიდე და ყველაფერი გაიგო. ტასოს გავგზავნიდი, მაგრამ შენ უფრო გეტყვიან, სად არი და როგორ არი. არავისთან დაგცდეს, რომ მე აქა ვარ. ფილოსაც ნუ ეტყვი, ყურს დაგიგდებენ. მითხარი, ხო წახვალ?

— წავალ, მაშ არ წავალ! ვანა მე არ მინდა, რომ გავიგო...

— ჰოდა, წადი... ცოდოა ბიჭი...

— მერე და თუ ცოდოა... — წამოიძახა მარომ, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, უფრო დიდის და აუცილებლის, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და სხვენიში შემოსასვლელი კარისკენ გაიხედა. მერე სწრაფად წამოდგა და წავიდა.

დათას სიტყვა არ დაუდევნებია. რძალს თვალი გააყოლა, ვიდრე იგი სხვენიდან ბანზე არ გადახტა.

მარომ სონა თან წაიყოლა და იმავ დღეს დაადგა კასპის გზას. ტასოს არ ესმოდა მათი გამგზავრება, მაგრამ დათას ნებას წინ ვერ აღუდგა. გზადგასულებს მწარე სიტყვა მაინც მიაყოლა.

სადგურამდე ეტლით იმგზავრეს. კასპში მატარებლით ჩავიდნენ.

ეს იყო დაბა, ცემენტის დიდი ქარხნით, ერთსართულიანი და ორსართულიანი პატარა სახლებით, ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელი ქუჩებით.

მზესა და ქარს გამოეშრო მიდამო, დახეთქილიყო დაგვალული მიწა. დაბის შემოგარენი ხრიოკი გორაკები იყო, დასავლეთით ველი იშლებოდა. ეს გულგახსნილი მხარე მზის აღმურში გახვეულიყო. იქით შორეული მთების ცისფერი კონტურები მოჩანდა.

ქარი კაბას სხეულზე ატმანინდა მაროს და სონას. რკინიგზა გადაჭრეს და დაბის მთავარი ქუჩის აღმართს აჰყვნენ. სოფლური მყუდროება სუფევდა დაბაში, მხოლოდ მეტეხისაკენ მიმავალი მატარებლის შორეული ხმა მოისმოდა.

კითხვა-კითხვით მიავნეს რაიონის სამილიციო განყოფილებას. ბათხში ორ-



ნი იყვნენ, მორიგე მილიციელი და უცნობი მამაკაცი. მილიციელი იმ უცნობს უტყუარდებოდა:

— უფროსი აქ არ არის, მე რა გაგიკეთო, რას ჩამაცივდი, კაცო?!

მილიციელმა შემოსულთ მიხედა და უცებ თვალთ გაუნათდა. ეს ხომ ის ქალია, ამას წინათ ქმართან ჩახვეულს შიშველი მკერდი რომ დაეუნახეო, უმაღლე იცნო და დაცხრა. მაროს ერთი სიტყვაც არ ჰქონდა ნათქვამი, მილიციელი სახის მანჭვით დახვდა:

— ქმრის თაობაზე მოხველ, განა?

— ჰო, ქმრის თაობაზე... თქვენ რა, მცნობთ?

— ჰო, მე წამოვიყვანე ფილო.

— ახლა სად არის?

— თბილისის ციხეში გავგზავნეთ. გამოძიება მიდის. ხანდახან ამოვიყვანთ ზოლმე... სასამართლოს კასპში დანიშნამენ.

— სასამართლო როდის იქნებაო?

— როცა იქნება, მე თვითონ ამოვალ კავთისხევეში და შეგატყობინებთ, სასამართლოზედაც დაგასწრებ, მანამდე ქმართან შეგახვედრებ.

მარო ვააოცა ამ კაცის ასეთმა მზრუნველობამ. სონას გადახედა. სონაც განცვიფრებით უყურებდა სახეგალიმებულ მილიციელს და არ მოეწონა მისი სხვანაირი, არშიყი გამოხედვა. მილიციელი ახლა იმ უცნობ მამაკაცს მიუბრუნდა:

— მე უკვე გითხარი... აქ რაღას უტდი?

უცნობმა ხელი ჩაიქნია და ბურტყუნით გავიდა ოთახიდან. თავი რომ მარტო დაიგულა ქალებთან, მილიციელი უფრო მეტად თავაზიანი გახდა.

— დასხედით, ფეხზე რად დგეხართ. აი, სკამები.

— გმადლობთ, გვეჩქარება, — სწრაფად მიუგო სონამ, — არც დაჯდომა ვვინდა და ნურც კავთისხევეში ამოხვალ... ჩვენ თვითონ გავიგებთ ყველაფერს. წამო, მარო!

— რა ენამწარე ყოფილხარ, გოგო! — უხერხულად შეიშმუნა მილიციელი და ოთახიდან გამავალ ქალებს კიდევ ხარბად შეავლო მსუნავი თვალები.

სონა ლანძღვით მიდიოდა. მარო არაფერს ამბობდა, მისთვის გასაგები იყო ყველაფერი, მილიციელი უტიფარი ჩანდა და შიშობდა, მართლა არ ამოეხეტოს კავთისხევეშიო.

არც თუ სასიხარულო ამბავი მიუტანეს დათას. იგი მღუშარედ უსმენდა რძალსა და გერს, მერე ერთი დარდიანად ამოიოხრა, ლოგინზე მიწვა და საბანი წაიფარა.

თავი მეთექვსმეტი

მარო, სონა და გუგულა ვენახში გადასულიყვნენ. ტასო შინ იყო, ქმარს ყარაულობდა, ეზოს ჰგვიდა და გულს ამაზე აყოლებდა. ამირანი თუთის ძირას ტახტზე იჯდა და სათამაშოთი ერთობოდა.

ჭიშკარს უცნობი მოადგა. მოხუცი იყო, თეთრულვაშა და წვერგაპარსული, უბრალო ნაპრის ხალათ-შარვალი ეცვა და უბრალო ფეხსაცმელი. ნაოჭებით დაღარულ სახეზე ეტყობოდა, რომ ბედისაგან დაჩაგრული იყო. ტასოს არასოდეს არ ენახა იგი, წელში გასწორდა და სტუმრის შესახვედრად ჭიშკრისკენ გასწია.

მოხუცი მიესალმა. კაცი რატომღაც დიდგულა და უკმეხი ჩანდა.

— ხოჯერაანი აქ ცხოვრობენ?

ტასო პატარა კარში ჩამდგარიყო და სტუმარი შინ არ შეუწვევია.

— ჩვენა ვართ ხოჯერაანი.

— თქვენ ვინ იქნებით ხოჯერაანისა? ტასო ხომ არა?

— ტასო ვარ... საიდანა მცნობ?

— მე გაბრიელი ვარ, თქვენი მძახალი, მაროს მამა... შინ მაინც შემისვი-სტუმარს ასე ხედებიან?!

— მობრძანდი, გეთყავა, მობრძანდი, — ტასო გზიდან ჩამოეცალა, — მაროს მამის ჩამოსვლა როგორ არ გაგვეხარდებ! უკაცრავად კი ვარ, კარებში რომ ჩა-გიდექი, მაგრამ... მე სხვა მეგონე.

შემპარავი, რბილი და ალერსიანი ჩანდა ტასო. გაბრიელმა ერთი კი შეხე-და თავიდან ფეხებამდე, მერე ხელი ჩამოართვა და შინისაკენ გასწია. ტასო გვერდში ამოუდგა და გაჰყვა.

— მარო შინ არი?

— ვენახშია... ახლავე დაეუძახებ, — ტასო მამინვე შებრუნდა ვენახში გა-დასასვლელად, მაგრამ გაბრიელმა შეაჩერა:

— არ გინდა. ჯერ ნუ დაუძახებ. თქვენთან სალაპარაკო მაქვს და იმიტომ ამოველ.

ტასო გულმა რეჩხი უყო. ხმის კილოზე და გამოხედვაში ეტყობოდა, რომ მძახალი ტყბილი სიტყვისათვის არ იყო მოსული. რახან ასეო, გაიფიქრა ქალ-მა, მეც რიგიანად დაგხედები, არ გეგონოს სიტყვისათვის ცხრა მათს იქით გა-დავიდე ისეთ დღეს დაგყარი, რომ შენი შეკრული კოხებით ისევ თბილისში გარბოდე. ძალიან დიდგულად კი მობრძანდი და ვნახთო, რა ბიჭი ხარო!

ეს გაიფიქრა, მაგრამ შინ მაინც თავაზიანად შეიბატიეა, ოღონდ კილო გა-პოიცვალა, სკამი დაუდგა და უთხრა, დაჯექით.

გაბრიელი ჩამოჯდა და ჯერ დარბაზს მიმოხედა, მერე თავისი დახეთქილი, დაკოყრილი მუშა ხელები მაგიდაზე დააწყო და ტასოს შეხედა.

— ამოველ იმისათვის, რომ ჩემი მარო წავიყვანო, — თქვა დაბალის ხმით. ეს კილო არ გავდა წედანდელს, ახლა უკვე ხმა უთრთოდა მოხუცს. იგი თავს იკავებდა, მოზღვაებულ ვარაშს გულში იხშობდა.

— ჰო, კარგს იზამ, მამ რა... ქმარი დაუჭირეს, ვინ იცის როდის დაბრუნ-დება... ცოდოა, ისევ თავის ოჯახში ურჩევნია. მამ, მამ, — ტასომ ჩქარ-ჩქარა მიაყარა ეს სიტყვები და ხელში შერჩენილი ცოცხი კართან მიაგლო.

— რად გამოუბედურეთ გოგო? განა იმისათვის გამოგატანეთ, რომ ერთ თვეში სული გაუმწართო და დაადნოთ?! ქურდსა და ოხერს როგორ ჩაუუგდე ხელში, ვაი, შენ ჩემო თავო! მეგონა ერთი რიგიანი ბიჭი იქნებოდა, — ძარღვები აუთრთოლდა და ხმას აუწია გაბრიელმა, — შენ, შენ რაღა დაგიშავა, ქალო?

— მე? ჩემთვის რა უნდა დაეშავებინა! — აწრიალდა ტასო და თვალეზან-თებულ, გუნებაამღვრეულ კაცს უკმეხი სიტყვა ვედარ შეხედა.

— ვაი-ვაგლახით ნაზარდი გოგო გამოგატანეთ, პატროსანი, ერთგული... აქ რა ავი ზნე შეეყარა, რომ სული ამოუღეთ? მითხარი ერთი!

— საჩუბრად მოხვედი? ერთმანეთს პირველად ვხედამთ მძახლები და... ჩხუბი ნუ იქნება, თორემ ეგ ჩემი მოგონილია! — თვალეზი დაანთო ტასომ, კა-რისკენ შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია ვარეთ, — ახლავე გადმოგითრეე იმ შენს გოგოს და ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

ტასო კართან არ იყო მისული, რომ ჰერზე ბრახუნი გაისმა. გაბრიელმა გაკვირვებით ახედა. ოთახში შემოსულ მზის სხივებში ჰერიდან ჩამოყრილი მტვერი თეთრად აციმიციმდა.



დათა უხმობდა ტასოს. ქალმა გეზი იცვალა და სხვენისკენ გასწია.

საქართველოს
მწიგნობართა
კავშირი

— მე ყველაფერი გავიგე, — უთხრა ქმარმა, როცა ტასო სხვენში შევიდა, — მანდ მაროს მამა, გაბრიელი, მოსულა და ჩხუბობს... შენ რაღა დაგემართა, ქალო? ახლა ჩხუბის და ყაყანის დროა? არ შეგიძლია კაცს რივიანად დახვდე? უთხარ აქ ამოვიდეს.

— მე ვერაფერსაც ვერ ვეტყვი. მაროს წაყვანა უნდა. წაიყვანოს, თავში ქვა იცეს და მუცელში სამართებელი. ნეტა ეს გომბიო რაღას ავიკიდეთ ჩვენს ქირად.

— სუ, რძალს ნუ ლანძღავ, დედაკაცო... მაგ კაცთან ტკბილი სიტყვა დაიჭირე... უთხარ, აქ ამოვიდეს, — დათა ფეხსაცმლის ყაითანს მისწვდა და შეკვრა დაიწყო.

ტასოს ძალიანაც არ უნდოდა გაბრიელისათვის ქმრის დანაბარები ჩაეტანა, მაგრამ მეტი რა შეეძლო, ქმრის სიტყვას შესრულება უნდოდა. ბუზღუნით ჩავიდა დაბლა, შინ არ შესულა; გაბრიელს, რომელიც კვლავ მაგიდასთან იჯდა, ღია კარიდან შესძახა:

— სხვენში ადი, შენი მძახალი გეძახის.

— სხვენში სტუმარს არ ლებულობენ, — მკვახედ მოუჭრა გაბრიელმა, — ის თუ კარგი კაცია, ჭერში რა უნდა, აქ ჩამოვიდეს!

ტასო სახლს გამოვრდა, ვენახის გვერდით სიმინდში შესულ მაროს დაუძახა. მარო ყანიდან გამოვიდა.

— გადადი შინ, მამაშენი მობრძანდა, აიკარ შენი გულა-ნაბადი და გაჰყევ!

მარო სიხარულით შეერთა. ტასოს ხმის კილომ და სიტყვებმა აგრძნობინეს, რომ მამას ხოჯერაანთ ოჯახში მკვახე სიტყვა მოუტანია. მაგრამ ახლა მაროსთვის სულ ერთი იყო, გაბრიელი ლანძღვით შეხვდებოდა მძახლებს, თუ ტკბილი სიტყვით. ქალს მფარველი უნდოდა, გულის გამმაგრებელი ადამიანი. და თუ არა მამა, სხვა ვინ გამოჩნდებოდა ასეთი. ტასო მართო გასალანძლი კი არ არის, მას სამუდამოდ უნდა ჩააკმედინოს ხმა ვინმემ. მარო სწორედ ამის გამო უხმობდა მამას. გაბრიელი იმ წერილის მიღების შემდეგ მწარედ რომ შეხვდებოდა მძახლებს, ამის იმედი ჰქონდა მაროს. ოღონდ დაეხსნან, მწარე სიტყვას ნურვინ ეტყვის მაროს და სხვა არა უნდა რა მეტი. ერთგულად მოუვლის ქმრის კერას და გულწრფელად შეინახავს მის სიყვარულს. „აიკარ შენი გულა-ნაბადი და გაჰყევ!“ ნაღველის სიმწარე ჰქონდა ტასოს ამ სიტყვებს და უცებ გული ქვად ექცა მაროს. მამა ახლოს ეგულებოდა, სიმხნევე მიეცა, თავი ამყად შემართა და დედამთილნაცვალს მიუგო:

— სად უნდა წავიდე, რას ამბობ! ფილოს არ გავუგდივარ. — თქვა და ადგილს მოწყდა.

გაბრიელი მაგიდასთან იჯდა და შვილს ელოდა. ჭიშკრის ჯახანი და შვილის ნაცნობი ფეხის ხმა გაიგონა. ოთახში მარო შემოიჭრა.

— მამა! — დაიძახა და ყელზე მოეხვია, გულში ჩაეკრო. აქვითინდა და ათრთოლდა.

— რა დღეში ჩავარდნილხარ, შე საწყალო, — ხმაში ცრემლი გამოვრეოდა გაბრიელს და შვილი რომ ტირიოდა, თავადაც ეტირებოდა. — წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას.

— განა ამისთვის დაგიძახე, მამი, რომ აქაურობას მომაშორო. რომ წამოვიდე, რა ვქნა მერე...

— რეებს ამბობ. გოგო? შვილი სატანჯველად სხვას როგორ ჩავუგდო ხელში. შენი მამამთილი ჭერში იმალება, ქვეყნად ვერ გამოჩენილა, ქმარი ქურდო-



ბისთვის დაიპირეს, დედამილი სულს გიმწარებს... რა დაგრჩენია ამ ტიალ რაში! ადე, ადე, ახლავე წამოდი, თორემ სული მეწამლება!

გაბრიელმა თავისი გაიტანა, შვილს ბარგი-ბარხანა აუკრა და თან გაიყოლა. ისე წავიდა, რომ სხვენში მიმალული მძახალი არ ინახულა, არც შვილი გაუშვა გამოსამშვიდობებლად. მარომ თავისი ოთახის კარი დაჰკეტა და გასაღები თან წაიღო იმ იმედით, რომ თავის პატარა ოთახში დასტოვა რაღაც ნივთი თუ სული, რაც ფილოს აგონებდა, რაც ფილოსთან აკავშირებდა. სათუთად გამოეთხოვა ქმრის ნივთებს. მამის უჩუმრად გულში ჩაიკრა ფილოს ხალათი, რომელსაც ჯერ კიდევ დასცემდა ვაჟის სუნი.

ვენახიდან გადმოსული ტასო გზაზე იდგა, როცა მამა-შვილმა უკანმიუხედავად ჩაიარა მტკრიანი შარა, ჩრდილიანი ორღობე და ქვემოთ, ქვის ყორესთან თვალს მიეფარნენ.

დათას ერთი კრამიტი ამოეღო სახურავზე და იქიდან იჭვრიტებოდა, საათობით გზას თვალს არ ამორებდა და ეზოსაც გაფაციცებით ზვერავდა. ტასოს სოფელში გაუშვებდა ხოლმე, გამიგე ხალხი რას ლაპარაკობს ჩემზე და მთავრობას კიდევ ხომ არ ვახსოვარო. მაგრამ ტასო სოფელში ვერაფერს იგებდა, ხალხი უნდობლად უტყუროდა მას და მის ოჯახს.

დათა გზას გაჰყურებდა. კარგა ხანია აქეთ არ გამოჩენილა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტატე ბერბიჭაშვილი, ერთი ოყრაყი, შუახნის კაცი. ახლა გზაზე გამოჩნდა ტატე. მარტო მოდიოდა, ქუდი წარბებამდე ჩამოეთხატა და ნელა მოაბოტებდა, თითქოს ტალახში მიდისო. კერპი და თვენათქვაბა იყო, ჩამოსხმული, რინიანი, და ცოტა არ იყოს, ყიამყრალი ენა ჰქონდა.

გინება თითქოს შთამომავლობით მოსდგამდა.

სოფელში ჯერ კიდევ ახსოვდათ მამამისი, ჭიჭია ბერბიჭაშვილი, რომელიც ქალსა და კაცს გინებას მოწყალეობასავით გადმოუფედებდა, ხოლო როცა გულმოსული იყო, მტრისას.

ტატემაც გაბრაზებისას იცოდა სამსართულიანები.

გულმართალი კი იყო. სწორედ ამ თვისების გამო აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

დათა თვალს არ ამორებდა ტატეს. ყოველ დღე ან მისი ან საბჭოს თავმჯდომარის მოსვლას ელოდა. და აი, კოლექტივის თავკაცმა დათას სახლ-კარი-საკენ გადმოუხვია, ჭიშკარი შინაურით შეაღო და ეზოში შემოვიდა.

— ეი, ხოჯერაანო! ვინა ხართ შინა? — დაიძახა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

დათამ სული გატრუნა. ასე ეგონა სუნთქვასაც გაუგებდა თავმჯდომარე.

— ხოჯერაანო! — ერთხელ კიდევ გაბრაზებით დაიძახა მან და კარმაც გაიჭრიალა, თავშალის სწორებით ტასო გამოჩნდა. დათას გული მოუვიდა, ეზოში რომ არ დახვდა ვინმე და მთავრობის კაცი სახლამდე მიუშვეს.

— დაყრუვდით? რა მოგივიდათ?! — ბერბიჭაშვილმა მკვახელ უსაყვედურა ტასოს და თუთის ზისაკენ წავიდა, რომ იქ ტახტზე ჩამომჯდარიყო, აღმართში მოღლილი მუხლი დაესვენებინა.

— ბოდიში... რა ვიცოდი... ამ ბოლო დროს ყურთ დამაკლდა და... — თავი მოისაწყლა ტასომ და თავმჯდომარეს მიჰყვა.

— როცა გინდათ, ყურთ გაკლიათ, როცა გინდათ, არ გაკლიათ, — აბურტყუნდა ბერბიჭაშვილი. ტახტზე ჩამოჯდა და ღრმად ამოიქმინა. ტასო იქვე მახ-



ლობლად გაჩერდა. დათამ ასი თვალი გამოისხა და ასივე ბერბიჭაშვილს დაუ-
მიზნა.

— ჰა, როგორა ცხოვრობთ, ხოჯერაანო?

— რა ვიცი... აი, ასე.

— მაინც როგორა? დათა სად არი?

— აბა რა ვიცი, სად არი!

— შენმა სიცოცხლემ, არ იცი... მიწის ქვეშ კიანჭველა რას აკეთებს, ის იცი და დათა სად არი, სად იმალება, ის კი არ იცი? ვნახოთ, სანამდე იწაწალებს... შინ არ მოდის ხოლმე?

— არა, გეთაყვათ, შინ რა უნდა, ხო დაიჭერთ! — ვითომ გულუბრყვილოდ გაიოცა ტასომ. ამჯერად დაიბნა, მოირღვა ქალი. სადღა იყო მისი დიდგულობა, სადღა იყო მისი მკვახე სიტყვა! თავმჯდომარეს თვალებს ვერ უსწორებდა და ყოველ წუთს მისგან რაღაც საშინელს ელოდა.

— ბანდიტები ხართ. თქვენი დედა კი!.. — უცებ ყიამყრალად შეიგინა ბერბიჭაშვილმა და ტასოს თვალები დაუბრიალა. ქალს ენა მუცელში ჩაუვარდა.

თავმჯდომარე ერთ ზანს ღუმდა, მერე ტასოს ალმაცერად გამოხედა და ჰკითხა:

— ყურძენი მწიფს?

ტასოს ყურს ეჩოთირა ეს უადგილო შეკითხვა და წამოიკნავლა:

— შეთვალულია.

— ჰოდა, დამწიფდება თუ არა — მოჰკრიფეთ! კანონი მიწას თქვენ ველარ მოგცემთ. ნარგავების ფულს გადაგიხდით და ვენახს ჩამოგართმევთ. გაიგე, ქალო?

— მერე ხო მშვირები დაწყდით! — თავშალის ბოლოთი ცრემლი მოიწმინდა ტასომ.

— თავს ნუ ისაწყლებ! შენც ქურდობას იქნები მიჩვეული, დაგიქერენ და ციხეში გაქმევენ, — სახე დამცინავად მოღრიჯა თავმჯდომარემ და ტახტს იქით გადააფურთხა, — ნამუსიანად ცხოვრება არ გინდათ, თქვე დალოცვილებო, და ჰამას მოითხოვთ?

თავმჯდომარე წამოდგა, ხოჯერაანთ კარ-მიდამოს მიხედ-მოხედა და აცრემლებულ ტასოს გაუშეორა:

— ეგრე ჰქენით: მოჰკრიფეთ ყურძენი და ვენახი ჩაგვაბარეთ!

— შენი ჰირიმე, ტატე... ნუ დაგელუბავ... ეგ ვენახი ჩვენთვის დიდი რამ არის!... — შესთხოვა ტასომ და ცრემლისღვრას უმატა.

— ჩვენთვისაც დიდი რამ იქნება! — მკვახედ მოუჭრა ბერბიჭაშვილმა. — თქვენ ღვინო კი არა, ცეცხლი უნდა დაგაღვივინოთ კაცმა!

— ტატე!.. ჩემი შვილები მაინც გებრალებოდეს!

— შე შეჩვენებულო, დედა ხარ, შენ არ გებრალება შენი შვილები, მამას არ ებრალება შვილები და მე ვინა ვარ, რომ სხვისი შვილების უბედურება ვიტურო, ჰა? აბა მითხარი ერთი!.. წადი, სოფელსა სთხოვე პატიება. აბა თუ გაპატიებენ! დათას შეატყობინე, ღროზე ჩავიდეს კასპში და თავისი ფეხით გა მოცხადდეს, თორემ...

ერთი კიდევ გადააფურთხა ბერბიჭაშვილმა და წავიდა.

მისი სიტყვები კარგად გაიგონა დათამ. გზაზე მიმავალ თავმჯდომარეს თვალს არ აშორებდა.



მედეა კახიძე

გ ა ხ ს ე ნ ი ბ ა

ნიკოლაძის არბენას
ერთი წამი ვუნდები,
ბიჭბუჭები დამდგარან
ღასველებულ გუნდებით...

მოგონებებს ართავენ
პაწაწინა ქუჩები.
მე არ ვიცი, მათ თვალებს
როგორ გადავურჩებით.

ვეფარებით ერთმანეთს
სამად სამი დაიკო,
რომ გუნდები სამთავემ
თანასწორად გავიყოთ.

ლატორტიმანობს ჭადარი,
თითქოს მივრალი კაცია,
არც ჩვენა და არც ჭადარს
ტან-ფეხზე არ გვაცვია...

როგორც ჩიტი ღაბუა —
ღრო წლებს გაუტაცია,
როგორც თოვლის ბაბუა —
დგას თეთრი აკაცია,
ახლა მე და ჭადარის ხეს
მწვანე კაბა გვაცვია!

კატარა ხათუნის

ჩემო კარგო
მერცხალა,
ვერც ღღეს გნახავ,
ვერც ხვალა!
დაე შენი სიცილი,
შენი აქართულება,
ჩუხჩუხებდეს, ჩქარობდეს,
ჩქეფდეს ნაკადულებად.

ან რად უნდა
სხვა მადლი
ამ ფუძეს და
ამ ადგილს:
დავიშლები უშენოდ,
როგორც ქოხი
ჩალურა,
რომ ჭერს ბუდედ
არ ეკრას
ეგ შენი სიყვარული.

ჩემზე ამბობდნენ — მაისი მოდის,
მე ვგავდი პირველ პაემნის ლოდინს,
მე ცა ვიყავი სუფთა და წმინდა
და გაზაფხულის უუუუნა წვიმა.
ვიყავი წმინდა, ვით ნინოს ჯვარი,
უძირო, როგორც ერეკლეს ჯავარი.
მე ზღვა ვიყავი დიდი და ვრცელი,
მე ვარ ბალახი ნათიბი ცელით.

ახლა მეუღლის ნიბლია ტყვე ვარ,
გადაჩეხილი ვერხვების ტყვე ვარ.
მე ვიყავ დიდი მინდვრების ქარი,
ახლა ქალი ვარ, მყავს ლოთი ქმარი.
დადგა ნისლის და წვიმების დარი...
მე ვიყავ დიდი მინდვრების ქარი!


ი ს მ ო ვ ა

ის მოვა გამთენიის პირას
 და მნახავს ვაზივით მტირალს,
 მოიტანს ამღვრეულ თვალებს,
 ღვინით შეგუდლებულ ქუთუთოს,
 მოვა უგულო და მთვრალი,
 დიღებშეხსნილი და უქუდო.
 საათი ძილისპირულს რეკავს,
 წუთებს ქათამივით კენკავს,
 საათი ძილისპირულს რეკავს, —
 როდის დაბრუნდება ნეტავ!

მე ღავისაჟე

თუმც სინანულის
 ცეცხლი მეღება,
 შენს სახელს რომ არ
 შევიზარებდე, —
 მე არ მივბაძავ
 გრძნეულ მეღვას,
 არ დაგარისებ
 მცხეთის ზარებზე.
 თუმც ჩემად აღარ
 მეიმედები,
 დავთმე ნებისით,
 დამთმე ნებისით,
 მე დავისაჟე,
 როგორც მეღვა,
 სიყვარულის და
 სათნოებისთვის.





მეგობრული

იაპონელი მარტო ის იყო ჩვენს ეზოში.

ერთხელ, როცა კარი გაშიშვლო, დედამ რაღაც გადაკრულად მიიხრა:

— ახალი მეზობელი მოგვივიდა...

— მართლა? ვინ არის?

— იაპონელი...

— იაპონელი?

პალტო უხმოდ გავიხადე და ოთახში შევედი. დედაც შემომყვა. დედას უყვარს ჩემთან საუბარი. სამსახურიდან დაებრუნდები თუ არა, მომიჯღღებდა და ათას რამეზე მალაპარაკებს.



ამჯერად საოქმელი არაფერი მქონდა, სამაგიეროდ დედამ ახალი ამბავი. ახალი ამბავი კი იყო, მაგრამ არც თუ ისე სასიამოვნო.

იაპონელი ჩვენს ეზოში! რომელმა ეშმაკმა გადმოაგდო? საქმე ის იყო, რომ ჩვენს უბანში იაპონელები არ ცხოვრობდნენ. ცალკე უბნებად, ჯგუფ-ჯგუფად უყვარდათ დასახლება.

— მაინც ვინ არის? — ვიკითხე კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— გაიგებ თუ? რიკშამ მოიყვანა. ორი ჩემოდანი მოჰყვია, მეთორმეტე ნომერში ავიდა გონზალვესებთან.

— მერე იმათ თავისუფალი ოთახი აქვთ?

— იმ დედაბრის ოთახი თუ გააქირავეს!..

დედაბერი სამი თვის წინათ გარდაიცვალა. გონზალვესები ღარიბად ცხოვრობდნენ და თავისუფალ ოთახს, ცხადია, გაუქირავებელს არ დასტოვებდნენ. არა, რაღა იაპონელი შეუშვეს შიგ!

დედა თითქოს მიმიხვდა.

— გვარიან თანხას დაცინცლავდნენ. ფულიც მაგათ ხელშია ახლა და... — ისევე იაპონელს გადაჰკრა.

აი, უკვე მეორე წელია, რაც წყნარ ოკეანეში ომია. ქორვაჭრებს გარდა ყველა იძულებულია მუცელზე ქამარი მაგრად მოიჭიროს. მხოლოდ იაპონელებს არ აწუხებთ ეს ამბავი. საკუთარი სამხედრო იენი! გამოუღვევლად აქვთ. ბეჭდური იმდენსა ბეჭდავენ, რამდენიც მოეხსნიათებათ. კურსის დადგენაც იმათი საქმეა. საექსპედიციო არმია სამ მილიონ ხიშტს ითვლის. აი, იაპონელების უზრუნველყოფის წყარო! მორალური მხარდაჭერაც საკმაო აქვთ — საიმპერატორო ჟანდარმერია „კემბეტაი“ მეტს რას აკეთებს. დიდად საიმედო დაწესებულება ვახლავთ. აბა, მიდი და გამოედავე!

შევა მაღაზიაში ყვითელჩექმიანი ჟანდარმი: „თქვენ უარს ხომ არ ამბობთ იენის მიღებაზე? იქნება არა გასურთ კეთილდღეობა დავაძკვიდროთ დიდ აღმოსავლეთ აზიაში?“

კომერსანტს, რასაკვირველია, მუხლები აუკანკალდება:

— არა, რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, მე მხოლოდ...

მაგრამ ყვითელი ქაღალდის ფული, რომელზეც თეთრწვერა მოხუცია გამოსახული, მაინც უნდა გამოართვას. სამაგიეროდ საქონელი უნდა მისცეს. ამ საქონლის საზღაურად ხომ სუფთა ვალუტაა გადახდილი. რა ვუყოთ თუ ფარულად შეიძინა, ფული ფულია!

მაშ, ასე — ჩვენს ეზოში დასახლდა იაპონელი!

მორჩა, გათავდა! აწი ველარ მოუსმენ უცხოეთის გადმოცემებს, თუ ფანჯარა საიმედოდ არა გაქვს ჩაგმანული. ველარც მუდამ გულგაუტეხელ ფილიპინელ მუსიკოსებს გადასძახებ, ჩვენი სახლის შემოსასვლელთან რომ ცხოვრობენ. შინიდან გამოუსვლელად. ფანჯრიდან ფანჯარაში ვერ შეატყობინებ იაპონური ჯავსნოსანის ჩამირვის ამბავს. ერთი სიტყვით, თვალი ფხიზლად უნდა გეჭიროს.

მალე დაეინახე კიდევ ის იაპონელი. ჩვენს ფანჯარასთან ჩაიარა. უზომოდ გამხდარი, ჩხირებივით ფეხები ჰქონდა, უშნო ტანი, გაძვალტყავებული გრძელი ვისერი, ხვანჩიანი ყელი, რომელიც ასე გრძელი იმიტომ ჩანდა, პალსტუხს არ ატარებდა და ერთთავად გულგაღვლილი დაიარებოდა.

ერთი სიტყვით, უცნაური იაპონელი იყო. ბევრი რამ ჰქონდა უცნაური: ჩაცმა-დახურვას, მაგალითად, არას დაგიდევდათ. (იაპონელები პედანტურად

1 იაპონური ფულის ერთეულია.



აცვამენ, წელში გამართულნი დაიარებინან), იაპონელისათვის დამახასიათებელ ფუნქციურ სიფხიზლე არ გააჩნდა. იაპონელები სიარულშიც ამკლავ-ნებენ სიფხიზლეს. ამავე დროს ღარიბი იყო.

განა არ ვიცი, იაპონიაშიც არიან ღარიბ-ღატაკნი, ისევე, როგორც არიან კარგი იაპონელებიც, მაგრამ აქ, ჩინეთში, ასეთები არავის უნახავს.

კიდევ ერთი უცნაურობა ჰქონდა — მაღალი იყო. მე საშუალოზე მაღალი ვარ, ის კი ჩემზე მაღალია. იაპონელისათვის ასეთი რამ თითქმის წარმოუდგენელია. იქნებ ხოკაიდოდანაა წარმომობით ან იქნებ კორეელია? არა, ნამდვილად იაპონელი უნდა იყოს. თვით მეეზოვე ვანმა თქვა, ვანი ჰკვირნი მოხუცია. ამგვარი უბრალო რამ არ შეეშლება.

გვარად კუბოტა ყოფილა. კუბოტა სადარბაზო ბარათში ამოვიკითხე. ეს ბარათი გარედან მიემაგრებინა კარზე, იქ ალბათ სამსახურის ადგილიც იქნებოდა მოხსენებული, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური მაინც, მაგრამ მე აღარ გავჩერებულვარ და ზედმეტი კირკიტი აღარ დამიწყია. გვარი კი კარგად გავარჩიე — მსხვილი ასოებით იყო გამოყვანილი.

კაცმა რომ თქვას, რაში მჭირდება მისი გვარი; ისე, უბრალო ცნობისმოყვარეობა შემოგინდება კაცს, თორემ კუბოტაა თუ ჯანდაბა, სულერთი არ არის? ეს გავრცელებული გვარია.

შინ თითქმის სულ არა ვარ. დილით რედაქციაში მივიღივარ, მერე ქალაქში დავხეტიალობ: ეს პრეს-კონფერენციაო, ის ინტერვიუო, თეატრალური სანახაობანი, სპორტული შეჯიბრებები და ვინ მოსთვლის კიდევ რა.

რედაქციაში სულ შვიდნი ვართ თანამშრომლები. მე პოლიტიკური კორესპონდენტის, თეატრალური რეცენზენტისა და სპორტული მიმომხილველის მოვალეობას ვასრულებ. ხანდახან ქალაქის ქრონიკასაც უნდა მივხედო. ქალაქის ქრონიკა ერთდროულად რამდენიმე თანამშრომელს გვაბარია და ხომ გავიგონიათ—ორი ძიძის ნალოლიავეები ბავშვი შიმშილით მოკვდაო. სწორედ ასეა ქრონიკის განყოფილებას საქმეც: ორივე ფეხითა კოჭლობს.

კუბოტას იმეიათად ეხვდები, ზოგჯერ, როცა შინ ადრე ვბრუნდები, ფანჯარასთან დავჯდები ხოლმე სუფთა ჰაერზე და იაპონური ფლეიტის გაუბედავ, ძალზე ნაზ ხმებს ყურს ვუგდებ.

ჩემი მეზობელი უკრავს, ისიც ღია ფანჯარასთან დამჯდარა, შესცქერის უცხო, ჩინურ ვარსკვლავებს და წყნარად აკვნესებს მწუხარე იაპონურ ჰანგს.

სპეციალისტები ამბობენ, იაპონური მუსიკა პრიმიტიულიაო. შეიძლება მართალნიც არიან, მაგრამ ამ მუსიკაში არის ისეთი ძალა, რომელმაც არ შეიძლება ადამიანზე არ იმოქმედოს, არ შეეხოს მისი სულის იდუმალ სიღრმეს. ძალაუნებურად სულ იმაზე ვფიქრობ: განა შეიძლება ცუდი იყოს ის ხალხი, რომელმაც ასეთი გულში ჩამწვდომი მუსიკა შექმნა და სიმღერას ასე ღრმა სევდა ჩააქსოვა. მიუხედავად ამისა, გულში მაინც ვერ ჩავახშე უსიამოვნო გრძნობა იაპონელებისადმი.

ჩინეთში ვარ დაბადებული. ჩინეთი ჩემი მეორე სამშობლოა, ჩემი კეთილი მამობილი. იაპონელები ჩემს თვალწინ თარეშობდნენ ჩინეთში. მანჯურების დაპყრობასაც მოვესწარი. განა ამას დაივიწყებს კაცი?

დედამ მითხრა, კუბოტა ყოველ საღამოს უკრავსო. მისი ყურისგდება მეც ძალიან მინდა, მაგრამ სად არის მაგის დრო! სახლის კარს შუალამისას თუ შემივალებ.

კუბოტა შემთხვევით გავიცანი.

ჩვენი სახლის მოშორებით ტროპიკულმა თქემმა მომიხსწრო. ასეთი თქემი



მანხაში წელიწადში ორჯერ იცის. თავი ერთ ჭიშკარს შევადარე. სახელობის კურის ძირში იყო. რალაც ჯანდაბად ამხანავს გადავეყარე ქუჩაში. მიეთ-მოეთს რომ არ მოვეყოლოდით, წვიმას შინ მივასწრებდი და დასველებასაც გადავრჩებოდი.

ახლა იდექი და უცადე, როდის გადაიღებს ეს ლეშტერი, შეიძლება ერთ საათზე მეტს გასტანოს. ვინმე სულიერი მაინც ყოფილიყო ახლომანლო.

უცებ შემოსასვლელში გაშლილი ქოლგა გამოჩნდა და მალე გვერდით გამხდარი, აყლავდა სუბიექტი დავინახე. მუქლურჯი კოსტუმში ეცვა, თავზე ნაცრისფერი ქუდი ეხურა, შარვალი მუხლებამდე ამოეკარწახებინა.

ქოლგა ჯერ დაბერტყა, მერე დაკეცა და ფრთხილად ჭიშკრის ბოძზე მიაცუდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლი შეიმშრალა. სიბნელეში კარგად ვერ გავარჩიე, ვინ იყო.

— წვიმაც ასეთი უნდა! — მომმართა ინგლისურად, მაგრამ ისეთი დამახასიათებელი აქცენტით, რომ უმაღლე ვიცანი იაპონელი.

კუბოტა! დიახ, ის იყო, ჩემი მეზობელი.

— თქვენ კარგა ლაზათიანად დასველებულხართ, — გამოვეხმაურე.

— დიახ, ვიფიქრე, იქნებ სახლამდე მივასწრო-მეთქი. ტყვილად კი დავისველე ფეხები...

„ნუ გეშინიან, არ დადნები!“ — გავიფიქრე და ჩემდაუნებურად მზერა მის ფეხებზე გადავიტანე. იაპონელის ტიტველი კანკები თეთრად ელავდნენ სიბნელეში. კუნთებიანი, საკმაოდ მოღრეცილი ფეხები ჰქონდა.

— სპორტსმენი ბრძანდებით? — შევეკითხე.

— ისე, ცოტა, — მიპასუხა და გაიღიმა, რადგან მიხვდა ჩემი შეკითხვის მიზეზს, — ბეიზ-ბოლს ვთამაშობ ხანდახან...

რა თქმა უნდა, ბეიზ-ბოლი! ეს ხომ იაპონელების ნაციონალური თამაშია...

— თქვენ? — მკითხა მან უფრო თავაზიანობის გულსათვის.

ბაასი გავაბით, მოვეყევით ამ მთისა, იმ ბარისა, განსაკუთრებული კი მინც არაფერი გვითქვამს.

წვიმამ როცა გადაიღო, სახლამდე ერთად მივედი. სიარული გვიჭირდა, ქუჩები წყალს დაეფარა და ხტუნვა-ხტუნვით გადავიდოდით სახელდახელო ხიდებზე, მეეზოვეებს რომ გაედოთ.

ჩვენი ნაცნობობა მძიმედ ვითარდებოდა. ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით, რადგან შინ სხვადასხვა დროს ვბრუნდებოდით. შეხვედრისას თავს დავუკრავდით ერთმანეთს. ხანდახან ორიოდე სიტყვასაც გავიმეტებდით შანხაის ყბაღაღებული სიციხეების გამო.

აგვისტოს ერთ სიციხიან ღამეს, როცა თვალს რული არ ეკარება, რადგან თვით ბალიშისა და რბილი საწოლის წარმოდგენაც კი აუტანელია, დავრწმუნდი, რომ ოთახში ნიავის ლოდინი უნაყოფო იქნებოდა, სკამი ეზოში გავიტანე და ქანცმილეული ჩამოვჯექი. ეზო წყვდიადს ჩაენთქა: იაპონელები ათი საათის შემდეგ ელექტრონს აღარ გვაძლევდნენ. ეს იძულებითი ზომა იყო, რადგანაც მიუხედავად მთელი სიმკაცრისა, რასაც იაპონელები იჩენდნენ, მოსახლეობა საპაერო თავდაცვის კანონებს აინუნში არ აგდებდა.

უკუნი სიბნელე არასოდეს არ არის სასიამოვნო, ასეთ სიციხეში კი განსაკუთრებით შემაწუხებელია.

გაოგნებული ვიჯექი და იმის თავიც კი აღარ მქონდა, სკამი რომელიმე მეზობელთან მიმეჩოჩებინა და დრო მუსაიფში მომეკლა.

მართალია, აღამიანები არ ჩანდნენ, მაგრამ აშკარა იყო, არავის ეძინა. ხან



აქ ხან იქ კიაფობდნენ წითელი წერტილები ანთებული სიგარეტებისა, ისმოდნენ ძლივს გასაგონი, ბალახის შრიალივით ყრუ ხმა ლაპარაკისა (რატომღაც ბნელში ხალხი ჩურჩულით ლაპარაკობს!), სადღაც ფეხსაცმელი ჭრიალებდა, ეტყობა ვიღაც დასეირნობდა ეზოში, იქნებ დავიღალო და კარგად დამეძინოსო.

უცერად იქვე ახლოს იაპონური ფლეიტის ხმა გაისმა. უნდა გამოვიტყდეთ, ამჯერად არც ეს გამხარებია, თუმცა სიმღერა მშვენიერი გამოდგა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლაში დავდიოდი, ეს სიმღერა მეტად პოპულარული იყო ხარბინელთა შორის.

კუბოტა დიდი გრძნობით უკრავდა, ეტყობოდა ეს სიმღერა თვითონაც მოსწონდა. ისე დაბალ ხმაზე უკრავდა, დარწმუნებული ვარ ჩემს გარდა არავის ესმოდა ფლეიტის ხმა. სამუდამოდ დაკარგული დღეების მოგონებები გროვად მომაწვინენ, როცა დაამთავრა, ვეღარ მოვითმინე, მოვბრუნდი და წავილაპარაკე:

— „ტაკევა ნომიდოკოს“ უკრავდით, ხომ მართალია? საუცხოო რამ არის.

— დიახ, დიახ „ტაკევა“, „ტაკევა“, — ცოცხლად გამომეხმაურა კუბოტა და ვიგრძენი, როცა ამას ამბობდა, თავსაც აქნევდა.

— თქვენ იცით ეს სიმღერა?

— როგორ არა, მე ხომ ხარბინელი ვარ!

— ა სო — დესკა! — წამოსცდა იაპონურ ენაზე და მაშინვე გადააკეთა ინგლისურად: — მოგწონთ იაპონური მუსიკა?

ყველაზე უფრო სწორი და ადვილი იქნებოდა იმის თქმა: დიახ, მომწონს-მეთქი, მაგრამ მე არა მსურდა მეტისმეტი თავაზიანობა გამომეჩინა იაპონელის წინაშე, ისიცა კმარა, რაც თავაზიანი მლიქვნელები ჰყავთ, საუკუნო მეგობრობასა და ერთგულებას რომ ეფიცებიან რაღაც მცირე წყალობის გულისათვის. ამიტომ თავშეკავებულად ვუპასუხე:

— ვერ ვიცნობ კარგად იაპონურ მუსიკას.

ვთქვი თუ არა ეს, ვიგრძენი, რომ მეტისმეტად გადავაჭარბე და მაშინვე დავუმატე:

— მაგრამ რასაც ვიცნობ, მომწონს.

— აი ეს თუ იცით? — მკითხა და კვლავ დაუკრა.

უბრალო და საკმაოდ გულუბრყვილო მელოდია იყო.

— ვიცი, — ვუთხარი, — ეს „კატიუსა კავაი“ არ არის?

— დიახ, თქვენი კატიუსაა, კატიუსა მასლოვა, იცით?

ცხადია, ვიცოდი.

„აღდგომა“ იაპონელთა საყვარელი წიგნია. ეს სენტიმენტალური სიმღერაც მის გმირ ქალზე შეთხზეს.

— წაკითხული კი გაქვთ „აღდგომა“? — ვკითხე საკმაოდ დაურიდებლად.

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა კუბოტამ და თავდავიწყებით დაიწყო ლაპარაკი ამ წიგნის გარშემო.

თავდაპირველად დარწმუნებული ვიყავი, იაპონელის აღტაცება რომანის წმინდა სამიჯნურო ამბით იყო გამოწვეული. იაპონია ხომ შეცდენილ ქალიშვილთა კლასიკური ქვეყანაა. რამდენიმე წინადადების შემდეგ მივხვდი, რომ ვცდებოდი. როგორც ჩანდა კუბოტას არაფერი გამოპარვოდა ამ წიგნისა. ყმა-წვილური აღფრთოვანებით ლაპარაკობდა.

— ყველაზე უფრო, იცით, რა მომწონს? — უცებ თვალი თვალში გამიყარა კუბოტამ, — ტოლსტოი ამ წიგნში არსებული წესწყობილების უაზრობას ქადაგებს.

გავვოცდი.

„არსებული წესწყობილების უაზრობა!“ — პირდაპირ ასე თქვა.

— გეთანხმებით, მეფის რუსეთში არსებული წესები უაზრო და უსამართლო იყო, — მივეუბნე პასუხად.

— არა მარტო რუსეთში! — შემეკამათა წამსვე, — სხვაგან კი ნაკლები უსამართლობაა?

— ნუთუ თქვენშიც ასეა?

— რა თქმა უნდა. იაპონიაში არ ყოფილხართ?

— არა, არ მქონია შემთხვევა, მხოლოდ მანჯურიაში მიცხოვრია.

— ძალიან გთხოვთ, ნუ განსჯით იაპონელებს იმის მიხედვით, რაც თქვენ აქ, მანჯურიაში გინახავთ. ჩვენს წესწყობილებაზე კი რამდენიც გნებავთ, იმდენი ილაპარაკეთ.

— მაგას იაპონელ ხალხზე ამბობთ?

— მაშ, ვისზე. მე მგონია, ხალხს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. იქ, ჩვენში, ყოველივე უკვე დადგენილია. აქ კი ბევრი რამის გაკეთება მოუხდებათ.

— ვის?

— ვისი ხელქვეითნიც ჩვენა ვართ...

— განა თქვენ თავს მათ რიცხვში არ აყენებთ?

— მე პატარა კაცი ვარ. ჯერ იყო და ინსტიტუტი ვერ დავამთავრე. მერე ოფიცრის ჩინიც მივიღე, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჯარიდან დემობილიზაციით წამოვედი.

— რითი ხართ ავად?

— მძიმედ დაპჭრეს ხუნანში, ფილტვში ტყვია მომხვდა. ტყვია ამომიღეს, მაგრამ პროცესი მაინც დაიწყო. ჯარში ჩემი ყოფნა აღარ შეიძლებოდა, დამითხოვეს. ლიაოშანში მინდოდა მეცხოვრა, მაგრამ იქ პარტიზანები მომრავლდნენ.

— შინ რატომ არ დაბრუნდით? იაპონიაში ხომ შესანიშნავი კურორტებია ფილტვებით დაავადებულთათვის?

— მართალია, დაბრუნება აჯობებდა, მაგრამ მე აქ... ერთი გარემოება მაკავებს.

ვეღარ ჩავაცვივდი, რა გარემოება-მეთქი, აზიაში არ არის მიღებული ზედმეტი შეკითხვები. საქმეში, რასაკვირველია, ქალი იყო გარეული.

მართალი გითხრათ, არაფერი მწამს იაპონელი ქალის სილამაზისა, რომელსაც ასე გულმოდგინედ უმღერის დასავლეთის ზოგიერთი პოეტი. იქაური ქალები სიცოცხლეს მოკლებულნი არიან, თოჯინებს გვანან.

ტაიუკი-სანი კი მართლაც ლამაზი იყო. არ ვიცი, სად მონახა ასეთი ლამაზი ქალი: მაღალი, ტანადი, მშვენიერი. ჯიშინი ნათალი სახე და შავი თვალები ამშვენიებდა. ცხვირიც კი, რომელიც იაპონელ ქალებს ძალიან ბრტყელი აქვთ, ტაიუკის თითქმის წუნდაუდებელი მოყვანილობისა ჰქონდა. ყოველივე ამასთან ერთად ის ნამდვილი იაპონელი ქალი იყო. ტანზე მუდამამას ტარი¹ ეცვა. ფეხზე კი გეტები², თმასაც იაპონურად ივარცხნიდა, სიარული რაღაა, იმიტაც კი იაპონელი ქალი იყო. ნახევრად მოხრილ ფეხებს ფრთხილად ადგამდა. სუნთქვითაც სხვანაირად სუნთქავდა, კბილებში იწოვდა ჰაერს და სულ იდიმებოდა და იდიმებოდა.

¹ იაპონური ქალის ტანსაცმელი.

² ხის ფეხსაცმელი.



როგორი მკვეთრი კონტრასტი იყო ამ ქალის თვალის მომპურელ შესახებ დაობასა და ჩემი მეზობლის გარეგნობას შორის. ქვემოდან ზემოთ წაწვეტებულ, კვერცხისებურ თავზე ჩემს მეზობელს მოკლე თმები ისე აფოფროდა, როგორც კურჭლის სახეხ ჯაგარისს. თმა მოკლე იყო, მიკვირდა კიდეც, რა მანქანებით იჩერებდა ასე ერთნაირ მდგომარეობაში, ან რისთვის იწვალებდა თავს. ნუთუ მოსწონდა?!

ტაიუკი გეიშა იყო. იგი კაფეში მუშაობს, ოღონდ ისეთში კი არა, სადაც ყავას სვამენ და ნამცხვარს შექმნიან, არამედ განსაკუთრებულ კაფეში, სადაც სუფრის გაწყობა და ალაგება როდი კმარა, გეიშამ კლიენტი უნდა გაართოს საუბრით, სიმღერით, უარი არ თქვას ცეკვაზე და საერთოდ უნდა მოერიდოს უარს.

ამ ჯურის ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობის დამყარება ევროპაში ან ამერიკაში წამებაა, მაგრამ იაპონიაში, სადაც გეიშები ერთგვარი შარავანდედით არიან მოსილნი, სხვა საქმეა.

კუბოტას დიდხანს და მთელი მგზნებარებით უყვარდა ტაიუკი.

ტაიუკი ხშირად დაიარებოდა მასთან. მუშაობის დამთავრების შემდეგ დილა მდეც კი რჩებოდა ხოლმე. ზოგჯერ (ალბათ, როცა ფული ჰქონდა) კუბოტა თვითონ მიდიოდა კაფეში, საიდანაც ერთად ბრუნდებოდნენ შინ, ორივე შეზარხოშებული. იაპონელს ამისათვის ერთი ბოთლი ლუდი ყოფნის. ხმამაღლა იციროდნენ და მღეროდნენ.

ზოგჯერ კინკლაობაც მოსდიოდათ.

კუბოტა ექვიანობდა, საამისო საფუძველიც ჰქონდა, რადგან ამ ქალისათვის ერთგულება არ იყო მთავარი სათნოება, მაცდუნებელი კი საკმაოდ ბევრი რამ გააჩნდა. მიუხედავად ამისა კუბოტა მაინც უყვარდა. ყველასდა გასაოცრად უყვარდა თავისებური, ყველა ადამიანისათვის კარგად ცნობილი მანონ ლესკოს სიყვარულით.

ქალს კუბოტასათვის წვრილმანი საჩუქრები მოჰქონდა ხოლმე: ხან აბრეშუმის შარფი, ხან პერანგი, ხან კიდეც რაღაც უმნიშვნელო რამ, რის მოფიქრებაც კი ქალს შეეძლო. მაგრამ კუბოტა? ისიც ანებიერებდა სატრფოს საჩუქრებით? არა მგონია. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. საარსებო სახსარიც არ გააჩნდა. ერთი რამ ექვს არ იწვევდა: მისი კავშირი ტაიუკისთან ანგარებით არ ყოფილა ნაკარნახევი. ტაიუკი მთელი არსებით უყვარდა, მაგრამ საწყალ კაცს იმის თავიც კი არა ჰქონდა, ქალი კაფედან გამოეყვანა.

დიდი ხნის განმავლობაში ჩემთვის გაუგებარი იყო, რა საქმიანობას ეწეოდა კუბოტა, თავს რითი ირჩენდა. როგორღაც შემთხვევით ვკითხე, სად მუშაობთ-მეთქი. გამიღიმა და მითხრა:

— თქვენი კოლეგა ვარ, ჟურნალისტი.

— რას ამბობთ! ძალიან სასიამოვნოა. სად მსახურობთ?

— „ტაირიკუ შიმპუში“.

ალბათ ჩემს სახეზე განცვიფრება გამოიხატა; როგორც ვიცოდი, კუბოტა არავითარი მოვალეობებით არ იყო შეზღუდული და დროსაც ისე იყენებდა, როგორც სურდა.

— შტატგარეშე თანამშრომელი ვარ, სამუშაო შინ მომაქვს ხოლმე.

შემდგომი საუბრიდან გამოირკვა, რომ იგი რედაქციას უკეთებს და სტილისტურად ასწორებს გაზეთში შემოსულ ზოგიერთ მასალას — უმთავრესად ბატალურ აღწერილობებს ფრონტული ცხოვრებიდან. თურმე ნუ იტყვიოთ. ლექსებსაც სწერს. ეს კი მართლაც საინტერესო აღმოჩენა გახლდათ.



— სად ბეჭდვით ლექსებს, კუბოტა-სან? რამდენადაც ვიცი, „ტაირიკუ“ შიმპუ“ ლექსებს ნაკლებად ეტანება.

— მართალია, თანაც ცუდებს ბეჭდავს. მე არ ვამბობ ჩემი ლექსები კარგია-მეთქი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მე პატიოსნად მაინც ვწერ, გულწრფელად. ჩემს ლექსებში მარტო ისაა, რასაც გული მეუბნება.

— თქვენი ნათქვამიდან ის ხომ არ გამოდის, რომ „ტაირიკუ“ შიმპუ“ ტყუილებს ბეჭდავს?

კუბოტას ჩაეცინა და აღმაცერად გადმომხედა. მართალი გითხრათ, უცებ მომეჩვენა, რომ მის შემოხედვაში უნდობლობის ნატამალი მაინც იყო.

— თქვენს გაზეთში სულ მართალსა სწერთ? — მკითხა პასუხის მაგიერ.

— დიახ, მხოლოდ მართალს, — ვუპასუხე.

— დარწმუნებული ხართ?

— სავსებით!

— სუბიექტურად შეიძლება ასეც არის, რადგან თქვენ, როგორც ეტყობა, გჯერათ, რასაც წერთ, ობიექტურად კი...

— სუბიექტურადაც და ობიექტურადაც...

— რამ ჩაგინერგათ ასეთი რწმენა?

— იმ იდეამ, რომელსაც ვემსახურები.

— ჰმ, იდეა... რა არის იდეა? — ფიქციაა, მეტი არაფერი. მთავარი იდეა როდია. მოსაწონი იდეები კაცობრიობას არასოდეს შემოკლებია. მთავარი იმ იდეების პრაქტიკული განხორციელებაა.

კუბოტა გაჩუმდა. როგორც შევატყვევ, საუბრის დასრულება უნდოდა.

ჩვენი საუბარი თითქმის ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდებოდა, რადგან ორივე იმას ვცდილობდით, დაგვეცვა ნეიტრალური სული, ისეთი, როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობდა.

აღბათ ამიტომ იყო, რომ ვერასგზით ვერ დავმეგობრდით.

ს.თქემელს მეტისმეტად ბევრს ვიტოვებდით, ორთავე ჩვენთაგანი საწინააღმდეგო მრწამსის, ჩვევების, აღზრდისა და უნდობლობის მიმიე ტვირთს ვატარებდით. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანსა და მთავარ საკითხში ერთმანეთის თანაზიარი ვიყავით, გარეგნულმა სამყარომ ჩვენს შორის გაუვალი კედელი აღმართა, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე ომი მიმდინარეობდა და ორივე მტრულად განწყობილ სხვადასხვა ბანაკში ვიყავით მოხვედრილი.

კუბოტა ბევრი რამის გამო მომწონდა. იაპონელი რომ არ ყოფილიყო, იქნებ ვერც შემემჩნია ეს კარგი თვისებები და არც სათნოების სიმალემდე ამეყვანა, მაგრამ კუბოტა იაპონელი იყო, თანაც ნამდვილი, უფრო მეტიც, კუბოტა სამურაი გახლდათ და წარმოიდგინეთ, ჩუმ-ჩუმად ამაყობდა კიდევ ამ გარემოებით. უბრალოების ფარგლებს არ არღვევდა. მისი ფარული სიამაყე არასოდეს არ ვადადიოდა უქკუო კულდაზიკობაში. მოგვესალმებოდა როგორც კაცი კაცს, გულისამრევი, აშკარად პირმოთნე იაპონური თავაზიანობა მისთვის უცხო ხილი იყო.

მე მომწონდა მისი სიღარიბე, ეს თითქოს აღამალეზბდა კიდევ მას ჩემს თვალში.

იუმორის ფაქიზი გრძნობით იყო დაჯილდოებული. ჰქონდა ის იშვიათი თვისებაც, რაც ასე მიმზიდველს ხდის ებრაელებს — ოდნავ სევდანარევი, შემწყნარებელი დაცინვა საკუთარი თავისა.

ათასცხრას ორმოცდა სამ წელს წყნარი ოკეანის ბატალიაში გარდატეხა



მოხდა. ამერიკელებმა წარმატებით განახორციელეს თავიანთი სტრატეგიული გეგმა და კუნძულიდან კუნძულზე ხტუნვით თანდათან მოუახლოვდნენ იაპონიის მეტროპოლიას. იაპონური ცნობები საომარი მოქმედების შესახებ თანდათან ნაკლებად დამაჯერებელი და სულ უფრო არეულ-დარეული ხდებოდა, ისე რომ ვეღარ აკმაყოფილებდა მათ, ვისაც სურდა სკოდნოდა საქმის ნამდვილი ვითარება ფრონტზე.

სალამობით კუბოტა თავის ფანჯარასთან იჯდა და რედაქციიდან ჩემს დაბრუნებას ელოდა ხოლმე, რათა ახალი ამბები გაეგო. მან იცოდა, რომ, ჩვენ უფრო მეტი ვიცოდით, ვიდრე თვით იაპონელებმა.

როგორც კი დამინახავდა, ფანჯარაში გამოყოფდა თავს და მომაგებებდა:

— სალამო მშვიდობისა, მისტერ... ახალი ამბავი რა იცით?

— დღეს ახალი არაფერია, კუბოტა-სან, — ვუუბნებოდი.

— ახალი არაფერია? კეთილი. მშვენიერი ამბავია! — იტყოდა და სრულიად კმაყოფილი ფანჯარას მოხურავდა.

ერთხელ ვეღარ მოვიტომინე და ვკითხე, რად არიან იაპონელები ასე ეჭვიანი და უნდობლები-მეთქი. ამის ირგვლივ მე მქონდა საკუთარი თეორია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ყოველ წუთს სხვის გაბრწყვებაზე უჭირავთ თვალი, ბუნებრივია, ეჭვი ებადებათ სხვათა კეთილსინდისიერებაში, ეჩვენებათ, თითქოს ის სხვები ატყუებენ მათ და ამგვარად ხდებიან მსხვერპლნი საკუთარი ბიჭიერებისა. მე მსურდა, რა თქმა უნდა, რბილ ფორმებში მისთვის გამეზიარებინა ეს თეორია და დავკვირებოდი, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემი ნათქვამი.

— საქმე იცით რა არის? — მიბასუხა კუბოტამ და კბილებით ჰაერი შეიწოვა, — არ ვიცი როგორ აგისნათ. ერთი ჩემი ნაცნობი თანამემამულე მეუბნებოდა: ყველა უცხოელი გვატყუებს, არავის არაფერი დაეჯერებაო. როდესაც მე არ დავეთანხმე, მითხრა, აი რა შემემთხვა ერთხელ: ერთმა უცხოელმა რაღაც მიაპბო, მე კი, რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, გვიან გავიგე, უცხოელს თურმე მართალი ეთქვა. მერე, იცით რა თქვა იმ ჩემმა ნაცნობმა? ხომ დანახე, რა მიყო უცხოელმა, მართალი ტყუილად მომაჩვენა, მაინც შემიყვანა შეცდომაში და თქვენ გინდათ ამის შემდეგ რაიმე დაუჯერო უცხოელებსო?

ამაზე კი გამეცინა, საკითხი ამოწურული იყო.

ერთხელ სიტყვა მშობლებზე და ოჯახზე ჩამოვუგდე. მაშინვე ვიგრძენი, ეს თურმე მისი სულის ყველაზე მგრძობიარე სიმი ყოფილიყო.

— ეეჰ, ოჯახი... — სკამზე გადაწვა კუბოტა და თვალები დახუჭა. ისეთი გულის ამაჩვილებელი გამომეტყველება მიიღო, სახეზე ისეთმა სპეტაკმა ღიმილმა გადაურბინა, ერთი წამით ლამაზადაც კი მეჩვენა.

ასე გაჩუმებული, თვალებდახუჭული კარგა ხანს იჯდა, თითქოს მშვენიერ სიზმარს ხედავსო. მერე თვალები გაახილა, ახლადგამოღვიძებულივით შემომხედდა და ოდნავ შემკრთალმა, თითქოს ბოდიშს იხდისო, ლაპარაკი დაიწყო.

თავისი ოჯახის ამბავი ძუნწად მომიყვა. ცოცხალი ჰყოლოდა დედა, მამა და ორი და მამამისს საკუთარი სააფთიაქო მაღაზია ჰქონდა. კუბოტამ დამისახელა ქალაქი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ვერ დავიმახსოვრე. კუნძულ ხონსიუს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ეს ქალაქი ღირსშესანიშნავი იმიოთააო, განაგრძობდა კუბოტა, რომ იქ განსაკუთრებული ჯიშის საკურა¹ ხარობს. გაზაფხულზე საკურა ვარდისფერ-ყვითელი ყვავილებით იმოსება. მისთვის რომ გეკითხათ, ამ ყვავილების დარი არაფერია იაპონიაში.

¹ იაპონური ალუბალია.

— ნეტა გაჩვენათ იაპონია აპრილში, როცა საკურა ჰყვავის! — ^{ქართული ენის დაცვა} წამოვიძახე კუბოტამ. — გაზაფხული ხომ წლის ყველაზე საუკეთესო დროა. დედის გულივით თბილი დარები იცის, წყნარი და კაშკაშა. ჰაერი განსაკუთრებით გამჭვირვალე და ნაზია. შინ და გარეთ, ბუნებაშიც და ადამიანის გულშიც იღვიძებს რაღაც არაჩვეულებრივი, შეუღარებელი გრძნობა სიმშვიდისა, განჭვრეტისა და ფიქრებში ჩაძირვისა. საკურა ყველგან თეთრია ან მკრთალი პირისფერი და ქაფქაფა, და ჩვენი ქვეყანა ამ დროს საქორწინოდ მორთულ პატარძალსა ჰგავს.

— კუბოტა-სან, ცოლს რატომ არ ირთავთ? — წამომცდა უცებ საკმაოდ მოურიდებელი შეკითხვა.

კუბოტას არ გაჰკვირვებია.

როგორც ყოველ ღრმად შეყვარებულ ადამიანსა სჩვევია, რაზედაც არ უნდა ელაპარაკა, ან ეფიქრა კიდევ, მიჯნურს არასოდეს შორდებოდა, სულ მასთან იყო, ამიტომ ტაიუკის ხსენება, თუნდა გადაკრულიც, რა გარემოებაშიც არ უნდა მომხდარიყო, მისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდებოდა.

არ ვიცი რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ საკმაოდ ახლობელ ადამიანად მთვლიდი, მაგრამ უფრო სწორად იმიტომ, რომ მას არავინ ჰყავდა, ვისაც თავის გულის ნადებს გაანდობდა, განდობა კი აუცილებელია ამ დროს, — გული გადამიშალა:

— მე ოჯახური ცხოვრებისათვის არა ვარ გაჩენილი. ჩვენი ქალებიც ბრაზსა მგვრიან, — განუვითარებელი ხალხია. ერთადერთი საფიქრალი დარჩენილია — ქმარს აამონ, მორჩა და გათავდა! საკუთარი ღირსების გრძნობა არ გააჩნიათ. ტაიუკი-სანი მაინც მიყვარს, არაჩვეულებრივი ქალია. დიდი განათლებით ვერც ის მოიწონებს თავს, მაგრამ ბუნებით ძალიან ჰკვიანია, არ მოვაწყენს.

— ცოლად შერთვას ხომ არ აპირებთ?

— ო, ეს საკმაოდ რთული საქმეა. ორი დაბრკოლება მელობება წინ. ერთი ისაა, რომ მამაჩემია უარზე. ჩვენ ხომ სამურაები ვართ და ბავშვობიდანვე შემირჩიეს საცოლე ერთ ახლობელ ოჯახში. ჩემი დანიშნული აქამდე მელოდებოდა, მამამ ორჯერ შემომითვალა, დაბრუნდიო. ბოლოს, როცა ყური არ ვათხოვე, გაჯავრდა და ფულის გამოგზავნაც შემიწყვიტა. ცხოვრება მიჭირს, თქვენც ხედავთ, იმდენი რა უნდა ვიმოვო...

— მეორე დაბრკოლება რომელია?

— სწორედ ეს გახლავთ მეორე. რითი უნდა ვიცხოვრო? მე დიდიხანია ვეუბნები ტაიუკის, მაგ სამუშაოს თავი მიანებე-მეთქი. პასუხი ყოველთვის მზად აქვს: მერე შესძლებ ჩემს შენახვასო?

კუბოტა დადუმდა, თითქოს ყოყმანობდა, ვთქვა თუ არა ისიც, რაც ყველაზე მთავარიაო. მერე, ეტყობა, ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

— ქალი თვალთმაქცია, განა არ ვიცი? მეფიცება, შენი ერთგული ვარო. ბევრი თავყანისმცემელი ჰყავს. აბა მე რას გავხდები, ხელეები შეკრული მაქვს, ზოგჯერ მძულს კიდევ, მაგრამ საკმარისია ერთად დავრჩეთ, რომ აღრე მოფიქრებული ყველა გადაწყვეტილება ერთიანად გაქრება ხოლმე. მაგნოლის ყვავილსა ჰგავს. უყურებ, უყურებ, და არ შეგიძლია მოსწყდე. მერე სურნელები-საგან თავი ატკიცდება. კაფედან რომ როგორმე გამომაყვანინა, ეჰ, მაშინ სხვა საქმე იქნება.

— კუბოტა-სან, რატომ არ ცდილობთ შტატთან თანამშრომლად ჩარიცხვას? „ტაირიკუ შიმპუში“ მგონი კარგ ჯამაგირს იძლევიან.

კუბოტას ჩაეცინა.

— ამ საქმესაც ორი დაბრკოლება აქვს: ერთი ისა, რომ არა მგონია მიმი-

ლონ, მე ხომ ცუდი სახელი მაქვს, მეორეც, მე თვითონ არ მსურს იქ მისვლა ამან გამაყვირვა, კუბოტამ ეს შენიშნა და განაგრძო:

—მე მემარცხენე ვარ. ვაგიკვირდათ? დიახ, მემარცხენე, მაგრამ კომუნისტი არ გეგონოთ. მე ვემბრობი რწმენას, რეფორმებს, ოლონდ ისეთ რეფორმებს, რომლებიც თანდათანობით განხორციელდება და ყველაფერს ძირფესვიანად შეცვლის.

— მერე თქვენ იმედი გაქვთ, რომ ძირფესვიან რეფორმას მშვიდობიანი გზით მიაღწევთ?

— უთუოდ, მაგრამ ეს იოლი საქმე როდია. არც ხვალ-ზეგ მოხდება. ომამდე ჩვენ ერთი ორგანიზაცია გვექონდა, ინტელიგენტებისაგან შემდგარი. ოცდაჩვიდმეტ წელს, როცა ჩინეთში ომი დაიწყო, ორგანიზაცია დაარბიეს, ხელმძღვანელები დააპატიმრეს, ახლაც ციხეში სხედან. მე თუმცა ხელმძღვანელი არ ვიყავი, მაინც დამაპატიმრეს და სამი თვე ციხეში ვავატარე, — ჩაიციხა კუბოტამ ამის მოგონებაზე. — ძალიან აინტერესებდათ ვინ, საიდან და სადაური იყო ჩვენი ხელმძღვანელი, ვინ გვასწავლიდა, ან ფულით ვინ გვეხმარებოდა და რომელი ქვეყნიდან. ადამიანები იმდენად ეზიზღებათ, იმდენად აღარ ესმით ხალხისა, იმდენად არაფრად აგდებენ ხალხის ბედს, ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება არსებობდეს ვინმე, ვისაც ხალხის ბედი შეაწუხებდა, — ამიტომაცაა, რომ დღე და ღამე გარეშე მტრის ხრიკები ელანდებათ.

— როგორი პროგრამა გქონდათ?

— რაიმე დამუშავებული პროგრამა არა გვექონია.

— მაგრამ კონკრეტულად რისთვის იბრძოდით?

— იაპონელი ერის სულიერი განახლებისათვის. გვსურდა მილიტარისტების ალაგმვა, მოვითხოვდით მეტი ეზრუნათ ხალხის კეთილდღეობისა და მათი სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

— ყოველივე ეს ძალიან ბუნდოვანია...

— ჰოდა ძალიანაც კარგია, რომ ეგრეა.

მე ბევრი რამის თქმა მსურდა, მაგრამ ვარჩიე მომესმინა, კიდევ რას იტყოდა, — ვინ იცის როდისღა შეეხვდებოდი ასეთ გულახდილ იაპონელს. ამიტომ ვკითხე:

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ქვეყნის მომავალი, თუ კი მაგ მიზეზებს ხორცს შეასხამთ? კვლავაც იმპერიის ჩარჩოებში?

—იმპერია ტრადიციული ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა ჩვენს ქვეყანაში და ეს ტრადიცია უნდა შევინარჩუნოთ. ტრადიციებს თავი არ უნდა ავარიდოთ, რადგან ხალხის სიბრძნის ნაყოფია, ასეულ თაობათა გამოცდილებით დაგროვილი. მაგრამ საქმე ეს როდია. არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ, იაპონელები აგრესიული და მოუსვენარი ხალხი ვიყოთ, როგორც ამას ზოგიერთი მოგვაწერს. ჩვენში უბრალო ადამიანები მეტისმეტად შრომისმოყვარენი და პატიოსანნი არიან. შრომისმოყვარე ადამიანი კი ომის ქაღალდებს არ დაიწყებს, მას არ აქვს უფლება სასწორზე დასდოს თავისი მძიმე შრომით მოპოვებული სულ მცირე ბედნიერებაც კი.

— მაშ, მილიტარისტები უნდა ალაგმოთ.

— ოლონდ ძალით არა.

— როგორც ვატყობ, თქვენ გადაგიწყვეტიათ ვეფხვს ბალახის ძოვა ასწავლოთ.

— არა, რატომ? მე მინდა ვეფხვი ისეთ პირობებში ჩაეყენო, რომ სხვა საკმეელი არ გააჩნდეს. არ შეჰამს ბალახს და თქვენს ჭირსაც წაიღებს.



— ვთქვით, მოახერხეთ ასეთი მშვიდობიანი ფსიქოლოგიური რევიზია გიფიქრით რამდენი დრო დასჭირდება? ვერც თქვენ, ვერც თქვენი შვილები და ვერც თქვენი შვილიშვილები ამას ვერ მოესწრებიან!

— მერე რა მოხდა? ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. სწრაფად, თვალის დახამხამებაში არაფერი დიადი არ კეთდება. როგორც შეუძლებელია ბუნების ძალდატანება, ასევე შეუძლებელია ისტორიის აჩქარება, ყოველი ასეთი ძალდატანება, ყოველი ასეთი აჩქარება ძვირად დაუჯდება კაცობრიობას. დეე ყოველივე თავისი გზით წავიდეს. ამ აზრზე მდგარი ცოტანი ვართ იაპონიაში, მაგრამ მაინც ხომ ვართ? იცით რა წერია ქრისტიანულ მოძღვრებაში მღოვრის მარცვალზე? ერთი მარცვალი როგორადაც არ უნდა შევინახოთ, მაინც ერთი იქნება, მიწაში თუ ჩავაგდეთ, მოკვდება, მაგრამ მისგან მრავალი აღმოცენდება. თუნდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ჩემი ოცნება ფრთაშესხმული ვერ ვნახო, მაგრამ თუ კი ჩემს შემდეგ დაგტოვებ ორს მაინც, რომელნიც ისევე იფიქრებენ, მასვე მიეღობიან, რასაც მე — მაშინ ვიტყვი, ჩემი დრო ტყუილად არ გამიტარებია-მეთქი. და დარწმუნებული ვარ, როგორც ერთ უსახელო წვეთს დიდი ნიაღვრისა, შთამომავლობა კეთილად მომიგონებს. ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდო იქნება.

ცხოვრება — ეს სიზმარია. მე ხომ ცხადი მეგონა.

მეგონა, რომ ვცხოვრობ-მეთქი, თურმე სიზმრად ვყოფილვარ, — ჩაიმღერა გამომეტყველებით იაპონურ ენაზე და მერე მითარგმნა.

სიჩუმე ჩამოვარდა, ორივე ვდუმდით და ვფიქრობდით. ის რას ფიქრობდა, არ ვიცი, იქნებ ცდილობდა წარმოედგინა ის დრო, როცა მის ქვეყანაში ყოველივე ისე იქნებოდა, როგორც ოცნებობდა.

ჩემი აზრი იაპონელს გავუზიარე, მან კი მიპასუხა:

— დიახ, თქვენ მართალი ხართ. — განაგრძო მან. მეც სწორედ ამას ვგრძნობ და არაერთხელ მიფიქრია კიდევ, მაგრამ სიტყვიერად არ გამომიტყვამს. ეეჰ, ომი მაინც აღრე დამთავრდებოდეს! ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. არ ეკადრება ადამიანს, რომ მუდამყამს შიშსა და ძრწოლებაში იყოს. რად უნდა ეშინოდეს ლუკმა პურის დაკარგვის, რად უნდა ერიდებოდეს აზრის გამოთქმისა, რად უნდა გაუფრთხეს ძილი იმის შიშით, ვაი თუ, როცა გამომეღვიძება, ჩემს საკუთარ სახლში მეზობელი მომივლინოს ბატონ-პატრონად.

იმ საღამოს პირველად დავშორდით ერთმანეთს ისე, რომ რაღაც ერთობლივ აზრამდე მივედით. ამიტომ გამომშვიდობებაც უფრო გულითადი გამოვიდა, ვიდრე სხვა დროს.

ეს ჩვენი საუბარი უკანასკნელი აღმოჩნდა.

სულ მალე იაპონელი ჩემთან მოვიდა და საკმაოდ დარცხვენილმა სევდანარევი ღიმილით მითხრა:

— ტაიუკი-სანმა მიმატოვა, ვილაც ქორავჭარს გაჰყვა ჩრდილოეთში.

ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მაინც გაკვირვებულნი დავრჩი. ასეთ დროს ძნელია ნუგეშის ცემა, რაიმე დამამშვიდებელი სიტყვების გამოძებნა.

მცირე ღუმლის შემდეგ ვუპასუხე:

— მაშ, გულწრფელად არ ყვარებიხართ, კუბოტა-სან, მეონი დასანანიც არაფერია.

მე მშვენივრად ვგრძნობდი ამ სიტყვების სიყალბეს, უფრო სწორად — უსუსურობას, მაგრამ ვის და როდის წარმოუთქვამს სიტყვები, რომლებიც დააშოშმინებდნენ ღრმა ჭრილობით მიყენებულ ტყვიებს.

კუბოტას პასუხი ტრადიკულად მარტივი იყო:

— დიახ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ გული მაინც ძალიან მეტკინა.

ამ წუთებშიც კუბოტა სრულიად მარტოდ შეთენილი იყო, რადგან მე, მისი ერთადერთი ხმის გამცემი, მიუხედავად ჩემი თანაგრძნობისა, უცხო სამყაროს შვილი ვიყავი. ჩვენ ერთმანეთისაკენ მხოლოდ თითო ნაბიჯი გადავდგით, პირველი მძიმე ნაბიჯი.

თანამემამულეთა შორის კუბოტას არავინ ჰყავდა ახლობელი, არც შეიძლება ჰყოლოდა, რადგან იარაღის დაპყრობილ ქვეყანაში ყველა მისი თანამემამულე ან სამხედრო იყო, ან ჩინოვნიკი, ანდა საქმოსანი, სამშობლოდან იოლი გამორჩენის მიზნით გადმოსხვეწილი.

— შინ უნდა დაბრუნდეთ, კუბოტა-სან! — ვუთხარი გადაჭრით და როგორც მომეჩვენა, ამჯერად უკვე საქმიანად.

— მართალი ხართ, შინ უნდა დავბრუნდე.

ეს აზრი, ეტყობა, დამეხვევა მის საკუთარ გადაწყვეტილებას, რომლის სისწორეში არ იყო დარწმუნებული და ახლა ამჟერად გაეხარდა, როცა ჩემგანაც ჰპოვა მხარდაჭერა.

თითქმის ორი კვირა არ შემხვედრია კუბოტა. ერთ დღეს შემხვდა და მითხრა, გასამგზავრებლად მზადა ვარო. მამისაგანაც დასტური მივღო. შინ მოუთმენლად ელოდნენ.

იმ დღესთან შედარებით, როცა მან ტაიუჟის დალატი მაცნობა, ბევრად უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ალბათ მზადებით გამოწვეულმა ფუსფუსმა გაართო, სამშობლოსთან მომავალი შეხვედრა კი გულს უთბობდა.

გადაწყვიტე, გამეცილებინა.

მთელს ნავსადგურში მე ერთადერთი ევროპელი ვიყავი და კუბოტას ძალიან გაუჭირდა ჩემთვის ბაქანზე გასასვლელი საშვების შოვნა.

მე, რა თქმა უნდა, გემზე არ ავსულვარ, ამით ზედმეტი საზრუნავისაგან ნოვამორე იმ გაქუცულ, პირქუშ სუბიექტებს. ერთთავად ჩემს ირგვლივ რომ ტრიალებდნენ.

კუბოტა გემბანზე იდგა ჩემს ზემოთ და იღიმებოდა თავისი მორცხვი, ნალვლიანი ღიმილით. იწურებოდნენ ის გულის გადაძლევი წუთები, როცა სალაპარაკოც აღარაფერია, არც გასაკეთებელია რამე. დგახარ, ნაძალადევად იღიმები და მოუთმენლად ელი ამ აგონიის დასასრულს.

უკვე ასწიეს საბოჯელები, აკრიფეს ბავირები, გემს უკანა მხრიდან მცირე ზომის ბუქსირი მიადგა, ცხვირით დაეჯახა ზღვის გიგანტს კიჩოში და უბოდიშოდ დაიწყო მისი ზღვაში გათრევა.

— მართლა, კუბოტა-სან, რა ჰქვია იმ ქალაქს, სადაც თქვენ მიემგზავრებით? ერთხელ მითხარით, მაგრამ დამავიწყდა, — დავუყვირე უკანასკნელ წუთში.

— ხიროსიმა, — მიპასუხა მან ღიმილით და მშობლიური ბგერები მელოდიური სინაზით გამოთქვა.

— ხიროსიმა, — გავიმეორე მე, რათა ეს სიტყვა დამემახსოვრებინა.

გემი ნაპირს მოსცილდა, კუბოტა კიდევ დიდხანს იდგა ქიმთან და ზელს მიქნევდა.

ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის ივლისის მიწურული იყო.



ოთარ გაგვონია

*
* *

სადგურს გასცილდა მატარებელი,
დაუსრულებელ ტრამალებს მისდევს
და სემაფორი, ღამის მთეველი,
ლურჯი თვალებით გასცქერის სივრცეს.

ყუბანის ქარი მოდის, სისინებს,
ჩილისპირულით აბრუებს ტრამალს.
ჩამოუყრიათ ფრთები წისკვილებს
და პურის ძნების ლეიბზე წვანან.

მოვდივარ, მაგრამ ველარ ვისვენებ,
როცა ვისხენებ მშობლიურ მთა-ველს.
არყის ხეებიც ასე მისდევენ
საქართველოსკენ გადახრილ მთვარეს.

ის კი შორს დარჩა მოსკოვის კართან,
ცრემლი ჩაუქრა მიმქრალ ღიმილში.
და ახლა იქნებ იმ ცთომილ ვარსკვლავს
ის თეთრი ქალიც ხედავს, ვინ იცის.

არ მეძინება ამხელა გზაში,
ველარ დავუსვი ფიქრებს წერტილი.
ერთი ჭადარა მეც მომაქვს სახლში,
ის თუ დავტოვე გულდაწყვეტილი...

უძილო ღამე

ციდან მიმწუხრის დაეშვა ფარდა,
ოთახში სანთელს ღამურა აქრობს
და კლავიშებზე შემხტარი კატა
შიშით გაურბის უეცარ აკორდს.
გავაღებ სარკმელს, გავადებ გულსაც,
შემოდი ჩემთან, უძილო კაცო.



მოვარევე, გეძახი ვარსკვლავთა გულშაგს
ჩემი ცხოვრების შორეულ ნაცნობს.
არ მეძინება, ვით ღამის მეზრეს,
ვბორგავ და ზეცა დამსქერის ურჩად,
ხე დაჭრილივით აკვრია კედელს
და დანასავით ძირს გდია ქუჩა.
ეს მარტოობა აბა ვით შევძლო,

არ ცხრება გული, არ ცხრება თვალი,
ვის მივაკითხო, ვინ მოვიძებნო,
ანდა ვის კარზე ჩამოვკრა ზარი.
ისევ გაფეხვები ოცნების ელვას,
დავიფერფლები სიმღერის ალით,
რომ დილით ლექსმა ჩემს მაგიერად
შეაღოს ყველა ოჯახის კარი...

რას უერთდება?

ოხვრა ჰაერში იბნევა ტალღად
და მერე წყდება წვიმის წვეთებად.
ცრემლიც წყალია და თუკი ვფანტავთ,
ისიც მღელვარე ზღვას უერთდება.

მაგრამ, ძვირფასო, ამისხენ აბა,
დაბადებიდან რაც ყველას გვიკვირს —
პირველ სიყვარულს როდესაც ვკარგავთ,
რას უერთდება ნეტავი იგი?

თეთრი ლექსი ჰალარა დედას

შენი ლეჩაქის სურნელი მატებობს
და ჩამომტკნარი თბილი ხელები,
რომელსაც დიდხანს ჩემი ბავშვობა
უტარებია ქართულ მიწაზე.
მოვდივარ შენთან, მსურს შენს კალთაში
ჩავთვლიმო ისევ დაღლილმა ბავშვმა.
ისევ დავკოცნო მწვანე ზალახი,
ატმის ხეები აელვებულნი,
თეთრი ტყემლები, სიზმრად ნანახი,
და ჩემი მკრთალი ნაფხუტრები.
რიონის ტალღა, მუდამ მშფოთვარე,
და იქ ნაპირზე მწვანე კარავი,
ერუსალიმის ბიჭები კანკებდამწვარი
და მოხაზხაზე თეთრი კენჭები.
ახლაც მომესმის შენი ძახილი,
შეშინებული როცა მეძებდი,
როცა რიონის ტალღებში რიხით
მივყიყინებდი მხარულით გაღმა.
ო, ყველაფერი გამხსენებია, —
ის გალავანი და ეკლესია,
ტირის ტოტი მამის საფლავზე,
სალამოს ბინდი დამძიმებული,
როდესაც ერთად ნამტირალევი

ვეთხოვებოდით მყუდრო სამყოფელს...
ო, ყველაფერი გამხსენებია, —
ჯოხის ცხენებით გადაშენება,
როცა „არსენა“, ხმალშემართული
დავეცემოდი რისხვად „ფარსადანს“.
ო, ყველაფერი გამხსენებია, —
მარულა, კრივი, ლელოს გატანა,
შელამებისას შიში ბავშვისა,
მაგრამ ვაქცაცის გულით ქადილი.
ვაგცილდი... გულმა იგრძნო ის წუთი,
თვალცრემლიანმა როცა პირველად
ჩემს აკოკრებულ უღვაშს აკოცე.
მე ერთადერთი ალერსის სიტყვა
ვერ მოვახერხე, ისე გაგზორდი,
და გზაში მომწყდა უეცრად ცრემლი,
ცრემლი მდულარე და უწმინდესი,
რომელმაც ჩემს გულს უთხრა წინასწარ,
თუ რა მომელის მე უშენობით...
ახლა მოვდივარ, სულმოუთქმელად
მოყვები ქარს და ვისწრაფვი შენსკენ.
დედავ, მიმიღე, მიცანი შეილი
და დამბრუნე ჩემი ბავშვობა...

წ ი წ ა მ უ რ ი

აქ ქარი კენესის ყოველთვის მწარედ
და არწივები დგებიან რილით.
აქ ზომ სისხლია ზალახის ცვარი
და თოფის ბოლი—სალამოს ბინდი.

როგორ გაუძლებ არაგვის ღრიალს,
მოდის, აწყდება ხევსა და ბექობს
და მრისხანებით უფსკრულში მიაქვს
აქ გასროლილი ბერდენის ეხო.

ტყე დაბურული ღმუის და ხენეშის,
ნისლის ფთილები გზადაგზა ჰყრია,

და მე მგონია პატარა კენჭიც
ილიას შუბლში გარტყმული ტყვია.

*
* *

ყველა აქ არი და მაინც კარი,
ჰე, მასპინძელო, — დასტოვე ღია!
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან...
ყველა აქ არი... სიმღერას, ხალისს
გარედან წვიმა ხმალივით იქნევს
და ნუ დახურავ იმ კარებს მაინც —
რა იცი, ვინმე მოვიდეს იქნებ!

ყველა აქ არი... ჭიქების წკარუნს
გავანდოთ, ვუთხრათ, ვეტრფოდით
ვისაც.
ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს,
ძველ ჭრილობაში ჩატეხილ ისარს.
ყველა აქ არი და მაინც კარი,
ჰე, მასპინძელო, — დასტოვე ღია!
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან...



იუკი ნაპიბინი

ქუჩაში

მერვე დღეს გადავლახეთ უღელტეხილი და გადავედით იალაღებზე, სადაც გაშლილიყო მეცხვარეობის ფერმის მომთაბარე კარვები.

თანამგზავრებად მყავდნენ გეოლოგები ბორისენკოვი და ხვოშჩი. ჩასუქებული როხროხა ბორისენკოვი მთელი გზა ხან აღტაცებას გამოთქვამდა, ამას რას ვხედავო, ხანაც გაცეცხლებული იგინებოდა: აპარატის ეს ძველი, გამოცდილი მუშაკი სად გამომაგდეს ამ მთებშიო. ხმელ-ხმელი, ძარღვმაგარი ხვოშჩი უგულისყუროდ იღიმებოდა, თავისი ამხანაგის აღტაცებასა და წუწუნს რომ ისმენდა. ეს მიწის ფენების მაძიებელი ბრგე ვაჟკაცი ერთნაირად იყო შეჩვეული მთის გზების სილამაზესაც და სიძნელეებსაც.

ყვითელი იონჯით და ჯაგარივით კლარჭა რუხი ბალახით დაფარულ იალაღზე, ორი ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე, ჩვენ პირველად გავიგონეთ კატია სვირიდოვას სახელი.

ნავაზშმევს ფერმის გამგის, დარბაისელი მოხუცი ტაჯიკის კარავთან გაშლილ ნაბდეზე ვისხედით, თუთუნს ვაბოლებდით და დინჯად ვსაუბრობდით.

— ეს რაღაა — ველური იონჯაა? — იკითხა ბორისენკოვმა, რომელიც გასცქეროდა ჩამავალი მზის სხივებით გაშუქებულ საძოვრებს.

— არა, ეს კატუშას იონჯაა, — უპასუხა ახალგაზრდა მწყემსმა, რომელსაც ქარიშს ეძახდნენ. მელიის ტყავის ქუდქვეშ მოუჩანდა შავგვრემანი პატარა სახე; ისეთი წვრილი ულვაშები ჰქონდა, გეგონებოდათ, ტუშით დაუხატავთო, ქვასავით მაგარ ყვრიმალეებზე ნაზი ატმისფერი გადაჰკრავდა.

— კატუშას იონჯაო? — გაიმეორა ბორისენკოვმა. — რა უცნაური სახელია!

— რატომ არის უცნაური?! კატუშა ბიოსადგურია.

— კარგად უღერს, მაგრამ გაუგებარია! იქ რა, კატუშას მეტი არავინაა?

— დამაცა, ქარიშ, მე ვუამბობ ამხანაგებს, — ჩაერთა ფერმის გამგე, რომელმაც შენიშნა ბორისენკოვის მოუთმენელი მოძრაობა. და მან მოკლედ გვიამბო ახალგაზრდა ბიოლოგის კატია სვირიდოვას ამბავი.

დაახლოებით ორი წლის უკან მაღალ მთებში, ევლს რომ გადმოჰყურებდა, პატარა ბიოსადგური გაემართათ. თავდაპირველად იქ სამი მეცნიერი თანამშრომელი ყოფილა: ხანში შესული ცოლ-ქმარი როდიონოვები და ოცდაორი წლის კატია სვირიდოვა, რომელსაც ის-ის იყო დაემთავრებინა ინსტიტუტი. შარშან ზამთარს თოვლი ჩამოხვეაებულობი და სადგური რამდენიმე თვით მოწყვეტოდა დიდ მიწას. როდიონოვის ცოლს ვერ გაეძლო გაჭირებისათვის



და მიმე ავად შექმნილიყო. როდესაც გაზაფხულს თოვლი გაედნო, ნოვს ავადმყოფი ცოლი წაეყვანა. მათ ადგილზე მოსულიყვნენ ორნი — ქალი და კაცი; მიხრობელს მათი სახელი აღარ ახსოვდა. ქალს მაღალი ჰაერი ვერ აეტანა, თავბრუსხვევა ატყდომოდა და უკანვე გადახებინათ. მამაკაცს ჯანი არ აკლდა, მაგრამ სულმოკლე და ჯაბანი ყოფილიყო, ბიოსადგურიდან გაქცეულიყო და სადღაც მიმალულიყო. დარჩენილიყო კატია მარტოკა თავისი ვაშლის ხეებით, სცდელი ნაკვეთით, ლაბორატორიით, ავღანურ ქარებთან და ღამის ყინვებთან.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, მერე დასაძინებლად წავედით. მე ცხვრის ტყავებში გავეხვიე და გარეთ დავეწექი. უკვე ბურანში ვიყავი წასული, რომ ვილაცამ მხარზე ხელი შემასო.

— არ გძინავს, მეგობარო? — ჩამესმა ყურში ქარიშის ხმა. — ერთი რაღაც უნდა გითხრა. თქვენ ხომ მალაროებისკენ მიდიხართ?!

— ასე ვთქვათ...

— მაშინ კლდე-კარზე მოგიხდებათ გადავლა, სხვა გზა იქით არ მიდის.

— მერე?!

ამოდ ვუცდიდი პასუხს, ქარიში გაჩუმდა და იმდენ ხანს სდუმდა, რომ ხელმეორედ მომერია ძილი.

— მე ვიყავი კლდე-კარზე! — რაღაც საოცარი აღტაცებით წამოიძახა ქარიშმა უცებ. — პირველად მაშინ ვიყავი, სადგურს რომ ვაშენებდით, ერთხელ კიდევ — გაზაფხულზე. ჩვენები კიდევ წავლენ იქ შემოდგომაზე, მე კი აღარ წავალ. არა, აღარ წავალ! — ისე გაიმეორა, თითქოს თვითონვე უკვირს თავისი გადაწყვეტილების სიმტკიცეო.

— რატომ მერე?

ქარიშმა არ მიპასუხა, ცოტა ხანს მომცილდა, სიბნელისკენ მიდგა და როდესაც კვლავ ჩემს გვერდით გაჩნდა, ხელში წერილი ეჭირა.

— ხომ გადასცემ კატიას, ჰა? ეს წერილი ჩემი არ არის, ბარიდანაა, კატია ამ წერილს ძალიან ელოდა.

— გადავცემ, ნუ გეშინია.

ხელი გავიწოდე წერილისაკენ, მაგრამ ქარიში არ ჩქარობდა წერილის მოცემას.

— აქეთკენ გზები სახიფათოა, მეგობარო, და ამიტომ წერილებიც იშვიათად მიდის. ფრთხილად იყავ, როგორც წამწაშზე ცრემლი.

მე დავარწმუნე ქარიში, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ არაფერი დამემართოს და კატიას წერილი მივუტანო-მეთქი.

— ჩემზე კი ნურაფერს ეტყვი, კარგი?!

ქარიშის თვალების თეთრი გარსი ისე დამცქეროდა ზევიდან, თითქოს ორი თეთრი ნაღვლიანი ყვავილიაო.

„ცუდადაა შენი საქმე, ჯეელო“, — გავიფიქრე მე და წერილი ქურთუკის უბის ჯიბეში შევინახე.

მალე თვალს მიეფარა ყვითლად და მწვანედ აფერადებული ველი. შარაგზა, რომელიც სულ აღმართ-აღმართ მიდიოდა, ბილიკმა შეცვალა, ხოლო ბილიკი — ქვალორდიანმა, ღრმა ხეობაზე დაკიდებულმა საცალფეხო გზამ, რომელიც აქა-იქ წყდებოდა და ძლივს მოჩანდა. შორს, დაბლა, მდინარე ღრიალებდა და თავის საკუთარ ქაფში იხრჩობოდა. ზოგჯერ ჩვენს გასწვრივ ხეობას თავზე გადაუვლიდა თხელი ღრუბელის ნაგლეჯი; მთის წვეტიან თხემს რომ წამოედებოდა, ღრუბელი უფრო მეტად იწეწებოდა და ხეობაზე გადმოყუდებ-



ბულ ვეება კლდეს რომ მიადწევდა, მის კლდოვან მკერდს ზედ აღნებოდა კვდებოდა.

ზოგჯერ მივცოცავდით, ვეკიდებოდით კლდის ქიმსა და ხაოიან ხავსს. იდაყვებსა და მუხლებქვეშ გვეცლებოდა კლდის ნამსხვრევები და ბორისენკოვი ქოშინით ბუზღუნებდა:

— გახსოვდეს, მგზავრო, რომ შენსა და სამარეს შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

მან იმდენჯერ გაიმეორა მწყემსებისაგან გაგონილი ეს ძველი პამირული ანდაზა, რომ ბოლოს და ბოლოს მელანქოლიურ გუნებაზე დადგა და აღშფოთებასაც კი აღარ გამოთქვამდა ამ საშინელი გზის გამო. მართალი გითხრათ, რამდენჯერმე მეც გავიფიქრე, ქარიშხ ნდობას ველარ გაუუმართლებ და წერილს ველარ გადავცემ-მეთქი კატისას. მხოლოდ ხვოშხს არ უღალატნია თავისი ჩვეული გულგრილობისათვის და მთის ფენათა ნიმუშების შეგროვებაც კი არ ავიწყდებოდა. ამ ძველ მაძიებელს რაღაც ბავშვურად იტაცებდა ეს საქმიანობა.

დღის ბოლოს მშვიდობით მივალწიეთ დანიშნულ სადგომს, რომელიც ისე ღრმად იყო შეჭრილი კლდეში, რომ ქარი ვერ აღწევდა. მოვიხსენიებ ზურგჩანთები და დავეყარენით ქვადორღიან მიწაზე, რომელიც ბუმბულის ლეიბზე უფრო რბილი გვეჩვენა.

— ეხლა კი მესმის, თუ რატომ მიხლდა ისეთ მადლობას ჩვენი მეგობარი ქარიში, როცა დავთანხმდი კატისასათვის წამომეღო „სულ პატარა“ შეკვრა, — თქვა ბორისენკოვმა.

— თქვენც დატვირთათ? — დაბნეულად გაეხმიანა ხვოშხი.

— როგორ თუ მეც? ერთი იმას დამიხედეთ, რა ოინბაზი ვინმე ყოფილა! როგორც ჩანს, — მომიბრუნდა ბორისენკოვი, — ქარიშხს მხოლოდ თქვენი სიყმაწვილე დაუზოგია?

— არც ეგრეა საქმე. უთუოდ ფიქრობდა, რომ მე უფრო მეტი შანსი მქონდა კლდე-კარში მოღწევისა და ამიტომ მე მომანდო ყველაზე ძვირფასი რამ, — და მათ დავანახვე ვარდისფერი კონვერტის წვერი.

— აი რაში ყოფილა საქმე! — წამოიძახა ბორისენკოვმა. — საქორწინო საჩუქრები ხომ არ მიგვაქვს?

— წერილი ქარიშხისაგან არ არის.

— მაშ ვისგანაა?

— არ ვიცი, გამომგზავნის მისამართი არ წერია, — მივუგე და კარვის დასადგმელად წავედი.

მხოლოდ მეორე საღამოს მივალწიეთ კლდე-კარს. ის გამოჩნდა მოულოდნელად, როცა უკვე საგონებელში ჩავვარდით და რუკას დავუწყეთ კირკიტი. ბილიკმა გარს შემოგვატარა ორ კლდოვან ბორცვს, მერე უკან მოუხვია და ჩვენ წინ გადაიშალა მოტიტვლებული ფერდობი, რომელიც ქვემოთ ფართო შვერილით თავდებოდა. ამ შვერილის შუაში იდგა ქვით ნაგები ბანიანი სახლი, რომელიც ჩვეულებრივი პამირული ჩოდასგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ საკვამური ჰქონდა დატანებული. სახლს ცოტა მოშორებით გასდევდა დაბალი ქვის ყორე. ყორეს იქით ამწვანებულიყო რაღაც მცენარეები, მწვანე ლაქები ფარავდა ფერდობის ქვედა ნაწილსაც, მაგრამ აქედან ძნელი გასარჩევი იყო, რა იყო ეს: ბალახი, ბუჩქნარი თუ დაბალი ხეები.

თუმცა სადგური ახლო ჩანდა, მაგრამ კიდევ დიდხანს ვიყიადეთ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე, ვიდრე ფეხი შევდგით კლდე-კარზე.



წყლის ხმაური იდგა მთელ ფართობზე. საცდელი ნაკვეთის მხარეკადმი რეკად ჩამოჭრილ კლდეზე, წყდებოდა მაღალი მთებიდან მომდინარე ნაკადული. წყალი გაშლილ კამარად ვარდებოდა ქვის ღრმა ორმოში, რომელიც ერთგვარ წყალსაცავს ქმნიდა.

ჟორომის თხელ ჩრდილში რიყის ქვასავით ეგდო კუ. კარებიდან გამოვარდა პირბანჯგვლიანი, საცოდავად ტანგასლეილი ლეკვი, წვრილი ხმით აწკაწკავდა, თან წინა ფეხებს ებჯინებოდა და შეუშინველად უკან-უკან იხევდა.

მისმა ყვფამ ააწრიალა ბიოსადგურის დანარჩენი მკვიდრნი. სახლის კუთხიდან ერთი კრიახ-ქოთქოთით გამოხტა სასაცილო, კანკმაღალი ქათამი. მას უკან მოჰყვა კორეული გრუზა გოჭი, რომელმაც ჰყვილით იქაურობა გააყრუა. რაკი მაშველი ძალა მოემატა, ლეკვი გათამამდა და უფრო გამეტებით მოჰყვა ყვფას. ახლა ის უბრალოდ კი აღარ იხევდა უკან, არამედ მაქოსავით ხან წინ დახტოდა და ხან უკან.

— ჰეი, შინ ვინ არის? — დაიყვირა ბორისენკოვმა. — ძალლი ხომ არ დაგვგლეჯს?

არავინ გვიპასუხა. ლეკვი ისე გადირია, იტყოდით, აგერ-აგერ გასკდებდა საკუთარი ყვფისგანო. ქათამი ისეთ ხმებს გამოსცემდა, რომ ყვინჩილას პირველი „ყიყლიყო“ გეგონებოდათ. გოჭს უკვე ხმა ჩაეხლიჩა, ირგვლივ გვივლიდა და ღრუტუნითა აძღვებდა ბანს. თავისი წაგრძელებული ცხვირპირით და კეხიანი დინგით გარეულ ტახს წაგავდა.

სახლიდან მოისმა ბრახუნი, თითქოს სკამი მოიქნიეს და ძირს დაანარცხესო, მერე გაისმა ქვის იატაკზე ფეხსაცმლის ქუსლების აჩქარებული ბაკიბუკი და კარის ბნელ ჰრილში გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი თოფით ხელში. იგა შეჩერდა და გაკვირვებით დაგვიწყო მწერა, შემდეგ გადიკისკისა:

— მე მეგონა ჰიმაღელი მოვიდა-მეთქი! — თოფი კარზე მიაყულა და შეუყვირა: — დაწექ, სტიოპა! ტატა, კუზია, ჩუმიდა!

ცხოველები მორჩილებით დაშოშმინდნენ და მის ფეხებთან დაბროვდნენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგებო. ვიცნობდეთ ერთმანეთს. სვირიდოვა ეკატერინა ალექსის ასული, ან სჯობია უბრალოდ — კატია.

ჩვენ რივრივობით ჩამოვართვით კატიას ბაწია ვახემეშებული ხელი. მთელ მის გარეგნობაში მხოლოდ ეს ღონიერი გატლანქებული ხელი და თითქოს მსუბუქ თრთვილგადაკრული დაქლუა ლოყები მეტყველებდნენ იმაზე, რომ კატია მთებში ცხოვრობდა.

გამხდარი, ტანადი, ძალზე ქალაქური იერის ქალი იყო. ტანათაც ქალაქურად ეცვა: ცისფერი სვიტრი, შალის ვიწრო ქვედა კაბა, აბრეშუმის წინდები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. და თუმცა ეს ტანსაცმელი საოცრად უხდებოდა, მაგრამ მაინც კატია მოგაგონებდათ პატარა გოგონას, რომელსაც დედა სხვაგან გაუგულვებია და მის ტანსაცმელში გამოწყობილა.

— ფუი, რა გაუპარსავეები ვართ, რა ბებრები, — ჩაილაპარაკა ბორისენკოვმა და ზიზღით მოისვა ხელი გაბურძგვნილ ლოყაზე. — დიახ, დიახ, თქვენც ბებერი ხართ, ყმაწვილო! — გადმომწვდა მე. — ოცდაათი წლისას ჰლარათმა გაქვთ დაბერილი თვალები...

— აბა რას ბრძანებთ? — საყვედურის კილოთი უთხრა კატიამ.

— ჩვენ ხომ თქვენს გვერდით გაფხეკილ შაურინანებსა ვგეგვართ. თქვენ ისეთი ქორფა ხართ, მორთული, თითქოს ვილაცას ელით...

— ველი? — კატიამ ნელა ჩაიცინა. — არა, უბრალოდ დღეს კვირაა. გარუზა გოჭმა ხვოშჩთან მიირბინა და მისი ფეხსაცმლის ქუსლს მიაბნო დინგი.

— დაწექ! — შეუყვარა ხვოშჩმა და ფეხი წეროსავით მალდა ასწია. გოჭი უკმაყოფილოდ აღრუტუნდა და ეშვი გამოაჩინა.

— კუზია ძალიან ფხუციანია, — გაუღიმა კატიამ ხვოშჩს. — ის ხომ ნახევრად ველურია, დედა შინაური ჰყავს, მამა კი გარეული. მართლა, მე ხომ არ გამოიციანია თქვენთვის ჩემი მეგობრები. ეს ტატაა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი მთის ქათამი; ამ ჩვენს დარაჯს სტიოპა ჰქვია, ხოლო კუს — ლედა. ლედა აქაურ ჰავას ვერ ეგუება, ამიტომ სულ არ გამოდის თავისი სახლიდან. აი ეს გრაფის ასულიც მოზრბანდა! — კატიამ მიგვითითა უხარმანარ ქაჩალა ჰიმალაურ ვაკეზე, რომელიც მძიმე ფრთების ფარფატით კლდის ქიმზე ჯდებოდა. როცა ფრთები გაშლილი ჰქონდა, სამი მეტრი მაინც ექნებოდა სიგრძე. — გრაფის ასული თითქმის ჩვენი კოლექტივის წევრია, ოღონდ ამჯობინებს ცოტა შორს ეჭიროს თავი.

სიმპათიით ვუსმენდი კატიას. მოლოდინი გამიცრუვდა. მთაში მცხოვრები მარტოხელა ქალის სახე, რომელიც ჯერ კიდევ იქ, იალაღზე დამესახა, სრულიად გამეფანტა. უეცრად არაჩვეულებრივად გარკვევით წარმოვიდგინე კატია ყავისფერ ფორმის კაბაში, კარგად გაუთოვებული თეთრი საყელოთი, შავი წინსაფრით და ნაწნავებში შავი ბაფთით — ხალისიანი, მოკისკასე მოწაფე, რომელმაც ჯერ ცხოვრებისა არაფერი იცის და ამიტომაც ადვილად აღიქვამს მას.

მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ თურმე ცუდად წარმომეგინა ამ ქალიშვილის ხასიათი.

ჩვენ შევედით სახლში. ერთ კუთხეში დაეაწყვეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა, რის შემდეგ ბორისენკოვმა და ხვოშჩმა კატიას გადასცეს ქარიშის საჩუქრები — გამხმარი ჭერმის ჩირი და თხის ყველი. კატიამ მადლობა გადაუხადა და სრულებით არ გაკვირვებია, თითქო დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ხელცარიელნი არ მოვიდოდით. თუმცა გამოირკვა, რომ მსგავსი საჩუქრების ჩამოტანა სავალდებულო ბაჟი ყოფილა, რომელსაც ქარიში ადებდა კლდე-კარისაკენ მომავალ ყველა მგზავრს... ამგვარადვე მოხვდა აქ ყველა ეს პირუტყვი კუზიას გარდა, რომელიც თვითონ ქარიშს ჩამოეყვანა. არ ვიცი რა ანგარიშ-მიუტყემელმა გრძნობამ მიკარნახა, რომ კატიას მაშინვე არ გადავეცი წერილი. ჯიბიდან მხოლოდ მაშინ ამოვიღე, როდესაც ჩემი ამხანაგები ეზოში გავიდნენ პირის დასაბანად.

— წერილი? ქარიშისაგან? — თქვა კატიამ და მკაცრად შექმუნა გარუჯულ-გამოხუნებული წარბები. მაგრამ იმავ წამში იცნო უსწორმასწორო, გაკრული ხელი, რომლითაც მისამართი ეწერა. ლოყებზე ალმური აუვიდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი ალმური გამოწვეული იყო სიფერმკრთალით, რომელიც გადაეგლო შუბლზე, საფეთქლებზე, თვალის ბუდეზე და კონტრასტის გამო უფრო ყირმიზად უქცია ლოყები. კატია მაშინვე მოერია თავს, დინჯად, თითქმის დაუდევრად აიღო წერილი, თვალი გადაეგლო კონვერტს და დადო მაგიდაზე მკრთალმოყვითალო ყვავილის გვერდით.

— თქვენ ჯერ წერეს გაიპარსავთ თუ პირს დაიბანთ? — გაისმა კატიას მშვიდი და უშფოთველი ხმა.

ნახევარი საათის შემდეგ, გაპარსულები და გასუფთავებულები, ჩვენ გატაცებით შევექცეოდით დაკონსერვებულ ხორცსა და მოხარშულ ნამდვილ კარ-



ტოფილს, თან ვლაპარაკობდით ყველაფერზე: პამირზე და ციმლიანსა და კიქვიანსა და როკვანძზე. კარტოფილის ბუდობრივ თესვაზე და ხორეზმში წარმოებულ მარცხსა რებზე, ახალ წიგნებზე და კინოსურათებზე, ალექსანდრე მაკედონელზედაც კი, რომელიც რატომღაც ხელში ჩაგვითვარდა.

მალე გამოირკვა, რომ კატიაც ჩვენსავით მოსკოველი ყოფილა და, ცხა-ლია, ჩვენი საუბარი გაღვივდა მოსკოვზე, — ყოველთვის ასე ემართება ხოლმე უცხო მხარეში მოხვედრილ ყველა მოსკოველს.

მართალია, ჩვენ კატიას ახალი ვერაფერი ეუბამებთ ვერც უნივერსიტეტზე, ვერც მეტროს ახალ სადგურზე — ჩვენ თითქმის ერთსა და იმავე დროს დაგ-ვეტოვებინა დედაქალაქი, მაგრამ თვითონ მოსკოვის ქუჩების სახელებიც კი კატიას სიხარულს გვრიდა. ერთხანს, თითქოს კონდუქტორები ეყოფილიყავით, ზედღზედ გავიძახოდით: გორკის ქუჩა!.. ოხოტინი რიადი!.. ნოვინსკი ბუღვარი!.. ჩისტეი პრუდი!..

კატიას კინალამ ცრემლები გადმოსცვივდა, როცა გაიგო, რომ ხვოშში მა-ლაია ბასმანაიზე ცხოვრობს: კატია იქვე რიანანის ქუჩაზე დაბადებულა. ხოლო როდესაც მე დავასახელე ჩემი მშობლიური სივცევ-ერაყევი, მეგონა კატია გადამკოცნიდა — მას სკოლა სტაროკონიუშნიზე დემთავრებინა! ბორისენ-კოვსაც ხვდა თავის წილი აღფრთოვანება: ის მატროსკაია ტიშინას ახლოს მღე-ბარე ერთ-ერთ შესახვევთან ცხოვრობდა თურმე და კატიას დეიდას სახლიც იქვე ყოფილა.

— რა კარგები ხართ! — გვეუბნებოდა გულაჩუყებული კატია, როცა ყველაზე მიყრუებული შესახვევის ხსენებაც არ დაგვეიწყებია. — რამდენი ხალ-ხი მოსულა აქ და ერთი მაინც ყოფილიყო მოსკოველი!

— არ მეგონა, თუ კლდე-კარში ასე ბევრი ხალხი მოდიოდა! — ეპვი გა-მოთქვა ბორისენკოვმა.

— მართალს გეუბნებით! გასულ თვეს ერთმა მონადირემ შემოიარა, მა-ნამღე კი გეოლოგების მთელი პარტია მეწვია. ერთხელ მესაზღვრებელს იყენენ. მახსოვს, ნესვით გაუუმასპინძლდი, — სხვა ვერაფრის მოყვანა ვერ შევძელი აქ. ოლონდ, — დაუმატა კატიამ და თან ამოიოხრა, — პირში არ ჩაიდებოდა. კიტრისა და კარტოფილის ნარევის გემო ჰქონდა. აქ ხომ ისეთი ადგილია-დანამღვილებით ვერც იტყვი, რა ამოვა... მაგრამ ეს საინტერესოც კია. ხანდა-ხან მგონია, ისეთ რასმეს მოვიყვანთ, რაც მთელს დედამიწის ზურგზე არ არსე-ბობს! — კატიამ გაიცინა, შემდეგ იმედიანი ხმით თქვა: — სადგურს ხომ დაათ-ვალეიერებთ?

მაგრამ ვიღრე ჩვენ მოვემზადეთ და გარეთ გამოვედით. მიწაზე უკვე ჩამოწვა ბინდი, შავად გადაფერა თხემებისა და კლდის კონტურები. თითქო შავ-მოიისფრო კვამლში ვაახვიათ კლდე-კარი. წმიდა მთის კარვიდან გამო-ცურდა მთვარის ფერმიხდილი ლოყა. მარტო ცასლა შერჩენოდა დღის ნაზი ლაყვარდი.

ჩქარი ნაბიჯით მივდევდით კატიას. მაგრამ ლამემ უფრო სწრაფად იცის სიარული მთაში.

სიბნელეში ჩვენ წინ მოულოდნელად აღიმართა ვილაც. მე უნებურად შევეკრთი: რატომღაც წარმომედგინა, რომ აქ, კლდე-კარში, კატიას მეტი არავინ ცხოვრობდა.

ეს მაღალი, საშინლად გამხდარი, ოდნავ წელში მოხრილი მოხუცი თით-ქოს გრძელ კომბალზე იყო ჩამოკიდებული.

— არაბში! — აღერსით უთხრა კატიამ. — გაიცანით, ამხანაგებო: არაბში

გულჩიევი, ჩვენი მერწყული, დამცველი და მბრძანებელი წყლისა.

ბერიკაცმა მოგვიხადა ძველი ტუბიტეია და ღირსებით მოგვესალმა. მთელი მისი სახე შედგებოდა შავი ჩრდილებისაგან: თვალის ბუდის ჩაშავებული ორმოები, შუბლსა და ლოყებზე შავი ღრმა ღარები და ნაოჭები; საქამრემდე ჩამოშვებული თხელი წვერიც კი ნამღვილი წვერის ჩრდილი გეგონებოდათ, ოღონდ ნათელი და ვერცხლისფერი.

— არაბში შესანიშნავი ადამიანია. — გვიხსნიდა კატია. — მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: არაფრის გულისათვის არ უნდა სახლში იცხოვროს, სული ეხუთება. მთელი თავისი სიცოცხლე წყალთან არის, დიდ ყინვებშიც კი, როდესაც წყალი იყინება. მაგრამ ჩვენ ეს სრულებით ხელს არ გვიშლის, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდეს. თუ ესურთ რაიმე ჰკითხოთ, მაშინ, გეთაყვა, ხმამალა უთხარით, ცოტა ყუთი აკლია.

— პაპა, როგორ არის საქმეები? — ხელისგულები საყვირით მიიტანა ბორისენკოვმა და ისე დაიღრიალა.

ბერიკაცის სახეზე, წვერსა და უღვაშებს შუა კიდევ ერთი ბატარა, ნახევარწრისებური ჩრდილი გაჩნდა და ლერწმის შრიალივით წყნარად გაისმა უცხო ენაზე წარმოთქმული სიტყვები.

— არაბში ამბობს, რომ კმაყოფილია ცხოვრებისა. კეთილ მგზავრობას გისურვებთ, — გადაგვითარგმნა კატია.

— მაპატიეთ, — მორიდებით წარმოთქვა ხვოშჩმა, — მე ცოტათი ვიცი ეს ენა... მე მგონია, მან თქვა: იშინში ბატყნებს კლავენო.

კატია მწაად შეხედა ბერიკაცს:

— უთუოდ ვერ გაიგონა, არაბში ხომ ძალზე მოხუცდა...

ბერიკაცს ეჭვიც არ შესვლია, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, ხელმოკრედ მოგვიხადა ტუბიტეია და გასწია სხვა მხარეს, მიწაზე ძლივს მიათრევდა თავის გრძელ ჩრდილს...

ირგვლივ ღამე სუფევდა და საცდელი ნაკვეთის გარშემო შემოვლებულ ქვის ყორეს მარტოოდენ სიბნელე იცავდა.

— არ იქ კარტოფილი მომყავს, — ჩაეარდნილი ხმით თქვა კატია. — იქით კიტრი მითესია, ოღონდ რატომღაც ცუდად ხარობს. აი იქით კი... თუმცა მაინც აღარაფერი ჩანს...

— რატომ? — მხნედ წამოიძახა ბორასენკოვმა. — იქ მგონი ვაშლის ხეები... — და მან მიუთითა ხეზე, რომელიც ძლივს მოჩანდა სიბნელეში.

— ჰო, მაგრამ აქ ვაშლის ხეები ყველა მოიყინა. სამაგიეროდ ფერდობებზე ისე ხარობენ. თითქო თავისი დღენი ამ ჰავას იყენენ შეჩვეულნი! — უკვე გახალისებული კატია მოგვიყვია, თუ რატომაა, რომ ამ ადგილებში ერთი და იგივე მცენარე ვერ ხარობს სწორ ადგილებზე, ხოლო საუცხოოდ გრძნობს თავს ფერდობზე, და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას მითან ბადახშანში, სადაც ცოტა ვაკე ადგილები, ფერდობები კი რამდენიც გნებავთ, იმდენია.

კატია სიბნელეში ხან აქეთ მიგვითითებდა, ხან იქით და გატაცებით გვიყვებოდა, თუ როგორ ხარობს აქ მოცხარი, რომელსაც არ აშინებს არც სუსხი, არც სიკვდილის მთესავი ავღანური ქარი; რომ მსხალი, ზედ რომ გადააკვდეს კიდევ. არ ხარობს; რომ აქ საესვა სამკურნალო ბალახები, ოღონდ მიუვალ ადგილებში მიმალიან ადამიანს, თუმცა სწორედ ადამიანთა შველაა მათი მოვალეობა.

რა ვუყოთ, თუ ჩვენ ვერ დავინახეთ ვერც სააფთიაქო მთა, როგორც უწოდა კატია სამკურნალო ბალახებით მდიდარ მთის თხემს, ვერც კარგად გახარებული კარტოფილი, ვერც ვაშლის ხეები. რომლებიც ფერდობზე ხარობენ და ვა-

კეზე ხმებიან, ვერც ყინვისაგან გარუჯული. ვერც „დიდი მომავლის მქონე“ მოცხარის ბუჩქნარი, — სამაგიეროდ ჩვენ ვნახეთ კატია სვირიდოვა, დაუცხრო-მელი მშრომელი და მომავლის ბატონ-პატრონი ქალი.

იმ ღამეს დიდხანს არ დავწოლილვართ. ავაწყეთ რაცია, დავიჭირეთ რაღაც ვალსი და რიგრიგობით გვეკვავდით კატიასთან. შემდეგ დავკარგეთ ტალღა, მაგრამ კატიამ დაგვარწმუნა, ცეკვა შეიძლება ყველაფერზე, ამინდის ბიუროს ცნობაზედაცო. და ჩვენც ასე ვიქცეოდით. სანამ კატია არ შეშინდა, აკუმულატორები გაფუჭდებო; მაშინ ცეკვა ავსაოლეთ მარბს, რომელსაც ხვოშჩი დიდი ოსტატობით ხმაშეწყობილად აწკარუნებდა ჭიქებსა და მენზურებზე. მერე კი კატიას გაახსენდა, ჯერ კიდევ არ დამიმუშავებია გუშინდელი მისალებიო, და დასაძინებლად გაგვრეკა.

ბორისენკოვი და ხვოშჩი იმ ოთახში მოეწყვნენ, სადაც ადრე როდიონო-ვები ცხოვრობდნენ, მე კი კატიამ ლოგინი დამიგო პატარა საკუჭნაოში ლაბორატორიის გვერდით, სადაც ინახებოდა ნიჩბები, წერაქვები და თოხები, მაგრამ აქაც, ისევე როგორც მთელ სახლში, სისუფთავე და სიფაქიზე სუფევდა.

ძილის წინ გარეთ გამოვედი პაპიროსის მოსაწყევად. ცა ვარსკვლავებითაა მოქედილი. ზედ ჩემს თავზევით ელვარებდნენ უხილავ ღეროზე წამოგებული სამი ვოლხვი. ნისლ-ბურუსში ციმციმებდნენ დათოვლილი ქედები, თითქო ვარსკვლავებს ზედ მოებნით თავიანთი კაშკაშა ნივთიერება. მთვარე უკვე გადაცურდა ავღანეთისაკენ და რაკი უკვე უცხო მხრელი გახდა, თავისი ერთადერთი დავსებული თვალით ცივად და ამრეზით გადმოჰყურებს კლდე-კარს.

მიწაზე უკუნი ჩამოწოლილა, მხოლოდ პირსაბანთან ელვარებს ღამის სუსხისაგან გაყინული გუბე.

ზედ გულქეშე დამიარა რაღაც უცნაურმა სიცივემ, რომელიც თითქოს დედამიწის წიაღიდან ამოიჭრა. გეგონებოდათ საკუთარი უსარგებლო სიმძიმითა და წელთა სიმრავლით მოქანცულ მთებს აღმოხდათ ეს დამაშვრალი, მკვდარი, ყინულივით ცივი ხვნეშა. და უცებ ისეთი სიმარტოვე ვიგრძენ, რომ უმაღლეს ჩაეპარე პაპიროსი და სახლში შევედი.

კატია სანთლის შუქზე მუშაობდა. ახლომხედველივით დაეხარა თავი მაგიდასთან და რაღაცას იწერდა შავი მუშაბისყდიან რვეულში.

ღამე ნებისა ვუსურვე.

— ღამე მშვიდობისა, — კატიამ ჩვეული ნელი მოძრაობით უკან გადაიყარა თმები. სანთლის ალი კატიას მუქი თვალების გუგაში ისე ციმციმებდა, როგორც ორი შორეული ნათურა ღამეში. იქნებ ამიტომაც ჰქონდა მის გამოხედვას რაღაც ახალი, მშფოთვარე სიღრმე.

წყნარად შევედი საკუჭნაოში, გავწეკი თექაზე და შევეცადე დამეძინა. სადღაც გვერდით, კედლის იქით, ქათამი ტატა ელაპარაკებოდა გოქს კუზიას. ჯერ მშვიდად და წყნარად საუბრობდნენ. შემდეგ კი წაიხზუნენ და კუზიამ ბრავით შესწყვილა ტატას. ქათამი ერთხანს შემფოთებული დარბოდა საქათმეში და ფეხებს აბარტყუნებდა, შემდეგ ხმები მისწყდა. მეც ჩამეძინა.

მაგრამ რაკი ეს მთელი უკანასკნელი კვირა გარეთ გაშლილ ჰაერზე ძილს მივეჩვიე, ძილშიც ვგრძნობდი ამ საკუჭნაოს სულისშემხუთავ სივიწროვეს. ეწრაილებდი. საბანს ხან დავიხურავდი, ხან გადავიხდიდი და, ბოლოს, გამომეღვიძა.

ოთახი საკმაოდ განათებული იყო და უცებ ვერ მოვისაზრე, თუ საიდან შემოდიოდა ეს ბუნდი. მოცახცახე შუქი. იდაყვებზე წამოვიწიე და დავინახე, რომ მაგიდაზე ენთო სანთელი, რომლისთვისაც წიგნი ჩამოეთვარებინათ. მაგი-

დახე დამხობილიყო კატია და ტიროდა. ტიროდა ისე, როგორც ტირიან შტეფანუში
შეგები — თავით, მხრებით, ხელებით. ისე სლუკუნებდა, რომ მისი სუნთქვა
აღს არხევდა და კედლებზე წამდაუწუმ გადარბოდნენ შავი ჩრდილები, გვეგონე-
ბოდათ, ოთახი კატიას ირგვლივ ტრიალებსო.

ისე მოულოდნელი და თან უცნაური იყო მტირალი კატიას დანახვა, რომ
დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მოვქცეულიყავი. მერე მის იდაყუ-
თან ნაცნობი ვარდისფერი კონვერტის ნაგლეჯებს მოკვარი თვალი და მივხე-
დი, რომ არაფერი უნდა მექნა და არც არაფერი უნდა მეთქვა.

„აი თურმე როდის იწყება მისი მარტოობა“, — გავიფიქრე მე და საბანი
ფრთხილად გადავიხურე თავზე.

დილით მაგიდაზე გველოდა საუზმე, მაგრამ თვით დიასახლისი შინ არ იყო.
უთუოდ საცდელ ნაკვეთში წავიდა.

— მაშ ველარ ვნახავთ ეკატერინა ალექსანდრეს ასულს, — ამოიხორა
ხეოშიჩმა და ჭამას შეუდგა.

ბორისენკოვი უფრო თავშეუკავებლად გამოთქვამდა წყენას.

— ეს რა უმსგავსობაა! — ბუზღუნებდა ის და თან გაჯავრებული ციციქ-
ნიდა პურს. — ნუთუ არ შეიძლებოდა გავედვიძებინეთ! — პურს ვეება ნაჭერი
ჩამოაჭრა, ზედ კარაქი წაუსვა და დაიღრიალა: — სტიოპკა, სტიოპა, მოდი აქ,
შე წუწყო!

მაგრამ ლეკვი არ ეხმიანებოდა, ეტყობოდა, ისიც თან გაპყოლოდა თავის
დიასახლისს. ამაოდ ეძახდა ბორისენკოვი კუზიას და ტატას, — ამ სახლის მკვი-
დრთაგან მხოლოდ მუდამ მძინარა ლედა დარჩენილიყო შინ.

და მაინც, როდესაც უკვე ავიბარგენით და გზას უნდა გავდგომოდით,
კატია მოვიდა ჩვენს გასაცილებლად. ოციოდე საცოდავი, დაღრეცილი და ზორ-
კლიანი კიტრი მოგვიტანა.

— ეს გზაში, — გვითხრა კატიამ.

მას მხრებზე მოეგდო ძველი დაბამბული ქურთუკი, ფეხთ ეცვა სატალახო
ჩექმები, თავზე შემოეხვია თავშალი, მაგრამ ამ უბრალო, სამუშაო ტანსაც-
მელშიაც კი მორთულ-მოკაზმული ჩანდა, ისე უტკრციალებდა დილის სუსხი-
საგან აფიცებული ლოყები.

და მაინც ამ დილით ის სულ სხვანაირი იყო, ვიდრე გუშინ. იქნებ ამაში
დამნაშავე იყო მისი თვალები: ჩაცვივნილი, დაწითლებული, ტანჯვით აღ-
სასვსე.

— რა დაგემართა, კატუშა? — თანაგრძნობით შეეკითხა ბორისენკოვი. —
შეუძლოდ ხომ არა ხართ?

— არა, რას ბრძანებთ!.. — სუსტმა, ნაძალადემა ღიმილმა გადაურბინა
ტუჩებზე, და მე ვიგრძენ, რომ იგი ცდილობს შეინარჩუნოს ეს საფარიგით
გადაკრული უმწეო ღიმილი. და ეს თითქმის მოახერხა კიდევ, ღიმილი თანდა-
თან უფრო მოედო, ნამდვილი გახდა... მაგრამ თვალები ამხელდნენ: თვალებს
ვერაფერს მოუხერხებს კაცი.

იწყება გამოთხოვება. რა ღარიბი მეჩვენება ჩვეულებრივი გამოსათხოვა-
რი სიტყვები!

„ნუთუ ასე დავცილდებით?.. ჩემმა ამხანაგებმა არაფერი იციან, მაგრამ
მე ხომ ვიცი! მე ვერას ვუშველი, არც არავის უშუძლია შველა. მაგრამ ეს
რანაირად შეიძლება: იცოდე ადამიანის უბედურება და ჩუმად კი აუარო
გვერდი?..“

— გზა მშვიდობისა!..

— ბედნიერად დარჩენას გისურვებთ!..
ბორისენკოვი და ზეოშიი განსაკუთრებით ცდილობდნენ თავი ვაჟკაცურად დაეპირათ, ისინი მტკიცე ნაბიჯებით გასცდნენ სადგურს.

ჩემი ზურგჩანთის თასმები არაფრის გულისათვის არ იქიმებია, თითქო განგებ მაბრკოლებენ. კატია ჩემს გვერდით დგას.

— მაპატიეთ, კატია... ვიცი, რომ არა მაქვს უფლება... დიდ პატივს გცემთ, მაგრამ თუ კი მე... უკეთ, თუ კი შესძლებდით...

— რაზე მეუბნებით? — მკითხა მან ცივად და ვიგრძენ, რომ ის სულერიანი აიწურა და შესატყვად მოემარჯვა.

— მე წუხელ არ მეძინა...

— შეუჩვეველი ხართ და იმის ბრალია. — შემაწყვეტინა მან მოკლე, უკეთური ჩაცნებით, — მე კი მკვდარებით მეძინა.

— მაპატიეთ. — წავიღულღულე და დავწვი ჩემს ტვირთს. გულზე სიმძიმე შემომაწვა და თან რატომღაც მრცხვენოდა.

— არა, მოიცადეთ, — მითხრა უეცრად კატია. — რაკი იცით... არ მინდა, რომ სულელ გოგოდ მთვლიდეთ, რომელსაც ცრემლი მუდამ წამწამებზე ჰკიდია. აქ ბევრად უფრო სერიოზული და სამწუხარო ამბავია, — მან ხელი გადაისვა სახეზე, თითქო უხილავი აბლაბულა მოიშორაო, — ის ყმაწვილი, რომელიც წავიდა... გაიქცა სადგურიდან, — თქვენ გაგიგიათ იმის შესახებ?

— გამიგია... დიახ, — ვუპასუხე გაკვირვებულმა.

— ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში. სუსტი ვინმეა, ქარაფშუტა, ის არ აფასებდა არც თავის ნიჭსა და უნარს, არც თავის პროფესიას. მივალწვი იმას, რომ აქ გამოეგზავნათ. მეგონა აქ გამოიცივლებოდა. მაგრამ მოსწყინდა, მოსწყინდა უხალხოდ, უხმაუროდ, უქალაქოდ და წავიდა. ფარულად... მე შევიტყვე, თუ სად იმყოფებოდა. მივწერე, დაბრუნდი, ყველაფერს მოვაგვარებ-მეთქი. არ მიპასუხა. კიდევ მივწერე. მივწერე, ყველაფერი მიპატიებია, მწამს შენი-მეთქი. და აი ველირსე პასუხს. ის არ დაბრუნდება, უარს ამბობს... უარს ამბობს ყველაფერზე. გესმით, ყველაფერზე!.. — სული შეეხუთა, პაერი ისე ხმინად ჩაყლაპა, თითქო ყლუპი წყალი გადაყლაპაო.

— აბა რა მოგდით, კატია! რა სადარდებელი ეგ არის! განა ამის ღირსია ის კაცუნა!

კატია დაღლილი თვალებით შემომხედა:

— მე ხომ ის მიყვარს...

ბილიკი რკალად ევლებოდა უდაბურ დახვავებულ კლდეებს და სადგურის მოედანი ხან მიეფარებოდა თვალს, ხან ისევ გამოჩნდებოდა, ზოგჯერ შორს ჩანდა. ზოგჯერ განსაცვიფრებლად ახლოს, თითქო ბილიკი უკან ბრუნდებოდა. და უცებ ისევ გამოჩნდებოდა ძალზე შორს, ქვევით — ერთი ბეწო, მწვანე არშიამეგობლებული ველი უსიცოცხლო რუხ ქვებს შორის, საცაა სულ მიეფარება თვალს. მე გავჩერდი და საველე დურბინდი ამოვიღე.

კატია იჯდა თავისი სახლის კიბის საფეხურზე. სახე ხელბზე დაეყრდნო და რაღაცას ელაპარაკებოდა მის ირგვლივ შემოჯარულ ლეკვს სტიოპას, გოქს კუზიას, ქათამს ტატას, კუს ლედას და შორიასლოს ჩამომჯდარ ბებერ მოკუშულ გრაფის ასულს. იქნებ ამ უტყვე მეგობრებთან ერთად სწყვეტდა საკითხს, თუ როგორ წარემართა შემდეგში თავისი ცხოვრება.



შალვა შაველაშვილი

მზისა და ჭყლისა.

როცა ნატოს კუბო სამარეში ჩაასვენეს, ქალარაულვაშებიანმა ბაგრატმა თვალეზზე ორივე ხელი მიიფარა და მწუხარებით გული ამოუღუღდა. შემდეგ დაბლა დაიხარა, მუჭით მიწა აიღო და სამარეში ჩაშვებულ მეუღლის კუბოს დააყარა. მეზობლებს შეებრაღათ მიცვალეზულის მეუღლე. თანაგრძნობით შეხედეს. ხელი მოჰკიდეს და საფლავიდან მოშორებით დააყენეს.

მიწით ამოავსეს სამარე... პატარა ბორცვზე ყვავილების გვირგვინები გაშალეს. აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან ქვეები დააწყეს. შემდეგ შესანდობარც ჩამოარიგეს. პირველი ქიქა მესაფლავეს მიაწოდეს. ნაყვავილარმა გიგამ უღვაშებზე ხელი გადაისვა და სასმისი საფლავისავე წაიღო. პირი წაუქცია, თან დააყოლა: „განათლოს“. ყველამ მოიხსენია მამიდა ნატო. მართალია, მამინ პატარა ვიყავი, მაგრამ მეც მომიწია შესანდობრის დაღვევა. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემთვის; საფლავზე ღვინო არასოდეს არ დაშვლია. მახსოვს, თვალეზი ცრემლით ამევსო და აეჭვითინდი. ბიძაჩემმა მიხამ ხელი მომიკიდა და დამამშვიდა.

სასაფლაოდან დაბრუნებულმა ჭირისუფლებმა ხელი წყაროზე დაიბანეს და საქელეზო სუფრას მიუსხდნენ. დამწუხარებულმა ბაგრატმა ქიქა ხელში აიღო და ყრუ, გაბზარული ხმით დაიწყო:

— ჩვენი წესი ავასრულოთ. სუფრას გაძლოა უნდა. თამადად აი, ჩვენს გიგოს ვასახელებ. ჩვენი თხოვნაა, ტკბილად მიირთვათ პური. ჩემს ნატოს ტკბილი პურის ჭამა უყვარდა. ყველაფერი უხვად არის. ნურათერზე ნუ დამხოვავთ.

ბაგრატმა დაამთავრა სათქმელი და ქიქა ნახევრად გამოსცალა, იგი სუფრაზე დარჩა...

პური გატეხეს.

პირველი ქიქით თამადამ განსვენებულის შესანდობარი თქვა. ასე დაიწყო:

— განათლოს ღღევანდელი მიცვალეზული ნატო. ეს, ეს ტიალი წუთისოფელი აღამიანს ხშირად რა უდროოდ დაახუჭინებს თვალს... მამ ღმერთს სამართალი აქვს! ექვსი შვილი დარჩა გასაზრდელი იმ საცოდავს. ვიღა გაუწევს მათ ღედობას, ვინ!

თამადამ კისერი ბაგრატისკენ მიიბრუნა. ახლა მას მიმართა:

— ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო. ნატოს დანაკლისი



დღე შენს შვილებს შეემატოს! მოგათმენინოს ეს დიდი მწუხარება. აქავე დღისათვის
 ნი შვილებისათვის მხოლოდ მამა იყავი, ამიერიდან კი დედობაც შენ უნდა
 გაუწიო.

თამადის სიტყვებმა ქრუანტელი მომგვარა. სუფრიდან გავეპარე ბიძა-
 ჩემს და კარში ფრთხილად გავედი... დაობლებული გრიშა და შაქრო ეხმარე-
 ბოდნენ ფეხზემდგომებს. ჩემს მამიდაშვილებს ოდნავ გაუღიმე და მათთან
 მივედი. მივეშველე... მზარეულებმა სუფრაზე ბოზბაშის მიტანა დაიწყეს.
 ცხვრის ხორცი და ხანჯლით დაკეპილი ღუმა ტივტივებდა წვენიში.

მერიქიფეებს მარნიდან დიდი გოზაურებით ამოქჷონდათ ღვინო. სამზარე-
 ულოში, თონეზე და მარანში ყველა თავის საქმეს უძღვებოდა. სუფრაზე დრო-
 ზე მოქჷონდათ საკმელ-სასმელი.

როცა სახლიდან გამოსულმა ხმაურმა იმატა, სუფთად თმაგადეაარცხნილ-
 მა და გაქათქათებულ წინსაფრიაანმა მზარეულმა სოლოლანთ სანდრომ თავი-
 სთვის ჩაილაპარაკა:

— ღვინო მოეკიდათ...

მალე დუღუქის ხმამ ისევ მიაყუჩა ხალხი. სამგლოვიარო პანგი გამოიჭრა
 ეზოში.

— გრიშა!.. — მეზობლის შორეულმა ძახილმა გრიშას ყურამდე მოაღწია.

— აქ ვარ, რა გინდა! — გადასძახა ღობიდან გრიშამ ქვევით, მოშორებით
 მდგარი სახლის აივანზე გადმომდგარ თებროს...

— მოდი, შვილო, შენი დაიკო დაარწიე.

გრიშამ თეფშები სამზარეულოში შეიტანა და მეზობლის სახლისაკენ და-
 ეშვა. მეც უკან გავყვევი.

თებროს პატარა მარიამი ჯერ თავისი რძით გაეძლო და შემდეგ აკვანშიც
 ჩაეწვინა. ბავშვი თვალებს ნაბავდა. მაგრამ რაკი რწევას იყო დაჩვეული, ან-
 ჩხლობდა. შაქრომ აკვნის ბოლოში გამობმულ თასმას ხელი მოჰკიდა და რწე-
 ვა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა ობოლმა ტირილი შეწყვიტა და
 ტკბილად ჩაეძინა. მან დღეს პირველად მოსწოვა სხვისი ძუძუ.

— კარგი, შვილო, ნუღარ არწიე, უკვე სძინავს. თქვენ აქ იყავით და მე იქ
 თქვენსა წავალ, მივხედავ... მივხედავ ზეზემდგომებს.

ჩვენ ორნი დავჩრით... მღუშმარედ ვისხედით და ერთიმეორეს უსიტყვოდ
 სახეში შევცქეროდით. გრიშას უეტრად ქვითინი აუვარდა. მეც ავტირდი. ყვი-
 ლაზე უფროსი და-ძმებში გრიშა იყო, ცამეტი წლის სრულდებოდა. მარიამი კი
 ყველაზე პატარა იყო.

გვიან საღამომდე გაგრძელდა ქელები. მოწვეულნი სუფრიდან რომ აიშა-
 ლნენ, ახლა ფეხზემდგომებისათვის გაიშალა სუფრა. მზარეულები, ხაბაზები,
 მერიქიფეები და მიმტანები, რომლებიც ფეხზე ტრიალებდნენ, სუფრას მიუ-
 სდნენ. მათ შინაურებიც შეუერთდნენ. მართალია, ისინი პურნაჭამები იყვნენ.
 მაგრამ წესის მიხედვით ფეხზემდგომებს მასპინძლობდნენ.

შუალამის შემდეგ მე და გრიშამ სათივეზე დავიძინეთ. თბილი ღამე იყო.
 მეორე დილით კვლავ შეიკრიბნენ ახლობლები და მოწვეულები, საფლავზე გა-
 ვიდნენ. სადილობისას ისევ გუშინდელი თამადა ძია გიგო უძღვებოდა სუფ-
 რას... ჩვენებური ქელები ხომ იცით, ძველებურად ტარდებოდა.

დაეტოვეთ მამიდაჩემის სახლი და სხალტიდან ჩვენს სოფელში ამოვე-
 დით... ბიძაჩემმა მიხამ ორმოცი დღე წვერი არ გაიპარსა. გლოვობდა დას. მეც
 უთქმელად ვწუხდი... ვიგონებდი ჩემს ადრეულად დაობლებულ მამიდაშვი-
 ლებს.



რამდენიმე წელი გავიდა. ოჯახში ჩვენები ბაგრატის შესახებ ხშირად ლაპარაკობდნენ, აქებდნენ სიძეს. არც ერთი მამა არაა იმისთანა, შვილებს უდღეობას არ აგრძნობინებს, დღე და დამეს ასწორებს და ოჯახზე ურიგოს არავის არ ათქმევინებსო.

ერთი სიტყვით, მისი კაცობის ამბავი მუდამ აღწევდა ჩვენს ყურამდე.

არც ცოლი შეურთავს. ბაგრატს მეუღლის კუბოსთან დადებული ფიცი არ გაუტეხია.

საოცარი ის იყო, რომ სოფელში არავინ იცოდა, ბაგრატის ოჯახში ფქვილს ვინ სტრიდა, ცომა ვინ ზელდა, პურს ვინ აცხობდა, და განა მარტო პურის გამოცნობაა საჭირო ოჯახში... ეს, მეგობრებო, ექვს ბავშვს დარეცხვა, დაკერება, საჭმლის გაკეთება და სხვა ათასი საზრუნავი ესაჭიროება. ეს თქვენც კარგად იცით. ბაგრატის ბავშვები მუდამ სუფთად დადიოდნენ. არც აღზრდა აკლდათ. მათ პირიდან ურიგო სიტყვას ვერ გაიგებდით...

უთქმელი კაცი იყო ბაგრატი. ცოლი რომ გარდაეცვალა, დარდის გასაქარეებლად თამბაქოს წვევა დაიწყო. პირში მუდამ ჩიბუხი ედო. მისი თეთრი წვერულვაში თამბაქოს კვამლს გაეყვითლებინა.

„ქვრივი ხომ არ გაიჩინა ბაგრატმა?...“ — ხშირად გაიგონებდით სოფელში ასეთ ლაპარაკს, როცა ბაგრატის სუფთად გამოწკვილ სკოლიდან მომავალ ბავშვებს დაინახავდნენ. ბევრ რამეს ლაპარაკობდნენ. მაგრამ მისი ოჯახის საიდუმლოებას ვერავინ ხვდებოდა. სოფლის თავში ცხოვრობდა. დიდი კაკლის ხეების ჩრდილში იდგა მისი სახლი. კაცი შორიდან ვერც კი ამჩნევდა, ვინ ტრიალებდა მათ სახლში. ეს კითხვა ამოუცნობი რჩებოდა.

ერთ საღამოს ფოცხვერანთ ნინუასთან ჩამოსულმა ბაგრატის ქალიშვილმა სალომემ ყველა გააოცა.

— მამიდა ნინუა, მამაჩემმა გამომგზავნა, თუ პური გიღევთ, გვასესხეო.

— რამდენი გინდა, შვილო?

— ათი პური.

— მერედა რად გინდათ ამდენი პური? — შეეკითხა მოფერებით გოგონას.

— სტუმრები მოვივიდნენ...

— ვინ არიან, ან საიდან გესტუმრნენ, გენაცვალე. — არ ეშვებოდა ცნობისმოყვარე ნინუა გოგონას.

— ქალაქიდან მოვიდნენ. დედაჩემის ნათესავები არიან.

ნინუა უფრო დაინტერესდა. სალომეს აღერსით გადაუსვა ხელი თავზე და კვლავ შეეკითხა:

— ავტომობილით მოვიდნენ?

— დიახ.

ნინუამ პურები ბწყლის კალათაში ჩაულაგა ბავშვს და გაისტუმრა. თვითონ კი კარში გავარდა. სოფელში ფოცხვერანთ ნინუას „ქვეყანას“ ეძახდნენ. ახალ ამბავს ცეცხლივით მოსდებდა სოფელს. ეს ამბავიც მალე გაიგო უბანმა. მართლაც ყველას გაუკვირდა. რაც ცოლი გარდაეცვალა, ათი წელიწადი იყო გასული და არავის ახსოვს, ბაგრატის ოჯახს პური ესესხოს ვისგანმე. ეს პირველი შემთხვევა უბნის დედაკაცებმა ხელზე დაიხვიეს. იმავე საღამოს ნინუასთან შეიკარბნენ და გადაწყვიტეს: დილით აღრე მისულიყვინ ბაგრატთან, პური გამოეცხოთ მისთვის.

ასეც მოიქნენ.

სარკინეთის მთებს ჯერ კიდევ არ წაჰკიდებოდა რიყრაყის ფერი, რომ უმძრახზე უბნის დარბაისელი დედაკაცები — თეგანთ პელა, ქვიტიკრანთ



თეკლე, პაპუაანთ მთვარისა და ფოცხვერაანთ ნინუა ფრთხილად მიუხაზოდ დადნენ ბაგრატის დაჩრდილულ ეზოს.

დედაკაცებს შორიდანვე თბილი პურის სუნი ეცათ. ეზოს რომ მიუახლოვდნენ, უეცრად გაჩერდნენ და გაშტერებულემა გოცებით შეხედეს ერთიმეორეს. სათონეზე მკლავებდაკაბიწებულ ბაგრატს ხელში შამფურები მოემარჯვებინა, თონიდან ცხელ-ცხელ პურებს იღებდა და იქვე გრძელ ხონჩაზე შლიდა, რომ არ ჩახურებულიყო.

პირდაღებული და გოცებული დედაკაცები მიხვდნენ, თუ ვინ აცხობდა პურს ბაგრატის ოჯახში. ამ უთენიაზე ბაგრატს თონიდან მეორედ ამოეყარა პური. აქვე ეკიდა ნინუას ბუკლის კალათი და შიგ პირველად ამოყრილი და გაციებული ათი პური იყო — სესხის გასასტუმრებლად.

— დილა მშვიდობისა, ბაგრატ! — მორიდებით მიესალმა თეგანთ პელა. თონზე დახრილი კაცი მოულოდნელმა სალამმა შეაკრთო. ცეცხლივით ანთებული სახე ღობისაკენ მიაბრუნა და გოცებულმა თვალემა დედაკაცებს მიაპყრო. უნდოდა ეთქვა—მოდით, თბილი პური მიირთვიეთო, მაგრამ ეუხებრუნა, შერცხვა. გოგნებული კაცი ველარაფერს ახერხებდა. — მეუღლის სიკვდილის შემდეგ თვითონ აცხობდა პურს. თავისი შვილების ნამდვილ დედად გადაიქცა. ღამით ბავშვები რომ დაიძინებდნენ, ბაგრატი ტანსაცმელს უკერავდა, ჭუჭყიან საცვლებს ურეცხავდა, უუთოვებდა... წუხელ თბილისიდან უეცრად მოსულ სტუმრებს მზად ვერ შეხვდა და ცოლის გარდაცვალების შემდეგ მეზობლისაგან პირველად ისესხა პური. ხელად ქათამი დაკლა. მშრალად მოხარშა, პატარა ქოცო ახადა. ვახშმის შემდეგ სტუმრები სუფთა ლოგინში მოასვენა, როცა ბავშვებიც დააძინა, ფქვილის გაკრას შეუდგა. მალე მოზილა კიდეც. შუალამის შემდეგ ხმელი ფიჩხით თონე გაახურა.

ვარცილიდან ცომი გუნდებდა ამოქნა და ხონჩაზე დაალავა. ცეცხლი მოჩხრიკა. ცხარე ცეცხლს პური რომ არ აელანდა, თონეში ირგვლივ თუთქი მოაყარა. ჩუმად, ღამით პურის ცხობას შეჩვეულმა ბაგრატმა კარვად ვალვივებული გუნდა სწრაფად ჩაყარა, მალე პური ამოყარა კიდეც. ქვემო უბნის მეზობელი დედაკაცები სწორედ მაშინ მიადგნენ ბაგრატის ეზოს, როცა მეორედ ჩაქრულ, ახალ გამოცხვარ პურს პყრიდა თონიდან. თბილი პურის სუნე ტრიალებდა პაერში.

ბაგრატი დედაკაცებს მიუბრუნდა:

— ამ უმძრახზე რამ მოგიყვანათ აქ, ურიგო ხომ არა შეგემთხვათ რა.

— რალა უმძრახია, ბაგრატ, ორი თონე პური უკვე გამოგიცხვია.

— ეზოს კარი გაგვიღე, ბაგრატ. — გამოსძახა გარედან ნინუამ.

— ჰო, სულ გადავყრუვდი, მობრძანდით. — შემოიწვია ეზოში მეზობლები და ისევ თონეს მიუბრუნდა. შამფური დაპყრა პურის ყუას. — ვაქაცის ტაშით გაბრტყელებული პური ამოიღო ქვედა რიგიდან.

დედაკაცებმა მიიხედ-მოიხედეს ეზოში. თუთის ტოტზე გატყავებული ცხვარი ეკიდა. იქვე შამფურზე აგებული ხორცი ეწყო ტამტში. ახლად მოკალულ სპილენძის ქვაბში ჯიგარი ეყარა. დედაკაცები ერთიმეორეს გაცივრებით შესცქეროდნენ.

„როდის მოასწრო ყოველივე ეს?“ — ფიქრობდნენ გულში. ახლა მზერა ისევ ბაგრატისაკენ გადაიტანეს: მან თონიდან კუტი პური ამოიღო. გრძელ ხონჩაზე დაწყობილი პურები მარანში ჩაიტანა და ისევ მალე დაბრუნდა. ხელში პატარა ჭრელი საღვინე და მოზგრის ყანწი ეჭირა. საღვინე და ყანწი იქვე მაგიდაზე დააწყო. შემდეგ ტაბაკზე გაფანტული საფანელი მოაგროვა და



ხის ჯამში ჩაყარა. ცარიელა ტაბაკზე ორი-სამი თბილი პური დადო. ბაგრატი უხმოდ ტრიალებდა... ახლა საჩხრეკი აიღო და თონეში ნაკვერცხალი მოჩხრეკა. დინჯად შემობრუნდა, შამფურს მისწვდა და თონეში ჩააყურა. მალე მწვადის სუნი დატრიალდა ეზოში.

მთელი ღამის უძინარი, სამოც წელს მიღწეული კაცი ქაბუკივით, ხალისიანად ტრიალებდა. დაღლილობა არ ემჩნეოდა. კარგი ეზო ჰქონდა ბაგრატი. თავისი ხელით დარგული კაკალი, თუთა, აღრეული ბალი და მრავალი სხვა ხეხილი ჩარდახივით გადაპფარებოდა კარმიდამოს. იქვე კაკლის ხის ქვეშ მაგიდა და გრძელი სკამები იდგა.

ბაგრატიმა პურები, საღვინე და ყანწი სწორედ ამ მაგიდაზე დააწყო. შემდეგ თონიდან შამფური ამოიღო და მწვადი თიხის ჯამში ჩასჭრა. მხოლოდ ახლა დაჯდა ბაგრატი. შვება იგრძნო, თავი მაღლა ასწია და მეზობელ დედაკაცებს გაეხმიანა:

— ახლო მოდით, ქალებო. თბილი პური გატეხეთ.

ბაგრატის მიპატიებებაზე უარი ვერ გაბედეს. ამ უცნაური კაცის სამაგალითო გარჯამ მოაჯადოვა ყველა მათგანი.

გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. ნინუამ თბილი პური შუაზე გატეხა და თან დააყოლა: ნატოს მიაგებოსო.

ბაგრატის სახეზე ჭმუნვის ღრუბელმა გადაიარა, ამოიოხრა და საღვინიდან ყანწში არაყი დაასხა. პირველად თვითონ გამოსცალა. მეორედ ნინუას მიაწოდდა. თან სათქმელს ძაფი გამოარღვია:

— ალბათ გაგივივრდა, წუხელ პური რომ დაგესესხე, იფიქრე, რაღაცა ეჭირს ბაგრატსო. აიყოლიე მთვარისა, თეკლე და პელა, დილადრიანა მომადექით კარზე, რომ ჩემთვის პური გამოგეცხოთ. მე და ჩემმა ღმერთმა, ურიგოდ არ ვიფიქრიათ. რახან ჩემი ცხოვრების იღუმალეზას უკვე ფარდა ახადეთ, მართლა უნდა მომეხმაროთ. სტუმრებს ჯერ კიდევ სძინავთ, ცხვრის ჯიგარი ჩამიყაურმეთ, მწვადები შემიწვით, სუფრა გამიწყეთ!

— ვინ არიან შენი სტუმრები, ბაგრატი. — შეეკითხა მთვარისა.

— ჩემი უბედური ნატოს ძმები, რძლები და მათი შვილები არიან, სალომე და შაქრო უნდა თან წაიყვანონ, სწავლა გააგრძელებინონ.

— ღმერთმა უშველოთ, რომ გული შესტკივნიათ შენი შვილებისათვის, — ჩაილაპარაკა პელამ და ბაგრატის მიერ მიწოდებული ყანწი გამოსცალა, ცხელი მწვადი ჩაიღო პირში და ერთადერთი კბილით დაუწყო ლეჭვა.

სუფრიდან წამოიშალნენ, ქვაბი ზედადგარზე შემოდგეს. ცეცხლი გააჩალეს, ყაურმისათვის ხახვი გაფეკვნეს, თეკლემ წყაროდან კოკით წყალი მოიტანა, პელამ ეზო დაგავა.

ბაგრატიმა პირი დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ეზო-კარმიდამო დაკრიალეზული რომ დაიანახა, ნატოს სიკვდილის შემდეგ პირველად გაიღიმა...



ომაკ სარსიძე

მე სულ სხვაგვარი მებრე ვარ

პატივს ვცემ მამა-პაპეულს:
კავს, უღელსა და აბეურს,
აქვეა ძველი სახნისი —
მინდორთა დიასახლისი.

ბაბუა მომაგონდება
და გული უცებ ღონდება.
მუხას მოჰგავდა ნამეხარს,
თავს ადგა დღე და ღამე ხარს.

ტანჯვას ვერ შეხსნა ჭიმკარი,
იწვა მჭვარტლიან სორთში;
ვითარცა კითხვის ნიშანი,
იღვა ცხთვრების ბოლოში.

ხელკოყრიანსა ჯაფითა,
ღვინო არ ჰქონდა ჩაფითა.
მზეს ნატრულობდა თავიდან.
მზის ამოსვლისას ჩავიდა.

სხვა ბედზე დაბადებულმა,
სილაღედაბედებულმა —
აფწიე ქოხის თაღები,
მიწაზე დაესვი ბაღები.

არ მინატრია დგომა შინ,
მე სულ სხვაგვარი მებრე ვარ,
მტერმაც რომ მნახოს ურომაში,
ძმასავით გადამეხვევა.



ლირა სვჰილია

გაზაფხული შემოდის

... და გაზაფხული შემოდის;
ტოტებს მზეს უშვერს თუთა,
ალუჩასავით ვეთერთდები,
მდინარესავით ვსუნთქავ,
— არასდროს არ დაბერდება —
ბეზიას ჩემზე უთქვამს.
მთაზე ავრბივარ ხალისით,

მთიდან ჩამორბის წყარო,
— უკან თუ ვინმე არ მოგდევს.
წყაროვ, ასე რად ჩქარობ?;
აპრილის წვიმამ დამცვაროს,
გორები ნისლეებს პენტავს,
საქმრომ ცოტახანს მაცალოს...
რა ეჩქარება ნეტავ.

საწყალი ბეზია

მე ცხენისწყალის
ხმა მუდამ მესმის...
უძაფოდაა
დიდელას ნემსი.
კედელზე ჰკილია,
ბაბუას სატევარი...
გავიდა, გავიდა
წელიწადნახევარი...
ბაბუა არ არის,

არ არის ბეზია...
სხვენი უხილოდ
დაგვლარიბებია...
საწყალი ბეზია.
ჰა, მისი „ზანდუკი“,
ჰა, მისი სათვალე,
...და, როგორც ბაბუა,
ბუხარი ამთქნარებს.



მთვარე მკრთალად ანათებს,
ქარი ღობეს აწყდება...
რა იციან ანწლებმა,
რა იციან მარწყევებმა,

რა იციან ნისლებმა,
რა იციან ღრუბლებმა...
მთვარე გათენებამდე
ამ გულს რას ეუბნება?!



ნიკოლოზ გოგოლი

ქალაქი

ქალაქი ბ. ფრიად გამხიარულდა, როცა იქ კავალერისტთა პოლკი დადგა მანამდე უზომო მოწყენა სუფევდა. რომ გაივლიდი და შეხედავდი თიხით შეგლესილ ჩამძვრალ სახლებს, რომლებიც დამარებული გაჰყურებდნენ ქუჩას... ნუ იტყვი, რა სევდა შემოგაწვებოდა გულზე: თითქო ბანქოში წააგეო, ან არა და რაღაც სისულელე წამოროშეო, ერთი სიტყვით, ვერ იყო საამო გრძნობა. თიხა წვიმას ჩამოეგდო ალაგ-ალაგ, კედლები თეთრის მაგივრად ჭუჭყისფრად აჭრელებულიყო; სახურავები ლერწმით იყო გადახურული, როგორც ჩვენს სამხრეთის ქალაქებში სჩვევიათ ხოლმე; ბაღები ქალაქის თავის ბრძანებით გაეჩეხათ, აქაოდა მეტი ლაზათი მიეცემაო. ქუჩებში ადამიანისშვილს ვერ ნახავდით წამლად, ხანდახან მამალი თუ გადაივილიდა ერთ არშინზე დადებულ ბუმბულავით მტვერზე. პატარა წვიმა ლაფად აქცევდა სასიარულო გზას და მაშინ ქალაქ ბ-ს ქუჩებში გამობრძანდებოდნენ ის ზორზოხა ცხოველები, რომლებსაც ქალაქის თავი ფრანცუზებს ეძახდა. ჩაწებოდნენ ამ თავიანთ აბაზანებში და ისეთ ღრუტუნს შექმნიდნენ, მგზავრს სხვა არა დარჩენოდა რა, თუ არ სწრაფად გაერევა ცხენები. მაგრამ მგზავრს ძნელად ნახავდით ქალაქ ბ-ში. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ რომელიმე ნაშურის სერთუკიანი მემამულე, 11-იოდე კომლის პატრონი, გაარახრახებდა შუა ქუჩაში ნახევრად ბრიჩკასა თუ ნახევრად ურემს, იჭყიტებოდა ზედ დახვავებული ფქვილის ტომრებიდან და მიერეკებოდა ქურანა ცხენს, რომელსაც უკან კვიცი მისდევდა. რაც შეეხება ბაზრის მოედანს, ისიც, ცოტა არ იყოს, სავალალოდ გამოიყურებოდა: თერძის სახლი მთელი ფასადით კი არა, ფრიად სულელურად გვერდელად გამოჭრილიყო ქუჩაში; მის პირდაპირ ავერ თხუთმეტი წელია რაღაც ქვის შენობას აგებდნენ, ორფანჯრიანს. მოშორებით ჭუჭყისფრად შედებილი ახალი ფასონის ფიცრული ეზო-ბაჯი იდგა, რაიც ქალაქის თავს წამოეჭიმა სხვა შენობათა ნიმუშად ახალგაზრდობის ეპოს, როცა ჯერ კიდევ ჩვევად არ ქცეოდა ნასადილევი ძილი და საღამოთი კი ხმელი კინკრიყით ნაკმაზი რაღაც დეკოტის¹ ყლურწვა. სხვაგან მეტწილად წნული ღობეები იყო. შუა მოედანზე ერთი ციცქნა დუქნები იდგა. იქ, როცა არ გინდათ, დაინახავდით ბლითების აცმას, წითელთავსაფრიან დედაკაცს, ერთ ფუთ საპონს, რამდენიმე გირვანქა მძაღვ ნუშს, სასროლ საფანტს, დემიკოტონს და კიდევ ორ ნოქარს, რომლებიც ღდენიადაგ კართან

¹ სასმელი.

ბიხს აგორებდნენ. მაგრამ დადგა თუ არა სამაზრო ქალაქ ბ-ში კავალერისტთა პოლკი, სურათი უმალ შეიცვალა: ქუჩები გამოცოცხლდა, ხალხი აერიაშულდა, ერთი სიტყვით, სულ სხვა ელფერი დაედო. ჩამძვრალი სახლები ხშირად გასცქეროდნენ წარმოსადგე, თვალტანად ოფიცერს, ჯილიანი ქუდით თავზე, რომელიც ამხანაგთან მიემართებოდა ან წარჩინების თაობაზე, ან მშვენიერ თამბაქოზე სალაყბოდ, ხანდახან კი გენერლის უჩუმრად ბანქოს სათამაშოდ იმ დროშაზე, რომლისთვისაც პოლკის ეტლიც შეიძლებოდა გვეწოდებინათ, რადგან ხელიდან ხელში გადადიოდა: დღეს მაიორი დააგრიალბდა, ხვალ პორუჩიკს ეყენა თავლაში, ერთი კვირის მერე კი გაიხედავდით და ისევ მაიორის დენშიკი პოხავდა ქონით. სახლსა და სახლს შუა გაყოლებული ხის ღობე სალდათების ქუდებით იყო მოფენილი, გასამზებურებლად გაეკიდებინათ. რუხი ფარავა უსათუოდ სადმე ქიშკართან ეკიდა. შუკებში სალდათები შეგეჩხებოდნენ ჯაგარივით გაფშეკილი ულვაშებით. სად არ ნახავდით ამ ულვაშებს! თავს შეიყრიდნენ ბაზარზე კუტლებიანი მეშჩანი დედაკაცები, — გაიხედავდით და მათ უკან უთუოდ ულვაშები იჭყიტებოდა. მოედანზე ულვაშა სალდათი წვერს უსაპნიდა სოფლის ვინმე დოყლაპიას, რომელსაც თვალეები ცისაკენ აეპყრო და მხოლოდ კრუსუნებდა. ოფიცრებმა სული ჩაუდგეს საზოგადოებას, რომელიც აქამდე მარტოოდენ მოსამართლისა და ქალაქის თავისაგან შედგებოდა. მოსამართლე ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდა ვილაც ფოფოდისთან ერთად, ქალაქის თავს კი, თუმცა წინდახედულ კაცს, მთელი დღე ეძინა: სადილობიდან საღამოჟამამდე და საღამოჟამიდან სადილობამდე. ხოლო როცა ბრიგადის გენერლის ბინაც ვადმოიტანეს ქალაქში, საზოგადოება უფრო ხალხმრავალი და თავშესაქციევი გახდა. იქაური მიდამოს მემამულეები, თვალთ რომ აქამდე არავის ენახა, ახლა ხშირი სტუმარი შეიქნენ სამაზრო ქალაქისა, ბატონ ოფიცრების მოსაწახულებლად მობრძანდებოდნენ და ხანდახან ბანჩიკსაც¹ ჩაუჯდებოდნენ, რაიც ძლივსდა აგონდებოდათ ხენა-თესვით, ცოლის დავალებებით თუ კურდღლებით ტვინაბნეულ ბატონებს. ვწუხვარ, რომ ვერ მომიგონია, რა მიზეზის გამო მოაწყო ბრიგადის გენერალმა სადილი; მზადება კი დიდი ჰქონდა: გენერლის მზარეულთა დანების რაკუნს ქალაქის კართან გაიგონებდით. მთელი ბაზარი სადილისათვის წახიკეს, ისე რომ მოსამართლესა და მის ფოფოდისს იმ დღეს ხმელა უგრეხელის ლავაშებისა და სახამებლის კისელის გარდა პირში არაფერი ჩასვლიათ. გენერლის ბინის პატარა ეზო ეტლებსა და კალიასკებს გაეჭედათ. სტუმრები მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები — ოფიცრები და რამდენიმე იქაური მემამულე იყვნენ. მემამულეთა შორის განსაკუთრებით პიფაგორ პიფაგოროვიჩი ჩერტოკუცკი გამოირჩეოდა. ის ბ. მაზრის ერთ-ერთი ბრწყინვალე არისტოკრატი გახლდათ. არჩევნებზე მუდამ ყველაზე მეტად იღებდა თავს და კოპწია ეტლით დაბრძანდებოდა ხოლმე. ძველად რომელიღაც კავალერისტთა პოლკში მსახურობდა და ერთ-ერთი გამოჩინებული ოფიცერი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ბევრ მეჯლისსა თუ შეკრებაზე უნახავთ, სადაც კი პოლკს გადაუნაცვლებია. თუმცა მისი ამბავი ტამბოვისა თუ სიმბირსკის გასათხოვარ ქალებს უნდა ჰკითხოთ. იქნებ სხვა ღუბერნიებშიაც ეჩინა თავი, რომ ერთი შემთხვევის წყალობით სამსახურიდან არ გამოსულიყო. ასეთ ამბავს ჩვეულებრივ უსიამო ისტორიად ნათლავენ: თვითონ გაურტყამს იმ ხანებში სილა თუ მას სთხლიშეს, დანამდვილებით არ მახსოვს; ეს კია, უთხრეს, სამსახურს თავი დაანებეო. მაგრამ თავისი წონა მაინც არ დაუკარგავს: მუდამ მოკლეწელიანი

¹ ბანქოს აზარტული თამაში.



ფრაკი ეცვა, სამხედრო მუნდირის მსგავსი, წაღებზე დეზები ეკეთა და მუხლები
 შები ჰქონდა დაყენებული, — უამისოდ ხომ მებატონეებს ეგონებოდათ, ქვეყნის
 თა ჯარში მსახურობდაო, რომელსაც თვითონ ხანდახან ზიზღით ჩანჩალას თუ
 ჩანჩალიკას ეძახდა. თუ სადმე ხალხმრავალი ბაზრობა გაიმართებოდა და მთე-
 ლი რუსეთის გული — დეიკოები, შვილიკოები, გასათხოვარი ქალები და ჩა-
 სუქებელი მემამულეები გასართობად ჩამოვიდოდნენ ბრიკეებით, ტარატიკე-
 ბით, ტრანტასებით ან ისეთი კარტებით, მსგავსი სიზმარშიც რომ არავის
 უნახავს, ჩერტოკუცკიც იქ იყო ვაჩენილი. ყნოსვით იგრძნობდა, საღ იდგა კა-
 ვალერისტა პოლკი და ბატონ ოფიცრებს უთუოდ მიაკითხავდა, მარჯვედ ჩა-
 მოხტებოდა მათი სახლის წინ მსუბუქი კალიასკიდან თუ დროშკიდან და საოც-
 რად სწრაფად გაეცნობოდა. წინა არჩევნებზე თავადაზნაურობას მშვენიერი
 სადილი გაუმართა. იქ განაცხადა, თუ წინამძღოლად ამირჩევთ, თავადაზნაუ-
 რობას დიდებულად მოვუგვარებ საქმესო. ერთი სიტყვით, დიდკაცურად ეჭირა
 თავი, როგორც მაზრებსა თუ ლუბერნიაში იძახიან; ჯვარი დაიწერა ერთ საკ-
 მაოდ ლამაზ ახალგაზრდა ქალზე. მზითვად ორასი კომლი და ფულად რამდენიმე
 ათასი მიიღო. ფულს მყისვე გამოუყვანა წირვა: მართლაც მშვენიერი ექვსი ეტ-
 ლის ცხენი იყიდა, კარს მოოქროვილი საკეტები გაუკეთა, ოთახის მაიმუნი და
ფრანგი კარისკაცი მოიყვანა. ის ორასი კომლი კი, საკუთარ ორას კომლიანად,
 ლომბარღში დააგირავა რაღაც კომერციული საქმეებისათვის... მოკლედ, ნაღ-
 ვილი მემამულე გახლდათ... ჩინებული მემამულე. — გენერალს სადილად რამ-
 დენიმე სხვა მემამულეც სწევოდა, მაგრამ ისინი სალაპარაკოდ არ ღირან. და-
 ნარჩენები ყველა იმ პოლკის სამხედროები იყვნენ, ჰოდა კიდევ ორი შტაბს-
 ოფიცერიც: პოლკოვნიკი და საკმაოდ ჩამრგვალებული მაიორი. თავად გენერალ-
 ი წარმოსადეგი მსუქანი გვამი გახლდათ, თუმცა, როგორც ოფიცრები ამბობ-
 დნენ, კარგი უფროსი იყო. ხმა საკმაოდ ბოხი ჰქონდა, ლაპარაკი მედიდური
 იცოდა. სადილი საგანგებო გამოვიდა: თართს, თორუჯს, ცქვირინს, სავათს,
 სატაცურს, მწყრებს, კაკებებს, სოკოებს ეტყობოდა, რომ მზარეულს გუშინ-
 დლიდან ცხელი კერძი პირში არ ჩაედო და რომ ოთხი სალდათი დანებით ხელ-
 ში მთელი ღამე ეხმარებოდნენ ფ რ ი კ ა ს ე ე ბ ი ს ა და ე ე ლ ე ე ბ ი ს მზა-
 დებაში. უამრავი ბოთლების მწყრივი, დაწყებული ყელყარყარა ლაფიტებით,
 გათავებული დაბალყელიანი მადერით, ზაფხულის მშვენიერი დღე, ღია ფან-
 ჯრები, მაგიდაზე ყინულით სავსე საინები, ისიც, რომ ბატონ ოფიცრებს სულ
 ბოლო დილი შეხსნილი ჰქონდათ, ხოლო ხალვათი ფრაკის პატრონებს გაღელი-
 ლი გულისპირი მოუჩანდათ, გაცხოველებული ბაასი, რომელსაც გენერლის
 ბასი ჰფარავდა და შამპანიური ანელებდა, — ყოველივე ერთიმეორის საკადრისი
 გახლდათ. სადილის შემდეგ ყველანი საამოდ დამძიმებულნი წამოდგნენ სუფ-
 რიდან, გააბოლეს გრძელტარა თუ მოკლელტარა ჩიბუხები და ყვის ფინჯნებით
 ხელში პარმაღზე გამოვიდნენ. გენერალს, პოლკოვნიკს და, ასე გასინჯეთ,
 მაიორსაც კი მუნდირი მთლად გადაედღათ, ისე რომ აბრეშუმის კეთილშობი-
 ლური აჭიმები მოუჩანდათ; ბატონ ოფიცრებს ჯეროვანი პატივისცემის ნიშნად,
 ყველა დილი შეკრული ჰქონდათ, გარდა სამი უკანასკნელისა.

„აი, ახლა კი შეგვიძლია ვნახოთ“, წარმოთქვა გენერალმა. „გეთაყვა“, მი-
 უბრუნდა ის თავის ადიუტანტს, მარჯვე და საამო გარეგნობის ყმაწვილს,
 „უბრძანე, ქურანა ფაშატი გამოიყვანონ! აი, თქვენ თვითონ ნახავთ“. გენერალ-
 მა ჩიბუხი მოსწია და ბოლი გამოუშვა: „ოღონდ მოვლა მაინც აკლია: ამ წყე-
 ულ ქალაქში წესიერ თავლას ვერ მოძებნი. ცხენი კი... პუფ, პუფ... მეტად კარ-
 გი რამაა“.

„დიდი ხანია, თქვენო აღმატებულებავ, პუფ-პუფ, შეგიძენიათ?“ ჩერტოკუციმ.

„პუფ-პუფ-პუფ, პო... პუფ, არც ისე დიდი ხანია, ორიოდ წელი იქნება, არც საშენიდან გამოვიყვანე.“

„შუკვე გახედნილის გამოყვანა ინებეთ, თუ გახედნაც აქ ინებეთ?“

„პუფ-პუფ-პუ-პუ...უ...უ...ფ, აქ“, წარმოთქვა გენერალმა და თავით ფეხამდე გაეხვია ჩიბუხის ბოლში.

ამასობაში თავლიდან გამოხტა სალდათი, გაისმა თქარათქური, მერე გამოჩნდა მეორე სალდათი, თეთრ ხალათიანი, შავი ვეება ულვაშების პატრონი, და აღვირით წამოიყვანა შემკრთალი, დაფეთებული ცხენი. უცბათ ცხენმა თავი ასწია და კინაღამ ზევით აიტაცა ჩაცუცქული სალდათი თავის ულვაშებიანად. „წყნარად, წყნარად, აგრაფენა ივანოვნა!“ ეუბნებოდა ის და პარმალისაკენ ეწეოდა.

ფაშატს აგრაფენა ივანოვნა ერქვა: სამხრეთის ლამაზმანივით ჩათქვირებულიმა და თავნებამ ფიცრულ პარმალს ფლოკეები მიარტყა და უცბათ შედგა.

გენერალმა ჩიბუხი დაუშვა და კმაყოფილი შეაკეჭრდა აგრაფენა ივანოვნას. თვით პოლკოვნიკი ჩამობრძანდა პარმალიდან და აგრაფენა ივანოვნას ლაშებზე ხელი წაავლო. თვით მაიორმა მოუთათუნა აგრაფენა ივანოვნას ფეხზე ხელი; დანარჩენებმა კი ენა დააწყლატუნეს.

ჩერტოკუცი პარმალზე დაეშვა და ცხენს უკნიდან დაუარა. გაკიშული სალდათი, აღვირით ხელში, მნახველებს პირდაპირ თვალებში მისჩერებოდა, თითქოს შიგ უნდა ჩაუვარდესო.

„ძალიან კარგი რამაა!“ თქვა ჩერტოკუციმ: „ჯიში ეტყობა! ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, გავიგო, როგორ დადის?“

„სიარული კარგი აქვს; ოლონდ... ეშმაკმა დალახვროს, იმ რეგვენმა ფერშალმა რაღაცა აბები დააღვეინა და აგერ ორი დღეა სულ ცხვირს აცემინებს.“

„ძალიან კარგი რამაა. თუ გაქვთ შესაფერი ეკიპაჟი, თქვენო აღმატებულებავ?“

„ეკიპაჟი?.. ეს ხომ საჯდომი ცხენია.“

„ეგ ვიცი. მაგრამ თქვენს აღმატებულებას იმიტომ ვკითხვ, მინდოდა გამეგო, თუ გაქვთ სხვა ცხენებისათვის შესაფერი ეკიპაჟი?“

„პო, ეკიპაჟი არც თუ ისე ბევრი მაქვს. მართალი გითხრათ, დიდი ხანია მინდა შევიძინო ახლანდებური კალიასკა. ამის თაობაზე ჩემს ძმასაც მივწერე, პეტერბურგში რომ მსახურობს, მაგრამ გამომიგზავნის თუ არა, არ ვიცი.“

„მე მგონია, თქვენო აღმატებულებავ“, ჩაურთო პოლკოვნიკმა: „ვენის კალიასკასთან ვერც ერთი ვერ მოვა.“

„მართალსა ბრძანებთ, პუფ-პუფ-პუფ.“

„მე, თქვენო აღმატებულებავ, საგანგებო კალიასკა მაქვს, ნამდვილი ვენური.“

„რომელი? რითაც ჩამოხვედით?“

„რასა ბრძანებთ, ეგ ისე, აქეთ-იქით სამგზავროდ მაქვს. ის კი... პირდაპირ საოცრებაა: ბუმბულივით მსუბუქია, ხოლო რომ ჩაჯდებით, მომიტყვევთ, თქვენო აღმატებულებავ, და იტყვიან, ძიძა მარწევს აკვანშიო.“

„მაშ რბილი ყოფილა?“

„ძალიან, ძალიან რბილია; ბალიშები, რესორები, ყველაფერი თითქოს სურათზე ნახატიან.“

„ეგ კარგია.“



მერე რამდენი ეტევა!? ესე იგი, თქვენო აღმატებულებავ, მსგავსი პარტიისა ნახავს. როცა ვმსახურობდი, ყუთით ათი ბოთლი რომი და ოცი გირვანქა თამბაქო დამქონდა, გარდა მავისა კიდევ ექვსი მუნდირი, საცვლები და ორიც უსამელოდ გრძელტარიანი ჩიბუხი მეწყო. კალიასკის ჯიბეებში ხომ მთელი ხარი მოთავსდება“.

„მე კარგია“.

„ოთხი ათასად ვიყიდე, თქვენო აღმატებულებავ“.

„ფასით თუ ვიმსჯელებ, კარგი უნდა იყოს. თქვენ თავად იყიდეთ?“

„არა, თქვენო აღმატებულებავ, შემთხვევით შევიძინე. ჩემმა მეგობარმა იყიდა. იშვიათი აღმინანი იყო, ჩემი სიყრმის მეგობარი, თქვენც ფრიად შეეწყობოდით; ჩემი და შენი ჩვენში არ არსებობდა. ბანქოში მოვუგე. თუ პატივს დამდებთ, თქვენო აღმატებულებავ, და ხვალ სადილად მეწვევით, კალიასკასაც გაჩვენებთ“.

„აბა რა გითხრათ, მარტო მე რაღაც... იქნებ შეიძლება ბატონ ოფიცრებთან ერთად?“

„ბატონ ოფიცრებსაც უმორჩილესად ვთხოვ. ბატონებო, მე დიდ პატივად ჩავთვლი, თუ მასიამოვნებთ და სახლში მეწვევით“.

პოლკოვნიკმა, მაიორმა და დანარჩენმა ოფიცრებმა მადლობის ნიშნად თავიანთად დაუკრეს თავი.

„მე, თქვენო აღმატებულებავ, მწამს, რომ თუ იყიდი, კარგი საქონელი უნდა იყიდიო. ცუდი რა შესაძენია. აი ხვალ თუ პატივს დამდებთ და მეწვევით, გაჩვენებთ ზოგ რამეს, რაიც მე თვითონ შემოვიღე მეურნეობაში“.

გენერალმა შეხედა და ჩიბუხი გააბოლა.

ჩერტოკუცი ფრიად კმაყოფილი დარჩა, რომ ბატონი ოფიცრები შინ მიიწვია. წინასწარ წარმოიდგინა, რა პაშტეტებს და საწებლებს დაუკვეთდა მზარეულს. გამხიარულებული გაჰყურებდა ბატონ ოფიცრებს, რომლებიც თავის მხრივ უფრო მეტი წყალობის თვალთ უცქერდნენ, რაიც აშკარად ემჩნეოდათ გამოხედვასა და მიმოხვრაზე, ოდნავ თავის დაკვრაში. ჩერტოკუცი უფრო რაღაც თამამად აბიჯებდა, ხმაც ისე მიუნაზდა, თითქოს კმაყოფილებამ მოთენთაო.

„იქ, თქვენო აღმატებულებავ, დიასახლისსაც გაიცნობთ“.

„ძალიან სასიამოვნო იქნება“, თქვა გენერალმა და უღვაშებზე მოისვავ ხელი.

ჩერტოკუციმ მაშინვე დააპირა შინ გამგზავრება, რომ დროზე დაეკირა ხვალინდელი სადილის თადარიგი; ქუდიც აიღო ხელში, მაგრამ როგორღაც ისე მოხდა, რომ რამდენიმე ხანს კიდევ შერჩა. ამასობაში ოთახში უკვე გაიშალა ბანქოს მაგიდები. მალე მთელი საზოგადოება ოთხ-ოთხ კაცად დაიყო და გენერალის ბინის სხვადასხვა კუთხეში ვისტს ჩაუსხდნენ.

სანთლები შემოიტანეს. ჩერტოკუცის კარგა ხანს ვერ გადაეწყვიტა, დამჯდარიყო თუ არა ვისტის სათამაშოდ, მაგრამ რადგან ბატონმა ოფიცრებმა ზედისხედ მიბატიყეს, უხერხულად მიიჩნია უარი ეთქვა და დაჯდა. შეუმჩნევლად წინ პუნშის სასმისი დაუდგეს და თამაშით გართულმა მყისვე გამოცალა. ორი რობერტი¹ რომ ითამაშა, ჩერტოკუცის წინ ისევ გაჩნდა სავსე პუნშის სასმისი და ასევე გართულმა ისიც დალია. თუმცა წინდაწინვე თქვა: „ახლა კი დროა, ბატონებო, შინ წავიდე, მართლაც დროა“. მაგრამ მეორე პარტიასაც ჩაუჯდა.

¹ თამაშის პარტია.



ამასობაში ოთახის სხვადასხვა კუთხეში საუბარმა კერძო მიმართულება მიიღო. ვისტიის მოთამაშენი ხმას არ იღებდნენ, მაგრამ ვინც არ თამაშობდა, განზე მიმსდარიყვნენ დივნებზე და მუსიციფი გაეგბათ. ერთ კუნჭულში შტაბ-როტმისტრს ბალიში მხარქვევს ამოედო, პირში ჩიბუხი გაერჭო და საკმაოდ დაურიდებლად ჰყვებოდა თავის სამიჯნურო თავდადასავალს. ირგვლივ მყოფნი გულდასმით უსმენდნენ. ერთი ფრიად სქელი მემამულე, რომელსაც ისე მოკლე მკლავები ჰქონდა, გეგონებოდათ, აქეთ-იქით ორი კარტოფილი გამოსხმიაო, ნეტარი სახით უსმენდა და ხანდახან თუ წაიღებდა მოკლე ხელს ზურგისაკენ, რომ რის გაჭირვებით სათუთუნე ამოეთრია. მეორე კუთხეში ფრიად ვაცხოველებული საუბარი ატყდა საბატალიონო სწავლების თაობაზე; ჩერტოკუციკი ერეოდა სხვის საუბარში და თავის კუთხიდან ყვიროდა: რომელ წელს იყო, ან რომელ პოლკში? არ კი ამჩნევდა, რომ ქალის ნაცვლად ორჯერ ვალეტი ჩამოვიდა და მისი კითხვები ხანდახან ახლოსაც არ ეკარებოდა კამათის საგანს. ბოლოს, ვახშამადე რამდენიმე წუთით ადრე, ვისტი შეწყდა. მაგრამ ლაპარაკი მაინც მის ირგვლივ ტრიალებდა. გეგონებოდათ ყველას ვისტი უზის თავშიო. ჩერტოკუციკის კარგად ახსოვდა, რომ ბლომად მოიგო, მაგრამ ფული არ აუღია. როცა მაგიდიდან წამოდგა, ერთ ხანს გაშტერებული იდგა იმ კაცივით, რომელსაც ჯიბეში ცხვირსახოცი არ აღმოაჩნდა. ამასობაში ვახშამი გააწყვეს. თქმა არ უნდა, რომ ღვინო თავსასხმელი იყო და ჩერტოკუციკი იძულებული შეიქნა შიგადაშიგ გაეცო თავისი ჭიქა, რადგან მარცხნივ და მარჯვნივ ბოთლი ედგა.

ვახშამზე საუბარი გაიჭიმა, თუმცა მეტად უცნაური ხასიათი მიიღო. ერთმა მემამულემ, 1812 წლის კამპანიის მონაწილემ, ისეთი ბატალია მოჰყვა, რაც თავის დღეში არ მომხდარა. შემდეგ, კაცმა არ იცის რატომ, გრაფინს საცობი მოაძრო და ნამცხვარში ჩაარჭო. ერთი სიტყვით, სამი საათი იქნებოდა, სტუმრები რომ დაიშალნენ; მეეტლებმა რამდენიმე კაცი ფუთსავით ამოიჩარეს ილიაში და ეტლებში ჩასვეს. ჩერტოკუციკი, მთელი თავისი არისტოკრატიზმის მიუხედავად, კალიასკიდან ისე მდაბლად უკრავდა და იქნევდა თავს, რომ შინ მისულს უღვაშებში ბირკა-ბალახი მიჰყვა.

შინ ყველას ეძინა; მეეტლებმ ძლივს მოძებნა კამერდინერი, რომელმაც სასტუმრომდე მიიყვანა ბატონი და მერე პირფარეზს ჩააბარა. პირფარეზის დახმარებით ჩერტოკუციკი გაჭირვებით მიადწია საწოლს და ყმაწვილ, ლამაზ ცოლს ჩაუფორდა. ქალს მომხიბლავად ეძინა თოვლივით ქათქათა ღამის სამოსში. ქმარი რომ ლოგინში ჩაუწვა, გაეღვიძა, გაიზმორა, სამჯერ დახუჭა და გახსნა წამწამები, ბოლოს თვალები გაახილა და ვითომც გაჯავრებულმა გაიღვიძა. მაგრამ რომ შეამჩნია, ქმარს ალერსის თავი არ ჰქონდა, ნაწყენმა გვერდი იბრუნა, ქორფა ლოყა ხელზე დაიდო და მალე ჩაიძინა კიდევ.

ყმაწვილ დიასახლისს იმ დროს გაეღვიძა, როცა სოფელი კარგა ხანია ფეხზე დგას. მის გვერდით ქმარი ხერინავდა. მოაგონდა, გუშინ რომ ღამის ოთხ საათზე დაბრუნდა და გაღვიძება დაენანა. გაუყარა ფეხები დილის ქოშებში, რომელიც ქმარმა პეტერბურგიდან გამოუწერა, და თეთრი კოფტის ამარა, ჩანჩქერივით რომ ეშვებოდა ტანზე, საპირფარეშოში გავიდა. დაიბანა პირი ანკარა წყლით და ტუალეტს მიადგა. შიგ ერთი-ორჯერ ჩაიხედა და ნახა, რომ დღეს მეტად ლამაზი იყო. ამ ვითომც უმნიშვნელო გარემოებამ ორი საათი კიდევ გააცდენინა სარკესთან. ბოლოს კოხტად გამოეწყო და გასაგრილებლად ბაღში ჩავიდა. თითქო განზრახ, დღევ ისე მშვენიერი იდგა, როგორც სამხრეთის ზაფხულს სჩვევია. შუადღეზე გადაწვერილი მზე მთელი ძალით აცხუნებდა დედამიწას, მაგრამ ჩაბურთულ ხეივანებში გრი-



ლოდა და გამობარ ყვავილებსაც სურნელი გაეცხოველებინათ. ტურფა დიასახლისის სულ დააეწყდა, რომ 12 საათი იყო და მეუღლეს ეძინა. აგერ, ორმა მეეტლემ და ერთმა ფორეიტორმა ნასადილევს ხერინვა ამოუშვეს ბაღის უკან თავლაში. ქალი კი მიანიც ჩაბურთულ ხეივანში იჯდა და ფიქრებში წასული უანგარიშოდ გაპყურებდა გაუცაცურებულ გზას. უეცრად შორს მტერის კორიანტელი ავარდა და ქალის ყურადღება მიიპყრო. კარგად რომ დააკვირდა, მალე გაარჩია რამდენიმე ეკიპაჟი. წინ ორადგილიანი ღია მსუბუქი კალიასკა მოჰქროდა. შიგ გენერალი და პოლკოვნიკი ბრძანდებოდნენ. გენერლის დაჯინჯილებულ ეპოლეტებს მზეზე ბრჭყვიალი გაჰქონდათ. უკან ოთხკაციანი ეტლი მოსდევდათ; შიგ მაიორი იჯდა გენერლის ადიუტანტითურთ და წინ კიდევ ორი ოფიცერი გაჰმოჟლიყო. მათ მოჰყვებოდა ყველასათვის კარგა ნაცნობი პოლკის დროშა, რომელიც ამჯერად ზორზოხა მაიორს დაეკავებინა; დროშკას ოთხდგილიანი ბონვოიაჟი¹ მოაცილებდა. შიგ ოთხი ოფიცერი მოთავსებულნიყო, მეხუთე ხელზე ეჯდათ. ბონვოიაჟის ფეხდაფეხ კი უნაგირებზე გაჰიმული სამი ოფიცერი მოაგელვებდა მშვენიერ ქურანა აბრამ ცხენებს.

„ნუთუ ჩვენსა მოდიან?“ გაიფიქრა დიასახლისმა. „ღმერთო ჩემო! მართლაც ხიდზე გადმოუხვიეს!“ ქალმა შეჰკივლა, ხელები გაასავსავა და ყვავილნარიდან პირდაპირ ქმრის საწოლში შეიჭრა. ქმარს მკვდარივით ეძინა.

„ადე, ადე! ჩქარა ადექი!“ დაჰყვიროდა ქალი და ხელზე ეწყოდა.

„ჰა?“ წაილაპარაკა ჩერტოკუცკიმ და თვალგაუხსენლად გაიზმორა.

„ადე, პულპულტიკ! არ გესმის? სტუმრები მოდიან!“

„სტუმრები? სადაური სტუმრები?“ და თან ისე წაიზმუვლა, როგორც ხბომ იცის ღედის ძუძუს ძებნისას. „მმ...“ ლულულულებდა ის: „აბა, მონმუნია, ყელი გამომიწიე, გაკოცო“.

„ადე, სულიკო, ღვთის გულისათვის, ჩქარა ადექი. გენერალი და ოფიცრები მოდიან! ოჰ, ღმერთო ჩემო, უღვაშებში ბირკა გქონია“.

„გენერალი? აჰ, უკვე მოდის? ეშმაკმა დალახეროს, რატომ არავენ გამადვიდა. სადილის საქმე როგორაა, ყველაფერი მოამზადეთ?“

„რა სადილს ამბობ?“

„განა არ შემიკვეთავს?“

„შენ? გუშინ ოთხ საათზე დაბრუნდი, რაც არ გკითხე, არ მიასუხე. ჰოდა, შემეცოდე, პულპულტიკ, და არ გაგაღვიძე: სულ არ გიძინია...“ უკანასკნელი სიტყვები ქალმა ფრიად მინაზებული და მუდარის კილოთი წარმოთქვა.

ჩერტოკუცკი ერთხანს მეხდაცემულივით თვალბდაჰყეტილი იწვა. ბოლოს პერანგის ამარა წამოიჭრა, არც გახსენებია, რომ ეს სასირცხვო იყო.

„ეჰ, მამ ცხენი არა ვარ!“ და მუბლში იტყიცა ხელი: „აკი სადილზე დავპატიე. რა ვქნა ახლა? შორს არიან?“

„არ ვიცი... აი, საცაა მოვლენ“.

„სულიკო, დაიმალე!.. ჰეი, ვინა ხართ მანდ! აქ მო, გოგო! მოდი, ჩერჩეტო, რისა გეშინია? ოფიცრები ახლავე მოგვადგებიან. უთხარით, ბატონი არაა-თქო შინ, არც იქნება-თქო, დილიდან წავიდა-თქო, გესმის? სხვა მსახურებსაც ასე გადაეცი. აბა, გასწი ეხლავე!“

მერე სასწრაფოდ ხალათს დაავლო ხელი და ეტლების ფარდულში გაიქცა დასამალად. იფიქრა, აქ ვერავენ მნახავსო. მაგრამ ფარდულის კუთხეში რომ

¹ ფრანგ. „გზა მშვიდობისა“ (ასე ეძახიან ამ ეტლს).

აიტუხა, ნახა, რომ აქაც შეიძლებოდა მოეკრათ თვალი. „აი იქ აჯობებს, გაუელვა თავში, მყისვე ჩამოსწია საფეხური იქვე მდგომ კალიასკას, შეხტა შიგნით, კარი მიიხურა, ტყავიც და არდაგიც ზედ გადაიფარა, სიფრთხილეს თავი არ სტივიაო, და ხალათში მოკუნტულმა სული გატვრინა.

ამასობაში ეკიპაჟებიც მიგრიალდნენ პარმალთან.

ჩამობრძანდა გენერალი და მხრები შეიბერტყა, მას პოლკოვნიკი გადმოჰყვა და ქულზე ჯილა შესწორა, მერე დროშვიდან მსუქანი მაიორი ჩამოვიდა, ილიაში ხმალი ეჭირა. შემდეგ ბონეოიყიდან ტანწვრილი პოდპორუჩიკები ჩამოხტნენ და პორუჩიკიც გადმოსვეს, ხელზე რომ ეჯდათ. ბოლოს უნაგირზე გაჭიმული ოფიცრები ჩამოვიდნენ ცხენებიდან.

„ბატონი შინ არ გახლავთ“, გამოეგება პარმალზე ლაქია.

„როგორ თუ არა? სადილად ხომ მოვა?“

„არ მობრუნდებ, მთელი დღით წავიდა. ხვალ ამ დროისთვის შეიძლება დაბრუნდეს“...

„უყუტე შენ!“ წარმოთქვა გენერალმა: „ეს რა გამოდის...“

„გამოგიტყდებით, კარგი ოინია“, სიცილით თქვა პოლკოვნიკმა.

„არა, ასეთი საქციელი ვის გაუგია?“ განაგრძო უკმაყოფილოდ გენერალმა: „ფუ... ეშმაკმა წაიღოს... თუ დახვედრა არ შეგიძლია, თავს რალას იღებ?“

„მე, თქვენო აღმატებულება, ვერ წარმომიდგენია, ადამიანმა რომ ასეთი რამ ჩაიდინოს“.

„რაო?“ მიუბრუნდა გენერალი, რომელსაც ობერ-ოფიცრებთან ლაპარაკისას ჩვეულებად ჰქონდა ამ ნაწილაკის ხმარება.

„მე ვთქვი, თქვენო აღმატებულება, ვერ წარმომიდგენია, კაცი ასე როგორ უნდა მოიქცეს-მეთქი“.

„ბუნებრივია... თუ ვერ მოახერხე, შეატყობინე მაინც ყოველ შემთხვევაში, ან სულაც ნუ პატიყებ“.

„რას ვინამთ, თქვენო აღმატებულება, გავბრუნდეთ უნდა!“ უთხრა პოლკოვნიკმა.

„ცხადია, სხვა რა დაგვრჩენია, თუმცა კალიასკა უმისოდაც შეგვიძლია ვნახოთ. იმით არ წავიღოდა. ჰეი, ვინა ხარ მანდ, აქ მო, ძმაო!“

„რას გვიბრძანებთ?“

„მეჯინიბე ხარ?“

„მეჯინიბე გახლავართ, თქვენო აღმატებულება“.

„აბა ერთი ახალი კალიასკა გვიჩვენე, ამას წინათ რომ იყიდა შენმა ბატონმა“.

„ფარდულში წამობრძანდით!“

გენერალი ოფიცრების თანხლებით ფარდულისაკენ გაემგზავრა.

„აგერ გახლავთ, ოლონდ ცოტა წინ გამოვაგორებ, აქ ბნელა“.

„კმარა, კმარა, კარგია“.

გენერალმა და ოფიცრებმა კალიასკას შემოუარეს და ბორბლები და რესორები გულდაგულ გაუსინჯეს.

„დიდი არაფერია“, შენიშნა გენერალმა, „ჩვეულებრივი კალიასკა უნდა იყოს“.

„სულ უბრალო რამაა“, თქვა პოლკოვნიკმა. „ბევრი არაფერი ყრია“.

„მე მგონი, თქვენო აღმატებულება, ოთხი ათასი მანეთი არ ეღირება“. განაცხადა ერთმა ყმაწვილმა ოფიცრმა.

„რაო?“

„მე ვთქვი, თქვენო აღმატებულებავ, ოთხი ათასი მანეთი არა მგონია ღირდეს-მეთქი“.

„რის ოთხი ათასი, ორიც არა ღირს, ისეთი არაფერი აქვს, იქნებ შიგნით იყოს რაღაც განსაკუთრებული. აბა, გეთაყვა, ტყავი გადახსენი...“

„აჰ, აქ ბრძანდებით!..“ განცვიფრდა გენერალი.

თქვა ეს გენერალმა, მყისვე კარი მიხურა, ჩერტოკუცკს კვლავ არდაგი გადაათარა და ბატონ ოფიცრებიანად უკან გაემგზავრა.

თარგმნა რუსულან ქებულაძემ



მაცნე ღალიანი

რაც გაგახსენდა

25

ქუთაისში ჩემი თეატრში ყოფნის დროს კიდევ იყვნენ სხვა საყურადღებო მსახიობებიც, როგორც, მაგალითად, მიხაკო (მიხეილ) ჯანოიანი (ნემო) და გიორგი თუთბერიძე. მიხაკო ჯანოიანი იყო უნივერსიტეტის რომელიღაც კურსიდან ავადმყოფობის გამო გამოსული, გონებაშეშლილი, ფრიალ განათლებული კაცი. ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, თორემ რომელიმე დიდ დარაში უსათუოდ შესამჩნევი პიროვნება იქნებოდა — სტუდენტობის დროს გამხდარა მგონი ტიფით ავად, ძლივს მოურჩენიათ, შემდეგში დიდად განერვიულებულა, ისე რომ უბრალო გადაჭრულ ნებაზე კი მასზე გავლენას ახდენდა და შეაწრაფებდა; ხოლო როდესაც გარდაეცვალა უმცროსი და, მეტისმეტად ნერვიული გახდა. თუმცა უაქიმეს, გამოაბრუნეს, მაგრამ ხელების ძიგძიგი მინც შერჩა. ყოველივე ამის მიუხედავად, ბუნებით მინც ხალისიანი და ცოცხალი კაცი იყო, ვერ გაძლო უსაქმოდ და სცენას მოაშურა. ის შთამომავლობით სომეხი იყო, ქუთაისის მკვიდრი, იქ დაბადებული და აღზრდილი მესაყუთრეც კი, ასე რომ ვინ არ იცნობდა მას ქუთაისში. სახლიდან გამოსული ის ყოველ დღით ჩამოუვლიდა ხალხს და შეჰქონდა მათში დიდი ორომტრიალი, დამცინავი იყო და წაბაძვის დიდი ნიჭი ჰქონდა. ის ესახლა ქალაქის ცენტრიდან მცირე მოშორებით, პატარა შედმართის ქუჩაზე და ყოველ დღით უნდა გაეცლო მთავარი ქუჩა თავისი ბულვარით და მიედწია თეატრამდე. გზაში შეხვედრილებს ამას გააცინებდა, იმას გააჯაერებდა, ერთს წაბაძავდა, მეორეს ებრაულ სცენებს წაუკითხავდა, აქა-იქ განგებს ჭორსაც ჩაურთავდა და თითქმის მთელი ქალაქი აფორიაქებული ჰყავდა. განსაკუთრებით ეხერხებოდა ებრაელების ცხოვრებიდან სცენების გადმოცემა და ისე შეზავებული ჰქონდა ეს სცენები, რომ ებრაელებში არავითარ შეურაცხყოფას არ იწვევდა, იმავე დროს მათი ყოფი-ცხოვრების გამომატველი კი იყო. უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ ის ჯერ სცენისმოყვარეებში ღებულბოდა მონაწილეობას, შემდეგ კოტე მესხის დასში, ბოლოს ჩვენ შემოკვეთრთა და თითქმის სიკვდილამდე ქუთაისის თეატრს არ ჩამოშორებია. ყველასათვის საყვარელი კაცი იყო, დასის ყველა წევრთან შეხუმრებული, ამავე დროს იგრანობით, რომ ყველას მისი დიდი პატივისცემა ჰქონდა. მე ხომ თავიდანვე დამიმეგობრდა და უნდოდა, როგორც გამოუცდელი ახალგაზრდა, სწორ გზას არ ავცდენილიყავ. ამისათვის ქნდავებს კი არ დამიწყებდა ხოლმე, როგორც უფროსებმა იციან, არამედ ამხანაგურად, სახუმარო ამბების მოყოლით, თან მაიცინებდა, თან ჩამაფიქრებდა ხოლმე. მეც მას ვეტანებოდი და ხშირად დამყავდა მაინაჟიანი, რომ ამ ორი სხვადასხვა კაცის ნაფიქრი და ნაცადი სიტყვები მომესმინა.

გიორგი თუთბერიძე, რომელსაც ახალდამთავრებული ჰქონდა სასულიერო სემინარია, მეტად დინჯი ახალგაზრდა იყო, მუდამ წიგნებში ჩაღრმავებული და მიღებული როლებით გატაცებული. უყვარდა უფრო მარტოობა, მაგრამ საზოგადოებაში, ნადიმებზე მშვენიერი მომღერალიც იყო, არაღანაც ძალიან კარგი ტენორი ჰქონდა. საერთოდ ჩვენს დასში იყვნენ კარგი ხმის მქონენი და როდესაც საერთო სუფრას მივუსხდებოდით, ჩვენს სიმღერას სიამოვნებით ისმენდნენ სხვა სუფრაზე მსხდომნიც.

ქუთაისი, დიდებული აკაცის თქმისა არ იყოს, სავარდო და სამაისო იყო ჩემსობასაც, თანაც მეტად ხალისიანი და მომღერალი ხალხით სავსე. ასეთი მომღერლებისაგან შესდგებოდა ერთი მოქვიფე წრე ახალგაზრდა თავადებისა, რომელთა შორის განთქმული იყვნენ ბონო მოქვლაძე, კოცინია მიქელაძე, კოტატი შუბლაძე, მინა ბოლქვაძე და სხვ. ამ წრეს ჩვენი დასის მომღერლები არ ჩამოუვარდებოდნენ და, მსახიობობის გარდა, ამ მხრივაც პოპულარული ვიყავით ხალხში. ერთიმეორეში კარგი და მჭიდრო მეგობრობა გვქონდა, თითქმის ყველა ჩვენგანი ღარიბი იყო და ხშირად ჯიბე ცარიელი გვქონდა, მაგრამ გულს არ ვიტეხდით, საზოგადოებაში მაინც ამაყად

გაგრძელება. იხ. „ესიკარი“, № 2, № 3.



გვეჭირა თავი, და იმ დროის პოლიტიკურ და სხვა საჭიროებებზე ჩვენც დიდწილად ვაძვრებოდით. თუ გვექონდა ხოლმე, ვასო ბალანჩივაძის გარდა თითქმის ყველანი უცოლოები ვახლდით, მაგრამ ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველანი სპეციალურ ზნეობისანი ვიყავით. ერთი უზნეო და უხეში რამ ჩადენილი მე არ გამოვიტყობ, მართლაც რომ გულუბრყვილო და სულიერად წმინდა ადამიანები იყვნენ, მარტო თეატრს შეხაროდნენ, ხელოვნებას შეტრფოდნენ, ლადო მესხიშვილისთან არტისტული ხელოვნება უნდოდათ შეესწავლათ და საერთოდ ქართულ თეატრს თავიანთი შრომით გამოსდგამოდნენ.

მე პირადად, მამა პირადად გარდაიცვალა და ჩვენი ოჯახი დაიშალა, ქუთაისში, გიორგი თუთბერიძესთან ერთად დავიქირავე ოთახი და პირველად დავიწყე დამოუკიდებელი ცხოვრება. სრულიად გამოუცდელი ვიყავი, მაგრამ გიორგისთან ყოფნამ ბევრი რამ სასიკეთო შემძინა: დისციპლინისა და ჩემს საოჯახო ცხოვრებაში, წესრიგი, დროის განაწილება კვებისა და მუშაობისათვის, არაერთი რეღმეტი, არაერთი ხელზე ვადაყოლა არ არსებობდა გიორგის კადექსში და მეც ამან ამყოლოდა. საკვირველია კიდევ ერთი რამ: მე ხომ მსახიობი ვიყავი, თანაც ახალგაზრდა; ეტყობა მეც მოვწონდი გოგონებს და მომდიოდა მათგან სატრფიალო „უსტარები“, მაგრამ მე მათ არ გამოვხმარებდით. როდესაც ქალთა გიმნაზიის კართან ჩამოვივლიდი მარტოხელი, გიმნაზიის ფანჯრებიდან ვაღმოყოფდნენ თავს გიმნაზიელი გოგონები და ცალცალკე გაიძახოდნენ — „დადიანი დუშკა“, „დუშკა დადიანი“. მეც ამაებს არ ვიმჩნევდი და, როგორც საკუთარს აზროვნებაში ჩაღრმავებული მოაზროვნე ფილოსოფოსი, ამაყად ჩავივლიდი მათ წინ.

ეპ, რა კარგი დრო ყოფილა თურმე.

აი ასეთ ხალხში ვერც და ასეთ ცხოვრებას ვეწეოდი ჩემი სიჭაბუკისა ქუთაისის თეატრში. მაგრამ მთლად უმანკოები არ ვიყავით ქუთათური ყმაწვილები, ღვინოს ზშირად გსვამდით, ვთვრობდით კიდევ, ოღონდ საღამოობით, რეპეტიციების ან წარმოდგენების შემდეგ. ხარჯს კი ვუსწორებდით ან ჩვენ შორის მოკრებილი ფულებით ან, უფრო ზშირად, ჩვენი პატივისცემელი ხალხის გამასპინძლების წყალობით.

ჯერჯერობით მე არ მომხსენებია ჩემი პირველი გზის გამკაფავი და მასწავლებელი თეატრის ანაბანაში, უთუოდ შესანიშნავი ფიგურა ჩვენი თეატრისა, კოტე მესხი.

ეს იყო ტანმოჭირი, კარგა ამკვრივებული სხეულის პატრონი. ბოლო ხანებში ცოტა მუცელი წამოეზარდა, თორემ ისე ყველაფერი გამოზომილი და სიმეტრიული ჰქონდა. სახეგაბადრული, წვერ-უღვაშგაპარსული ჩემ დროს და მშვენიერი მოყვანილობის თვალების პატრონი. ეს თვალები თითქმის სავარაუდო თვალები იყო მესხების ოჯახისათვის. კოტე, ივანე, სერგო, ნესტორი — ეს ყაყები, ქალებში — ფეფო და ნუცა ასეთი საუცხოო და შესამჩნევი თვალების პატრონები იყვნენ. უფრო ცისფერი დაჰკრავდათ, ჩხია და უცნაური სითხით სავსე, რომელსაც კატარალობის დიდი უნარი შესდგამოდა, განსაკუთრებით მათ შორის უმცროსი ღის ნუცას თვალებს.

იქვე უნდა მოვიხსენიო ერთი უცნაური ამბავი: ხსენებული ნუცა მეტად მოხდენილი, ტანად და იერიან ქალი იყო. გაუთხოვარი იყო და ქუთათური კავალრები თავს დასტრიალებდნენ. მთელ ქალაქს უყვარდა მისი სახისა და ხასიათის გამო. ერთ ზამთარს ქუთაისისათვის უჩვეულოდ დიდი თვლი მოვიდა, კარგა ბლომად თოვლი დასდო სახურავებზე და სახურავებიდან ნაწვეულოდ ზე ჩამოეშვა ყინულის ლოლუები. ერთ-ერთი სახლის წინ საქმეზე მიმავალ ნუცას სახურავიდან მოწყვეტილი ერთი გრძელი ლულა შლაპაზე დაეცა, თავი გაუხვრიტა და იქვე სული გააცხობინა...

დავუბრუნდეთ ისევ კოტეს.

გიმნაზიადამთავრებული და სცენით გატაცებული პარიზს წავიდა იქაური თეატრებისა და ფრანგული სასცენო ოსტატობის შესასწავლად; საქართველოში დაბრუნებულმა თან ჩამოიტანა დიდი სიყვარული ფრანგული რეპერტუარისა, უნარი სამსახიობო ხელოვნების გამოვლენებისა; მეგობრები პირივად დასცინოდნენ, რადგან ქართული მეტყველების აქცენტით კი ფრანგულთან ჰქონდა შეფარებული. ოღონდ ამას კოტესთვის ხელი არ შეუშლია, რომ ქართულ სცენაზე გამოეხატა უდიდესი ტიპები ევროპელი კლასიკოსებისა. უმთავრესად კი ის იყო სახასიათო როლების შემსრულებელი. ვისაც კოტე სცენაზე უნახავს, მისთვის დაუეწყარია მის მიერ შესრულებული როლები — ნერონი, პატა წულუკიძე, პეტრუჩიო, აზნაური ჩხვივის „აღუბლის ბაღში“, ნაოლეონი და სხვ.

კოტე საერთოდ მეტად განვითარებული კაცი იყო. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მისი ძმის — სერგეი მესხის გაზეთ „დროებაში“ და მის მომდევნო პრესაშიაც, იმავე დროს თარგმნიდა და თვითონაც წერდა ორიგინალურ პიესებს, თბილისსა და ქუთაისში ზშირად ხელმძღვანელობდა დრამატულ სეზონებს ხან მარტო და ხან ვასო აბაშიძესთან ან ვალერიან გუნიასთან ერთად. რეჟისორობით ხომ ყოველთვის დასწი ერთ-ერთ მორიგე წამყვან რეჟისორად თვლებო-



და. ამასთან ძალიან მახვილი ენის პატრონი და მშვენიერი მოლაპარაკე იყო. მის მომსწრეებს ძალიან კარგად ახსოვთ მისი ნამახვილევი. მოსკოვში მის მიერ ნათქვამი სიტყვა მცირე თეატრის იუბილეზე დღესაც დაუვიწყარია. მან უთხრა განთქმულ არტისტს ერმოლოვას ქალს: „როცა მე განახეთ ზეინაბის როლში, ნათლად განვიცადე, თუ საქართველოს ზედზე როგორ სტიროდა რუსის ქალი ქართული ცრემლებით“, იუენის კიდევ ასე შეეხებოდა: „შენ უღალატე საქართველოს, მაგრამ ეს ღალატი შენი „ღალატით“ გამოისყიდეთ“.

ერთია შესამჩნევი:

ქუთაისის ქართული თეატრი, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ერთგვარად ქართული ინტელიგენციის აზროვნების ვალდებულებას და სიფაქიზესაც ემსახურებოდა. მაშინ ქუთაისის მეტწილად წარმოადგენდა მოეპურე ხალხისა და დაწესებულებების მოსამსახურეთა ლიანგს, მათში ერთა აგრეთვე მოქიფვე თავადაზნაურთა წრე და ძალიან მცირე ნაწილი ინტელიგენციისა. ასე რომ ქუთაისის თეატრი შეამდგენლობა თავისი აზროვნებით მაინც ზახის წარმოადგენდა, მხოლოდ მათ შორის, მათს შეკრებილებაში მოისმენდით თუმცა ლეგალურს, მაგრამ ძალიან ვაგედულს სიტყვებს და იდეათა აღიარებას.

მართალია, მაშინ ქუთაისში საშა წულუკიძის მეთაურობით მუშაობდა არალეგალური „იმერეთის კომიტეტი“, მაგრამ ქუთაისის დასს მაინცდამაინც დიდი დამოკიდებულება არ ჰქონდა მასთან. არც თუ რევოლუციურ მოძრაობაში ლეზულობდა მონაწილეობას, მხოლოდ აქა-იქ, დასის თითო-ორიოა ახალგაზრდა წევრი ლეზულობდა სხვადასხვა მარქსისტულ წრეში საიდუმლო მონაწილეობას.

ასე, მაგალითად: ჩვენთან მუშაობდა აქტიორად მეტად ცოცხალი, ნიჭიერი ახალგაზრდა ნესტორ კალანდარიშვილი. ის დაქირებულ როლებსაც საუცხოოდ ასრულებდა ხოლმე და ღვინის სმასა და ქეიფშიცა მონაწილეობდა. ოღონდ გვაკვირებდა ის, რომ რეპეტიციების დროსაც ნესტორი სადღაც დიდი ხნით დაიკარგებოდა და როდესაც რეჟისორი უსახვედურებდა, რაღაც ისეთ სახუმარო მიზეზს დასახელებდა, რომ მისი დასჯა აღარავის უნდოდა. მით უფრო, რომ მის დროს დასი ამხანაგობას ეკუთვნოდა და ჯარმბებსა და სასჯელებს აღარ მივდევდით. პოლის მაინც ვამოვარკვიეთ, რომ ის თურმე რომელიღაც რევოლუციურ წრეში საიდუმლოდ ლეზულობდა მონაწილეობას და ჩვენც მეტი პატივისცემით გავიმსჯვალეთ მისდამი. შემდეგში ხომ მან დიდად ისახელა თავი ციმბირის რევოლუციურ ბრძოლებში და კოლჩაკის დამარცხებაში, ასე რომ მას ციმბირის რომელიღაც ქალაქში (სახელი არ მახსოვს), ძეგლიც აქვს აღმართული. ისე კი, პირად ცხოვრებაში, მეტად საყვარელი კაცი იყო, კარგი სამეგობრო, ხუმარა და ცოტა ფოციანიც. სხვათა შორის ნარდს თამაშობდა მშვენივრად, მაგრამ როდესაც საჭირო კამათელი არ გამოუვიდოდა, ანტეზოდა-დაანტეზობდა, კამათებს ვინებდას დაუწყებდა, თავებდს იწყებოდა, ხოლო როდესაც ცოტათი დამშვიდდებოდა, თვითონვე აუტყდებოდა ხარხარს.

ამგვარად ქუთაისის დასიდან თითო-ორიოა ამხანაგი, ჩვენც არ ვიცოდით ისე, არალეგალურ რევოლუციურ წრეებში მუშაობდა. ის კი არა, ჩვენი თეატრის საბუტუფორიო და სარევივიციო განყოფილებაში დიდი საიდუმლოებით მზადდებოდა საბრძოლო იარაღები, ხელუწყობარები და სხვა ამგვარი. ყოველივე ამას მეთაურობდა ჩვენი სცენის მემანქანე, აწ განსვენებული სერგო ჭელიძე. რასაკვირველია, პოლიცია ამას ყველაფერს თვალყურს ადევნებდა, მაგრამ მაინც, როდესაც თეატრში პარტერი დახენდებოდა, მთელი თეატრი არალეგალური პროკლამაციებით მოიფინებოდა და შემდეგ, როდესაც გაანათებდნენ, თვითონ ლაღო მესხიშვილი გამოდიოდა (ხანდახან გრემში, მოქმედი პირის ტანისამოსში) და ხალხს მიმართავდა მგზნებარე სიტყვებით. ამის შემდეგ იყო, რომ პოლიცია ვერცხობდა ხალხს თეატრიდან და ატუსაღებდა კიდევ, მაგრამ ხალხი მაინც „მარსელიოზას“ სიმღერით იშლებოდა. დატუსაღებულებში ხშირად ერვიენენ სცენის მუშები, თვითონ ჭელიძეც, მაგრამ რადგან გასამტყუნებელ, ხელისჩასავლებ საბუტის ვერ უპოვინდნენ, ხშირად ათავისუფლებდნენ თუ იმ დამეს არა, მეორე დღით მაინც. თუმცა პოლიცია ქანდარმერის ჩისასტიკეს ვერ გადაურჩა ერთი მშვენიერი ახალგაზრდა, საუცხოო ინტელიგენტი, რომელიც სცენის დასში მოკარნახედ მსახურობდა — თეოფილე შევლიძე: როდესაც ის კახაბებს მიჰყავდათ დატუსაღებულები, ვითომ გაქცევა დააპირაო, და გზაშივე მოჰკლეს.

ის კი მოეხსენება მკითხველს, რომ ქუთაისში ქართული დასი, მესხიშვილის მეთაურობით, კახაბების საწინააღმდეგოდ თეატრის წინ ბარიკადებს უდგა სათავეში, მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი ზომების მიღებამდე ყველას უფრო უნდა ეთქვა, რადგანაც ცარიზმის მთავრობამ ქუთაისსა და მის გუბერნიას აღმოსავლეთის დამსჯელი რაზმი შეემოუსა.

ამგვარად ჩემი განვითარება სიჭაბუკის დროს უფრო ქუთაისის თეატრის კულუარებში მიმდინარეობდა; აქ, ცხადია, მთავარი ჩემი განმანათლებელი უფრო რეპერტუარი იყო, დრამატურგია. მსახიობებში და თეატრის გარეთაც ჩვენი კამათის საგანი იყო შექსპირი, ობსენი, ჰაუტმანი და მირბო, რომელთა პიესებს ხშირად ვდგამდით. აქ, რაღა თქმა უნდა, ჩამოვევრეოდა ვინმე



ცოტა სუსტად მოაზროვნე რევოლუციონერი და შემოპქონდა თავისი ამადღვებელმა მგერამ ერთ გარკვეულ აზრს მიინც ვერ ვადგებოდი. მე სწორედ ამ დროს გამოცაა ბის მიერ გამოცემულმა პატარ-პატარა ბროშურებმა. მაშინ საქართველოში მუშაობდნენ განთქმული ძმები გოგულები, კომანდა და სხვ. განსაკუთრებულად კომანდო დიდად მომზადებული კაცი იყო, ძალიან გამჭირავებულად წერდა... იმ ხანებში მე წავიკითხე კარგა მოზრდილი წიგნი რუსი მხატვრის სერგეი მაკოვსკისა „მშვენიერებაზე“. ეს წიგნი ისეთ გუნებაზე დააყენებდა კაცს, რომ აღამაინათა გათავისუფლებისათვის საჭიროა არა რევოლუციური ბრძოლა, არამედ ხელოვნება, რომელიც იხსნის კაცობრიობას სიდუხჭირისაგან, მხოლოდ ამის დრო უნდა, ხალხის შემზადება; საჭიროა ევოლუცია და არა რევოლუცია, რადგან რევოლუცია არის ძალადობა, მიძალბა, და არა თვითშეგნების ნაყოფი. ასეთ გუნებაზე დამაყენა მაკოვსკიმ. როდესაც ანარქისტებში გავეცანი უფრო დიდ მოაზროვნეებს—კრაპოტკინს, ელიზე რეკლეუსს, სულ სხვაგვარ მოვიხილეთ, ხოლო როდესაც გადავივითხე მაქს შვილნერი, ჩემს აზროვნებაში ავხტე და დავხტი — ძალიან მომეწონა მის მიერ უპარყოფა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა; შვილნერი წერდა: არ უნდა არსებობდეს საერთოდ სახელმწიფო ერთეული, არ უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში არც ხელმწიფე, არც პრეზიდენტი, არც პარლამენტი. ხალხი უნდა იყოს თავისუფალი და ამ ხალხს უნდა შეადგენდნენ დიდად მომზადებული, განათლებული, დამოუკიდებელი პიროვნებანი. ანარქისტებს არც პოლიცია და მეომარი ჯარი ჰყავდათ გათვალისწინებული. რაღაც სახელმწიფოები არ იქნებოდა, ვილა ეომება ერთმეორეს, ხოლო რაკი ინდივიდები, ცალკეული პიროვნებანი იქნებოდა დიდად მომზადებული, მამასადამე, დანაშაული არავეინ ჩაიდნეს და არც პოლიცია და სასამართლო იქნება საჭიროო. ჩემისთანა მგერძნობიარე ჰაბუკისათვის მაშინ ეს პრიმიტიული შეხედულება საზოგადოების წესწყობილებაზე მეტად მომხიბვლელი იყო და კარგა დიდხანს ვიყავ ტყვე ამ ორი დებულებისა: რომ ერთეული სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს და რომ ჰევეყანას იხსნის ხელოვნება. ესეც მანამ, სანამ მიმდინარე რევოლუციურმა ცხოვრებამ სულ სხვა რამ არ დამიმტკიცა და რეალურ გზაზე არ მატარა. კარგა ის იყო, რომ მანამდე ჩემ შემუშავებულ დებულებას არსად ვეპადავებდი და ამხანაგებშიაც კი ძლიერ ვიტყვიდი ხოლმე რამეს ამის შესახებ. ეს უთუოდ იმიტომ, რომ ჩემთვის ნამდვილი დომინანტი „ხალხის სამსახური“ იყო. ზემოთაც მაქვს ნათქვამი, რომ მამას აღამაინან უდიდეს მოვალეობად ხალხის სამსახური მიანდა. როგორც ხედავთ, მეც ამ გზას ვაყვევ და ამ გზაზე რაც ვნახე და ვანიჭე, იმაზე ვლაპარაკობ.

ასე რომ მე უფრო გეტრიალებდი მსახიობთა წრეში და თითქმის ყოველ დღე დილიდან საღამომდე მათთან ვიყავი რეპეტეციასა თუ სპექტაკლებზე. ისე, რასაკვირველია, ქუთაისში ვიცნობდი ზოგიერთ ოჯახს, მაგრამ მე მათთან არ დავდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მისაყვედურებდნენ, რატომ ჩვენთან არ დაბრძანდებიოთ. დავდიოდი, ისიც ოშვითად, მხოლოდ დეიდაჩემის ელპიტის, მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახში. ეს იყო ერთი მოწინავე ოჯახი, სადაც საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ ქუთათური ინტელიგენტები და ჰქონდათ სჯა-ბაასი და კამათი იმ დროის საქართველოს საჭირობოტო საკითხებზე. თვითონ ოჯახიც მრავალრიცხოვანი იყო — ხუთი ქალი და სამი ვაჟი ამშვენებდა ამ ოჯახს. ჯერ დეიდა ელპიტე განსახიერება იყო ნამდვილი ძველბურთი ქართველი ქალის ტიპისა, შემდეგ თვითონ მერაბ ლორთქიფანიძე, რომელიც არ იყო დიდი ნასწავლი, მაგრამ ბუნებრივი გონება და ნიჭი იმდენად ეხმარებოდა, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. მისი ორი უფროსი ვაჟი — ალექსანდრე და იასონი ამშვენებდნენ ქართველ ინტელიგენტთა წრეს სხვადასხვა საზოგადოებრივი სამსახურით და მათი სულ უმცროსი ძმა ნიკო ლორთქიფანიძე ხომ ერთ-ერთ დიდ პროზაიკოსად გვევლინება მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

ალექსანდრე და იასონი მათი სტუდენტობიდან მახსოვს. როდესაც ქუთაისის გიმნაზია დაასრულეს, თავიანთ ამხანაგებთან ერთად თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდნენ მამაჩემთან. მათ შორის ერიგენ შემდეგში ცნობილი ნიკო მარი, მწერალი პეტრე მირიანაშვილი, რომლის კალიმასაც ეკუთვნის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო და სხვ. მათ უფრო ძველ ქართულ ლიტერატურასა და ძველ ქართულ სიტყვებზე ჰქონდათ საუბარი მამასთან, ზოგ უთხრო სიტყვებსაც აქართულდებდნენ, თარგმნიდნენ და ერთმეორეში ისე ხმარობდნენ. მაშინ ათი-ათორმეტი წლის ბავშვი ექნებოდა, მაგრამ მეც იმაში ვერიე და ვისმენდი მათს ლაპარაკსა და ოხუნჯობას. ასე, მაგალითად, აქამდე მახსოვს სიტყვა „ენდალა“, რაც ქართულად ნიშნავდა დიპლომს. ამაზე მახსოვს ერთი მათგანის მიერ შეთხზული სახუმარო ლექსი:

„შენი ენდალა
 წაიღო წყალმა,
 გონს ვერ მოვაგო
 სამშობლოს ვალმა“.



ჩემი აქტივობის მას მე, აგრეთვე, ასე თუ ისე ვმეგობრობდი ქუთაისის თავად-აზნაურთა ახალგაზრდობის წრეს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მშვენიერი შესახედაობის ყმაწვილები ქუთაისისა და არშეიოხის მეტს არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ თითქმის ყველანი მოსწრებული სიტყვის პატრონები იყვნენ, განსაკუთრებით ბიბინია მიქელაძე და სერგია ერისთავი. ისინი მთელ ამ წრეს თითქო მეთაურობდნენ. დათვიო მიქელაძე, ბონდო მიქელაძე, ნიკო ფაღავა და კიდევ სხვა ფალავები და მიქელაძეები... — მათი ჭეიფი ზომ განთქმული იყო, საუცხოო სიმღერები, მოსწრებული სიტყვები და ზრდილობიანი საქციელი ერთმეორეში. არაის ახსოვს, რომ მათ რაიმე სამარცხვინო საქციელი ჩადინოთ საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი უსაქმური იყო, ზოგიერთის ვარდა.

მეც კინაღამ ჩამიბრია ამ წრემ თავის მიმართულებაში. სწორედ იმ დროს ცოლიც შევინათე; მაგრამ ძალიან ჩამაფიქრა ჩემმა პირადულმა მომზადებამ: რას წარმოვადგენდი? ერთი უციცი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ისეთივე „ტლუ ბიჭი“, როგორც ვიყავ ბერტეშში. ამიტომ გადავწყვიტე, წავსულიყავი რუსეთს და უმაღლესი სწავლა მიმეღო, ოღონდ წასასვლელად მოსკოვი ავირჩიე, რადგან წაიკითხული მქონდა: მოსკოვი გულია რუსეთისა, პეტერბურგი ტვინისა... და აი ჩავედი მოსკოვს.

26

მოსკოვში, უწინარეს ყოვლისა, გავიცანი ქართველი სტუდენტობა, რადგანაც ვეძებდი ისეთ ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებსაც ახალდამთავრებული ჰქონოდათ გიმნაზია და კარგად სსომებოდათ საშუალო სკოლის საგნები, რათა ესენი ყველა გაერკვიათ და ესწავლებინათ ჩემთვის, რადგან სახლიდან დამაბარეს, ჯერ დაეტესებოდა აიღე და ისე განხი უნივერსიტეტის სტუდენტობა. გაეცნობო სტუდენტებში მირჩიეს ახალგაზრდადამთავრებული ევგენი გეგეჭკორი ამეყვანა მასწავლებლად. ის მაშინ არც ისე აწკარად სოციალ-დემოკრატიული, უფროდ ამიტომ არც კი ცდილა ჩემთვის დაენერგა თავისი მოძღვრება, ისე კი მაქებდა თურმე: რა ნიჭიერი კაცია შალვა, ძალიან მალე ითვისებს საგნებსო. მე კი, რა მექნა, თორემ ძალიან მეზარებოდა ესეთი „უჩინებელი“ სწავლა, მაგრამ შემდეგში გავიცანი უკვე უხუცესი სტუდენტთაგანი ლეო ნათაძე, შემდეგ ცნობილი მენშევიკი და ყურნალისტი, და იმან სულ დამინგრა ჩემი გეგმები, მითხრა: რად გინდა დიპლომი ან უნივერსიტეტში სწავლა, ისე განვითარდი, წაიკითხე, შეისწავლე, მაგ., პოლიტიკური ეკონომია, სხვადასხვა სოციალისტური წიგნები, მიიღე საერთო განვითარება და შემდეგში რა გზასაც გინდა, იმას დაადექით. ამასობაში ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში მიმიღეს და მეც მოუწყობრად ვესწრებოდა მათს კრებებს. ერთხელ მეც წამაკითხეს მოხსენება მაშინგის ცხოვრებისა და შემოქმედების ვარშემო. აქვე, ამ სათვისტომოში, გავეცანი პლენარის ერთ არალეგალურ ბროშურას, სადაც ის სავადა საკითხს, რომ მთელი რუსეთი გადაქცეულიყო ფედერაციულ სახელმწიფოდ, იმპერიაში შემავალი ყოველი ეროვნების მიხედვით, რომ ყოველ ეროვნებას თავისი ფედერაციული ერთეული ჰქონოდა. მაგრამ სტუდენტობაში ყველა არ ემზობოდა ამ მოსაზრებას, თუმცა ხარკოვის სათვისტომოში მაშინ ორახელაშვილის მეთაურობით (რომელიც მაშინ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო) გამოგვიგზავნა მათი მოსაზრება და ვგვთხოვა, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. ჩვენმა სათვისტომომ დამავალა, პლენარის ეს მოსაზრება გადამეღო ჩვენს მანქანაზე. რასაკვირველია, ეს ძალიან საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო და მეც გამავაზუნეს ერთი სტუდენტის ბინაზე, სადაც ყველაფერი მზად დამხედებოდა გადასაბეჭად, და შემდეგ მიმეტანა სათვისტომოს ხელმძღვანელებთან, მაგრამ დახეთ ბედს! სწორედ იმ საღამოს, როდესაც არალეგალურ ქაღალდებს ვებეჭადე, სათვისტომოს სხდომა ჰქონდა, რასაც, რასაკვირველია, მე არ დავსწრებოდი. ჩემი დამზადებული ქაღალდი წამოვედი სათვისტომოსაკენ. გზაში შევხვდა ჩემი მეგობარი სილოვან გაბუნია და ქართულად მომაყვირა: „ცოცხალი ხარ?“ შემდეგ ამიხსნა, რომ წუხელ ენდარმერია თავს დასხმია სათვისტომოს და ვინც იქ იყო, ყველანი დაუტუსალავია. მერჩია, სათვისტომოს სულ არ გავკარებოდი და არც ჩემს ბინაზე წავსულიყავ, რადგან თორემ მეც გავეჩხრიკე. ესლა რაც მოგაქვს არალეგალური ნამუშევარი, სადაც ვინცა, იქ გააქარეო, მოთხრა და გამოშორდა. ერთხანს ვიდექ ცაცუნებული და არ ვიცოდი, რა ზომები მიმეღო. შემდეგ გაუწყვი. იქვე ახლოს ხიდი იყო მასკვა-რეკაზე და ვიფიქრე — წყალში გადავადგებ-მეთქი, მაგრამ ხილზე უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა და არ შეიძლება ვინმეს არ შეენიხნა. ის კი არა, როდესაც წყალს გადავჩერებოდი, ერთი ორი კაცი შეჩერდა, თან მკითხეს, რამ დავაინტერესესა, რას ჩაჩერებხარ მაგ მდინარესო. მეც ძლივს მოვახერხე მეპასუხუნა — ევერ პატარა „პარახოლი“ რომ მამოდი, იმას შევჩერებოდი-მეთქი. ამ ჩემ პასუხზე იმათ ჩაიფრტუნეს და გამოშორდნენ — უფუოდ იფიქრეს: ეს ვიღაცა ხამი კაცია, მოსკოვში ჯერ არ ყოფილა, იმიტომაც ასე გამოშტერებულიო. მე კი სიმწრის ოფლს მასხამს, როგორ მოვიშორო ეს არალეგალური ლიტერატურა. და



გავსწიე ისევ სილოვან გაბუნას ბინაზე. ებრაელების ოჯახში ცხოვრობდა და იმ ოჯახში ვიცნობდი. იქ ქალები შემომგებნენ და დამიწყეს უბრალო საუბარი, მე კი გული მისკდება, სად დავმთო, სად წვილიო? უფეროდ მოვიფიქრე — მოდი, საბირფარეოში შეველ და გადავადგებ-მეთქი, მაგრამ მე არც ისე შენაური ვიყავ ამ ოჯახში და ისიც ქალებთან როგორ უნდა გამეშინა საბირფარეოში შესვლა. ამიტომ ეს აბრი უსუვაველ და უფრო მთხერხებული ავადგლის მისა-ქებნად ქუჩაში გამოვედი. დავინახე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძეგლი თავისი ვალანთი ფერდობზე, ზღის პირად გადამდგარი. ახლო იყო და იქ მივაშურე. ძეგლს ზღის მხრიდან მივა-დექი ვალანთთან. ვალანთს ისეთი უჯრებებით გამოყვანილი ადგილები ჰქონდა, რომ მოვინდო-მე იქ გადამეშალა, მაგრამ ზევით, ძეგლისკენ რომ ავიხედე, მოაჯირიდან თავზე ვიღაც დამყუ-რებდა. მე ტანში გავსწორდი, ის „ზედამხედველი“ მოშორდა მოაჯირს. მაშინ ისევ მოვინდომე გადამაღვა, მაგრამ ზევიდან ახლა ვიღაც სხვა გამოჩნდა. არ იქნა და არა, ვერ მოვახერხე გადა-მაღვა. ოპ, რა გაეწვალდი ბოლოს გამახსენდა და საჩქაროდ გავწიე კბილის ექიმ თემურაზ ხორავასთან. მშვენიერი კაცი იყო, დიდი ინტელიგენტი. რომ მივედი, ჰა-ციენტები ჰყავდა, მაგრამ სიამოვნებით შემეგება. იმსაც ცოდნოდა სათისტომოს დაპ-სალების ამბავი და გაუხარდა, რომ მე ვადარჩი. პაციენტები რომ გაისტუმრა, მე გავუზიარე ჩემი გაპირების ამბავი, ბევრი იცინა, შემდეგ მიმიყვანა გერმეტულ ლუმელთან, მომეც შენი ავლა-დიდებო, და შიგ ლუმელში შეუძახა. მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

ამის შემდეგ მთელი ერთი კვირა არ გავკარებდვარ ჩემს ოთახს, შემთხვევით შემხვდა და წამიყვანა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ივლიანე ქავთარაძემ, რომელიც თურმე მოსკვლად დამწვევით საზოგადოების საქმეებზე იყო ჩამოსული, იმავე დროს იყო დიდი პურმარლის კაცი, მოქიფე, ბანქოს მოთამაშე და ამეებში ატარებდა დროს. არ გამიშვა, მითხრა: მეც ამ დღეებში მივდივარ საქართველოში და ერთად წავიდეთო, შენ ეხლა ფული არ გექნება, ტელეგრაფი დაუყურათ შენს სიმამრს და სამგზავრო ფულს გამოგიგზავნისო. მეც ასე მოვიქციე.

მოსკოვში კიდევ გავცაინე ერთი რუსის ოჯახს, ვინმე სობოლევს. ძალიან დამიახლოვდა და ხშირად მივეყავდი თავის ოჯახში, მასთან საღამოობით ხშირად იკრიბებოდა ათი-თხუთმეტი ქალი და კაცი: ზოგი ინჟინერი, ზოგი ექიმი და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. მე არ მერიდებოდ-ნენ და, როგორც გამოვარკვით, არალეგალური წრე ჰქონდათ და მეცადინეობდნენ. თეი-თონ სობოლევს ძალიან განვითარებული კაცი იყო და მისი საუბარი ლეკიებს უღრი-და. მე ყველაფერს მასმენინებდე. მაგრამ არაფერს მავალბუნენ. ერთი რამ კი ჩამარჩა გუნებაში, როდესაც ჩამოვარდა ლაბარაკი ვალერიზე და თქვეს, დედამიწა მრგვალიაო, ერთი ახალგაზრდა წამოღდა და დაგვიმტკიცა, ახლა მიწა მრგვალი კი აღარ არის, არამედ „ტეტრაედრს“ წარმოად-გენსო, ფ. ი. ოთხკუთხევიან, გვერდებში შეკრებულ ფიგურასო. ამან ყველა გააკვირვა და მე კი ჩამარჩა გულში.

საქართველოში ქავთარაძე ვეღარ წამოვიდა, მე შინიდან მომივიდა ცოტა ფული და გამო-ვემგზავრე. ჩემს მეუღლეს შევატყობინე, ზესტაფონში ამა და ამ დღეს ვიქნები-მეთქი. ისიც დამხვდა ზესტაფონში, მაგრამ მითხრა: ქუთაისს უნდა წახვიდე მამაჩემთან და მე ზგალ ჩამოვალო. ვიყიდე ქუთაისის ბილეთი და რიონის სადგურზე რომ ჩამოვედი, იქ დამხვდა მთელი კამპანია ჩვე-ნი მოქიფე თვად-აზნაურებისა. ნალიენვი იყვნენ, სიმამრთან არ გამიშვეს. ჩემი ბარგი-ბარხანა კოკონია დგებულაქემ წაიღო თავის სახლში, მე კი აქ შემატოვა მოქიფეებს, შეიბარა, რომელ რეს-ტორანშიაც ვიქნებოდით. მაგრამ სანამ ამეების აღწერას შევეუდგებოდე, მანამდე უნდა მოვიხსენ-ნიო ის მცირე, მაგრამ მაინც „ზაგაქი“, რითაც მოსკოვის თეატრალურმა ხელოვნებამ დამტკირათა და რაც საქართველოში წამოვიღე.

ცხადია, მოსკოვში, ვარდა დილაღის აღებნისა, მე პირადად უფრო თეატრებს მივეტანე. შე-დარებით „გამოცდილი“ აქტიორი ვიყავი, თეატრი საერთოდ დიდად მიყვარდა და მოვინდომე იქაური წარმოდგენების გაცნობა, განსაკუთრებით სამხატვრო თეატრისა. ის მაშინ (1903 წ.) ახა-ლი დაარსებული იყო, მაგრამ მაინც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეწილი, თუმცა მე სხვა თეატრებ-შიაც დავიწყე სიარული: მცირე თეატრში ვნახე მეტად საყურადღებო წარმოდგენებიც და გავე-ცანი ჩვენს სსახელო თანამემამულეს ალექსანდრე სუმბაძეს-ლი-ოქუისს. მან როგორღაც თითქო დამიახლოვა. ის ხომ მაშინ მოსკოვში თავმჯდომარე იყო ქართული საზოგადოებრივი ორგანი-ზაციისა და ყოველ 14 იანვარს მისი მეთაურობით მაშინდელ თვად-აზნაურთა კლბში (ახლა სვე-ტებიანი დარბაზი) იმართებოდა ქართული საღამოები. ამ საღამოებში უსასყიდლოდ მონაწილე-ობდნენ მოსკოვის საუკეთესო არტისტული ძალები, სტუდიენტებს მხოლოდ ის ევალბოდათ, რომ შათ ხლებოდნენ და საითათოდ ეკიბაყით მოეყვანათ საღამოზე. მე ჩინა-ახალუხი თან მქონდა წლებულთა და ვიცეცემდი ხოლმე. მე და ზემოხსენებული ივლიანე ქავთარაძე ხშირად ესკირნობ-დით ხოლმე ტერის ბულვარზე „ჩერკესკებში“ გამოწყობილები. მოსიერნები ღიმილით და ხა-ლისით შემოგვეტყუროდნენ.



არ ვიყავით ცუდი სანახავეები.

მასხოვს, ერთხელ, ერთმა გენერალმა ჩამოგვიარა ქალებთან ერთად, ცოტა ხანს შედგა, მოგვაჩერდა და ქალებს ხმაშაღლა გადაულაპარაკა: „Хорошие морды!“ ამაზე ჩვენც ვაგვეცინა და იმითაც.

და აი როდესაც მოახლოვდა ქართული საღამოს დღე, იუქინმა დაგვიბარა ქართული სათვისტომოს ზოგიერთი წევრი და ყველას დაგვავალა, თუ ვის რა ვაგვეკეთებინა. მე მიიხრა: თქვენ, კნიაზ შალვა, ჩიციეთი თქვენი ჩერკესკა, ეახელით არტისტ ქალს მიტკევიჩის და საღამოს რვა საათისათვის მოგვიყვანეთო. მეც ძალიან გამეხარა, რადგანაც მიტკევიჩის ქალი თავისი სილამაზით უფრო იყო განთქმული, ვიდრე არტისტობით. ვეახელი, ცოტა ხანი დამაძლევინა, რომ მორთულიყო. შემდეგ ჩაგვეჭიჭიოთ კარეტაში და გამოვსწიეთ საკრებულოსაკენ. კარეტაში მხოლოდ ჩვენი ორნი ვართ: ეს იშვიათი სილამაზის ქალი, საუცხოოდ მორთული და საუცხოოდ სურნეულადაა მოფრქვეული, და მე, ქართველი ახალგაზრდა რაინდი. მაგრამ აი უბედურება! — ამ რაინდმა არ იცის რითი გაართოს ეს წარმატატი ბანოვანი. დიდხანს ვართ ჩუმად. ისეც მან გამომიწვია სალაპარაკოდ:

— თქვენ ქუთაისიდან ხართ?

— დიახ.

— მე ვყოფილვარ ქუთაისში გასტროლებზე და არასოდეს არ დამაიწყებდა იქაური დროსტარება და სიამოვნება. როგორ არის კნიაზი ბონდო?

აქ გამახსენდა, თუ როგორ დატრიალებდნენ თავს ამ მიტკევიჩის ქალს ქუთაისის მოქეიფე თავდა-აზნაურები, განსაკუთრებით ბონდო მიქელაძე და საშა ერისთავი...

ვიცი, რომ ამ კარეტაში ფლორტის გაბმის შემთხვევა მეძლევა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. თითქოს დამბლა დამეცა. უცხო ქალებთან, ისიც ლამაზებთან, ზოგჯერ მჭირდა ასეთი უკან დახევა. საერთოდ ლამაზ ქალებთან ჩემი დამოკიდებულების შესახებ სადღაც ამ ნაწერში მაქვს ნათქვამი... ასე მღვმარედ მოგვიყვანა ეკიპაჟმა საკრებულოში. იქ მიტკევიჩის ქალი ჩავაბარე მორიგ დიასახლისებს, იმათაც მაშინვე მიუჩინეს მას შამპანურის კიოსკი. ეს იყო და ეს — მიტკევიჩის ქალს აღარც იმ საღამოს ვაგვარებდითარ და აღარც სხვაგან მინახავს სადმე.

საღამო კი დიდებული გამოვიდა. მოსკოვის საუკეთესო არტისტები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ თავიანთი ხელოვნებით და დიდ ოცაოცებს იწვევდნენ. მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე ქართველ სტუდენტთა გუნდმა, რომელიც მოამზადა მაშინ მოსკოვში მცხოვრებმა, შემდეგში ცნობილმა კომპოზიტორმა, დიმიტრი არაყიშვილმა.

ბოლოს გამოვიდა თეთონი იუქინი და წაიკითხა რუსული თარგმანი ბარათაშვილის „მერანისა“. ის ხომ დიდი დეკლამატორიც იყო.

საერთოდ იუქინი მაშინ უკვე დიდად მიჩნეული არტისტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე იყო, დიდად მომზადებული, დიდი გონების პატრონი. მუდამ სასურველი წევრი იყო მოსკოვის მოწინავე საზოგადოებისა, იმავე დროს იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, რასაც მხოლოდ სიტყვებით ვი არა, მოქმედებითაც ამქვლავებდა. არა ერთი ქართველი სტუდენტი და ინტელიგენტი მოუწყვია მას სასწავლებელსა თუ სამსახურში.

სწორედ იმ წელიწადს დაბეჭდა ეტრნალში თავისი განთქმული პიესა „ლალია“. დადგა კიდევ თავისივე რეჟისორობით მცირე თეატრის სცენაზე, ხოლო მე იმდენად გამაბედნიერა, რომ „ლალიის“ პრემიერაზე სრულიად უსასყიდლოდ პარტერის სავარძლის ბილეთი გამომიგზავნა.

საუცხოო წარმოდგენა იყო. პირველად ენახე დიდებული ეროლოვა საპასუხისმგებლო როლში. ის ასრულებდა ზეინახს და რამდენი გულწრფელობა, რამდენი ბათოსიანი ნიუანსი ჰქონდა მოხმარებული ამ დიდად რთული როლის განსასახიერებლად. დიდებული იყო აგრეთვე განთქმული ლენსკი ანანიას როლში. ნამდვილი ქართველი გლეხი იდგა თქვენ თვალწინ. სხვებზე ზეგს თეატრის ვიტყვი, ოთარბეგის როლს მაშინ თეთონი იუქინი კი არ ასრულებდა, არამედ მცირე თეატრის საუცხოო მსახიობი რიბაკოვი, მაგრამ ამ როლში მე ვერ დამაჟამაოვდილა, რადგან ის უფრო მზებჰას მაგონებდა და არა ქართველ ფეოდალს. მაინც მე იმ საღამოს უდიდესი ესთეტური და პატრიოტული სიტკბოება მაგრძნობინა ეროლოვასა და ლენსკის საოცარმა სცენურმა ოსტატობამ.

ამის შემდეგაც იუქინს ჩემთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. მოსკოვში ყოველი ჩასვლისას უთუოდ უნდა შენახა და ისიც უთუოდ მპატიებდა თავის სახლში, ხშირად სადილადაც. თბილისში ჩამოსვლის დროს ხომ ვასო აბაშიძეს და მე არ გვიშორებდა. ეხლაც მაქვს შენახული მისი საუცხოო წერილები ჩემდამი და მათ შორის საოცარი შეფასება ჩემი პიესის „გუშინდელი“—სა, რომლის წარმოდგენა მას ბათუმში ენახა და აგრეთვე ჩემთვის დიდად საამაყო მომართვა ჩემს საუბიბლეო საღამოზე მოსკოვში. მე აგრეთვე წილად მხედა უკანასკნელად გამოფთხოვებოდი მისი ძვირფას ნეშტს, როდესაც მას თბილისზე გავლთ მოსკოვს მიახვეწებდნენ. თბილისის საღ-



გორზე უმარავმა ხალხმა მოიყარა თავი მის პატივსაცემად და მე მერგო გამოსათხოვნი ტყმა და აგრეთვე ვახუთ „ზარია ვოსტოკაში“ სამგლოვიარო წერილის დაწერა.

27

მოსკოვში ყოფნისას სხვა თეატრების გარდა, რასაკვირველია, ხშირად ვესწრებოდი სამხატვრო თეატრის სპექტაკლებს. დიდად მოვიხიბლე ამ თეატრის რეჟისორული ხელოვნებით, საერთო საყვირველი ანსამბლით. მათ ჰყავდათ წამყვანი არტისტები, რომლებიც შემდეგში დიდად ცნობილი შეიქნენ, როგორც, მაგალითად, კაჩალოვი, მოსკოვინი, კინბერ-ჩეხოვა, მაგრამ სხვა არტისტებიც, სრულიად უბრალო როლების შემსრულებლებიც თითქოს დიდის უბრალოებით, მაგრამ მაღალხარისხიანი ოსტატობით ასრულებდნენ დაკისრებულ სათევარებს. მართალია, მე მათთან არ შევსულვარ სამეცადინოდ ისე, როგორც შემდეგში ჩვენი ცნობილი რეჟისორები აკაკი ფალავა და აწ განსვენებული შალიკაშვილი და წუწუნავა, მაგრამ ისე ხშირად ვესწრებოდი მათს წარმოდგენებს, რომ ჩემის ფიქრით ბევრი რამ ვაუჯვე მათს სისტემას და სცენურ ოსტატობას. ასე რომ როდესაც საქართველოში დაბრუნდი და კვლავ შევეუღე ქართულ სცენაზე მუშაობას, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი „მათი ხაზით“ მემუშავან, განსაკუთრებით ჩემი რეჟისორობის დროს, და მათი უნარით წამყვანმა სპექტაკლები; ასე რომ მოსკოვიდან საერთოდ ხელცარიელი არ დაბრუნებულვარ. მართალია, არც გიმნაზიის ატესტატი მიმიღია და არც უნივერსიტეტში შევსულვარ დიპლომის ასაღებად, მაგრამ მოსკოვმა მაინც ბევრი რამ შემძინა როგორც საზოგადოებრივად, ისე ჩემს სპეციალობაშიაც. იქ თითონ სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებიც გავიცანი. მასხოვს სტანისლავსკის მეტად ზრდილობიანი მოპყრობა და ხანგრძლივი საუბარი, განსაკუთრებით ქართულ თეატრზე. რაც შეეხება ნემიროვიჩი-დანიჩენკოს, იმას უფრო დავუახლოვდი მოსკოვში მეროდ ჩასვლისას, მაშინ, როდესაც ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ ქართულ დრამატულ სტუდიაში მიმიწვიეს ერთ-ერთ ლექტორად, ხოლო მჭედლიშვილის უეცარი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მთავრობამ მე მომანდო ამ სტუდიის ხელმძღვანელობა. განსვენებული ვახტანგს ძალიან დიდი გეგმები ჰქონდა და საბოლოოდ უნდოდა, რომ სტუდიაში ოთხი წლის მუშაობის შემდეგ საკუთარი თეატრი შეექმნა საქართველოში. ამისათვის ჩავიდა წინასწარ თბილისში და გასინჯავს შემდეგ იქ შეაგროვა მომავალ სტუდიაში მომუშავე ახალგაზრდობა.

ვახტანგ მჭედლიშვილი, როგორც მკითხველს მოეხსენება, იყო მორიგ რეჟისორად სამხატვრო თეატრში, სადაც მარჯვენა ხელი იყო სტანისლავსკისა. სხვათა შორის მორის მეტერლინკის პიესა „ლურჯი ფრინველი“ ვახტანგმა დადგა სტანისლავსკის გეგმით და ამ წარმოდგენას დიდი მოწონება ჰქონდა მოსკოვში.

მჭედლიშვილმა საქართველოდან მოსკოვის სტუდიაში ჩაიყვანა ათიოდე ახალგაზრდა ქართველი, სხვადასხვა სახეების შესასწავლად მოიწვია უფრო სამხატვრო თეატრიდან სპეციალისტი ლექტორები, მათ შორის იყვნენ ბარატოვი, ესლაც ცნობილი რეჟისორი მოსკოვში, პედაგოგი დემიდოვი, პედაგოგი-რეჟისორი კოტლუბაის ქალი, აგრეთვე მეტყველების, ფიზკულტურის, ფარმაკოპიისა და ცეკვის მასწავლებლები. ყველა ესენი მართლა კარგად ჰყავდა შერჩეული განსვენებულს და მათი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა უსათუოდ დიდად გამოსადგვი იყო და კარგს ნაყოფსაც მისცემდა, მაგრამ საცოდავს არ დაცალდა თავისი დიდი საქმის ბოლომდე მიყვანა: თურმე გულით იყო ავადმყოფი და ერთ საღამოს თავის კაბინეტში მუშაობის დროს სული დალია. ამის შემდეგ ამ მშვენიერი საქმის გაძლოა მე დამაწევა. მეც განსვენებულის ნაკვალევს მივყევი და მისი გეგმით ვმუშაობდი, მაგრამ უნდა აქვე ითქვას, რომ ჯერ ვახტანგის სიცოცხლეშივე ბევრი მტერი გაუჩნდა ამ სტუდიას, განსაკუთრებით საქართველოდან: ვინ არის მჭედლიშვილი, რა ვაოჩენილი ხელოვანი ის არის, ერთი მობოტი რეჟისორია სამხატვრო თეატრისა; ან რა ნივთიერი სახსრებით წაუძლევა საქმესო. დაბეზლება დაბეზლებაზე მიდიოდა საქართველოს მთავრობაში, ხოლო როდესაც მჭედლიშვილი გარდაიცვალა, მაშინ მე მომდგნენ — ვინ არის ვიღაც ძველი თავადი, რა ესმის თეატრალური ხელოვნებისა, ის ხომ სცენისმოყვარეობდა ერთ დროს და მისთვის ამისთანა დიდი საქმის ჩაბარება უმართებულოა.

სტუდიელები დარჩნენ უბატონოდ, მაგრამ მათ სასაქმოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დაიბნენ და მაინც მოსკოვში განაგრძეს მეცადინეობა სხვადასხვა პედაგოგებთან, ასე რომ ამ სტუდიიდან არიან გამოსულნი უკვე ცნობილი თეატრალური მოღვაწეები ბებე თუმანიშვილი, რომელიც ამჟამად მოსკოვის პუშკინის სახ. თეატრის რეჟისორია, და საქართველოში მომუშავე რეჟისორები: ნიკოლოზ გომიაშვილი, გიორგი ყურული, ვახტანგ სულიაშვილი, განსვენებული ტცივის შარაშიძე, რომელმაც თავი გამოიჩინა მოსკოვის თეატრის ოპერის რეჟისორობაში, და აგრეთვე გიორგი ჯავახიშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრში.



აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ ჩვენმა მთავრობამ ერთ დროს დააარსა მოსკოვში საქართველოს კულტურის სახლი, რომლის გამგედაც მე ვიყავ მიწვეული, მაგრამ არც ამ სახლს დასაყრდენი ცალკე ფრთების გაშლა, ის-ის იყო პოულობდა მოსკოვში საკმარის პოპულარობას, მაგრამ სტუდიის დახურვასთან ერთად ეს სახლიც დახურეს.

ასე რომ მოსკოვში მეორეჯერ ყოფნის შემდეგ დავრჩი ხელმოცარული და გულდაწყვეტილი, მაგრამ სწორედ ამ დროს თბილისიდან მომივიდა ტელეგრაფი, რომ მე საქართველოს მთავრობისაგან დანიშნული ვარ განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ.

ამ განყოფილებაში მე წინათაც ვმსახურობდი და მეზარა რესპუბლიკის თეატრების ხელმძღვანელობა. ეს მოხდა საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში, როდესაც განრიგდა მანინდელი კომისარიატების სექტორები და განყოფილებები, — ამაზე სხვა ალგავს მექნება ლაპარაკი, — ხოლო როდესაც მეორეჯერ მიმიწვიეს ამ განყოფილებაში, მე, უკვე როგორც თავმჯდომარის მოადგილე, განვაგებდი ამ განყოფილების თითვე სექტორს: ლიტერატურისას, ხელოვნებისას, სახეით ხელოვნებისას და თეატრებისას. მეგობრები დამცინოდნენ კიდევ, შალვა ენციკლოპედისტს გავიცინებდი; ლიტერატურა და თეატრები კიდევ პო, მაგრამ მხატვრობას, ფერწერას და მუსიკას, ვნახობ, როგორ მოუვლისო. საყვარელი კოტე ფოცხვერაშვილი ხშირად მეკითხებოდა: შალვა, აბა თუ იცი მუსიკაში კონტრაპუნქტი რას ნიშნავსო. მაგრამ მე ყველა სექტორში მრჩეველები მყავდა მოჩინელი: ლიტერატურაში — საშა აბაშვილი, სახეით ხელოვნებაში მხატვარი გრინევსკი, მუსიკაში — მელიტონ ბალანჩივაძე და თეატრის საკითხებში — აკაკი ფალავა და სანდრო ახმეტელი.

ქ სამსახურის დროს არავითარი საყვედური არ მომხვედრია. იმავე დროს სახალხო თეატრის რეჟისორობა მომიხდევს, მეც ეს უფრო მიტაცება, ვიდრე ადმინისტრაციული გამგებლობა და მთელი საღამოებით რეპეტიციებსა და წარმოდგენებზე ვიყავ; აქ უნდა დავიტრაბახო, რომ პრესა და საზოგადოება ძალიან მხარს მიჭერდა რეჟისორულ მუშაობაში. აქვე უნდა მოვიხსენიო მეტად ნიჭიერი და თეატრალურად კარგად მომზადებული ჩემი თანამშემწე — ან, როგორც მაშინ ეძახდნენ, სცენარისტი — განსვენებული ბაღრიძე.

ამ მუშაობაში ისე ვაგომამდი, რომ მოსკოვიდან ვასტროლოგებზე ჩამოსული იუვენი წვიყვიანე ჩემს ერთ-ერთ წარმოდგენაზე. სპექტაკლი დიდად მოეწონა და მიქო რეჟისორული მუშაობა, განსაკუთრებით მასიური-სალიანგო სცენები, თან ანტრაქტის დროს მიიხრა: რამდენი ხანია მცირე თეატრში ვცდილობთ და ასეთი მასიური ანსამბლი არ გამოვდისო. შემდეგ ავიღა ფარდახილი სცენაზე და ხალხს თითქმის ლექცია წაუკითხა საერთოდ სახალხო თეატრების მნიშვნელობაზე და, ჩვენც, მთელი სახალხო თეატრის შემადგენლობა და მისი ხელმძღვანელობა, ქებით მოვიხსენია.

რამდენიმე წელიწადი ვმსახურობდი ორივეგან, შემდეგ მოალწია ჩემმა პირველმა იუბილემ — ოცდახუთი წლისთავმა ჩემი მუშაობისა, და მეც საიუბილეო საღამოზე სამადლობელ სიტყვაში გამოთქეი, ამერიიდან ვტოვებ-მეოქი სასცენო ასპარეზზე მუშაობას. და მართლაც ამის შემდეგ, რომელიმე შემთხვევისთვის წარმოდგენაში თუ არა, არც რეჟისორობა ვამიწვევია და არც სცენაზე გამოვსულვარ როგორც მსახიობი. თუმცა თეატრის საბოლოო არ ვაგვიფიარ: წინათაც ვწერდი პიესებს, ახლა კი სამუდამოდ გადავპარგდი დრამატურგიაში. აქ მინდა მოვიხსენიო, რომ ნაყოფიერი გამოვლექი, თითქმის ორმოცამდე პიესა მაქვს დაწერილი და მიხარია, რომ ზოგიერთი მათგანი ახლაც იდგება ჩვენს თეატრებში. მანამდე კი საღ, საქართველოს რომელ თეატრში არ მიმუშავია! — ყველა ქალაქში, სადაც კი ხანგრძლივი პროფესიული სეზონი ეწყობოდა და ზოგანაც უფრო სცენისმოყვარეებისგან იყო შემდგარი დასი. საერთოდ იმ დროს პროფესიული მსახიობებიც სხვა დაწესებულებებში მსახურობდნენ (თვითონ თბილისშიაც, მკვალითად, ისეთი თვალსაჩინო მსახიობები, როგორებიც იყვნენ კოტე შათირიშვილი, გიორგი კანდელია და სხვა), რადგან მსახიობის ჯამაგირი არ ჰყოფნიდა ადამიანს. შემოსავალი ხარკებს დერაფრავდა, ხანდახან ილია ქვეჯავაძის მეოხებით ბანკი თუ გაიღებდა რაიმე სუფსიდიას — ან დრამატული საზოგადოება ვამონახავდა რაიმე სასარს ხარჯების დასაფარავად. ხოლო რადგან მსახიობებს უხდებოდათ სხვაგან სამსახური, რეპეტიციები მხოლოდ საღამოებით წარმოებოდა, რის გამოც, რასაკვირველია, დასის მეცადინეობის დრო ძალზე შეკვეცილი იყო. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ბაქოში, სადაც ორი-სამი პროფესიონალი მსახიობი იყო მიწვეული, დანარჩენები კი სცენისმოყვარეთა კადრებით იყო შევსებული. უნდა ითქვას, რომ ეს სცენისმოყვარეები შემოკობილი იყვნენ სწორპოვარის სასცენო ნიჭით. მათგან ამჟამად უმეტესობა თითქმის გარდაცვლილია, გარდა პატიცემული არტემ აბოძაძისა, რომელიც საერთოდ მომზადებული კაცი გახლდათ და რეჟისორების როლებში მეტად დასაფასებელი იყო. ბაქოს შემადგენლობიდან ირჩეოდნენ: ქალებში — ნადირაძე, წულუკიძე (დღეა ჩვენი მსახიობ თამარ



წულუკიძისა), მიმავლეთან ვანო საყვარელიძე, გიგა მატარაძე, პავლიაშვილი და ანტონ პავლიაშვილი რიძე; ასე რომ ბაქოს წარმოდგენები ხშირად თბილისის ქართულ წარმოდგენებს არ ჩამოუვარდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწვეული რეჟისორები ეღვათ სათავეში — შალვაშვილი, წუწუნავა და ამ სტიქიონების დამწერით. რეპერტუარიც ძალიან ხელგამოიღო იყო წარმოებულა. მაგალითად, აქ დიდდა გედევანიშვილის ფერეანი-ზღაპარი „სინათლე“, რასაც დიდი ხარჯი და მომზადება სჭირდებოდა, აგრეთვე გოგოლის „რევიზორი“, ჯაკომეტის „იდიოტი“ და სხვ.

ბაქოს სეზონებს აწარმოებდა ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ისინი უძღვებოდნენ სეზონის ნივთიერ მხარეს. იმ დროს ბაქოში დიდძალი ქართველობა იყო თავმოყრილი, იყვნენ შეძლებულნიც და თავის წვლილს არ იშურებდნენ საზოგადო საქმისათვის, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თეატრის ხელმძღვანელთა სათავეში იღვა ერთი დიდი ქართველი ინტელიგენტი — მიხეილ თაქთაქიშვილი — მამა ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის შალვა თაქთაქიშვილისა, ხოლო მის შემდეგ აგრეთვე ნათელი პიროვნება ქართულ ჟურნალისტიკაში, კარგად ცნობილი ილია აბლაძე. მხოლოდ მუდმივად ლადა იყო ქართული თეატრის თავდადებული მუშაკი დათიყო თეატრში. პროფესიონალთაგან ჩემსობას ბაქოს დასამ მონაწილეობდნენ მსახიობები: ქეთევან ანდრონიკაშვილი, ცაია ამირჯიანი, ელო ანდრონიკაშვილი და დავით აწყურელი. ბაქოს თეატრმა იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიც, შემდეგ კი ქართველობის უდიდესი ნაწილი დაუბრუნდა თავის სამშობლოს და სპეციალური ქართული დასის ყოლა ბაქოში აღარ წარმოადგენდა დიდ საჭიროებას.

ახლა სულ სხვაა. საქართველოში მკონი ოცდაჩვიდმეტი პროფესიონალური თეატრია და ყველაზე მეტნაკლებად წარმატებით სწარმოებენ აქტიური მუშაობა. ბევრმა მათგანმა უკვე იჩინა თავი და ჩვენი თეატრალური ხელოვნება ამჟამად მათი სახელით.

მხოლოდ გული არ მიიშინს აქვე არა ვთქვა, რომ მკაფიო მეტყველების საქმე ქართულ თეატრში დღემდე კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე არამც თუ პერიფერიებში, არამედ ჩვენს ცენტრალურ თეატრებშიც; მაგალითად, როდესაც უნდათ მოქმედი პირის ღრმა სულიერი განცდა გადასცენ, ხმას უდაბლებენ და თითქმის ჩურჩულში გადადიან, ისეთ ჩურჩულში, რომელიც აუდიტორიას არ ესმის; მაყურებელი ხედავს მხოლოდ აქტიორის ტუჩების მოძრაობას. აქტიორი კი დიდად ემყოფილია, თეატრები უბრწყინავს, სახე უნათის, რადგან პკონია, დიდის ხელოვნებით ვაღმოსცა მებდა მახვილი დრამატული ნიუანსი; როგორც ვთქვი, ეს დიდ თეატრებშიც სჭირთ, უფრო ახალგაზრდობიდან გამოსულ მსახიობებს. ეს ვიცი, საიდანაც მოდის. ზოგს უნახავს და ზოგს გაუგონია, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრში ძალიან უბრალო, თითქმის სისაუბრო კილოთი, ყოველგვარი პათოსის გარეშე ვაღმოსცემენ თავიანთ სათქმელს და ზოგერთი სასცენო ნიუანსების ვაღმოცემის დროს ხმას კიდევ უფრო უმდაბლებენ და თითქმის ჩურჩულდებენ, მაგრამ ჩურჩულად არის და ჩურჩულცი სცენაზე ხმა თითქმის ყველაფერი პირობითია, მას აქვს თავისი კანონები და მათი გამარტობა ვულგარობამდე მივყავს. სცენაზე ჩურჩული ისეთი უნდა იყოს, რომ ქანდარახედაც ვარკვევით მოისმინოს მაყურებელმა. დიდი თეატრის მსახიობებს ბაჰავენ პერიფერიებშიც, რაიც იწვევს მაყურებლის უკმაყოფილებას.

მეტყველებაში აქვე კიდევ ერთი ნაკლი ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებს, მაგალითად, „ლ“-ს მეგრული შერბილებით ვაღმოსტყავებენ ხოლმე. ასეთი წარმოთქმა დიდად ეჩოთირება ქართულ ყურს.

ამეგების შესახებ არაფერს ამბობს ხოლმე ჩვენი თეატრალური კრიტიკა და რეცენზია, თორემ თავის დროზე რომ შეენიშნათ ეს ნაკლოვანება თვით დიდ მსახიობთათვისაც, ეს უხიავი მოვლენა ამჟამად აღმოფხვრილი იქნებოდა.

თეატრში მუშაობის დროს წილად მხვდა ჩემის ხელმძღვანელობით პირველად ვაღმოსულიყვნენ დიდ სცენაზე აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვანსენებული მიშა გელოვანი და ელო ანდრონიკაშვილი. ყველა ესენი, ვარდა ელო ანდრონიკაშვილისა, მთელს კავშირში არიან ცნობილი, როგორც დიდი მსახიობები და დიდი ადგილი უჭირავთ საერთოდ საბჭოთა კავშირის სასცენო ხელოვნებაში. ვანსენებულმა მიშა გელოვანი იყო მეტად ნიჭიერი მსახიობი დრამატული თეატრისა, მაგრამ მან ძალიან მალე ვადიანაცვლა კინემატოგრაფიაში და ყველას ვეახსოვს თუ რა დიდი სახელიც მოიხვეჭა. მისი ვარდაცვალების შემდეგ ჩვენ, ქართველ მსახიობებს და თეატრალურ საზოგადოებას, ვვინდოდა მისი ნეშტი საქართველოში ვაღმოვეტინა, მაგრამ მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ეს არ ინება და დიდი ვაღმონიებით დასაფლავა კიდევ მოსკოვში ნემბროვიჩ-დანჩენკის და სტანისლავსკის ვეკრდით. დამარხებზე წარმოითქვა მრავალი საუცხოო სიტყვა მოსკოველ თეატრალურ მოღვაწეთაგან, აგრეთვე საქართველოდან ჩასული დელეგაციის წარმომადგენლებისაგან — ვერცოკ ანჯაფაროძისა და ვასაძის მიერ.



რაც შეეხება ელო ანდრონიკაშვილს — ეს იყო ცოცხალი ნიჭის მსახიობი ქალი, ფრთხილად მომზადებული ადამიანი, განათლებული, სობობის უნივერსიტეტში განსწავლული და დიდი ქართველი პატრიოტი. სანამ დაავადდებოდა, თითქმის მთელი ოცდაათი წელი ემსახურა ქართულ თეატრს. სხვადასხვა სეზონში მსახურობდა ქ. თბილისს, ქუთაისს, ბაქოსა და ბათუმში. მეტწილად ასრულებდა ახალგაზრდა ქალების როლებს როგორც დრამატულს, ისე კომიკურს, და თავისი ნიჭის მეოხებით მუდამ სასცენო ხელოვნების სიმაღლეზე იღვა. მის მიერ შესრულებული როლები მაყურებელს იტაცებდა, იბყრობდა და ხიბლავდა. ამის დამამტკიცებელია ის რეცენზიები, რომელიც იბეჭდებოდა პრესაში და რომლებშიაც აღფრთოვანებით იყო მოხსენებული მისი სასცენო ხელოვნება. მის დასში ყოფნას, დიდი ხალისისა და მზიარულების გარდა, ამხანაგებში შეკქონდა როგორც სულიერი სიფაქიზისა და კეთილშობილი ზნეობის ნაკადი. ამხანაგებს დასში დიდად უყვარდათ. ელო იყო ბუნებით თანაზიარი და კარგი სამხანაგო, მიუხედავად იმისა, რომ იყო პირდაპირი, პირში მთქმელი და ცოტა ვადახრილ საქციელსაც კი არავის აპატიებდა. გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობასაც. მას აქვს დაწერილი პატარა საბავშვო მოთხრობები, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჯეჯილა“ და „ნაკადულში“. ამას გარდა აქვს ნათარგმნი კარგა ძალი პიესები ჩვენი რესპუბლიკის თეატრების შესამდირებლად; დიდი ამაგი მიუძღვის აგრეთვე „მოგზაური“ დასის ჩამოყალიბებაში; ერთ დროს ისიც იყო გაწვეული ნოვოროსიაში ქართველი მუშების მიერ სხვა ამხანაგებთან ერთად საგასტროლოდ.

სამწუხაროა, რომ ელოს თავის სიცოცხლეში, გარდა მორიგი ბენეფისებისა, არ ეღირსა მიძღვნოდა საჯარო სამადლობელი სიღამოები, თუმცა ხანში რომ შევეიდა, დაავადების მიზეზით, ჩამოშორებული იყო სცენას და იქნებ ამით უნდა აიხსნას გულგრილობა მისი ხსოვნისადმი.

(გაგრძელება იქნება)



მეჩაბე პედიოგოგი

ფეხით გათელილი აქვთ ათასობით კილომეტრი და მაინც მიდიან...

მიდის ყიდა გაროზაშვილი, შაქრია ჩიტაშვილი, შიო თეზელაშვილი, გიორგი ბაშარული, იოსებ პავლიაშვილი...

ზოგი ოთხმოცი წლისაა, ზოგიც ოცისა. ზოგს შეილიშვილები აცილებენ სოფლის ბოლომდე, ზოგსაც სამი დღის შერბული ცოლები. ხეობაში თიხისფერი ნიაღვარივით მითქრიალებს ცხვარი, მწყემსების შავი, წოწოლა ფაფახები ნიაღვარში მოტივტივე ქოხებსა ჰგავს...

ძალზე მოხუცებულები ხეობამდე ვეღარ ჩაბყლიან გასაკილებლად, მთის ბილიკის შუაგულში აპკანკალებიან მუხლები და იქ გაჩერებულან, ზემოდან დასცქერაან. გულები კი, მათი გულები, ნისლივით მიპყვებიან ხეობაში მიშაველ ცხვარს. მერე ფეხზე დგომითაც დაიღლებიან, წოწოლა ფაფახებს მოიხდიან, ნელ-ნელა გაისე-გამოისეამენ დაღარულ ლოყებზე, კლდეებზე ჩამოსხდებიან ქუდმობდილები და მათი ჭალარა თავებით დაითოვება მთის წვერფერობებში...

- ეგებ, ჩორნარინკა, ჩორნარინკა!...
- ეგებ, კაჩუბეი, კაჩუბეი!...
- გახსოვს, შაშო...
- გახსოვს, ლადია...
- გახსოვს, სკა...
- ეგებ, ჩორნარინკა, ჩორნარინკა!...
- ეგებ, კაჩუბეი, კაჩუბეი!...



ამა წლის მარტსა და აპრილში საქართველოს მეცხვარეობის ზამთრის სამოვრებზე ვიყავი წასული. დრო ძალიან მოკლე იყო ამ ენერჯითა და მისწრაფებებით აღსაყვანი მთის შვილები ათ შეკითხვაზე ერთ პასუხს იძლეოდნენ, ისიც დიდი მორცხვობისა და ოფლის-ღერის შემდეგ...

ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ლენინ-

გორის რაიონის მეცხვარეებთან მომიხდა ყოფნა. ზოგ მათგანს ადრევე ვიცნობდი, ზოგიც საძოვრებზე ყოფნისას გავიცანი. ბევრი რამ გავიხსენი მქონდა მათ ვაქცაობასა და უბრალოებაზე, მთის მუყაითობასა და ცხვრის სიყვარულზე. ზოგიც იქ ყოფნისას გავიგონე...

აგერ, იოსებ პავლიაშვილი („ყინვა ქებას ხეთქავს“), ერთი წყნარი, უთქმელი ვაქცაი, საბატკინის წინ გალაჯულა და წკებლითა თვლის საბატკინიდან გამოშტარ ბატკნებს. ნეტა რასა ბუტბუტებს პირზე ღმილმომდგარი იოსები, იქნებ ხამამალა ანგარიშობს. ისე უნდა მიეპარო, რომ საქმეში ვართულმა ვერ შეგნიშნოს, თორემ სასწრაფოდ მიხურავს საბატკინს კარს, თვლას შეწყვეტს და ბინაში მიგიაპტყებს. ფეხაკრებით მივდივარ, იოსების ზურგს უკან ვჩერდები, ყურს ვუგდებ:

...„ერთი, ორი, — უი, რა შეთვალა... სამი, ოთხი... უი, რა საყონა... ათი, თერთმეტი... რა ქრელთვალა, ...ოცი. ერთი, ორი... უი, რა სადღედა... ასი, ას ერთი, ას ორი... თქვენი პირივე, თქვენი!.. ვარღო, ჰაი ვარღო, მთლი ერთი მოხდევ. ეს ბატკანი რაღაც უფუნებოდ არის, —...ას სამოცი, ასსამოცდაერთი, ორი, სამი...“

აგერ, ქართლში დაბერებული იმერელი კაცი („ყოჩაღი ვეტქემი“). აქა-იქ თუ გამოურევს ქუთაისურ სიტყვას, მიხრა-შობრა და სიფიცხე ისევ დასავლური შერჩენია. ქართლელის სიღინჯესთან ისეთ კონტრასტსა ქმნის, თითქოს სამი დღის უძილოებში სამი დღის გამოძინებული ჩავარდნილაო... ცხვარსაცა და კაცსაც ერთნაირად უვლის...

გიორგი ბაშარული („წითელი გიორგი“). ისევე ის წითელი კლდეა, რაც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ იყო, ოღნავი ბზარიც არ გასჩენია. ზაფხულის სამოვრების კოკისპირული ზედ გადასდის წითელ კლდეს და წითელ ფერმიცემული ღვარება ხევის წყლებს უერთდება. ზამთრის სამოვრების თოვლი დაეცემისთანავე დნება გახურებულ წითელ კლდეზე...



და ბოლოს, ჩიტოშვილების, ძმებისა და შმადნაფიცების კომუნისტური შრომის ბრიგადა, რჩეული ვაჟკაცებისაგან შეკრული ოცეული, ერთი პირი და ორმოცი ხელი...

აი, ის აღამაინებო, რომელთა შესახებაც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა.

„ყინვა ძვასა ხეთქავს“

ნისკარტდისხსლიანებული ყვაივი სასოწარკვეთით ასკდებოდა ფანჯარას. ნისკარტს, გულსა და დაჩაღწილ ფრთებს ერთდროულად ურტყამდა შუშის. მერე დაჯახებისაგან რტყდასმული ჩვარვით ჩაცურდებოდა ხოლმე ჩარჩოს ბოლომდე, ძალაგამოლეული ნისკარტით დაეკიდებოდა ჩარჩოს განჯეილ ფუქის სულის მოსათქმელადა და ძალის მოსაყრებად. მერე ისევ ააფართუნებდა გათოვილ ფრთებს და კორიანტლის ნავალთან ერთად ეხუთქებოდა ყინულით გადალესილ ფანჯარას.

რაც ზღვამ ეს ადგილები ხმელეთს დაუთმო, რაც ამ ველებს ნოღის ველებს ეძახიან, მას შემდეგ ასეთი ყინვა და ამოდენა თოვლი აქაურ ყვავებსაც არ ახსოვთ... იოსებმა კედლიდან თიფი ჩამოიღო, გადახსნა და ვახნები ჩააწყო.

— ნუ გინდა, იოსებ, დეცხენ, ხო არა ჩხავის ეგ შავიდელისშვილი. გაპირებულა და შევლას ვახოვს. ამ ხნის კაც ვარ და ჯერ აღამაინის მახვეწარი ყვაივი ამ მინახავს.

— როცა ზემოდან დაგჩხავლებს, მაშინ კარგა გადაუტოვთხვ ხოლმე შემქმნელ მშობელსა..

ნოღის ველზე ცისა და დედამიწის უნახავი ქარბუქი მძვინვარებდა. ვაშლილ სტუმზე რისხვით მონავარულ ფაფარაყილ თეთრ ლომს წინ არაფერი არა ეღობებოდა რა. ავშარებადღღლექილი და პირზე თოვლ-ყინულის დორბლ-მორუელი ხან მარცხნივ გაქანდებოდა, ხან წინ, ხან მარჯვნივ. მერე ერთ ადგილზე დატრიალდებოდა... დედამიწაზე ფაფარაყილის ამაო მამებარი წელაზნექილი წამით მიწას აეკვროდა და მერე შიშისაგან ფერდაკარგულ ზეცას ებღღენებოდა. ავლავდა და აქაწრიდა, ჰკებნდა და ტროსა სცემდა...

ოთხში ნათგამოილეული ლამაშა შეცივებულით იცრიებებოდა. მაგიდას ხუთი მწყემსი უჯდა: შუახანს გადაცილებული, მუხლზე ფეხგადაჭრილი, ხისფეხა არსენა, ცალთვალდაშრეტლი ბებერი საჯა და სამცე პირტიტველა მწყემსი. ფანჯარასთან თოფზე თავდაქინდრული, ოცი-ოთხდარი წლის ბეჭებგანიერი იოსები იღვა. ფარგებიდან ქარის ღმუღოსა და ღმუღის შუა ნაშმიშლილები დედაცხერისა და უძუძური ბატენის ბლეილი მოისმოდა. ამ ბლეილზე არსენას კანის ჩხვლეტა და ქაივილი აუტყდებ-

ბოდა ხოლმე. ხან ზურგზე გაისვამდა ხელოვნული ხან კისერზე, ხან ყურებზე. მერე ორივე ხელში ხან სანამ ნუნები სისხლით არ შეეფერებოდა, მანამდე იფხანდა ჰალარა თავს. როცა ფხანაშა თავი დაიფიწყებოდა ხისფეხა არსენას და, გონდაკარგული, ხის ფეხით მიწის იატაკს თხრას დაუწყებდა, პირტიტველა მწყემსები მისცივდებოდნენ ხოლმე, შინ ნაქსოვი შავი შალის ხალათს კისრამდე გადაუწვედნენ, თითო-თითო მუჭ თოვლს აიღებდნენ, ზელვას დაუწყებდნენ. ბლეილის გავონებაზე თვალდაშრეტლი საჯა ყურებს ბიბილოებამდე ჩამოეკაცებდა და ცერი თითებით ისე დააწვებოდა, თითქოს ყურების გავლუჯა, ძვლების ჩამტარევა და ტვინის გაქყლუტა სწადიო. ცალ, საღ თვალს მივიცევიდა ხოლმე დაშრეტლი თვალის წოთი შუქიცა და ისეთი რისხვით აენთებოდა ეს ცალი თვალი, რომ პირტიტველა მწყემსებს ფერი ეკარგებოდათ შიშისაგან. თავებს მუხლებსშუა ჩაკვილებდნენ და წყალგადასხმულბივით ძაბავებდნენ...

არანახულმა და არგავონილმა ზამთარმა თივის მარავი თებერვლის ბოლოსათვის მთლიანად გამოლია.. ძველ ფარგებს ისლი შემოაძარცვეს და იმას უყრიდნენ ცხვარს. ისლი კი არა, ფინხი იყო. მალე ისლიც გამოილია. ცხვარმა ერთიმეორეს მატყლის წიწკნა დაუწყო. ყინულის ანახარა დარჩენილი საიგაკები შიშისა სძლევენ და ფარგებთან მოდიოდნენ. ფარგების გარშემო ასობით გაძვალტყავებული საიგაკის ლეში ევლო. ძალები ხორცის ქამისაგან კანში ევლარ ეტეოდნენ. ბებერი საჯა ერთადერთი სალი თვალით ბინის კედლებს გახვრეტასა ლამობდა, კორიანტლის ზოილსა და ზოილს შუა მხრ-წინილ ცხერისა და პირგამშრალი ბატენის ბლევილს რომ ვაივრებოდა. არსენა ხის ფეხით მიწის იატაკის თხრას იწყებდა. მერე აქავებული ტანის გლეჯას მოჰყვებოდა, პირტიტველა მწყემსები წამოეველებოდნენ ხოლმე, შინ ნაქსოვი შავი შალის ხალათს კისრამდე გადაძრობდნენ ძია არსენას, ქინჯარნაცემივით დალულდლოებულ ტანს გაუშვივლებდნენ და წითლად დალაქებულ სხეულზე თითო-თითო მუჭ თოვლს შეასრესავდნენ. მერე ისევ ჩაკვილებდნენ თავებს, საჯის ცალი, ფანარვით ანთებული თვალისაგან დამფრთხალნი და აძვავებდნენ.

ყინვა ასი ათასჯერ ასი ათასი ისრით დაზუზუნებდა ცასა და დედამიწას შუა..

ფანჯრის წინ ორლულიანზე დაყუბრებული იღვა იოსები და თერთლ გლეხისი კორიანტლის კედელში გახედვასა ლამობდა. კოჩუბიეში თივის ამოსატანად წასული ფერმის გამგე არსად ჩანდა...

ცოფმორეულმა ქარაშოტმა იმპლაგრა, ძალაგამოლეული ბებერი ყვაივი ფანჯარას მიანარცხა. გაისმა ლაწანი: კორიანტლის სვეტმა დაჩეჩქილი ყვაივი ჩალეწოლ ფანჯარაში შემისტ-



ყოცნა და მაგიდასთან დაანარცხა. პირტიტვე-
ლი მწყემსები ზეზე წამოცივდნენ. თვალდ-
კეცობის საკა არც კი განძრეულა. ხისფეხა არ-
სენამ ჯერ ფანჯარას გახედა, მერე მოყანაყალე
ყვავს მიაშტერა ორივე თვალი: რა შვეიაო,
გაიფიქრა. იოსებმა მხოლოდ ფეხი მოინაცვლა-
ბიჭებმა სამივეს ცალცალკე ვადახედეს, ერთ-
ხანს ასე იდგნენ, მერე დასხდნენ. ნავთამო-
ლელულმა ლამამ ორი მოცახცახე ენა წაიჭრ-
ძელა, შუშას ლოკვა დაუწყო. ჩამტყრეულ ფან-
ჯარაში უფრო მკაფიოდ გაისმა დამშეული
ცხვრის ბლავილი. იოსებმა სასწრაფოდ დაავლო
ხელი ტყავსა და ცარიელ ჩარჩოში გაქედა.

ლამდებოდა..

დახოცილი ცხვრის დატყავებისაგან ექვსივემ
ერთბაშად იგრძნეს დალილობა.

— დამწყობო, — უთხრა არსენამ ბიჭებს.
სამივენი უხმოდ წამოდგნენ, გრძელ ტახტზე
გაშლილ ნაბდებსა და ტყავებზე მიწვნენ და
ნაბდები და ტყავები წაიხურეს. მაგიდასთან
დარჩნენ სამნი: ხისფეხა არსენა, თვალგამოთ-
რილი ბებერი საკა და ოცი-ოცდამეორი წლის ო-
სები.

— ერთხელ, შენ ტოლობაში, ზევაჟა ჩვენი
სოფლის წყაროდან ხეობამდე ჩამიტანა. დილა-
ზე მოყოლილი, შუადღისას ძლივას გამომთხა-
რას, — სასწრაფოდ, სულმოუთქმელად ამო-
ყარა სიტყვები ბებერმა საკამ და ძალამომა-
ტებული ცალი თვალი ახლა იოსებს მიანათა.
იოსებმა არსენას შეხედა, არსენამ — საკას.

— ბაღს დაეხსენ, ოჯახბჭორო, ძალი არ
გაივდებ კარში! — უთხრა არსენამ.

„ველეზე მოკლე გზა თივებამდე — ბორც-
ვების ხეივანზე გადის და მეცამეტე სადგურა-
მდე მიდის. თხუთმეტი კილომეტრი ფეხითაა
გასავლელი. იქიდან კი უკვე მატარებლით შეიძ-
ლება კორუბემდე მისვლა. ქარი აღმოსავლეთი-
დანა სცემს, ბორცვების ხეივანი კი სამხრეთისა-
კენ მიდის. ხეივანში ქარი ნაკლები უნდა იყოს“,
გაიფიქრა იოსებმა და საკას ცალ თვალს
ორივე თვალს გაუსწორა.

— ხუთ დღეს კიდერ ორ დავიანდეს თივის
ამოტანა, ფარეხში ერთი ცხვარიც აღარ ვაღარ-
ჩება, — თქვა ცალთვალა საკამ.

— ძალი არ გაივდებ კარში, — თავისთვის
ჩაილაპარაკა ხისფეხა არსენამ და იოსებს შეხე-
და..

თავპირდასისხლიანებული ყვავი ოთახის ერთ
კუთხეში საცოდავად იბუზებოდა.. დანაკორჩხ-
ლებულმა ფითილმა ხრჩოლვა იწყო. საკამ
შუშას მოაძრო და ფითილი ორი თითით მოსრი-
სა. ოთახში ღამე ჩამოწვა, აღარაფერი ჩანდა,
ბებერმა საკამ ცალი თვალიდან დაგორბული
წვეთი კბილებში ნაწეწევი ენის წვერით დაი-
ჭირა..

ღამის განმავლობაში ორჯერ ჩადა კორიან-


ტელე, მაგრამ დილისათვის ისევ მოიჭეჭეჭეჭა
ჩოხელა ველების ძვლების მღვწევი მღვწევი მღვწევი
ნოღას ველზე ჯანდონემოჭარბებულ თეთრი
გველშეშაის ცეკვა გამართა. ყინულის სარტყლე-
ბიან მძლავრ ბოლოს ისეთი ძალით უხატუნე-
ბდა თოვლ-ყინულით გაღარეგვილ კასპიის ქვი-
შის ბორცვებს, რომ ქვიშაც პაერის აპქონდა
და ნაშქერთან ერთად ატრიალებდა..

ცალთვალგაყინული ბებერი საკა ფოთოლ-
გაცენილი წიფელივით აყუღებულებო ბინის
წინ. არსენას ცალი, თავისი გამოთლილი ხის
ფეხი მუსლამდე წასვლოდა თოვლში, მერე
ფეხი კი თოვლს ზემოთ დარჩენოდა და ქარის
შებერილივით გადაქანებულებო გვერდზე-
თორმეტ-ცამეტი წლის პირტიტველა მწყემსე-
ბი ერთი ფესვიდან ამონახეთქი ბარტყევივით
აპქროდნენ ერთმანეთს.

იოსებმა ერთხელაც მიხედა უკან და მერე
ისევ გადაწვა წინიდან შემობერილ კორიანტელ-
ზე. აღამიანი მკერდით მიაწვა ყინულის სარტ-
ყელებიან გველშეშასა და ნოღას ველზე კაცი-
სა და გველშეშაის ჭიდილი ვახურდა..

ბორცვების ხეივანზე სამი კილომეტრი იყო
გასავლელი, სამი კილომეტრი, სამი ათასი მეტ-
რი. ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრის საძოვ-
რებამდე კი რვაასი კილომეტრია, იალაღებთან
ყიშაღებამდე რვაასი კილომეტრია. მერე და
ცხვარი რომ გზაში ჩაადგება, ფარა რომ ფარას
აეკერება, მაშინ ხომ ჩამუხვლა არ შეიძლება.
ბარე ოც დღეს უნდება ცხვარი ამ გზის გავ-
ლას. ფარას ხომ ვერ გააჩერებ, უკანაც ფარა
მოვდგეს და მიდი, იოსებ!.. ოცი დღის განმავ-
ლობაში მისდგეს მწყემსი ცხვრის ფარას. თქა-
რა-თქური, თქარა-თქური, თქარა-თქური.. ხან-
დახან თუ მოატყუებს თვალს, ისიც ოღორო-
როში მოჯაყავავე ოთხთვალზე. მერე ისევ
ფეხზე უნდა წამოხტეს და ფარას თავში უნდა
ჩაუდგეს. ათასობით, ერთმეორის ჩრდილისა
თავწყაფილი ცხვარი შეუჩერებლივ მიდის.
თქარა-თქური, თქარა-თქური, თქარა-თქური..
ათასობით ცხვრის ჩლიქებისაგან ამღვარი ბური-
აყი მზისაგან ამომშრალ ხახაში თავისუფლად
გადადის. კნაწ-კნუწ, კნაწ-კნუწ, კნაწ-კნუწ..
კნაწუნობს სამტიცემი გაცრილი კასპიის ქვიშა
მწყემსის ბროლივით თეთრ კბილებზე..

კორიანტელმა მუხლებში შემოჭრა იოსებს.
იოსები წაბოტმანდა და ორივე ხელით იდაყ-
ვებამდე წაფელო თოვლში. მერე თავი დადუნა,
ცხვრის ტყავი თოვლიანი ხელით გადაიწია
მკერდზე და თბილი პაერის სუნთქვა იწყო..
საათზე დაიხებდა. უკვე სამი საათია, რაც იოსები
ბორცვების ხეივისსაკენ მიდის, მაგრამ ჯერაც
ვერ მიადგინა სამშვიდობოს. სუნთქვა კი სულ
უფრო და უფრო უძნელდება. თითო ჩასუნ-
თქვაზე ხუთ ნაბიჯს აკეთებს. ყოველი მეხუ-
თე ნაბიჯის შემდეგ ზურგით ეყუდება კორი-



ანტელის სვეტს, ცხვრის ტყავს მკერდზე გადაიღვლავს, თავს ყურებამდე ჩაყოფს ტყავში და თბილი ჰაერით ივსებს გოდორივით გულ-მკერდს. მერე პირით ისევ კორიანტელისაკენ შებრუნდება და ისევ მკერდით წვება კორიანტელის თეთრ-ყვირთვლ კედელზე. კნაწ-კნაწუ, კნაწ-კნაწუ, კნაწ-კნაწუ, — კნაწუნობს თოვლში არეული ყვირთელი, სამტკიციში გაცირილი კასპის ქვიშა იოსების კბილებზე...

თოთხმეტი წლისა იყო იოსები, როცა პირველი რვაასი კილომეტრი გაიარა იალაღებიდან ყიშლაღებამდე, პირველი რვაასი ათასი მეტრი თავისი სიფლიდან ნოლას ველებამდე. მაშინ ფარას წინ თავჩობანი საკა მიუძლოდა, იოსები კი კეჭლი ცხვარივით მისჩანჩალებდა ფარას ბოლოში.

თქარა-თქური, თქარა-თქური, თქარა-თქური... მუხლებმოწყვეტილი და თავჩაქინდრული იოსები ჩლიქებში უყურებდა ცხვარს და ცხვრის ჩლიქების გამოშპსა ნატრულობდა. იალაღებიდან ყიშლაღებამდე, ყიშლაღებიდან — იალაღებამდე, იალაღები — ყიშლაღები, ყიშლაღები — იალაღები, კიდევ იალაღები, კიდევ ყიშლაღები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ...

იოსების ტერფები გახურებულ მიწაზე ხურდებოდა და ყინვასა და თოვლში ცივდებოდა, გახურებულ ცივდებოდა და ფოლადივით იწრთობოდა...

თორმეტი ათასზე მეტი კილომეტრი აქვს ფეხით გატყენილი იოსებს იალაღებიდან ყიშლაღებამდე. ისეთი ძალა ჩაუდგა ფეხებში, რომ უბელოზე ამხედრებული ფერდებზე თუ მოუჭერდა ფეხებს, ცხენი ნესტოებსა ბერავდა, სუნთქვა უჭირდა ხილმე ცხენს, იოსების ფოლადივით ნაწრთობი ფეხები ფერდებში რომ ამოესარტყლებოდა...

თქარა-თქური, თქარა-თქური, თქარა-თქური, თქარარარ, თქარარარარ... მოდიღებული, მღვრიე მდინარესავით თქარილით მიდის ცხვარი...

იქნება ასცა იოსები მიმართულებას, თორემ უკვე დღის სამი საათია და ალიონზე წამოსული ჯერაც ვერ მისულა ბორცვების ხეივანამდე!.. არა, აცდენა ძალიან ძნელია რაც არ უნდა იდრი კუთხით გადაუხვიოს გზიდან მარცხნივ ან მარჯვნივ, ალია-ბალია ორ-სამ საათს შეაგვიანდეს ზემდებლად, თორემ ბოლოს მაინც ხეივანს უნდა მიადგეს, ან ცოტა ზემოთ, ან ცოტა ქვემოთ...

იოსები კიდევ შებრუნდა ზურგიით, მუხლებზე წაიჩრქა, კიდევ გადაიღვლა ტყავი გულზე, ყურებამდე ჩარგო ტყავში სახე და თბილი ჰაერის სუნთქვა იწყო. მერე ისევ წამოიღგა და კბილების ღრჭილით მიაწვა კორიანტელს. სუნთქვა სულ უფრო ძნელდებოდა. შეგუბებულ სულის მოწოლისაგან გული ყანყარტომი იქედებოდა და მწყემსის ბროლივით თეთრ კბილებში დასლეტეტასა ლამობდა. მაშინ იოსები მთე-

ლი ძალით აწვებოდა კბილებს, ამობურთებდა ყბის კუნთები ისედაც დაძაბრულ სხეეს დღის-პირივითა სკიმუდაც. კბილები ღრჭილაღებდნენ, იმტეროდნენ, ღრძილები სკვდებოდნენ და პირში თბილი სისხლი გუბდებოდა, დამუწულ ტუჩებს შუა ყონავდა და ზოლებად ჩამოდიოდა გარუჯულ ნიკაბზე...

ბორცვების ხეივანში ქარი ველარა მძლავრობდა, სამაგიეროდ თოვლი წელზე სწვდებოდა იოსებს...

მეცამეტე საღვურზე იოსები რკინიგზელემთან ერთად უხვეტავდა გზას თოვლში ჩაქვილი მატარებელს...

თიეები ტანკებზე დატვირთეს, კოჩუბეიში. კოჩუბეიდან ბინებამდე ორმოცდაათი კილომეტრია... მწყემსები ამბობენ, ორი დღე და ღამე მოუძლოდა იოსები ტანკებს, მოკლე და მოხერხებულ გზებს ასწავლიდა... იოსები კი არაფერს ამბობს... ვაკეკეები არა ლაბარაკობენ... მწყემსები იოსების მზესა ფიცულობენ... იოსები კი ცხვრისა და მწყემსების მზეს...

ჟოჯალის ვეტიანიმი

ფეხზე დგომის თავი არც ერთს აღარა გვაქვს და ოთხივენი მომთაბარე ვეტანქეტის საველსა საწოლებზე ვართ მისვენებულები. წყლის დანალევად თუ წამოდგება რომელიმე, მაშინათვე ვეხვეწები: ჩვენც დაგავლევინო. წამოდგება და იმის ნახვას არაფერი სჯობია, სამი დღის ცხენზე ჯდომისაგან ფეხები ისე გვაქვს დაკეკული, რომ თითოს თითო საშუალო კასრი თავისუფლად გავკეტვა ფეხებსშუა. ფეხების ნაცვლად თითქოს ნახმარი, უანგინი ზამბარები გვაბიაო; მუხლები გვეკეცია და გასწორება კი გვიჭირს. ოთახი დასერალია მზის მტერიანი სხივებით. სხივებსა და სხივებს შუა დაზობიანი ნახამთარლი ბუზები, კრეოლინის სუნი უსიამოვნოდ გვიღიტინებს ცხვირში. ვეტანქეტის გამგე დიმიტრი კაპუხიძე ალიონზევე წავიდა რაიონში წამილების მისაღებად. საღამოს ხუთი საათისათვის შეგვიპირდა: მანქანას გათხოვებთ, თორემ ცოდონი ხართ, შეუჩვენებლმა ორასი კილომეტრი მაინც გაიარეთ ცხენებით.

დიმიტრის შეპირებამ ისე ვავგახარა, რომ ათას რამეს შევებირდი. ჩვენს დაპირებებზე დიმიტრის დიდსულოვნად ელიმებოდა. ერთი შეპირდა, გაზეთ „საბჭოთა ოთისი“ საშუალებით ფერმებთან ერთად თქვენი მომთაბარე ვეტანქეტის სანიმუშო წესრიგსა და საქმის კარგ დაყენებას მთელ ოლქს მოვფინო; მეორე უთხრა: ჩავად თუ არა, პირველივე სიტუაციას თქვენს შესახებ ვიტყვი კომკავშირის საოლქო კომიტეტში. მესამე კიდევ რაღაცა აღუ-



თქვა და მეც, ჩემის მხრივ, თავი მოვიქაჩლე რაც შემეძლო, ოღონდ კი ცხენზე მორიგი ამხედრებისაგან გადავჩრჩინელიყავი.

დმიტრიმაც გაგვიფიქრა დანაპირები და მეორე დღეს ნოღაის ველზე მზის ამოსვლას წამლებზე წასვლა დაასწრო...

ოთახში ოთხი საწოლი და ერთი მაგიდაა. მაგიდაზე დგას ერთი რადიომიმღები და რამდენიმე ცალი ვეტქიმის დაფარა. ლუ, ლუ, ლუ, ღრრ, ღრრ, — დრიალებს რადიომიმღები, მაგრამ წამოდგომა და გასწორება გვეზარება. წყლით სავსე ედრო როგორც იქნა საწოლთან მოვაჩოჩით და ჰქოა ხელიდან ხელში გადავიდა. მერე თვლვმა მოგვერია. საათზე დაინებე, უშადღეა. კარი ჭრიალით იღება და ვიღაცა რიხიან სალამს გვეუბნება. სანახევროდ გახელილი თვალებით ვუყურებ. ბიჭები ხვრინავენ. საშუალო ტანის, შუახნის კაცია. საღდათურ ჩექმებში ჩატანებული აქვს კოხტად შეკერილი უხეში მატერისის შარვალი. ნაცრისფერი ჯუბა გაუხსნია და ყველა დღეზე შეკრული უსახელო ტყავი მოუჩანს. ტყავს ქვემოთ კიდევ ხაკისფერი ხალათი აცვია. წითურია. სქელი თმა და წვერ-ხელვაში შექადარებული აქვს. მკვლე უღვაშები ხოქოს საცეცხეებით წეს გაბზეკია. თარაზოს ბუშტივით გაურბ-გამოურბის ცოცხალი თვალები. ცხვირი — ქართული, შუახე გადატებული. ქვედა პატარა ტუჩი დაცემული ჩახმახივით მიბჯენია დიმილმორეულ ზედა ტუჩს. ერთი სიტყვით, კაცი კი არა, გადაჭრილი თოფია, მაგრამ ჩვენთვის სულერთია. გოვი, ეალიკო და ნოდარი გულანად ხვრინავენ.

ვინა ხართ-მეთქი, ძილმორეული ხმით ვეკითხები.

მწყემსი ვარ, ქალაქის ახალი ამბები მაინტერესებს, ქალაქელები ჩანხართ, ვინ ბრძანდებითო.

კომკაშირი, ვაზეთი, ყურნალი-მეთქი.

— ოპო, პო, — თქვა მწყემსმა და ქვედა ჩახმახივით ტუჩი რამდენჯერმე ისე მოსწყვიტა და დააჯახა ზედა ტუჩს, რომ მართლა თოფივით ვაატკაცუნა. ორ-სამჯერ.

დმიტრის მანქანას ველოდებით, ხუთი საათისათვის დადინათის ფერმაში უნდა წავიდეთ ფრიალ საჭირო საქმეზე-მეთქი, — თუ არ დაგვზარდები, ოთხი საათისათვის გაგვადვიძე, — ამოვამთხარე რამდენიმე სიტყვა დიდის ვაივალანით და თვალში თითქმის დავხუჭე. მოფათურე ხელით ბალიშე ვაგისწორე, ერთი კიდევ ამოვიგმინე და სტუმარს ზურგი ვუჩვენე. შევატყე, რომ ჩვენი ხვრინეთა და ჩემი მთქნარებათორეული ბატონკაცური ლაპარაკით არც თუ მთლად ნასიამოვნები დაგვჩანა ეს კოხტა, ცქვიტი მისრა-მოხრის შუახნის მწყემსი. ერთ წამს ექვიც შემეპარა იმის მწყემსობაში მისა გამოწყობილი ტანისამოსის, საქაოდ ნაზი სახის

კანისა და ოდნავ დასაველი კილოც. მანქანაში რამ საქმის შემდგომი გამოძიების სურვილს ძილმა დასძლია და ბუღსა, ბუზებსა და კრეოლის სუნს ჩემი ხვრინაც შეუერთდა...

გვერდის საცელლად შევიშმუნე, თან საათზე დავინებე: მეოთხე საათი დაწყებულიყო. უღვაშებდაცქვეტილი მწყემსი ფეხფეხ შემოდებული უჯდა საწერ მაგიდას, ოქროსწყალში გაფერილი ავტოკალამი ეჭირა ხელში და ხან ერთ უღვაშზე გადაისვამდა ტარით, ხანაც მეორეზე. კიდევ გამკრა ექვმა, მაგრამ არც ამჯერად მივაქციე ყურადღება, გვერდი ვიცვალე და მანქანის მოლოდინში მეორედ ჩაიძინე...

ბიჭების ყვავნა გამოძლივია. მზე აღარსად იყო. აღარც ბუზები დაბორილებდნენ, აღარც ის უღვაშებდაწყვილი მწყემსი ჩანდა. საწერი მაგიდის შუშის ქვეშ ორი ბარათი დავგვხედა. ერთი კოხტა, დაცქვეტილი ასოებით დაწერილი: „ბატკანი პანატა-პუნტიო მებოცება არცხა გაურკვეველი ავადმყოფობის გამო. პუნქტში მოსვლისთანავე ჩემთან ვაჩნდი!

დ. კაპხიძე. 2. 4. 59 წ.“.

მეორე ბარათი დმიტრის დაეტოვებინა ჩვენთვის:

„ამხანაგებო! დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ დაპირებას ვერაჯერობით ვერ გისრულვებ. დადიანეთის ფერმაში წასვლა ხვალისათვის გადავადოთ. ზაყორისა და ცხინოლის სასოფლო სამუკოების ვეტქიმში სერგო კაშმაძე სასწრაფო საქმეზე მიბარებს.

დ. კაპხიძე. 2. 4. 59 წ.“.

მე იმდენი არაფერი, მაგრამ ჩემს ამხანაგებს კი პირი უტყდებოდათ დადიანეთის მწყემსებთან. ხუთი საათისათვის მისვლასა და პატარა კონცერტის ჩატარებას იყენენ შეპირებულნი. შეპირება წინა დღეს პუნქტში მყოფი დადიანეთის ფერმის გამგის სუნე ბერიანიძის პირით შეუთვალეს მწყემსებს...

პირამდე ჯანით სავსე ეალიკო ბედოშვილი ხან ნოდარს დაეტყა, ხან გოგისა და ხანაც მე.

— სულ თქვენი ბრალია, კარებთან ახლოს თქვენ იწვიეთ და ვერც იმ ექმის მოსვლა გაიგეთ და ვერც პუნქტის გამგისაო...

ყველანი გაბრაზებულები ვიყავით, მაგრამ ჩემს გაეაწყობდით. კიდევ ცხენებზე დღევნა და ოცდაათი კილომეტრის ცხენებით ვაგლის თავი აღარც ერთს აღარ გვემოწეა. ესეც რომ არა, უკვე ცხრა საათი ხდებოდა, მოხალისეთა კონცერტი კი ხუთი საათისათვის იყო დანიშნული. უგემურად ვივასშეთ და დმიტრის მოლოდინში შაშის თამაში წამოვიწყეთ. ვთამაშობდით, მაგრამ ყველას ის რაღაც ეშმაკად ჩამოვარდნის ვეტქიმის ბარათი გვიდგა თვალწინ.

— ჩვენ რომ ძილით თავები არ დავგებოცა, იმ ექმისა ვინახავდით და თუ საჭიროდ მივიჩნევდით, ბარათსაც დავუშვავდით დმიტრის. სამიოდე საათში ჩვენ საქმეს მოვრჩებოდით,



სამი საათი კი ბატენის დაავადებისათვის არა-ფერს არ წარმოადგენს, — ბუზღუნება ვალი-კო.

ათ საათზე დაბრუნდა დიმიტრი.

— რაშეა საქმე?

— ვინ ექიმი იყო?

— ბატენი მართლა პანტა-პუნტით ეხოცე-ბა? — წავყარეთ შეკითხვები დიმიტრის. დიმიტ-რი იციონდა, თან უარის ნიშნად თავს აქნევდა.

— რომელიღაცას გიწყენინებთ სერგოსათ-ვის. ისიც ამდგარა და ეს ბარათი დაუტოვებია. თქვე დალოცვილიშვილებო, რალაზე უთხარით, რომ ვეტბუნქტის მანქანა თქვენ უნდა წაგაყვა-ნათ!

პირკატანაცემმა გადაგხედე ბიჭებს და უღვა-შებდაწყებული „მწყემსის“ ამბავი ვუამბე...

დიმიტრი სიცილისაგან იგუდებოდა. ბიჭები კი მე მომცვიდნენ საყვედურებით:

— მწყემსი და ექიმი ერთმანეთისაგან კერ უნდა გაარჩიო? იქნება დალილი იყო კაცი, დასვენება უნდოდა, შენ კი ძილისაგან დასიე-ბული ელაპარაკებოდი. ტრიალ მინდორში ვართ, კაცს ახალი ამბები აინტერესებდა, ჩვენ-თან ლაპარაკი უნდოდა, შენ ფეხზე აღგომაჯ არ იკადრე!..

რას ვისამდი, დამნაშავე ვიყავი და გაჩუმება ვარჩიე. დიმიტრი ისევ ხითხითებდა.

— სერგო კაშმაძის მეტი ამ ოინს ვერაეინ გიზნადით. კაცი კი არა, ცეცხლის ნაბერწყალია; ერთ კვირას რომ არ აფუარო და ნამუშევარი არ შეეუძოწო, მაშინათვე ცხენს მოახტება, პუნქტში ვარნდება და საყვედურებით ამავსებს: ზანძცი ხარ, საწოლის კაცი ხარ, ფერმებში სიარული გეზარებოდა. მე დაიმედებული ვარ, მაგისთანა ვამოცდილო ექიმი მყავს უბანში-მეთქი. სხვა ფერმაში უფრო საჭიროა ჩემი ასვლა, საცა ექიმი არა ყავთ. სერგო კაშმაძეს კი საათივითა აქვს საქმე აწყობილი, ქორივით დასტრიალებს თავის ფერმებს, ლამის ჩემზე უკეთესი აფთიაქი იმასა აქვს მოწყობილი.—კი-დედ დიდხანს გველაპარაკე დიმიტრი სერგო კაშ-მაძესა და იმისი აფთიაქის შესახებ...

მეორე დღეს, მზე ჯერ კიდევ როგინად არ ამოსულიყო, რომ ჩვენ უკვე დადინების ფერ-მიდან ვბრუნდებოდით. მოხალისე მუსიკოსებმა კონცერტი ალიონზე ჩატარეს მწყემსებს.

დიმიტრისა ვთხოვე, სერგო კაშმაძის უნახავად ნუ დაგვაბრუნებ პუნქტში-მეთქი...

კოტა ხნის შემდეგ ფარხები და ბინაც გა-მოჩნდა.

— სერგო კაშმაძის საბრძანებელს ვუახლოვ-დებით, — გავავთრთხილა დიმიტრი.

ფარხებს რომ ჩავუარეთ, კრეოლისის სუნმა მომთაბარე ვეტბუნქტის წამლებს სუნი ერთ-ბაშად დაგვაიწყა. მანქანა ძუკათეყავის ფერმის ბინასთან ვაჩერდა. ფერმის გამგე ამხანაგე დრიავეი გამოგვეგება და ბინაში შეგვიპატიე.

ოთხში დატრიალებული წამლების სუნი ახ-ალგამომცხვარი ფერმის ფერწულა პუფიანულა სუნსა სძალავდა. კოხტა, სუფთა ქაღალდგადა-ფარებულ თაროზე ათასნაირი წამლის შუშე-ბი ჯარისკაცებივით გამოჭრივებულყო.

— სერგო სად არის? — ჰკითხა დიმიტრემ ფერმის გამგე.

— საბატენშია წასული. დილას აქეთია იქა-ზის.

ფერმის გამგის ალაპარაკება მინდოდა.

წამლები მართლაც ბლომად გქონიათ. წამლების გამოყენების საქმე როგორ არის-მეთქი, ვკითხე ფერმის გამგეს.

— ახა გამოყენების საქმეა, თუ არის. მარტო ცხვარს რომ ასმევდეს და ჩხველედეს — რა უშავს, ჩვეიც ავლებულები ვყავართ. ბინაში კაცი არ არის, რომ სერგოს ნემსის წვერი არ ეგემოს. ერთი მე ვიყავი ხელუხლებელი და მეც იმისი მსხვერპლი შევიქენი, — სიცილითა თქვა ფერმის გამგემ, — თავის დღემო რომ არ მომც-ვილია, ისეთი რამ დამემართა: წასულ კვირას არტეზიულ ჰაზე დავიბანე თავი, ვიფიქრე თბილია, რაღა ქვავით ვცხტლო წყალი-მეთქი. იმ საღამოს შემაძივნა. ბერეს ვეცადე სერგო-სათვის გამომეპარებოდა ჩემი მღვთაშობა. მაგრამ ნურას უკაცრავად: დაწვიქო! — მიბრ-ძანა, როგორც კი შემატყო ძაგძაგი. მეც დავ-წექი, მაგასთან მოლაპარაკეს ორ თავზე ნაკლები აღარ უნდა ეხას. ფერე სიტყვ გამოზომა, მერე წამლები მაყლაბა. ესეც არ მაქმარა: მეორე დილით რომ ნახა, სიტყვ ისევ დიდი მქონდა, ნემსი მოიმარჯვა და... აფსუსს, სატრაბახოდა მქონდა ჩემ შვილებთან: ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ წამალი რა გემოსია, არ ვიცი-მეთქი... გუ-შინ შემიწყვიტა პნეიცილინის ნემსები. სიტყვ აღარა გაქვს, თავს გაუფრთხილდი. ცხვარი რომ ცხვარია, იმას დემართება ტუინის ანთება, მარტში რომ ჰაზე თავი დააბანო; კიდევ კარ-გად გადარჩიო. ოქროს ხელი აქვს, ოქროსი. ჩვენი რაიონის ექიმიც ვერ მოგვივლის ისე, როგორც ჩვენი უბნის ვეტქიმი სერგო კაშმაძე გვივლის.

მერე ვეტქიმის დავთარი გადმოვივლო ფერ-მის გამგემ, თან კარებისაკენ იტყობებოდა: სერგომ თუ მომისწრო, სეირს მაშინ უყურე-თო.

— აი, ეს უკანასკნელი ათი დღის შედეგებია, — გვითხრა ფერმის გამგემ და დავთარი ვადავვი-შალა. მაშინათვე ვიციანი კოხტა გამოწყებული ასოები. რვეული საესე იყო დიავნოზებითა და რეცებტებით. უკანასკნელი ათი დღის განმავ-ლობაში 52 ბატენი განუტურნია, ორმოცდამე-ცამეტე ციფრის გაყოლებით ფერმის გამგის გვარი დეა სახელი იყო ჩაწერილი. სიცილი ვე-ლარ შევიკავე და გულიანად გადავიხარარე. გვარის ვასწერივ ჯერ ლათინურად, მერე ქარ-თულად იყო მიწერილი დიავნოზი: „ძლიერი



გაციება. სასუნთქავი ორგანოების ანთება“.

— ცხერის დაღობვისა და ბატყნების შენარჩუნების საქმე როგორა გაქვთ? — ჰკითხა დიმიტრიმ ფერმის გმავეს.

— 495 სული დედაცხერიდან 445 ბატყანი გყავს მიღებული. ოცდახუთი დედაცხვარი ამ კვირაში მოიგებს, დანარჩენებიც შემდეგ დღეებში გვაუწყებენ ბატყნებს. ბერწიანობის შემთხვევებში არა გვაქვს. მგონია, რომ ჩვენი მწყემსების დაუღალავი შრომითა და ჩვენი ექიმის ზრუნვის შედეგად ყოველი ასი სული დედაცხერიდან ოთხმოცდათერთმე ბატყანი მივიღებთ და შევიწარჩუნებთ, — გვითხრა ფერმის გამგემ, თან სასწრაფოდ გამოიპართვა დაეთარი და მაგიდაზე დადო. კარმა გაიჭრიალა. უნებურად მივხედე. კარებში თვალემოციმციმე, უღვა-მედაწყებილი ვეტქები სერგო კაშმაქ იდგა...

მანქანა ხტუნვითა და რწყვით ბრუნდებოდა ვეტბუნქტში. დიმიტრიშვილი დიმიტრი ჩემს გვერდითა სთვლემდა...

წითელი გიორგი

ბირველად ოცი წლის წინათ ვნახე. თმა ოქროსფერი, წითელში გარდამავალი. სახე—წითელი, გავარჯარებული წითელი. ხელში რომ ამიყვანა, მგონი ღრიალიც კი მოვრთე. მეგონა, დავიწყები-მეთქი. მერე შევეჩვიე ამ წითელ მუხას. სწორად დადიოდა ჩვენთან, ცხვარს რომ ზაფხულის საძოვრებზე გადმორკეავდა. მასიდან აგვისტოს ბოლომდე რამდენჯერმე უნდა მოვეწახულებინე. ხან ტკბილეულს მომიტანდა, ხანაც სათამაშოს. სანამ მაგიდებე არ დადებდა, მანამ ვერ მიხვდებოდი ხოლმე, იმის ვეება ხელში ტკბილეულით სავსე პარკი იყო ჩამალული, თუ სათამაშო ტანკი... ფეხებს ოდნავ განზე ვადგამდა და მერე თუნდაც ყუვარი ხარკამეჩი გამოვადებდი, ფეხს ვერ მოატყლევინებდი. იდგა მკერდგამოვადებული, წითელი კლდისაგან ნაკვეთსა ჰგავდა. ქუჩაში თუ გავივლიდით ერთად, მაშინათვე იმას ვინატრებდი, რომ დიდი ქარი ამოვარდნილიყო. სეირის ყურება მინდოდა. მინდოდა მენახა, როგორ წაიქცეოდნენ ქუჩაში მოსიარულე ადამიანები, როგორ ავლავდა ძლიერი ქარი სახლის სახურავებს და ამ აგლეჯილ სახურავებსა და ძირს მოგორავე კაცუნებს შორის ფეხადგმულ წითელ კლდესთან როგორ ჩავივლიდა წითელი გიორგი.

ზამთრის საძოვრებიდან დაბრუნებული გოლიათი ყურძნის წითელი წვენი ვეღარა ძღვნიდა. გვერდით ერთ ვედრო ღვინოს მოიდაგამდა. სხვებს ღვინის ჭიქებიც მოსწყვეტდა კისრს. წითელ გიორგის კი ჩაიფი ვერას აკუნებდა.



სამამულო ომის მძიმე წლები იყო. გიორგი ბაშარულს ზაფხულის საძოვრებიდან ერთი

მანქანა გამოყვანილი ტყავი მოჭრის დასრულებული მეთურნობის საწყობში ჩასაბარებლად. ჩაფიქრებული იჯდა წითელი გიორგი შოფრის გვერდით. უცებ მოსახვევით თოფის ლულები გამოჩნდა. ავაზაკებმა მანქანა გააჩერეს. ჩია ტანის შოფერს ყურადღება არაფერი მიჰქცია, გოლიათს კი ორნი ამოუდგნენ აქეთ-იქიდან თოფებით და წინ გამძღვარეს. ორი ავაზაკი მანქანასთან დარჩა გასაძარცვავად. ბევრი არ უფიქრია წითელ გიორგის, ზურგზე დაწყობილი ხელები უცებ გაშალა, თვალისდახამამებზე წაუფლო ხელი ავაზაკებს თოფის ლულებზე, ერთი მაგრად დაიქნია და ადვილად გამოჰგლოჯა ხელიდან. გაეცხლებულმა კონდახები დაუშინა თავსა და ბირ-სახეში. დაოსებულებს ორივე თოფი ზედ დაალეწა და მანქანისაკენ გაიქცა ხანჯალგაძობილი. უიარაოდ დარჩენილმა ორმა ავაზაკმა შორიდანვე შენიშნეს თუ არა გაეცხლებული მთა მოეღვარე ხანჯლით ხელში, სასწრაფოდ მოახტნენ ცხენებს და თავს უშველეს...



ომის წლებში გაციუნებული აღარ მინახავს წითელი გიორგი, ტუჩებდაქმწული დადიოდა, თითქოს დღეობით ამოვლესა კლდეკაცს პირი. იშვიათადლა ჩამოდიოდა მთიდან. ერთ ღღესაც, დიდი ხნის არყოფნის შემდეგ, წითელმა გიორგიმ მთელი ფარა საკუთარი ცხვარი ჩამოალა. ჩვენი სახლის ვეებერთელა ვზო რჩეული ყოჩებით აიესო. შაბათსალამო იყო. ვიწროობითა და ქალაქის ღრიალით განერვიულებულმა ქედლებმა რქების ისეთი ჯახა-ჯუხი ატყეს, რომ შეწინებულნი ვზოში ჩასვლას ვეღარა ვებედავდი. ისე მეგონა, რომ დილაზე ერთი ყოჩიც აღარ დამხედებოდა ცოცხალი. წითელ გიორგის თეთრი ქალაღი გაეწა და მამაჩემთან ერთად რალაქას ანგარიშობდა. ანგარიში რომ მოათავეს, მამაჩემმა ჰკითხა:

- დაგრჩა კიდევ რამე, გიორგი?
- ორი დედაცხვარი და ორიც თოხლი. ნეტა ან ისინი რალა ქირად მინდა, იმათაც ჩამოვრეკე ცოტა ხანში.

დილაზე მეც გამიყოლა წითელმა გიორგიმ და ცხვარი ბაზარზე გავიყვანეთ.

სალამოზე უცხვაროდ გბრუნდებოდით შინ, ბაზრის მუკერში ამოგუნგლულები. წითელ გიორგის ფულით გატყენილი ძველი ჩემოდანი ჰქონდა ილიაში ამოღებული. მერე გათენებამდე ვეებერთელა ხელს ასეველებდა წყლით სავსე ჯამში და ფულსა თვლიდა. მამაჩემიც ეშველებოდა თვლამი. მე კი ფულის შეკრებს ქალაღის თეთრ სარტყლებს ვუყვებოდი და წებოთი ვაწებებდი. გათენებისას დამი:ხა წითელმა გიორგიმ, ასი ათასიო. ფული ისეე ჩემო-



დაწვი ჩააწყო. დაფახილებულ ჩემოდანს ვარედან საბლუდ შემოახვია, ილღაში ამოიჩარა და სადღაც წაყიდა. დიმიტრიუმმა შემოდლო ეზოს კარი საღამოზე.

— რა ჰქენი? — შეეკითხა მამარქმე.

— ჩავბარე, — მიუთო წითელმა გიორგიმ, — ობლიგაციები მომცეს, მაგრამ ისიც სახელმწიფოს შეეწირა...

იმ კვირის ვახეთები იტყობინებოდნენ, რომ სოფელ უკანამხარის კოლმეურნე გიორგი ბაშარულმა ასი ათასი მანეთი შესწირა სამშობლოსათ. გიორგი ბაშარულის დანახვით აგებული ავიაგამანადგურებელი, რომელზედაც გიორგის სახელი და გვარი ეწერა, მუსრს ავლებდა ფაშისტ დამპყრობლებს. ცოტა გულზე მოეშვა წითელ გიორგის, უფრო მეტის გულმოდგინებით შეუდგა ცხრის მოვლას. რამდენჯერმე იქნა არჩეული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.



მას აქეთ თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა და ახლაც კარგად მახსოვს ის ღამე. მაგდამე ნათ გამოლუვლი და ფითიღადაბმული ღამფა ბეჭტავს. ღამფის გვერდით წვლით საყვე ჯამი დგას, სადაც დრო და დრო ვეებერთელა ვახურებულ ხელის გულსა ჰყოფს დასასველებლად წითელი გიორგი. წყალი ჯამში ნელ-ნელა ორთქლდება. მძიმედ და შეუცდომლად ითვლება ფული...

მას შემდეგ იშვიათადლა ჩამოდიოდა ქალაქში წითელი გიორგი, ცხრის მოვლით იყო გართული. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში კი თვალც ალარა მქონდა მოკრული...

სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის რამდენიმე ბინა მოვიწახლეთე, მაგრამ როგორღაც გიორგი ბაშარულის ბრიგადაში ვერ მოხვდი. უკანამხარის კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ საკმარისი ცნობები შევგროვე. გიორგი ბაშარულის ბრიგადის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სანდრია ჩიტოშვილს შეეკითხე.

— შენ თითონა ნახე, გაეხარდება, — მითხრა თავმჯდომარემ...

უკანამხარის კოლმეურნეობას ზამთრის საძოვრებზე ორი მანქანა ჰყავდა წამოყვანილი, მაგრამ კოლმეურნეობის მანქანებს უჩემოდაც ბევრი საქმე ჰქონდათ. ისევე მომთაბარე ვეტბუნქტის გამგეს შევეხევე. დიმიტრიმაც მთხოვა მანქანა.

მეორე დღეს მივადექი გიორგი ბაშარულის ბრიგადის ბინას. შორიდანვე შევნიშნე ბინის კარებზე აღარებული წითელი კლდე.

— გამარჯობა, მერაბ, აქ რამ მოგიყვანა? — შეკითხება გახარებული ვიორგი და ხელს მარ-

თმევა. ხელის ჩამორთმევაზე ეტყობოდა ვიორგი ისევე კლდე-გიორგი იყო.

ამისა და ამისათვის ჩამოვედნი-მეთქი. ბინაში შემიძღვა. თეთრად შეფეთილ ბინაში ცხელი ფურნის პურის გემრიელი სუნი ტრიალებდა. მორგე მხარეული ფუნჯულა პურებს ხონჩაზე აწყობდა. მოთხოთუხე ჰქაბიდან ცხრის ხორცის ოხმევიარი ამოდიოდა.

კერძი მზად არისო, დაიძახა მხარეულმა. ცოტაცა და რადიომიმღების ხმას კოვებებისა და დანების ჩახა-ჩუხი შეუერთდა. მაღიანად ილუქმებოდნენ გიორგი ბაშარულის ბრიგადის წევრები. ჩემს პირდაპირ, კედელზე, ბრიგადის ვალდებულებებს მოვკარი თვალი. იქვე, წითელ ტილოზე, დიდი ასოებით ეწერა: „ძალღონეს ნუ დავიშურებთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის ბრძოლში!“. მწყემსები ჰქმას მორჩინენ, გამომეშვიდობნენ და ფარებში გასწიეს ამხანაგების შესაცვლელად.

კარგად მივიციტხ-მოვიციტხეთ ერთმანეთი. დიდხანს ვისაუბრეთ...

— ყოველი ასი სული დედაცხრიდან ოთხ-მოცდათქვესმეტი ბატკანი უნდა ჩაეყვანათ ჩენი კოლმეურნეობის ფარეხებშიო...

— გვემით ვათვალისწინებული სამი კილოგრამი მატყლის ნაცვლად თითოეული ცხრიდან ოთხ კილოგრამ მატყლს ჩავბარებთო...

— ბრიგადამ ვალდებულმა იყისრა — სამი კილოგრამი ყველის ნაცვლად ოთხი კილოგრამი ჩავბარათ თითოეული დედაცხრიდანაო...



მთელ დღეს ღრუბლებთან ნაქიდავედი, დიქანული მზე სევენებ-სევენებით ჩადიოდა ნოღის ტრამალეხს იქით. დაუქანცაი და გაუტეხელი წითელი გიორგი გამარჯვებული რჩებოდა ბრძოლის ველზე.

ერთი ფერმის კელლის გაზეთი

ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარის კოლმეურნეობა. თავმჯდომარე — ჩიტოშვილი, ფერმის გამე — ჩიტოშვილი, ერთი ბრიგადირი — ჩიტოშვილი, მეორე ბრიგადირი კიდე ჩიტოშვილი. ერთი თავჩობანი ჩიტოშვილი, მეორე თავჩობანი ჩიტოშვილი, მესამე თავჩობანი ჩიტოშვილი. ერთი დამდოლებელი ჩიტოშვილი, მეორე — ჩიტოშვილი, მესამე — ჩიტოშვილი. ერთი მწყემსი ჩიტოშვილი, მეორე მწყემსი ჩიტოშვილი, მესამე — ჩიტოშვილი, მეოთხე — ჩიტოშვილი, კიდე ჩიტოშვილი, კიდე ჩიტოშვილი...



როცა სამშობლოში ვახაფხული იწყება, ჩიტები ზღვებსა და მთებს გადმოსერავენ, გზადა-



გზა შეისვენებენ, საყენეს აყენავენ, წყალს დალევენ, ისევ ზეცას აეკვებიან, რამდენიმე კლეს იფრენენ და მერე სამშობლოში ბუდეების დღეებს მოპყვებიან...

ყველაზე ბოლოს, მისის პირველ რიცხვებში, ჩიტიშვილები დაადგებიან საქართველოსაკენ მომავალ გზებს. სამი კვირის განმავლობაში რვა-ასი ათას მეტრს გამოივლიან და მესამე კვირის ბოლოს უკვე ლენინგორის ხეობებს გადმოხედვენ, ქსნისა და ცხრაქმის ხეობებში ცივ წყაროებს ქედმოხიდელები დაეწაფებიან, მერე წამოგებიან, მარცხნივ და მარჯვნივ აუღლებულ მთებს შეაყოლებენ თვალს, სადაღაც, ტიხთ შემოსილ ფრიალოებზე შენიშნავენ თავიანთ ბუდეებს და სახე დომილისაგან გაეზადრებათ. ჯერ ისევ ჩიტის ბუდეებით მოჩანს ჩიტიშვილების სახლები, მაგრამ მონატრებული თვალი უკვე შორიდანვე არჩევს შეთვალა და თაფლისთვალა გოგოებს, ჯანიან მკლავებზე სამ-სამ ბარტყდამსულ ცოლებს, შვილს მონატრებულ, თვალზე სისარულის ცრემლმომდგარ დედებს, ყალიონის ნისლი მიხვეულ მამებს.

ჩიტიშვილები სოფლისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვებიან. აღმართზე პირველი ჩიტიშვილების კომუნისტური შრომის ბრიგადა მიდის...



მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა. ჩიტიშვილების კომუნისტური შრომის ბრიგადა ჯერ კიდევ სტავროპოლის მხარეში, ზამთრის საპიკრებზე იმყოფება, თავისი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის სხვა ბრიგადებთან ერთად. მე ჩიტიშვილების ბრიგადის ბინაში კედლის გაზეთის წინა ვარ აყუდებული, საწერ-კლამი მომარჯვებული მაქვს და ბრიგადირის მოსვლამდე ვცდილობ რამდენიმე საინტერესო ადგილი ამოვიწერო გაზეთში მოთავსებული მწყემსების წერილებიდან.

„უკანამხარელი მეცხვარე“ — ასეთი სათაური აქვს კედლის გაზეთს. სათაურის ქვეშ ორი რქებდავარებილი თუშური ჰედილაა დახატული. კედლის გაზეთის გამფორმებელს პატარა შეცდომა დაუშვია. ლენინგორის რაიონის ვერცერთ ფერმაში ვეღარ ნახავთ თუშური ჯიშის ცხვარს. ხუთი-ექვსი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა თუშური ცხვრის რამდენიმე ეგზემპლარის პოვნა, მაგრამ ახლა მეცხვარეობის ფერმებში მხოლოდ ნაზი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი ჰყავთ. ვკითხულობ მოწინავე წერილს და ვიწერ ერთ ადგილს წერილიდან.

„...ჩვენი ფერმის მუშაკები, რომლებიც ადგილობრივად მუშაობენ არიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ეკვი არ

არის, რომ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ მეცხვარეობის განვითარებაში აღმავლობისათვის. ყველაფერს გაეკეთებთ იმისათვის, რომ 1965 წლისათვის ცხვრის სულადობა ერთი-ორად, ხოლო მატყლის წარმოება 1,7-ჯერ გაზარდოთ“.

გაზეთში მოთავსებული შემდეგი წერილი მოუწოდებს ფერმის მუშაკებს, რომ „მიღებული ნამატი მთლიანად იქნას შენარჩუნებული“: „...მეცხვარეობაში, ამჟამად, მეტად პასუხსაძიებური იქნა. დაწყებულია დოლი, რომლის წარმატებით დამთავრებანდაც დიდად არის დამოკიდებული ცხვრის სულადობის ზრდა. ჩვენი კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები ჯერ კიდევ ადრე, იანვრის პირველ რიცხვებშივე, შეუდგნენ სამზადის. მათ თავის დროზე გააზრდეს საწვინელები, საბატკნეები და უზრუნველყვეს მათი დენინფექციის ჩატარება. ჩვენი ფერმა სამ ბრიგადად არის დაყოფილი. ყველა ბრიგადას აქვს საკმარისი რაოდენობის საკვები, რაც ბინებთან არის მოტანილი. საკმაო რაოდენობითაა გვეჯეს კონცენტრირებული საკვები...“

დოლის წარმატებით ჩატარებისა და ნამატის მთლიანად შენარჩუნების საქმეში მთავარ როლს თამაშობს მუშახელი. ამიტომ, კოლმეურნეობის გამგეობისა და ფერმის ხელმძღვანელების საზრუნავი იყო, რაც შეიძლება გამოცდილი მწყემსებთა დეკომპლექტირება ბრიგადით. ეს საკითხი დოლის დასაწყისისათვის გადაჭრილი იყო...

დოლისათვის კარგად მოეზადა დავით ჩიტიშვილის ბრიგადა. ბრიგადის წევრები გაეცნენ საცავშირო კომუნისტური პარტიის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მათ ვალდებულება ეისრება წარმატებით ჩაატარონ დოლი და ყოველი ასი სული დედაცხვირიდან ოთხმოცდაათექმსტრ ბატკანი მიიღონ და შეინარჩუნონ...

ბრიგადის წევრებმა თავიანთ მუშაკებზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ № 1 ბრიგადა აქციონ კომუნისტური შრომის ბრიგადად და შეიღწეოდეს დიადი გვეგით დასახული ამოცანები ექვს წელიწადში შეასრულონ...“

კიდევ ერთ წერილს ვკითხულობ და მერე იუმორის კუთხეს ვათვალიერებ. „გაიციენ-გამაცინენ“ ჰქვია კედლის გაზეთის მეოთხე სვეტს:

„დავით ჩიტიშვილმა თავისი ბრიგადის უხუცესს შაქრა ჩიტიშვილსა ჰკითხა:

— ძია შაქრო, წევრს რატომ არ იბარსავ, სამართებლები ხომ თავზე საყრელი გვაქვს? ძია შაქრომ მიუთვო:

— ჯერ ერთი, დოლი დაწყებულია და წვერის გასაპარსად არა მცალია, მეორეც ის, რომ რაკილა ერთი წვერმომცემული შეეყვ დოლსა, წვერი რომ გაევიპარსო, ბატკანი ვეღარ მიცნობს, მიუცხოებს.



— ალბათ დღე რომ დამთავრდება, მაშინ გაიპარავ, არა, ძია შაქრო?

— ვერა შვილო, ვერც მაშინ გავებღავ, წვერ-გაპარსულს მაშინაც მიუცხოებს ბატკანი. შეიძლება თავმჯდომარეც ვეგონო და მაშინ ზომს ალარაფერს დამიჯერებს! — მიუგო ჩვენ-მა ძია შაქრომ.

მეორე ხუმრობა:

„ერთ ჩვენებურ სოფელში იყო და აღარ არის ერთი ქარის მოტანელი თავმჯდომარე. ერთ მაკარ ზამთარს, როცა მეცხვარეობის ფერმა ძალზე ცუდ პირობებში უხდებოდა ცხვრის დადოლება, მწყემსებმა სთხოვეს ფერმის გამგეს: — ჩვენს თავმჯდომარეს დაურეკე, შეატყობინე, რომ ზარალი დიდი მოგვდისო. ფერმის გამგემაც დაურეკა:

— დღის ძალიან ცუდ პირობებში მიმდინარეობს, ბატკნის ზარალი დიდიაო.

— დილი სსსწრაფოდ შეაჩერეთ, გამოამინდებს მოუცადეთო, — უპასუხა ქარის მოტანელმა თავმჯდომარემ და თავისი „გამჭირახი“ გადაწყვეტილებით კმაყოფილმა ბოლოს ცემა და თითების ფშვენტა იწყაო...“

კედლის გაზეთის კითხვას მოვრჩი, რაც ჩასაწერი იყო, ჩავიწერე. კედლის გაზეთმა ყველაფერი მითხრა ფერმისა და ბრიგადის მუშაობის შესახებ...

სალამოდებოდა...

ბღაილ-ბღაილით მოუღიოდათ ცხვარი მწყემსებს საძოვრებიდან ფარეხებში. მზარეულმა ცეცხლს მიუმარჯვა, მერე ჯამები და კოვზები დაალავა და ცხელი პურები დაახვავა მაგიდაზე...

იღებოდა და ისევ იხურებოდა კარი, ოთახში მწყემსები შემოდიოდნენ, სათითაოდ მართმევდნენ ხელს და კედელთან მიდგმულ გრძელ ტახტზე სხდებოდნენ. მალე ტახტის გასწვრივ კედელი მწყემსების მზარ-ბეჭმა ამოავსო. ტახტის თავში წვერგაუპარსავი შაქრია ჩიტიშვილი იჯდა. მარცხენა წარბი წოწოლა ფაფახში დაემალა, მარჯვენა კი მოტეხილ ფრთასავით ჩამოეშვა ძირს.

ძია შაქრო, ბატკანზე ზომ არაფერს მეტყვიოთ საინტერესოს-მეთქი.

— აბა რა გითხრა, შვილო, რაც მე პარკით ან უბით ახალდაბადებული ბატკანი მიწდვრიდან საბატკნეში მიზიდა, იმდენი სული ცხვარი მთელ ლარგვისის სამქოსაც არ ეყოლება...

— ძმები რომლები ხართ? — ვკითხე მწყემსების

— ზოგი ძმები ვართ, ზოგიც ძმადნაფიცები. — მიპასუხა შაქრიას გვერდით მჯდომმა მწყემსმა.

ალალი ძმები რომლები ხართ-მეთქი.

— ყველანიც ალალები ვართ, ძმობას ვერ დაეყვებოდნენ ერთიმეორეს, — ახლა ტახტის ბოლოდან მიპასუხა სხვამ.

ერთ დედამისშვილებს გვეითებით-მეთქი.

ჯერ ტახტის თავში, შაქრიას გვერდით წამოიზღაზნა სამი ჩიტიშვილი, მერე შუაში კიდევ ორი ჩიტიშვილი წამოდგა და ბოლოში კიდევ ორი ჩიტიშვილი:

— ბერო, ალიოშა და ვასილ, შაქრია და ლადია, შალიყო და შაშო, — მითხრეს სახელები და ისევ დასხდნენ ტახტზე.

— ამ კედლს გაზეთის რედაქტორი რომელი ხართ? — ვკითხე მე.

რედაქტორი მე ვარ, წვერები სუყველაო, — მიპასუხა ბერო ჩიტიშვილმა.

გაზეთზე რას მეტყვი-მეთქი.

— ეგ ძველი და სხვა ახალი, — მომიჭრა სიტყვა ბერომ.

ყველაფერი მართალი გიწერიათ-მეთქი?

— ტყუილი წოლდის ბინაში მოიკითხე.

— ახალი რა გავეთ?

— ასი დედაცხვრიდან ოთხმოცდათექვსმეტ ბატკანი.

კიდევ რა-მეთქი.

— საქა ჩიტიშვილის კარგად ყოფნა.

საკა რომელიღა-მეთქი.

— ლადიას და შაქრიას შიშა, ამ ზამთარს აგად გავგიზდა, შინ გავგზავნეთ, ახლა წერილი მოგვივდა: კარგად ვარ, ზაფხულის საძოვრებზე კიდევ გავყვები ცხვარსაო.

ოთახში ბრიგადირი დავით ჩიტიშვილი შემოვიდა. ახლა ბრიგადირს დავუწყე გულის შეღონება შეკითხვებით: კომკავშირელი რამდენი გყავთ, ბარტის წვერი რამდენი-მეთქი...

— ჯერ ვახშამი, მერე ნახარშიო, — ღმინილით მითხრა ბრიგადირმა და მწყემსებს თვალი უყო.

მწყემსები მაგიდას შემოუსხდნენ, მეც მიმიპატიეს. ჩიტიშვილებს— ძმებისა და ძმადნაფიცების— კომუნისტური შრომის ბრიგადა ვახშამს შეექცეოდა...



ნიკო შვილიძე

რომანი საკოლმეურნეო სოფლის აღამიანებზე

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი რომანი „ნატურის თვალი“ (პირველი ნაწილი) პატრიოტული მგზნებარებით დაწერილი, დიდი ემოციური ძალით აღსავსე მაღალი დეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მწერლის შემოქმედების შთაგონების წყაროს საბჭოთა სინამდვილე წარმოადგენს, ის უმღერის სოციალისტური ძლევაშილი გამარჯვებას, კომუნისტების მშენებელთა უმაგალითო გმირობას.

რომანის ყოველი სტრუქტურული გამსჭვალული საბჭოთა აღამიანების უდიდესი სიყვარულით. მასში ცოცხალი, მეტყველი საღებავებით არის გადმოცემული შრომის ნამდვილი რომანტიკა, მისი სიხარული. ნაწარმოებში უტყუარი ფსიქოლოგიური სიმართლით და სრული დამაჯერებლობით არიან ნაჩვენები საკოლმეურნეო დოვლათის შემქმნელი საბჭოთა აღამიანები დიდი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, ფართო საზოგადოებრივი იდეალებით.

მეტად საინტერესო პროლოგი იწყება რომანი. 1918 წელი... შავი ღამე დასწოლია შირაქის ველს. ეს ღამე უკუღმართი სოციალური წყობილების სიმბოლოცაა ნაწარმოებში, მებრეები შემოსხლდიან მინდვრად გაჩაღებულ კოცონს და სულგანაბლუი უსმენენ ზღაპარს. ბეგრი გაიტაცა და ჩააფიქრა მისმა შინაარსმა. ბოლოს ერთმა ოხვრას ამოაყოლა — ნეტავ ის ნატურის თვალი მიაგონინაო. ამხანაგების შეკითხვაზე — რას ინატრებდიო, პასუხად გეესმის: იმდენი ხარ-კამეჩი მოგვეცა, რომ შირაქის უამირები ყველა მოგვახენევიან და დაგვათესინაო! ეს არის გლეხის ალალი გულიდან მომდინარე ოცნება, მიწისა და შრომის სიყვარული.

საუქუნეობით ოცნებობდა მშრომელი გლეხი მიწისა და თავისუფალ შრომაზე, ეს სანუკვარი ოცნება შხოლორ საბჭოთა წყობილებაზე აქცია სინამდვილედ. რომანში მისი პროლოგისა და დასაწყისის სახით მოცემულია მკვეთრი კონტრასტი ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის.

არის. ავტორი 1918 წელს უპირისპირებს სამამულს ომის წინა წლებს.

მკითხველი ხედავს იმ უდიდეს ცვლილებებს, რომლებშიც მოხდა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში ორი ათეული წლის მანძილზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გლეხს მიწა და მისი დასამუშავებელი საშუალებები სანატრელ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ეხლა კი მძლავრი ტრაქტორები შესევიან შირაქის თვალწვიდენ ველებს, გუგუნით აღვიძებენ და გულს უსვრავენ ყამირ მიწებს. აღარ არიან უკუღმართი სოციალური წყობილებით განაწამები აღამიანები. დიდებისა და ღირსების, სახელისა და მამაცობის საქმედ ქცეული შრომა სასწაულებს ახდენს საკოლმეურნეო მინდვრებზე.

რომანის პირველ თავში მეტად საინტერესო სურათი იშლება მკითხველის თვალწინ. ალაზნის ველზე ზაქარია ნადიბაძე თავის ორ ვაჟთან ერთად დასაქვრად დასდევს გაველურებულ კამეჩს, რომელსაც სამი წელიწადია ქელზე უღელი არ სდგამია და თავისუფლად დეხეტება ჰალეხში. მძლავრმა ტექნიკამ სამუდამოდ განდევნა მუშა საქონელი საკოლმეურნეო მინდვრებიდან. მოხდა ის, რაზედაც ოცნებაც არ შეეძლოთ ნაწარმოების პროლოგის უსახელო გმირებს.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ის აღგილი, სადაც აღწერილია ლევანის მიერ გამჟინვარებული კამეჩის დაქვრა ქამანდით. გაცოფებული პირუტყვი ლაწალუწით ამსხვრევს ნორჩ იფის ხეებს, დაბერილი ნესტობიდან ოხვიგარს აფრქვევს, თვალეხში ალი უბრაილებს და მოულოდნელად აქეთ შეუტრეხს მღვიარს.

— გაიკთან! მოეცა... მოეცა! — აფრთხილებს ზაქარია შვილს. შავი კამეჩი შეუტრეხებლად მიქრის წინ. ფლოქებებით მიწას ბრღლენს, გორბახის კორიანტელს აყენებს. ავარ უკაც სამი ნახტომილა დარჩა. ორით... ერთით... საშინელი უბედურების მოლოდინში მამამ თვალეხი და-



ბუქა. სწორედ ამ დროს ლევანი ელვის უსწრაფესად გვერდზე გადახტა, ქამანი მოიქნია და კისერზე ჩამოაცვა გამხეცებულ პირუტყვს.

მაფარი ტემპით მიმდინარე ორთაბრძოლა ლევანის გამარჯვებით დამთავრდა. მან მთელი ძაღლიანი გამოჰკრა თოკი და კამეჩს მუხლი შეურყია, დაიმორჩილა.

— შენი მკლავი ჰირიმე! — სიხარულით შესძახა ზაქარიამ და ამ სიტყვებით გამოხატა შვილის სიმამაცით გამოწვეული აღტაცება.

ნაწარმოებში მალალი ოსტატობით და ბუნებრივობით არის დახატული ლევანისა და გოგოლას პირველი შეხვედრა, მათ გულში სიყვარულის მალალი გრძნობის გაღვივება. გოგოლა გედიქის ხევში დაეწია თანასოფლელებს მსუბუქი მანქანით და მზიარულად გაესაუბრა მისი სილამაზით აღტაცებულ ახალგაზრდებს. ის სრულად თავისუფლად და თამამად გრძნობდა თავს მათ შორის. მაგრამ მოულოდნელად მოხდა რაღაც, რამაც ქალღმერთის მყუდროება დაარღვია. „უეცრად მისი წამწამები მოუსვენრად შეიბრუნნენ. ქალმა შუბლი შეიკრა, თითქოს რაღაც არ მოეწონათ. მერე რატომღაც დაქარგული ვულისპირი შეისწორა, ღიმილიც ჩაუჭრა“...

რა მოხდა? რამ შევართო და შეაფთოთა ქალიშვილი? მკითხველი მალე იგებს ამის მიზეზს. წისქვილის რუსთან, — წერს ავტორი, — ლევანი იდგა და ხარბად მისჩერებოდა უცნობ ქალიშვილს თავისი ბრიალა თვალებით. რომანში უტყუარი ფსიქოლოგიური სიმართლით და დამაჯერებლობით არის ნაჩვენებია გოგოლას განცდები. მან მოსვენება დაკარგა. გული ლევანისავე ეძახდა და ნატრობდა კიდევ შეხვედროდა სადმე მის ბრიალა თვალებს.

დიდი მწუხარება გადაიტანა გოგოლამ, ვიდრე ლევანს ვაიცილობდა. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი საქმრო — უმცროსი ზოტტენიოსი ილიყო გეწაი. გოგოლა და ილიყო პატარაობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ და შირაქშიც ერთად ჩამოვიდნენ. ბაღობიდანვე მეგობრობდნენ და მათი სიყვარულიც ვით იქონს ამ მეგობრობის გაგრძელება იყო. თითქოს, სანაშად იქნებოდა მისი გული ახალი გრძნობისათვის ჩაეკტილი, რომ გედიქის ხევში ლევან ნაღიბაძეს არ შეხვედროდა.

ნაწარმოებში კარგადაა დახატული ლევანისა და გოგოლას ძლიერი წმინდა სიყვარული. მათი სპეტიკი გრძნობა ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი სილამაზის განსახიერებაა და წარმოადგენს რომანის მთავარ სიუჟეტურ ხაზს.

კ. ლორთქიფანიძე მკითხველს აცნობს, თუ როგორ სახლებოდნენ შირაქის მადლიან ველებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან

ჩამოსული ადამიანები. ზაქარია ნაღიბაძის მამა კალთუბანში მამან ჩავიდა, როდესაც ვეა-ფშაველას ჯერ კიდევ არ ჩამოეყვანა მთიდან პირველი მეკომურები. მანუჩარ უგრებელიც ოცდაათიან წლებში გადასახლდა იქ მოლითიდან.

იმერელ გლეხს პირველი ნამდვილ უდაბნოდ მოეჩვენა ეს თვალწინდანი ველები. ორი თვის ჩასული არ იყო მანუჩარი, როდესაც ზაქარია ნაღიბაძესთან საუბარში განაცხადა — ორი სიცოცხლე რომ ვიცოცხლო, ვერც ამ წყალს შევეჩვევი და ვერც ამ უდაბნოსო. მაგრამ ეს აზრი პირველსავე ვახუხულზე შეეცვალა მანუჩარს. თვალწინდელ ველებზე თოვლი დანდა და კარგად გამოზამორებული ჯეჯილი ისე თამამად წამოვიდა, რომ კაცის თვალი უეცრად ვერას ნახავდა. „ყველაფერი, საითაც კი გაიხედავდი, უნაბირო ყანების ჩამუქებულ სულს ბიძინებდა. არავითარი სულდ ნათევებს ზღვს არ უხუთავდა. აქ ყველაფერი ლაღად იყო გაშლილი, შირაქის ველს სწორედ ეს აძლევდა სილამაზეს“. ამით აჯადოებდა ის მის მადლიან მიწაზე დასახლებულ ადამიანებს. ამით მოზიბლა და მოიგო მანუჩარის გულიც.

გატაცებით უყვარს გოგოლას შირაქის თვალწინდანი მინდვრები. ზმირად გარინდებულ უცქერის ქარისაგან აღელვებული ჯეჯილის საოცარ ლივლეს, ფერების დიუცხრომელ თამაშს. გახარებული შეკაყურებს, როდესაც მძლავრი მანქანა გულს უსერავს საუკუნოებით მიმნარე ყამირს. ათი კვლი ერთად გააქვს დიზელს და ათი შავი ნიაღვარი ერთად ბობოქრობს მინდორში. ვეება ბელტები ტალღებივით ერთმანეთზე გადადის და ისე ბზინავს, თითქოს ზედ ზეთი წყდ წაესვამთ.

მკითხველი რომანის პერსონაჟებთან ერთად ეცნობა საქართველოს შესანიშნავი კუთხის — შირაქის თავისებურ, მომზიბლავ ბუნებას, პეიზაჟი ნაწარმოებში სიუჟეტის განვითარების საქირთ კომპონენტის როლს ასრულებს და წარმოადგენს იმ ფონს, რომელზედაც იშლება გმირების ყოველდღიური ცხოვრება.

ქემშარიტი მხატვრული სუნთქვით არის გაცოცხლებული მკის სურათი. შეუძლებელია დაიფიქრო ზაქარია ნაღიბაძისა და ზემო მანუჩანელ ვანო გაბიდაურის შეჯიბრება მკაში. ამ ორი ვაქაკის შერკინება მწერალმა ისე დახატა, ასე ვგვონია — მხატვრულ ნაწარმოებს კი არ ვკითხულობთ, საკუთარი თვლით გუყურებთ მათს სიმარჯვესა და თასაოკარ სისწრაფეს, გვესმის მათი ნამვლების გამბული წყრიალი. კ. ლორთქიფანიძე გადმოგვცემს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რომლითაც მომკვლები სარგებლობდნენ შირაქში.



შრომის ნამდვილი რომანტიკა გიზიდავთ და გიტაცებთ რომანის კითხვის დროს. ნაწარმოების გმირები ტექნიკის დახმარებით იმორჩილებენ ბუნებას, ტუხენ ყამირს. იყო დრო, როდესაც ზაქარია საუკეთესო მოქალაქე ითვლებოდა შირაქში. დღეს მისი შვილი მოწინავე ტრაქტორისტი და სახელგანთქანი აგროტექნიკის მამის შრომისმოყვარულ ტრადიციებს.

ლევანი ბავშვობიდანვე შეეჩვია შრომას. იგი ჯერ კიდევ დაწყებითი კლასის მოწაფე იყო, როდესაც ბიძამისმა ნინია ნაღბაიძემ სოფელში პირველი ტრაქტორი მოიყვანა. ამ ჯადომაწქანამ გაიტაცა პატარა ბიჭი, აღტაცებაში მოჰყავდა მის გუგუნს და ცდილობდა გეგო მისი საიდუმლოება. დაუტყობელმა მისწრაფებამ და საქმის სიყვარულმა თავისი გიძიანეს. ლევანი თუთუმტერი წლისაც არ იყო, რომ ტრაქტორის მართვა ისწავლა და ორ-სამ წელწიდანვე მთელ შირაქში განთქმული ტრაქტორისტი გახდა. მან ჩაწოლილი პურის ასაღებად კომბინზე ფოცხისმაგვარი იარაღი მოაწყო და ამ გამოგონებით სრულიად მოსპო მკის დროს პურის დანაკარგი.

რომანის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ლევანისა და მისი დედის ანუკას გამგზავრება მილარში კოლია დუბოვთან. მიმინოს ხეცს რომ მიადწიეს, მზეც ამოვიდა და გასაოცარი სილაშქრე გადისწავლა მათ თვალწინ. «კავკასიანის ქედზე ნისლი თანდათან გაიფანტა, გამოჩნდა თოვლიანი მწვერვალები. მერე კალთებზე შეფენილმა ტყეებმაც მოიხადეს თალხი და ალაზნის ველზე გადაისროლეს».

ალამიანი ხიბლაეს ჩვენი ქვეყნის ბუნების წარჩინავი სილამაზე. დაბლა ალაზნის ველია გაშლილი, სადაც ატმები ჰყვავის და ბავშვები პერანგისამარა დარბიან. იქვე ცაში აწვდილი ბუმბერაზი მთები თოვლით არის შემოსილი.

მწერალს პერსონაჟების დახასიათებაც ისევე ისტატურად ემარჯვება, როგორც პორტრეტის დახატვა. იგი სიყვარულით აგვიწერს ტრაქტორისტების ბრიგადირს კოლია დუბოვს. ჩვენ ვეცნობით ამ მაღალ, ზორბა ტანის გულფიცხ და გულმართალ ვაჟკაცს. დუბოვი შირაქში დიბიდა და გამოზარდა, კარავდ იცის ქართული ენა. იგი ამ რუსი მხედრების შთამომავალია, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს კახეთს იცადნენ მოთარეშე ლეკების თავდასხმებისაგან და სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ შირაქში დასახლდნენ. მათ ეს კუთხე იმიტომ აირჩიეს, რომ ის ავღონებდათ შშობილური ვოლგისა და დონის თვალწვდენ ველებს.

კ. ლორთქიფანიძის გმირები თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები არიან. შრომის სიყვარული აძლევს მათ განსაკუთრებულ სილამაზეს. მკითხველს ღრმად რჩება სოვენში მად-

ლიანი კალმით დახატული მოწინავე ადამიანების — ზაქარია ნაღბაიძის, მისი ვაჟი ნიკოლოზის, შვილების — ლევანის, გიორგის, აგრეთვე მანუჩარ უგრებელიძის, გოგოლას, კოლია დუბოვისა და სხვა მოწინავე კოლმეურნეთა პორტრეტები.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც გაურობიან პატროსან შრომას და გაძევრობით ცხოვრობენ. სოფელ კალთუბანში სამი კოლმეურნეობაა. ერთი მათგანის «გულხის იმედს» თავმჯდომარედ მუშაობს დათა ყანაშვილი, რომელსაც მეტსახელად წითელ დათას ეძახიან. დათას სახით საქმე გვაქვს გაქნილ, გაძივრა და მოხერხებულ ადამიანთან, რომელიც ყველაფერს გამოირჩინო თვალთ უტყპერის. თერთმეტი წელიწადი გავიდა, რაც დათა კოლმეურნეობის წევრი იყო და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოჰკიდებია გუთანს, ხელში ნამვალი არ სუერია. საკოლმეურნეო ბუღლის ეს ბებერი ვირთხა სხვის ნაშრომს ითვისებს და ახალი სახლის მშენებლობასაც კი იწყებს. ეს უქნარა და ქუეყიანი სულის ადამიანი არაფერს ერიდება იმისათვის, რომ სასარგებლო და გამოსარჩენ თანამეგობარზე მოეწყოს. ყველა დიდგაცთან ლაქუცობს და გულისამრევი მლიქვნელით სურს დაწინაურება. დათას თვალში მოუვიდა დამზადების აგენტის თანამეგობრა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, რაიკომის მდიუნის კლიმენტი გოვისგული მოეგო. მიზნის მისაღწევად მან სპეციალური ლზინიც გამართა ვაჟის შექენასთან დაეაწვირებოთ. სხვა საბატოო სტუმრებთან ერთად მოიწვია რაიკომის მდგვანი და მისი სახელისა და გვარის პირველი მარცკლების მიხედვით შეკოწიწებული სახელი — კოლგო (კლიმენტი გოგუა) დაარქვა ბავშვს. მაგრამ დათას იმედები არ გაუმართლდა და ახალი თანამეგობრის ნაცვლად იძულებული შეიქნა რაიონიდან გადაეარგულიყო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გოგუა სხვაგან გადაიყვანეს, წითელი დათა კვლავ გამოჩნდა სოფელში და მალე «გულხის იმედს» თავმჯდომარედაც მოეკლინა.

მკითხველი გრძობს, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდხანს შეუძლებელია. ახალი ტექნიკა დღის წესრიგში აყენებს შირაქსა და ტარიბანზე პატარა-პატარა ნაკვეთებად გაფანტული კოლმეურნეობა «გულხის იმედს» სახანს-სათვის მიწების ერთ მასივად გაერთიანების საკითხს. ვერც წითელი დათა შეძლებს თავის მფარველია წყალობითა და სხვა მაქინაციებით კვლავ დაუსჯელოდ ძარცვის კოლმეურნეობა. უნდა ვფიქროთ, რომ რომანის მეორე ნაწილში მოცემული იქნება ამ კონფლიქტების გადაწყვეტა.



საბჭოთა ხალხი დიად შემოქმედებითს შრომაში იყო ჩაბმული, როდესაც ვერაჯი მტერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს. უზარმაზარ ტერიტორიაზე ვაიშალა ისტორიაში არნახული უდიდესი ბრძოლა. მშვიდობიანი შრომა ამის მრისხანე დღეებმა შეცვალა და რომანის გმირები ჩაებნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაშლილ გმირულ ბრძოლაში. ლევან ნადიბაიძე მონაწილეობს მოსკოვის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში. ქართველი ვაჟაკები მოძმე ხალხების შვილებთან ერთად გმირულად იცავენ სამშობლოს მიწა-წყალს. ლევანი მეთაურისაგან დეზუბელს მტად საპასუხიმგებელ და ევლას და ყველაფერს აეთებებს მის შესასრულებლად. მძიმე წუთებში ის იჩენს სულის ისეთ სიმტკიცეს და გამძლეობას, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ადამიანს ახასიათებს.

შეუძლებელია აღუვლელდეს წაიკითხო რომანის ის ადგილი, როდესაც მძიმედ დაჭრილი ლევან ნადიბაიძე გულის ჯიბიდან ამოიღებს მცირე ზომის შავ მედალიონს, რომელშიაც მისი გვარი და მისამართი წერია, და განზე გადაისვრის. შემდეგ, როდესაც სანიტარი ქალი თოვლში იპოვის ლევანს და ეჭებს დაჭრილი მებრძოლის მედალიონს, ის თავს გაიქნევს და თითქმის ჩურჩულით ეტყვის: რად გინდა ჩემი გვარი? არ მინდა დედაჩემმა ჩემი სიყვდილი გაიგოს... სანამ იცოცხლებს, დე მუდამ იფიქროს, ჩემი შვილი ოდესმე მინც დაბრუნდება. შესანიშნავია ის ადგილი, სადაც აღწერილია სტალინის მისეულ საველე პოსაიტალში და მისი საუბარი დაჭრილ მებრძოლებთან.

გმირულ ბრძოლასა და თავდადებულ შრომაში სქედან საბჭოთა ხალხი კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — ფაშისტ ბარბაროსებზე თავის ისტორიულ გამარჯვებას. საბჭოთა არმიის მებრძოლთა უმაგალითო გმირობასთან ერთად, ზურგის მშრომელები თავდადებულად შრომობდნენ ვერაჯ მტერზე გამარჯვების მონაპოვებად. ნაწარმოებში ნაჩვენებია ანუკას, ზაქარას, გიორგის, გოგოლას, კოლია დუბოვის და სხვა კოლმეურნეთა მგზნებარე პატრიოტიზმი. ზაქარიამ და ანუკამ შესცვალეს ფრონტზე წასული შვილი და მის ტრაქტორზე დაიწყეს მუშაობა.

კ. ლორთქიფანიძე ღრმად სწვდება ადამიანის სულის ზვეულებს და დიდი უშუალოდით გვიხატავს მოქმედ პირთა შინაგან სამყაროს. მწერლის მიერ მაღალი ოსტატობით გამოქვეყნებული პერსონაჟთა პორტრეტები ცოცხალი, დასამახსოვრებელი სახით წარმოდგებიან მკითხველის წინაშე და სამუდამოდ რჩებიან მის

წესიერებაში. განსაკუთრებით გასაოცარია მწერლის ოსტატობით და დიდი გრძნობით არის დახატული რომანში ქართველი ქალის, ქართველი დედის ანუკას კოლორიტული სახე. ნაჩვენებია მისი უსპეტაკესი გრძნობები, სამშობლოსა და შვილების სიყვარული, ლევანის წერილის დაგვიანებით გამოწვეული დიდი მწუხარება და შვილი ჩამოსვლით განცდილი აღტაცება და სიხარული.

ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობის გამო ლევანი მშობლიურ სოფელში ბრუნდება. ამ სასიხარულო დღეს ნადიბაიძის ოჯახში იყრიბებიან მეზობლები და სვამენ ჩვენი სამშობლოს დიდების, მისი გამარჯვების სადღეგრძელოს, შორს კვლავ გრძელდება მძიმე ბრძოლები. საბჭოთა არმიის მებრძოლები თავიანთი გმირობითა და სიმამაცით სწევენ კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — ფაშისტურ ურდოებზე ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებას. რომანის მეორე ნაწილში მკითხველი გაეცნობა ამ უდიდეს ამბებს.

რომანი „ნატერის თვალი“ დაწერილია ხატოვანი ენით. ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი კ. ლორთქიფანიძე მტად მოხდენილად იყენებს მეტაფორებს, შედარებებს და სხვა სახის მხატვრულ გამოთქმებს. მწერალს ახასიათებს აზრების ნათლად ჩამოქნა. იგი ცოცხლად ხატავს ადამიანთა ხასიათებს. სადა და ბუნებრივად დიალოგები, ლაქონური, ემოციური ფრაზები, კონტრასტების ოსტატური გამოყენება დიდ შთაბეჭდილებას ატენენ მკითხველზე: ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცალკეული თავების მოხდენილად დასათარგება.

ძნელია რომანის კომპოზიციაზე ლაპარაკი, რადგან ჩვენ მხოლოდ მის პირველ ნაწილს ვიცნობთ. მვარამ ერთი რამ ეხლა შესაძენევა მკითხველისათვის: ზოგიერთი ეპიზოდისათანადო სიმტკიცით ვერ უკავშირდება ნაწარმოების მწყობარ მონახაზებს და ცალკეული ესკიზების შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მერვე თავი — „სიმღერა“.

ქართული ლიტერატურის ძვირფასი განძის „კოლხეთის ცისკრის“ ავტორმა კ. ლორთქიფანიძემ „ნატერის თვალით“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა ჩვენს ლიტერატურას. მკითხველი მთელს რომანის მეორე ნაწილს, სადაც ასახული იქნება ჩვენი ხალხის გმირული საქმეები, ნაცნობი გმირების შემდგომი ცხოვრება, მათი განცდები და გრძნობები.



ილია ჭყავჭავაძის

მხატვრული ნინოშვილის მსოფლმხედველობა

საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ეგნატე ნინოშვილს საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ქართული ლიტერატურის გამორჩენილი კლასიკოსია და მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ე. ნინოშვილი მოღვაწეობდა გასული საუკუნის იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოებათი ურთიერთობანი და ძირითადი ცვლილებები ხდებოდა ქვეყნის ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროს სოფლად მიმდინარეობდა კლასობრივი დიფერენციაცია, ქალაქად კი ყალიბდებოდა მსხვილი ზურგუბანია და სამრეწველო პროლეტარიატი. სოფელში მემამულეები და კულაკები, ხოლო ქალაქში კაპიტალისტები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმი, სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ მშრომელ მოსახლეობას. ამ ნიადაგზე კლასობრივი ანტაგონიზმი კიდევ უფრო მწვავედებოდა.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა თავისებური ასახვა ჰპოვა ე. ნინოშვილის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. მაგრამ ეს ასახვა ყოველთვის არ ხდებოდა ერთი მსოფლმხედველობის პოზიციებიდან. ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობამ დრმა ცვლილება განიცადა რევოლუციური დემოკრატიზმიდან მარქსიზმამდე.

ე. ნინოშვილი კარგად ამჩნევდა არსებული წყობილების სიმახინჯეს და ახალგაზრდობიდანვე იბრძოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. იგი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან გარიცხეს იქ არსებული რეჟიმის საპროტესტოდ მოწოდებთა გათავისუფლების მოწოდებით.

1880 წელს ილია ჭყავჭავაძისადმი გაგზავნილ მოხსენებთს ბარათში ე. ნინოშვილი უკმაყოფი-

ლებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სოფლის სასწავლებლის შესანახი ხარჯი „აწევს კისერზე დაიბნა და სხვადასხვა გარემოებისაგან გაღატაკებულ სოფლის საზოგადოებას“. ეგნატე კარგად ხედავდა მშობელთა ექსპლოატაციასა და უუფლებობას; მან თავად განიცადა სოციალური ჩაგვრის მთელი სიმძიმე. ამიტომ უნდა დადგომოდა, და კიდევაც დააღმა, რევოლუციური მოღვაწეობის გზას. თავის მეგობარ სამსონ კანდელაკთან ერთად ე. ნინოშვილი ეწეოდა პროპაგანდას მემამულეებისა და სამღვდლოების წინააღმდეგ. იგი ადრევე თვლიდა საჭიროდ არსებული საზოგადოების შეცვლას, მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ არ ესმოდა, რა გზით, რა საშუალებით უნდა განხორციელებულიყო ეს.

გასული საუკუნის 70—80-იან წლებში, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ძლიერი იყო ხალხოსნური მოძრაობის გავლენა. ე. ნინოშვილიც მოექცა ამ გავლენის ქვეშ. ჯერ კიდევ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხოსან მასწავლებელს ივანე ლიპიძეს.

თუ როგორ იყო გატაცებული ახალგაზრდა ე. ნინოშვილი არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლით, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სვ. სალარიძის¹ მოგონება „...1883 წ. მე დაივარეს სანკულოტების ერთი სექცია, რომელიც აპირებდა საფრანგეთში გასვლას და იქ მონაწილეობის მიღებას მუშათა რევოლუციური მოძრაობაში. მის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენს გარდა: 1) ს. კანდელაკი, 2) რევე. ჯანელიძე, 3) ე. სანაკოვეი და ბოლოს ჩემდა დაუკითხავად მიუკედლნენ; ეგნატე ნინოშვილი და კვირკველია. ეს ჯგუფი უარყოფდა რელიგი-

¹ სვ. სალარიძე ხალხოსანი იყო, შემდეგ კი ანარქისტი გახდა.

სა, ოჯახისა, საზოგადოებისა და არსებული წესწყობილების ყველა პრინციპს¹.

ე. ნინოშვილის ლტოლვა საფრანგეთისაკენ შემთხვევითი არ ყოფილა. მას აინტერესებდა უმუშაოდ გასცნობოდა პარიზის კომუნარების სამშობლოს, სადაც რევოლუციური ბრძოლების დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი. 1886 წლის ბოლოს იგი კიდევაც გაემგზავრა საფრანგეთს, ქალაქ მონპელიეში. აქ მან კარგად დაინახა, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, რათა გაერკვეს არსებული საზოგადოების რაობაში. „აქ რომ ვისწავლით, — სწერს ე. ნინოშვილი ერთ თავის ნაცნობს მონპელიედან, — ჩვენი თვლები ისე განათლდება, რომ მტერს მტრად გვაცნობებს და მოყვარეს მოყვარად. ეხლა ანუ ჯერ კი ვერც ერთს ვერ ვხედავთ! სიზნუნის ფარდა გვახვევია თავზე და გვეხვევა კიდევ, თუ აქაურმა სუფთა, ახალმა ჰაერმა არ გარევა ჩვენი თავიდან ეს ბნელი ბურუსი“².

საფრანგეთში ეგნატო დაეწაო სწავლა-განათლებას, ევროპული ენების შესწავლას, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა 4 თვის შემდეგ უკან დაბრუნებულიყო. საქართველოში კვლავ მთელი გატაცებით ეწეოდა თვითგანვითარებას, თუმცა ხელმოკლეობამ იძულებული გახდა ბათუმის ქარხნებში დაეწყო მუშაობა შავ მუშად.

ბათუმში მუშაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. აქ მან გააჩნდა რევოლუციური საქმიანობა. იგი ხელმძღვანელობდა უწევდა მუშებს მებატრონიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ე. ნინოშვილს ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ ესმოდა მუშათა კლასის ისტორიული მისია. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება უმოთაგრესად მიმდინარეობდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ხალხსნების გავლენით. აქედან გამომდინარე ე. ნინოშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს პირველად ერთგვარი ეკლექტიკური ელფერი ჰქონდა.

მსგავსად ხალხსნებისა, ე. ნინოშვილი მოითხოვდა ცოდნისა და კულტურის შეტანას შრომელ მოსახლეობაში. თავის ადრინდელ კორესპონდენციას — „გურიის ამბები“ (1887 წ.), მან აღწერა გურიის მშრომელთა გაჭირებული მდგომარეობა და ამის მიზეზად უმოთაგრესად უკულტურობა და გაუნათლებლობა აღიარა.

ხალხსნური იდეების გავლენა იგრძნობა ე. ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაშიც. მისი მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდს“ გმი-

რი სპირიდონ მცირიშვილი ხალხსნების ბით გამსჭვალული პიროვნებაა.

ე. ნინოშვილი ილაშქრებდა ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგ. რელიგიას იგი მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია კორესპონდენცია „წერილი დაღესტანიდან“ (1891 წ.), რომელშიც აღწერილია მშრომელი თათრების უმწეო მდგომარეობა, გამოწვეული რელიგიური ფანატიზმით. კორესპონდენციის ავტორი იცავს თათარი მშრომელების ინტერესებს და მიწასთან ასწორებს ქრისტიანული რელიგიის მიმდევარ მემამულეებს.

ე. ნინოშვილი ირთოდოქსალური ხალხსანი არასოდეს არ ყოფილა. ხალხსნებიდან მან შეითვისა მსოფლო პროგრესული შეხედულება. როგორც ჩანს, ე. ნინოშვილს მთლიანად არ აკმაყოფილებდა ეს იდეოლოგია და 80-იან წლებში უფრო რევოლუციური დემოკრატიზმისკენ იხრებოდა. განსაკუთრებით რელიგიურად ეს გამოვლინდა მის ისტორიულ რომანში „ჯანყი გურიისში“. ამ ნაწარმოებში მან რომა ანალოზი გაოკეთა 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყებას. რომანის ერთ-ერთი გმირი გიორგი, სახალხო რევოლუციის მომხრეა. ის, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ბრძოლას არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, არამედ ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. გიორგი იცავს მთელი რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხების გაერთიანებული ბრძოლის იდეას.

ე. ნინოშვილი სასტიკი წინააღმდეგობა არაორგანიზებული აჯანყებისა. მისი აზრით, სწორედ ასეთი იყო 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყება. ამიტომ მან ამ აჯანყებას „უგუნური აჯანყება“ უწოდა.

ე. ნინოშვილმა რომანში „ჯანყი გურიისში“ გაატარა რესპუბლიკური იდეები. იგი კარგად ხედავდა, რომ მეფის ხელისუფლება გაბატონებული კლასის — თავადაზნაურების ინტერესებს გამოიხატავდა. ამიტომ ცარიზმის დამხობა და რესპუბლიკური მართვა-კარგულობის შემოღება აუცილებელ პირობად მიაჩნდა მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ამ ნაწარმოებში გატარებულ იდეებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე. მართალია, როცა „ჯანყი გურიისში“ დაიწერა და გამოქვეყნდა, ბატონყმობა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ რუსეთში და საქართველოშიც კვლავ ეწეოდნენ გლეხობის სასტიკ ექსპლოატაციას. ამიტომ დამხობა ცარიზმისა, რომელიც მემამულეების ინტერესებს გამოიხატავდა, და გლეხობისათვის მიწის გადაცემა გლეხური რევოლუციის გზით უნდა განხორციელებულიყო.

¹ ლიტერატურული მემკვიდრეობა. წიგნი 1, 1935 წ., გვ. 98.

² ე. ნინოშვილი. თხზ. სრ. კრ., ტ. III. 1935 წ., გვ. 83.



რევოლუციურ-რადიკალური იდეები ნათლად გამოვლინდა აგრეთვე ე. ნინოშვილის პატარა მოთხრობაში „სხვამ რაც უნდა თქვას!“ საერთოდ, ე. ნინოშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება გამსჭვალულია დემოკრატიული იდეებით. ავტორი მკითხველის წინაშე გადაშლის სოფლის მშრომელი მოსახლეობის კლასობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის შეშარსწუნებულ სურათებს. მისი სიმბოლური ყოველივეს ექსპლოატირებულთა მზარეუბა. მიუხედავად ამისა ე. ნინოშვილი მხატვრული ნაწარმოებების შექმნის დროს მაინც შორს იდგა მარქსისტული მსოფლმხედველობისაგან. ამ დებულებების სასარგებლოდ ლაბარაკოს ის ფაქტი, რომ მისი დადებითი გმირებიდან არც ერთს წარმოდგენა არა აქვს მომავალ საზოგადოებაზე და თითქმის ყველაინ იღუპებიან სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში; მეორე, რაც მთავარია, ე. ნინოშვილმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში ვერცდი აუარა პროლეტარიატის ცხოვრების ასახვას. მართალია მოთხრობა „მუშათა თავშესაფარი“ ბათუმის მუშების ცხოვრებას მიუძღვნა, მაგრამ იგი დაუმთავრებელი დარჩა და ამ მცირე ნაწყვეტის მიხედვით, რომელშიც ჩვენამდის მოაღწია, არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნაწარმოების იდეურ შინაარსზე.

90-იანი წლების დასაწყისში ე. ნინოშვილი და იმდროინდელი სხვა მოწინავე ახალგაზრდები დაინტერესდებოდნენ ყოფილან ლავროვის „ისტორიული წერილებით“, რისთვისაც ისინი ხშირად იკრიბებოდნენ წრეში და მსჯელობდნენ ამ ნაშრომის ვარაუდით. ცნობილი პედაგოგი ს. რობაქიძე, რომელიც უშუალო მონაწილეობას ლეხუბობდა წრის მუშაობაში, იგონებს, რომ ამ დროს ეგნატეს ნაკლებად სწამდა სუბიექტური სოციოლოგიების შეხედულება ბიროვნების როლზე და „ობიექტური სოციოლოგიის მიმდევართა ჯგუფს ეკუთვნოდა“¹.

1892 წლიდან ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობაში ადგილი აქვს შემობრუნებას რევოლუციური დემოკრატიზმიდან მარქსიზმისაკენ. ამაში გადაწყვეტი რილი ითამაშა, ერთი მხრივ, მუშათა მოძრაობის გაძლიერებამ და, მეორე მხრივ, გ.ვ. პლუხანოვის „შრომის განთავსებების ჯგუფის“ მოღვაწეობის ახლოს გაცნობამ.

იცნობდა თუ არა ე. ნინოშვილი მანამდე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის მოძღვრებას? როგორც ცნობილია, კ. მარქსის სახელი ქართულ პრესაში პირვე-

ლად გამოჩნდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. ში. ხოლო 80-იან წლებში მის გავრცელებას ხსენებდა ცხარე კამათიც გაშალეს¹. ცხადია, ე. ნინოშვილს, რომელიც ამ დროს უკვე გამოცდილი იყო რევოლუციის სარბიელზე და კარგად იცნობდა ქართულ პრესას, არ შეიძლება არ სცოდნოდა კ. მარქსის სახელი.

როგორც ირკვევა, ამ პერიოდში ე. ნინოშვილისათვის ცნობილი იყო აგრეთვე „რუსეთის მარქსის“ — გ. ვ. პლუხანოვის სახელიც. ამის დასადასტურებლად სინტერესო ცნობას იძლევა სვ. სალარიძის კერძო წერილი ს. კანდელიასა და ე. ნინოშვილისადმი². წერილი დამოკავანდია 1886 წ. მარსელადან.

ამ დროს საფრანგეთში მყოფი სვ. სალარიძე ახლო გაეცნო იქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ მიმართულებებს, რამაც, როგორც წერილიდან ირკვევა, მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ე. ნინოშვილს ჯერ კიდევ საფრანგეთში წასვლამდე ჰქონდა გავიწილი პლუხანოვის ბირველი მარქსისტული შრომების შესახებ, მაგრამ მას ამ წერილით არ შეიძლებოდა სწორი წარმოდგენა ჰქონოდა პლუხანოვეს იმის გამო, რომ მასში არასწორადაა დახასიათებული პლუხანოვის მარქსისტული შეხედულებანი. წერილის ავტორს ვერ ვაუგვია, რომ პლუხანოვი გამოდიოდა რა მარქსისტული მოძღვრებიდან კლასთა ბრძოლის შესახებ, დასახელებულ შრომებში არა თუ არ უარყოფდა არსებული წესწყობილების ძალდატანებითს გადატრიალებას, არამედ, პირიქით, ამტკიცებდა მუშათა კლასის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აუცილებლობას რევოლუციის გზით.

ამგვარად, ე. ნინოშვილს 80-იან წლებში გავიწილი ჰქონდა მარქსიზმის შესახებ, მაგრამ მის შესწავლასა და დაუფლებას ხელიმოკიდა მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში. განსაკუთრებით დაეწაფა იგი გ. ვ. პლუხანოვის „შრომის განთავსებულების ჯგუფის“ გამოცემებს. როგორც ცნობილია, 1883 წელს გ. ვ. პლუხანოვმა საზღვარგარეთ, ენევეში, დააარსა რუსეთის ბირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავსებულების ჯგუფი“, რომელიც დიდი როლი შეასრულა რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების საქმე-

¹ კ. გუგუშვილი „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებაში“. III გამოცემა, 1956 წ.

² ეგნატეს რომ ნამდვილად აქვს მიღებული ეს წერილი, იქიდან დასტურდება, რომ იგი მონელებიდან თავის ბიძას ატყობინებდა: ფრანციაში წამოვედიოთ სალარიძის იმედითო.

¹ სერგო რობაქიძის მოგონება — „ეგნატე ნინოშვილი და მისი დრო“, ინახება ე. ნინოშვილის სახლმუზეუმში.



ნი. ამ ჯგუფში დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზეც. ამის კონკრეტულ გამოვლინებას ჩვენ ვპოულობთ ე. ნინოშვილის პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მსოფლმხედველობაში.

მარქსიზმში ეგნატემ იპოვა პასუხი იმ კითხვებზე, თუ რა გზით და რა საშუალებით უნდა განხორციელდებოდა სოციალური უთანასწორობის მოსპობა და ახალი წყობისთვის დამყარება, რაზედაც იგი ახალგაზრდობიდანვე იყენებოდა.

„ბევრი ვიკითხე, — ეუბნება იგი ერთ თანაცემს თანამებრძოლს, — ამ ზავხელს და კარგად ვიხეიწავლე ის კითხვები, რომლებიც ჩვენ ისე გვადიდებებს. ამიერიდან ჩვენი ერთადერთი გზის მჩვენებელი, წინამძღოლი და მასწავლებელი მარქსი და ენგელსია და კიდევ ამითი ჯერ კიდევ ახალგაზრდა რუსი მოწვევუ გიორგი პლეხანოვი.

მეშათა კლასი! აი ვინ ყოფილა ქვეყნიერებისა და ცხოვრების ჩარხის მატრიალებელი!

მეშათა მოძრაობა! აი ამ ჩარხის ბრუნვა! ერთი თუ ჩვენიც დატრიალდა ეს ჩარხი, თუ ჩვენიც გაჩაღდება მეშათა მოძრაობა, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც ძირფესვიანად გადატრიალდება“¹.

ამიერიდან ეგნატე ნინოშვილი გადაჭრით დააგა მარქსიზმის გზას და შეურთებელი ბრძოლა გამოუცხადა ნაროდნიკულსა და სხვა რევოციუტული მიმდინარეობებს, რომლებიც მარქსიზმის გავრცელებისა და დამკვიდრების გზაზე დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამ მიზნით მან დაწერა რამდენიმე სტატია, რომლებშიც მოგვცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ღრმა ანალიზი.

სანამ ამ სტატიებს განვიხილავდეთ, საჭიროა შევხებოთ ეგნატეს როლს „მესამე დასის“ დაარსებაში. ეგნატესათვის მარქსისტული თეორიის დაუფლება არ წარმოადგენდა თვითმიზანს. მას კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო მისი მომარჯვება არსებული წესწყობილების შესაცვლელად. ამიტომ მან განიზახა, დაეარსებინა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გაავრცელებდა მარქსიზმს და სათავეში ჩაუდგებოდა მეშათა მოძრაობას. მას კარგად ესმოდა, რომ ასეთ ორგანიზაციას გარკვეული პროგრამა უნდა ჰქონოდა. ამიტომ ე. ნინოშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1892 წლის დასასრულს ზესტაფონში, სადაც იგი იმ დროს მეშათა შავი ქვის მრეწველის ნ. ლოლობერიძის კანტორაში, შედგა კრება, რომელსაც ესწრებოდა

მარქსიზმით გატაცებული ახალგაზრდობის კრებამ განიხილა ნ. ყორდანის მიერ წამოყენებული დეგნილი „საქართველოს ნაციონალურ-დემოკრატიული პროგრამის“ პროექტი. იგი გააკრიტიკეს ე. ნინოშვილმა და მ. ცხაკაიამ, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ პროექტი ანტიმარქსისტული იყო, რაც შემდეგ თვით ნ. ყორდანამ აღიარა. „კრებამ, — სამართლიანად აღნიშნავს ლ. გორგილაძე, — ცხადყო, რომ ქართველი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ცდილობს დატოვოს ნაროდნიკული პოზიციები, გაემიჯნოს მას და დადგეს მარქსიზმის თვალსაზრისზე“¹. ამ ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ეუთუნოდა ეგნატე: „მამასადავამე, ქრონოლოგიურად ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობაში გარდატეხის პერიოდს წარმოადგენდა „მესამე დასის“ პირველი კრება.

ამის შემდეგ ეგნატე კიდევ უფრო მეტი გატაცებით ჰიდებს ხელს მარქსიზმის შესწავლას, წერს პუბლიცისტურ წერილებს, აკრიტიკებს ნაროდნიკულ და სხვა ანტიმარქსისტულ მიმართულებებს. 1893 წელს მან დაწერა და გაზეთ „ავაში“ გამოაქვეყნა ორი სტატია: „ძველი დავა ახალ ქარში“ და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“. ეს სტატიები პოლემიკური ხასიათისაა და გაქუთნილია მებრძოლი სულით. ამ სტატიებში ავტორი მარქსიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს „ივერიის“ პუბლიცისტების თვადანაურულ-ობებრალურ და ხალხისნურ შეხედულებებს და სწორად განსაზღვრავს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პერსპექტივას.

ე. ნინოშვილს, წინააღმდეგ ნაროდნიკებისა, აცდილებლობად მიიჩნდა კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში, ვინაიდან მას მიიჩნევდა ბუნებრივ-ისტორიულ პროცესად. „...აგერ-აგერ იჩენს თავს ჩვენიც მრეწველობა და კაპიტალიზმური წესწყობილება, — ამბობდა ე. ნინოშვილი. — იმას არც ჩვენი ნებართვა ეკირება და არც ჩვენი ქება-აღიბება, მოდის ჩვენთან დაუციხავად“. ამასთან ე. ნინოშვილს კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით პროგრესულ მოვლენად მიიჩნდა. „უნდა მოვახსენოთ, — აღნიშნავდა იგი, — არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისათვის“.

უნდა ვევიქროთ, რომ ამ საკითხების ვადამწყვეტისას ე. ნინოშვილი განიცდიდა გავლენას პლენანოვის ცნობილი „პრომისა“ ჩვენი უთანამოებანი“, რომელშიც მდიდარი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე დამტ-

¹ რ. კალაძე, „ეგნატე ნინოშვილი“, 1927 წ., გვ. 139.

¹ „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, 1956 წ., გვ. 149.



კიევიდან იყო რუსეთში კაპიტალიზმის გარ-
ღევალობა და პროგრესულობა.

ე. ნინოშვილს კარგად ესმოდა, რომ კაპი-
ტალიზტური წყობილების დროს ადგილი აქვს
სოციალურ უთანასწორობას, მიღირების მიერ
მრავალრიცხოვანი მშრომელი ხალხის ექსპ-
ლოატაციას. ეს შეხედულება მან ნათლად
გამოთქვა „ივერიის“ პუბლიცისტის მეველეს
(დ. მიქელაძე) წინააღმდეგ მიმართულ სტა-
ტიამი „ძველი დავა ახალ ქერქში“. მეველე
ახალგაზრდებს უჩრქევდა, რომ შეესწავლათ
საქართველოს ბუნების სიმდიდრენი, დაუფ-
ლებოდნენ აგრონომიასა და ტექნოლოგიას და
ამით ხელი შეეწყობთ ერის გამდიდრებისა-
თვის.

ეგნატემ მარქსიზმის პოზიციიდან გააკრ-
ტიკა მეველის აზრები. ეგნატე მიუთითებდა,
რომ იმ დროს, როცა ერი დაყოფილია ორ
მოწინააღმდეგე ბანაკად — მიღირებად და
უარობებად — არ შეიძლება ერის სიმდიდრე
ყველასათვის ერთნაირად სასარგებლო იყოს.
„საუკეთესო პოლიტიკოეკონომებმა¹, — ამბობ-
და იგი, — მეცნიერულად, ისტორიული ფაქ-
ტებით დაამტკიცეს, რომ აქ, სადაც კაპიტა-
ლიზმი და მრეწველობა ახლანდელი ეკონო-
მიური და სოციალური წესწყობილებით ფეხს
გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი დატყვევდა და
ვარდება მეორე ნაწილის ზელში ეკონომიურ
მონად².

ე. ნინოშვილი მოითხოვდა კაპიტალიზმის
შეცვლას ისეთი წყობილებით, სადაც ადგილი
არ ექნებოდა სოციალურ უთანასწორობას.
მაგრამ რა გზით უნდა მომხდარიყო ეს ცვლი-
ლება? მისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი
გზა, ეს იყო რევოლუცია. „კაცობრიობის
ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება, თუ არსე-
ბულს პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ
ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდა, —
ამბობდა ე. ნინოშვილი³.

აქედან ცხადია, რომ ე. ნინოშვილი არსებუ-
ლი საზოგადოების რევოლუციურად გარდაქ-
მნის მომხრეა. იგი კარგად ხედავდა, რომ
ასეთი გარდაქმნა ახლო მომავლის საქმე
იყო. უფრო მეტიც, იგი ევროპისა და, პირ-
ველ რიგში, საფრანგეთის მაგალითზე ასკნიდა,
რომ „შემომისასვან გაბრაზებული პროლე-
ტარები (დატაკები) ყოველ წამში დამბობს
უპირებენ სახელმწიფო წესწყობილებას“.

ე. ნინოშვილი ებრძოდა უტოპიურ შეხედუ-
ლებებს ნაროდნიკებისა, რომლებიც ფიქრობ-

დნენ არსებული წყობილების ფუნქციონირ-
მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გა-
უმჯობესებას. მაგალითად, ქართველმა ნაროდ-
ნიკმა დ. მაჩხანელმა წამოაყენა დემოკრატის
და ზანცის დაარსების იდეა. ამით მას უნდოდა
გლახობა დაეცვა ჩაბრაზებულების ექსპლოატა-
ციისაგან. იგი ამბობდა: „...ღევის... იმ სახა-
ლბო დუქანს ეძახიან, რომელშიც ყველაფე-
რი სიმართლითა და იაფ-ფასად იყიდება. დემო-
კიდევ ამით არის კარგი, რომ იქ ყველას გა-
დაწყვეტილი ფასი ეწერება და ჯანჯლობა
რომ აღარ დაგვირდება, აღარც დროს დაე-
კარგავთ“¹. და მაჩხანელმა კიდევაც გახსნა
თავის სოფელში დემო, მაგრამ მას არ შეეძ-
ლო რაიმე არსებითი ხასიათის დახმარება
გაეწია გლახობისათვის. მით უმეტეს, ასეთ
დემოებს არ შეეძლოთ საყოველთაო კეთილ-
დღეობის დამყარება იმ დროს, როცა ძალაში
რჩებოდა ძველი პოლიტიკური და საზოგადო-
ებრივი წყობილება. ე. ნინოშვილმა სასტიკად
გააკრიტიკა დ. მაჩხანელის შეხედულება და
მიუთითა მის უნიდაგობაზე, რის დასამტკი-
ცებლადაც მოიყვანა ანალოგიური მაგალითი
გერმანიის ცხოვრებიდან. „შულცე-დელიჩი². —
ამბობდა იგი, — დიდხანს იმედა გერმანიის
დატაკები — ყველას გაგამდიდრებთ დემო-
კასებითო, მაგრამ ტყუილი გამოდგა, ვერაფერ
გამდიდრა“³.

გ. წერეთელთან მიმოწერიდან ჩანს, რომ
ე. ნინოშვილს 1893 წლის ბოლოს დაუწერია
სტატია „ძველი და ახალი“ გაზეთ „კვალში“
გამოსაქვეყნებლად.

როგორც ირკვევა, ეს სტატია იდეური ში-
ნაარსით მალა მდგარა ე. ნინოშვილის წინა
სტატებზე. ამას თვითონ აეტარიც აღიარებ-
და. ამ ვრცელ სტატიაში წინა პლანზე ყოფი-
ლა წამოწეული სოციალური პრობლემების
განხილვა, რასაც არ ეთანხმებოდა გაზეთის
დაქტიური რედაქტორი გ. წერეთელი, ვინაი-
დან ეს უკანასკნელი ნაციონალ-სოციალიზმის
იდეას იცავდა. ეგნატემ იმდენი პრინციპუ-
ლობა გამოიჩინა, რომ ამჯობინა სტატია არ
დაბეჭდილიყო, ვინემ შეეცვალა თავისი თვალ-

¹ ციტატა მოყვანილია მის. ზანდუქელის წიგ-
ნიდან „ახალი ქართული ლიტერატურა“, III,
1955 წ., გვ. 255.

² შულცე-დელიჩი (1808-83) იყო გერმანე-
ლი ეკონომისტი, რომელმაც წამოაყენა მუ-
შებისა და ხელოსნების შრომის კოოპერაციული
აშხანაგობებისა და შემხანგელი საღაროების
დაარსების იდეა. მან კიდევაც დააარსა ასეთი
აშხანაგობანი, მაგრამ მუშათა მოძრაობის გაძ-
ლიერების შედეგად მათ კრახი განიცადეს.

¹ აქ, უდავოა, პირველ რიგში იგულისხმე-
ბიან მარქსი და ენგელსი.

² თხზ. სრ. კრ., ტ. III, 1935 წ., გვ. 57.

³ იქვე, გვ. 59.



საზრისი. „...იმნიარად შეცვლა, როგორც ოქვენ ბრძანებთ, — სწორდა იგი ამ სტატიის შესახებ 1894 წლის თებერვალში გ. წერეთელს, — განვიმეორებ, არ ივარგებს; ეს იქნება ევლექტოზში, შეურეგებლის შერიგება“. მაშასადამე, ეგნატესათვის მთავარი ყოფილა არა ნაციონალური, არამედ სოციალური საკითხი, პირველი დაქვემდებარებული იყო მეორისადმი. ამ დებულებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სიკვდილის პირას მისულ ეგნატეს გ. წერეთლის მისამართით უთქვამს: „მანამ ვერ განთავისუფლდებიან დამაჯრული ერები, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია არ გაიმარჯვებს და საზოგადოება სოციალისტურად არ გარდაიქმნება!! და სწორედ ამიტომ ჩვენ ნაციონალ-სოციალისტები კი არ უნდა ივყოთ, არამედ მხოლოდ სოციალისტებიო“¹ ჩანს, რომ ე. ნინოშვილი ამ დროს კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდენია მარქსიზმის არსს.

სტატიაში „ძველი თუ ახალი“ ე. ნინოშვილი მოითხოვდა ბურჟუაზიული წყობილების დამხრობას რევოლუციის გზით. ეს ირკვევა ს. ჯიბლაძის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე. ს. ჯიბლაძე თავის სიტყვაში, ახსიათებდა რა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობასა და უარყოფით მხარეებს, აღნიშნავდა, რომ ამ საზოგადოების „დასამარცხებელი არის, ერთის მეცნიერის² სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულათ ახლანდელი ეპითეიათარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თობისა“³. როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციის გზით შეცვლის მარქსისტული იდეა. ს. ჯიბლაძე იქვე მიუთითებდა, რომ ეს იდეა ყველაზე უფრო ნათლად და გარკვევით ჰქონდა მოცემული ე. ნინოშვილის „ერთს გრძელ ბუბლიცისტურ წერილში“⁴, რომელიც... ამ მოკლე ხანში იქნება დასტამბული“.

როგორც ვხედავთ, ე. ნინოშვილი რევოლუციური მარქსიზმისაკენ მიდიოდა. 1894 წლის მისში ეგნატე უფროოდ გარდაიცვალა. მან ვერ მოასწრო კიდევ უფრო ღრმად შეესწავ-

ლა მარქსიზმი და მეტად დაახლოებულად მისწავლა მათა რევოლუციურ მოძრაობას. განზრახვა გამოიყვანა სადემონსტრაციოდ ბათუმის მუშები „პირველ მაისობაზე“, ე. ნინოშვილს განუზოციელებელი დარჩა.

ე. ნინოშვილი ვადაჭარბებით აფასებდა ინტელიგენციის როლს საზოგადოების განვითარებაში. ერის განთლებულმა ნაწილმა ე. ი. ინტელიგენციამ, ამზობა იგი, უნდა „შექმნას ისეთი საპოლიტიკო-სოციალურ-ეკონომიური წესწყობილება, რომ ერის ყოველ ნაწილს გამოუტლებლად და თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, განზრდივად და ზნეობრივად გაუმჯობესება“. ამ ციტატიდან ის დასკვნაც გამოიმდინარეობს, რომ მას ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი სოციალური თანასწორობის* განზოციელების მარქსისტული იდეა, ე. ი. მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე.

ე. ნინოშვილმა კონკრეტულ-ისტორიული მიდგომით განიხილა თაობათა შორის არსებული იდეური ბრძოლები როგორც ევროპისა და რუსეთის, ისე საქართველოს შავალითზე. მას კარგად ესმოდა, რომ ის, რაც ერთ ეპოქაში პროგრესულია და მისაღები, შემდგომ ეპოქაში რეაქციული და უარსაყოფი შეიქმნება. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული კე მშობიარებება, გამოსადეგი ყველა დროისათვის. მან სწორად მიუთითა სხვადასხვა თეორიებისა და საზოგადოებრივი შეხედულებების ისტორიულ განპირობებულობაზე. მაგრამ ამ საკითხებზე ეგნატეს მსჯელობა აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და თითქმის სრულებით ვერ ხსნის იმ მატერიალურ საფუძველებს, რომლებიც იწვევდა ძველი თეორიებისა და საზოგადოებრივი შეხედულებების შეცვლას ახალით. ამიტომ იგი ხშირად იდეალიზმში ვარდება, როცა ამ საკითხებს ეხება.

მიუხედავად ყოველივე ამისა ე. ნინოშვილის დამსახურება მინც დიდია. მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მოასწავებდა ახალი, მარქსისტული საფეხურის დაწყებას. იგი ყოველთვის იყო შავალით რევოლუციის საქმისათვის თავდადებისა. ე. ნინოშვილის ნაწერებზე არა ერთი და ორი თაობა აღიზარდა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის სულისკვეთებით. მისმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა ხელი შეუწყეს მუშებისა და გლეხების ვათოთცნობიერებას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მ. ცხაკაია ივონებს: „...90-იანი წლების პირველ ნახევარში, ქალაქის მუშებთან და სოფლის გლეხაკებთან მარქსიზმის

¹ რ. კალაძე, ეგნატე ნინოშვილი, 1927 წ., გვ. 145.

² უდავოა, აქ იგულისხმება ე. მარქსი.

³ „კვალი“, 1894 წ., № 22.

⁴ აქ იგულისხმება ე. ნინოშვილის გამოუქვეყნებელი სტატია „ძველი თუ ახალი“.



პროპაგანდის დროს, დიდ სამსახურს მიწვედა ეგნატეს პატარ-პატარა მოთხოვნები“.

ბავშვობისას ე. ნინოშვილის ნაწერებით გაცეცხული ყოფილა ი. ბ. სტალინი. მისი სიყრმის მეგობარი პ. კაპანაძე წერს: „მოწაფეობაში იოსებმა გადაიკითხა თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კი მოიპოვებოდა გორის ბიბლიოთეკაში: ეგნატე ნინოშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვ. თხზულებანი... მახსოვს, რა დიდი გავლენა მოახდინა მასზე ე. ნინოშვილის მოთხოვნამ „გოგია უიშვილმა“, რომელშიც აღწერილია გლეხების ჩავრული და უუფლებო მდგომარეობა. „სა-

კიროა ვისწავლოთ და ვისწავლოთ, და იოსები, — რომ დავეხმაროთ გლეხებს“¹. ი. ბ. სტალინის მეორე მეგობრის ლ. გოგოხიას მოგონებიდან ირკვევა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს ი. ბ. სტალინი თვითონ ასწავლიდა წრეებში ე. ნინოშვილის ნაწარმოებებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წიგნებთან ერთად².

¹ ამიერკავკასიის ძველი მუშების ნამუბობი დიდ სტალინზე, 1939 წ., გვ. 24.

² იქვე, გვ. 14.



ეპოსური ზოგადობა

ზოგი რამ ღიღი იღიას შესახებ

(ასოთამწყობის მოგონება)

ღიღი იღიას მხატვრული ნაწარმოებების კითხვა ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში დაიწყო.

1895 წლის ზაფხული იყო.

ს. აკეთის კანცელარიის ღია ეზოში სასოფლო ყრილობა იყო მოწვეული. ყრილობას მთელი სოფლის გლეხობა ესწრებოდა. ყრილობის დასასრულს, როცა გლეხებმა სახლებში წასვლა დააპირეს, კანცელარიის აივანზე ავიდა ამავე სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი აკაკი გვეგეკორი და ხალხს ხმა-მალა მიმართა:

— მეზობლებო! მინდა წაკითხოთ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“. რას იტყვიან?

იმ დროს გლეხობის დიდმა უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა. ამიტომ ყველამ აღფრთოვანებით მიიღო მასწავლებლის წინადადება. ხალხი „კაკო ყაჩაღის“ მოსასმენად მოემზადა. ამით გამხნეებულმა მასწავლებელმა ერთხელ კიდევ გადახედა მწვანე მოლზე ფეხმოკეცილ ხალხს, გადაშალა წიგნი, მოძებნა „კაკო ყაჩაღი“ და ხმა-მალა დაიწყო წიგნის კითხვა.

ხალხი სულგანაბული უსმენდა მასწავლებელს.

მოხუცები, რომლებსაც უშუალოდ ჰქონდათ განცილები ბატონყმობის სიმწარე და მემამულე თავადანაურთა არადადამიანური დამოკიდებულება ყმა-გლეხებისადმი, ცრემლმორეულნი უსმენდნენ და მკერდზე მუშტებს ირტყამდნენ...

მასწავლებელმა როცა კითხვა დაამთავრა, გლეხებს შეეკითხა:

— მეზობლებო! გაიგეთ მოსმენილი ნაწარმოების აზრი და შინაარსი?

გლეხებმა უპასუხეს:

— რავე არა, ბატონო! ყოლიფერი გავიგეთ,

მივხვდით, რასაც წერს ის დალოცვილი ადამიანი. იყურებოდა მისი მარჯვენა... ვენაცვალე მაგის მაღლიან კალამს... რავე მძივსავით აუხაშს იმ მაღლიან მწერალს დიდებული სიტყვები და აზრები... ნეტა თვალით გვანახა მაგის დამწერი...

მასწავლებელმა ხალხს ღიღი იღიას მოკლე ბიოგრაფიაც გააცნო, ილაპარაკა ილიას მწერლობის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ და აღუთქვა, რომ მომავალში კვლავაც წაუკითხავდა მათ ილიასა და სხვა გამოჩენილი მწერლების ნაწარმებს...

„კაკო ყაჩაღი“ უდიდესი შთაბუქდილება მოახდინა მსმენელებზე. მათ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს მასწავლებელს და ნელ-ნელა იწყეს დაშლა. ამ დროს მამაჩემი, რომელმაც სხებივით ღიღი უტრადლებით მოისმინა წაკითხული პოემა, კანცელარიის აივანზე ავიდა, მიუახლოვდა მასწავლებელს, ყაბალახი მოიხადა, თავი დაუქრა და მოწიწებით სთხოვა:

— მასწავლებელო, თუ შეიძლება, შათხოვე შეი წიგნი!

მასწავლებელმა გაკვირვებით შეხედა მამაჩემს.

— კითხვა იცი?

— არ ვიცი! აბა, რაფერ მეცოდინება კითხვა, როცა ჩემი ბავშვობის დროს სკოლა არ იყო ჩვენს სოფელში!

— შენმა ცოლმა იცის კითხვა?

— არც იმან იცის!

— უფროსმა შვილმა?

— უფროსმა ქალიშვილმა იცის წერა, კითხვა კი არა!

— ეს როგორ, წერა იცის, კითხვა კი არა?

— ასე რომ წერა თვითონ ისწავლი, მაგრამ დაწერილის კითხვას ჯერ კიდევ ვერ ახერხებს.



— აბა, რად გინდა წიგნი, თუ შენს ოჯახში არაინ იცის კითხვა?

— თქვენთან სწავლობს ჩემი შვილი. იმას წაეკითხებ.

— რომელია შენი შვილი, რა ქვია?

— ერასტო.

— ერასტო შენი შვილია?

— ჩემი უნდა იყოს!...

მასწავლებელს გაელმია.

— იმასაც არ ეტოდინება ჯერჯერობით კითხვა, ის ხომ პიოველგანყოფილებაში სწავლობდა, მეორეში ახლახან გადავიდა. ჯერ კიდევ ყველა ანბანი არ უსწავლია.

— იცის, ბატონო, ღმერთმანი იცის. „არსენა ყაჩაღი“ წავეკითხა ამას წინათ...

მასწავლებელი ჩაფიქრდა... შეყოყმანდა...

— კარგი! თუ ასეა, წაიღე. — და წიგნი მამაჩემს ვადასცა.

მამაჩემმა წიგნი გამოართვა მასწავლებელს, როგორც ძვირფასი განძი, იღლიაში ამოიღო, კვლავ მადლობა გადაუხადა და ძუნძულით დაედევნა შინისკენ მიმავალ მეზობლებს.

— რა მოგაქვს ილარიონ? — შეეკითხნენ ისინი.

— რა და, „კაკო ყაჩაღის“ წიგნი.

მეზობლებმა, ცოტა არ იყოს, შურის თვალთ შეხედეს მამაჩემს და იმავე დროს ირონიულად უთბრეს:

— ერთბაშად ჩაარაკრავებ თავიდან ბოლომდე! აბა, რად გინდა?

— ეს მე ვიცი! — უპასუხა მამაჩემმა და თავის სახლისკენ შეუხვია.

დამდებოდა, როცა მამაჩემი სახლში მოვიდა. მოშივებული იყო, მაგრამ სადილისთვის არც კი შეუხედავს, ისე გამოიწიროდა წიგნი წსააკითხად.

გამოვართვი და დავიწყე მისი გადაფურცელა-გადათვალღირება. იმ დროის კვალობაზე, წიგნი კარგად იყო გამოცემული. პირველი გვერდის დასაწყისში, იქ, სადაც ახალი ნაწარმოებია იწყებოდა, ერთმანეთზე დახეული გველები ეხატა, ხოლო ნაწარმოების ბოლოში უფრო პატარა იმგვარივე ნახატი იყო მოთავსებული. მე წიგნს საფულდაფულოდ ვფურცლავდა და ყველა გვერდს ვსინჯავდი, მაგრამ მამაჩემს მოთმინება დაელოდა შემომძახა:

— წაიკითხე, რაღას უცილი — ეტყობოდა, მამაჩემს ჩემი კითხვის უნარიანობის შემოწმება უფრო ეჭვარებოდა, ვიდრე მისი შინაარსის გაგება, რადგან ის სულ რამდენიმე საათის წინ გაუწო „კაკო ყაჩაღის“ შინაარსს.

დედაჩემს არ მოეწონა მამაჩემის სულწასულობა და ოდნავ გაჯავრებულმა შეუტია:

— რა დაგემაართა, შე კაცო! ვისადილოთ და მეერ წაიკითხოს.

ვისადილოთ. მამაჩემმა კრაქი აანთქა და წიგნი წიგნი „კაკო ყაჩაღი“ და ხელ-ხელა შეეუღღეტი კითხვას. ასოს ასოზე ვაბამდი და ისე ვკითხულობდი მთელ სიტყვებს, სიტყვებიდან ცალკე წინადადებებზე გადადიოდი და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწყებდი წინ. გზობლები, უფროსი და უმცროსი ძმა აღფრთოვანებული შემომტკეროდნენ და ხარბად მივდებდნენ ყურს. საქმეს მივირებდა 3, 3 და კიდევ 1-2 ასო. ჩავიკითხე ერთი გვერდი, მეორე, მესამე და შუალამემდე ძლივს დავამთავრე ამ უკვდავი პოემის კითხვა. ყველანი მეტად გახარებულნი ვიყავით, ოღონდაც! იმ დროს ჩვენს სოფელში, რომელც ორასამდე კომლისაგან შედგებოდა, სულ 5-6 ოჯახი თუ ექნებოდა წერა-კითხვის მცოდნე, — ახლა კი ჩვენს ოჯახსაც ემატებოდა წერა-კითხვის მცოდნე აღამიანი. მამაჩემი ბუნებით გულჩახვეული, სახემოლუშული კაცი იყო: ეტყობოდა ობლობას, მუდმივ გაჭირვებას და ხელმოკლეობას თავისი დადი დაეცა მამაჩემის ფსიქოლოგიასა და გარეგნულ გამომეტყველებაზე... ამჟამად კი მამაჩემი არაჩვეულებრივად მზიარული გამოიყურებოდა და ოხუნჯობდა კიდევაც. აღბათ იმდღეონებდა, რომ რაკი მის ოჯახში წერა-კითხვის ცოდნამ შემოგდა გვი, ოჯახის საერთო პირობებიც გაუმჯობესდებოდა, წელში გაიძარტებოდა და, ერთბაშად თუ არა, თანდათანობით მაინც, სიღატაკეს თავს დააღწევდა.

მალე ჩვენს სოფელში ხმა გავრცელდა: ილარიონის ოჯახში ილიას „კაკო ყაჩაღის“ წიგნი არის და ამ წიგნს ილარიონის ბიჭი კითხულობსო. დაიწყო ჩემი მიპატიებება ჯერ ახლობელი მეზობლების ოჯახებში, შემდეგ კი უფრო შორეულ უბნებშიც, სადაც, კრაქის შეუქნე, არ ადრე საღამოობით დაუზარებლად ვკითხულობდი ხმამაღლა ილიას „კაკო ყაჩაღის“. ასეთი კითხვა სასარგებლო და სასიამოვნო გამოდგა როგორც მსმენელთათვის, ისე პირადად ჩემთვისაც, რადგან კარგად ვავიწყებე კითხვაში და თითქმის ზეპირადაც შევისწავლე მთელი პოემა.

არ გამართლდა მამაჩემის იმედი. ბოლო ხანებში ჩემმა ოჯახის გაჭირვებამ და სიღარიბემ უფრო ფართოდ ვაშლა ფრთები, მევახშეების შემოტევა, ვალების პროცენტების ზრდა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ამას ჩემი ავადმყოფობაც დაემატა. მამაჩემმა გაყარა ერთადერთი სახლი და სასიმიანდეს ქვეშ მოითავსა ოჯახი. ბოლოს იგი იძულებული შეიქნა, მიეღო ერთი მეზობლის წინადადება ჩემი ზუგდიდში ვაგზავნის შესახებ სტამბის ასოთამწყობის ხელობის შესასწავლად.



ზამთრის ერთ სუსხიან დილით სამეგრელო-საქენ გავემგზავრე. რამდენადაც ზუგდიდმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იმდენად იმედი გამიკრუა ზუგდიდის სტამბამ. მე მეგონა, ვიმუშავებდი კარგად მოწყობილ წარმოებაში, რომელიც სკოლის მაგივრობასაც გააჩვენდა და განუბრძივ და ფიზიკური განვითარების საქმეში კიდევ დამეხმარებოდა. უსუფთოა დარბაზში შეკრუქული იყო პრიმიტიული სტამბა. ორი თუ სამი საამწყობო კასა-რეალი თავისი ნახევრად ცარიელი უჯრებით ბერბევიით ატუზულიყენენ დარბაზის კუთხეში, ხოლო დარბაზის შუა ადგილის ძველმაძველი, გუტენბერგის დროინდელი საბეჭდი დაზვა გამოქობილიყო. ამ სტამბაში არც წიგნი იბეჭდებოდა და არც გაზეთი. ჩვენი სტამბის პროდუქცია მისრის სამმართველოს, მთავრებელი სასამართლოს და სხვა პატარა დაწესებულებათა უწყებებითა და დეპარტებთ, საქორწინო ბარათებითა და ამგვარი წერილმანებით განისაზღვრებოდა... ასეთ „წარმოებაში“ აბა რა სწავლასა და განვითარებაზე შეიძლება საუბარი... თვით სტამბის პატრონმა თოხაძემ ძლივს იცოდა წერა-კითხვა.

დრო გავიდა. სასტამბო საქმეში დაგზელოვნდი და თოხაძის სტამბა თავისი პრიმიტიულ-ტექნიკური აღჭურვილობითა და წერილმანი შეკვეთებით სრულიადაც აღარ მიგმყოფილებდა...

გული თბილისისაკენ მიმიწვიდა და მოუთმენლად მოველოდი იმ დროს, როცა ილიას, აკაკის და სხვა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებზე შეუშობის საშუალება მომეცემოდა... ჩემს ამგვარ განწყობილებას კარგად ხედავდა სტამბის პატრონი თოხაძე, მტყურობდა, რომ იქ დარჩენისა და მუშაობის ხალისი აღარ მქონდა და რომ უჩემოდ საქმე არ შეფერხებულყო, სოხუმის ერთ-ერთი სტამბიდან დაიბარა თავისი ნათესავი ასოთამწყობი კალენდარიშვილი, ანგარიში გამისწორა და გზა მშვიდობისა მისურვა. ამ დროისათვის მე ნაცნობებთან მიწერა-მოწერის საშუალებით უკვე მოგვარებული მქონდა თბილისში მოწყობის (სამუშაოსა და ბინით უზრუნველყოფის) საქმე. და 1899 წლის ზაფხულში გულისტიკვილით გამოვბრუნე ჩემს აღმზარდელს, ჩემს მეორე მშობლიურ ზუგდიდს, გამოვეთხოვე აქაურ ტოლ-ამხანაგებს, მეგობრებს, ნაცნობებს და თბილისისაკენ გამოემგზავრე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩემმა თანასოფელმა ასოთამწყობებმა ე. წულაძემ, ს. ქორიძემ, ს. ვადაცკორიამ, მ. გოგუაძემ მომაწყვეს მ. შარაძის სტამბაში, რომელსაც სხვანაირად ბერების სტამბას უწოდებდ-

ნენ¹. ეს სტამბა მოთავსებული იყო ნიკორაძისა და ზის (ამჟამად კალინინის) ქუჩაზე, ილიას რუსულ-გენერალ სავინაშვილის ქვრივის სახლში, ქვედა სართულში (სარდაფში). მეორე სართულის ერთ ნაწილში მოთავსებული იყო „ივერიის“ რედაქცია, მეორე ნაწილში — მიხეილ გედევანიშვილის საავადმყოფო, ხოლო მესამე სართულში ილია და მისი და ცხოვრობდნენ.

მ. შარაძე მხოლოდ სტამბის ერთ-ერთი პატრონი არ იყო. მას აგრეთვე დაკისრებული მქონდა ვახუტ „ივერიის“, ასე ვთქვათ, გამოცემის მთელი სამეურნეო მხარე, ხელისმომწერის მიღება, გაზეთის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, გაზეთის ექსპლემირება და სხვ. მეტად პატიოსანი, დაუღალავი მშრომელი, საკმაოდ განათლებული და სანდო ადამიანი იყო, ამიტომ ილია უეკონტროლოდ ანდობდა მას არა მარტო გაზეთის გამოცემის საქმის ხელმძღვანელობას, არამედ თავის პირად, ჟეკახურ მეურნეობასაც. ასეთივე პატიოსანი და უანგარო მუშაკი იყო სტამბის მეორე პატრონი — ესტატე კერესელიძე, რომელიც საბეჭდავი სამაქმის უფროსის მოვალეობას ასრულებდა და უნდა ითქვას, კარგადაც ასრულებდა... სულ სხვაგვარ, დამატარალურად საწინააღმდეგო ტიპს წარმოადგენდა სტამბის მესამე მეპატრონე — სპ. ლოსაბერიძე. ეს კაცი, გარეგნულად, თითქმის შარაძისა და კერესელიძის მიმდევარი მართლმორწმუნე ქრისტიანი იყო, მათთან ერთად ლოცულობდა და გალობდა კიდევ ეკლესიაში, არ ეკარებოდა ზორცეულს, დედათა სქესს... სინამდვილეში კი, თავისი ამხანაგების შეუმჩნეველად, ფარულად, ამ ქვეყნისთვის ცხოვრების ყოველგვარი სიტყვობებით სარგებლობდა და ვინაიდან ამისთვის მნიშვნელოვანი სახსრები იყო საჭირო, მან მოახერხა და თანდათანობით ხელთ იგდო სტამბის სრული ხელმძღვანელობა და სტამბის მთელი შემოსავლის უეკონტროლო პატრონი გახდა.

„ივერიის“ რედაქციაში იმ დროს მუშაობდნენ ა. ახნაზაროვი, რომელიც ჯერ რედაქციის შიკრიკი იყო, შემდეგ გაზეთის დამატარებელი და ბოლოს რედაქტორის მფადგილე გახდა, ი. აგლაძე, ივ. ახალშენიშვილი, ქ. ქავთარაძე, ორი კორექტორი და ერთიც დეპეშების მთარგმნელი. ეს იყო და ეს. ა. ახნაზაროვი იყო

¹ ეს სახელწოდება იმის გამო მიეკუთვნა ამ სტამბას, რომ მისი მეპატრონეები მ. შარაძე, ე. კერესელიძე და სპ. ლოსაბერიძე — ლევის მოყვარულნი იყვნენ. თავისუფალ დროს წირვა-ლოცვაში ატარებდნენ, არ ყავდათ ცოლ-შვილი, არ უმადნენ ზორცეს, არ სვამდნენ ღვინოს და საერთოდ, სასტიკად იცავდნენ ქრისტეს სარწმუნოების სხვა წესებს.



რედაქტორის (ილიას) მოადგილე. ი. აგლაძე, ივ. ახალშენიშვილი და ქ. ქავთარაძე მუშაობდნენ შემოსული წერილებისა და კორესპონდენციების დამუშავებაზე. მათი მუშაობა მეტად მომჭანკველი, შრომატევადი და საპასუხისმგებლო იყო, მათ ზმირად უხდებოდათ წერილებისა და კორესპონდენციების თავიდან ბოლომდე გადაწერა, თითქმის ხელახლა დაწერა, რაზედაც დიდიდან სადამომდე თავაუღებელი მუშაობდნენ. თვით ილია იმდენად იყო ვადატვირთული საზოგადო საქმეებით, საკუთარი წერილების წერით და მომსახურებთან ხანგრძლივი საუბრებით, რომ რედაქციაში უშუალო მუშაობის საშუალება არ ჰქონდა და გაზეთის ხელმძღვანელობას თავისი ბინის კაბინეტიდან ანხორციელებდა. ყველა, ვინც კი ახლოს იდგა ილიასთან, განცვიფრებული იყო ამ დიდ და ამიანიის დაუღალავი შრომითა და მისი დაუსრუტელი ენერჯით. ბეგრს მუშაობდა ილია თავის წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებზე. ჩვენ გვხიბლავდა ილიას შეუღარებელი სტილი და აზრის გამოთქმის იმეოთი სიმარტივე და სიზუსტე. ტამბაში ჩამოგზავნილ მის ხელნაწერს არავითარი შესწორება და ოდნავი შეცვლაც კი აღარ ესაპიროებოდა. მაგრამ თვით ილია საავტორო კორექტურას 3-4-ჯერ კითხულობდა. ზმირად ხელახლა სწერდა დედანს და ანგარიშს არ უწყევდა იმას, რომ ამ დაუსრულებელი შესწორების გამო ზოგჯერ მისი წერილი ვერ იბეჭდებოდა გაზეთის იმ ნომერში, რომლისთვისაც ის იყო გამიზნული. ილია ამის გამო იტყოდა ხოლმე: ჯობია პურის გამოცხობას დაელოდო, ვინემ ცოში პური ჰამოთ... დაუმუშავებელი ლიტერატურული ნაწარმოები კი ციმ პურზე უფრო უფარვისიაო.

ერთხელ ილიასთვის საავტორო კორექტურის გადაცემა დამავალეს. ჭული დავიხურე, საკორექტურო ანაბეჭდებს დავავლე ხელი და ილიას ბინის კბეებზე სწრაფად ავირბინე. მუშაბანდინი აიენის კარი შევავლე და აივანზე მოსიერნი ილიას შევეფეთე. ილიამ ანაბეჭდები გამომართვა, მაგიდაზე დასდო და ზერეულად ვახებდა. შემდეგ მუ მომიბრუნდა:

- კორექტორმა წაიკითხა?
- კი, ბატონო!
- იგი მაგიდას მიუჯდა და ხელით მანიშნა — მეც დამეჯდარიყავი.
- სადაური ხარ, ყმაწვილო? — მკითხა ილიამ.
- გურული, ბატონო.
- მეც ასე ვფიქრობდი... რამდენი ხანია ჩამოხვედი?
- ოთხი-ხუთი თვე იქნება, ბატონო?

- ახლა სწავლობ, თუ უკვე ნასწავლი ასოთამწყობობა?
 - თითქმის ნასწავლი მაქვს ეს ხელობა!
 - სად ისწავლე?
 - ზუგდიდში.
 - როგორ მოხვედი გურიიდან ზუგდიდში?
- მე ვუამბე ჩემი სამეგარელოში წასვლის ისტორია და მისი მიზეზები. ის დაფიქრა და შემდეგ მკითხა:
- რაკი გურული ხარ, იქნება პლატონ გოგუაძეს იცნობდე. მოთხარი მისი ამბავი. ის დიდხანს მუშაობდა ჩემს გაზეთზე და საუკეთესო ასოთამწყობი იყო... როგორ ცხოვრობს, თუ იცი?

— პლატონი ჩემი კარის მეზობელია, მეორე ეზოში ცხოვრობს. სახლი აიშენა, მუშა-საქონელი გაიჩინა და სოფლის მეურნეობას მისდევს. პლატონის მეურნეობის საქმე კარგად მიდის. მთელი გლეხობა პლატონისადნ სწავლობს მეურნეობის წარმოების ახალ ხერხებს...

- მაგალითად, რას?
- ხეხილის დამყნობის, ვენახის გასხვლის, კირანახლის აღებისა და შენახვის წესებს. მის მიერ დამყნობი ხეხილი ყოველთვის ხარობს. პლატონის მიერ გამოხდილ არაყს წამლად ხმარობენ ჩემნი სოფლები.
- ყოჩად, ჩემო პლატონ! ის აქ საუკეთესო ასოთამწყობი იყო. სოფელშიაც კარგი მეურნე გამხდარა! მაგრამ კარგს არა შერგბა, რომ დაპირებას არ ასრულებს და წერილებს არა მწერს... თუ ნახო, საყვედური უთხარი ამისათვის ჩემი სახელით.
- შემდეგ ილიამ რამდენიმე კითხვა მომკატორისა და სამეგარელოს შესახებ, მაგ., როგორ არის ამ ხანებში სწავლა-განათლების, წერა-კითხვის გავრცელების, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე და, ბოლოს მკითხა:

- მეგრული იცი?
- ვიცი.
- რუსული იცი?
- ვიცი.
- კეთილი!... ნიჭიერი ხალხია გურულები და მეგრელები, ოღონდ სავალალო ისაა, რომ ღარიბები არიან! უნდა როგორმე დავეხმარო მათ, რომ წელში გასწორდნენ ეკონომიურად, რომ იქ აღიკვეთოს მეცახშეების პარაზიტი... და ისევე განაგრძო გამოკითხვა:
- შენ, ცხადია, სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი იქნები!
- კი, ბატონო!
- რას გასწავლიან იქ!
- კლასთა ბრძოლის ისტორიას!
- ოჰო! სამშობლოს სიყვარულის შესახებ რას იტყვი?



- სამშობლოს სიყვარული ისედაც ვაცით!
- მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაც იცით?
- რასაკვირველია!
- კეთილი!... წინგნებს კითხულობ?
- ვკითხულობ!
- მაგალითად, რომელი ქართველი მწერლის ან პოეტის ნაწარმოები გაქვს წაკითხული?
- თქვენი, ბატონო, მაგ. „აკაკი ყაჩაღი“.
- როდის წაკითხე?

მე ვუამბე ილიას იმის შესახებ, თუ როგორ წაგიკითხე პირველად „აკაკი ყაჩაღი“. გაეხსენე მასწავლებელი აკაკი გეგეჭკორის გამოცვლა სოფ. აკეთის გუნება ყრილობაზე, გლეხების დანებტერესება „აკაკი ყაჩაღის“ შინაარსით და ისიც ვუამბე, თუ როგორ მიწვევდნენ გლეხები სახლებში და როგორ მაკითხებდნენ მის უკვდავ ნაწარმოებს. ილიას ეს ამბავი ესიამოვნა, სახე გაუბრწყინდა და თავის მეუღლეს გასახა:

— ოლა, ოლა! გესმის რას ამბობს ეს ქაბუკი გურული? თურმე „აკაკი ყაჩაღს“ გურულები გტაცებთ კითხულობენ და ისმენენ... კარგად არის საქმე! თუ ხალხი კითხვით დაინტერესდა, მისი წინსვლის საქმე უზრუნველყოფილია!...

— სხვა ვისი ნაწარმოები გაქვს წაკითხული?

— აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის (ახელები... ვითხულობ „ფეხნისტყუასასნ“.

— ყოჩაღ! განაგრძე კითხვა, გიყვარდეს წიგნი, გიყვარდეს მწერლობა... მით უმეტეს, რაკი ასოთამწყობი ხარ, მათთან ზშირად გექნება საქმე. ასოთამწყობნი და, საზოგადოდ, სტამბის მუშები მწერლის თანამეშვენი არიან, ისინი დიდ კულტურულ საქმეს აკეთებენ! თუ ხალხის სამსახური ვინდა, თუ ვინდა ემსახურო ხალხის განათლების საქმეს, სტამბის მუშაზე უკეთეს ხელობას ვერ გამოძებნი!.. ჩემი საქმე რომ იყოს, სტამბის ყველა მუშას საუკეთესო პირობას მივუქმნიდი, როგორც ეს ირაკლის დროს იყო.

ცოდა გამოძედავებული ჯობიაო, ნათქვამია... ვერ ვიტყვი, რომ ილიასთან ამ შემთხვევითი შეხვედრის დროს თითქოს მხნედ ვიყავ და მის კითხვებზე დალაგებულად ვპასუხობდი, პირაქით, ძლიერ ველვადი, სისხლი საფეთქელში მაწვევებოდა, სახეზე ალმური ამდიოდა და ყურებს ქრიალული გაქპონდა... თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი მეცლებოდა, იატაკიანად ქვევით-ქვევით ჩავდიოდი, ილია კი სულ უფრო მაღლა-მაღლა ადიოდა და თავისი ალერსიანი მზერით მაშხვევებდა.

ილიამ კარგად გაიგო ჩემი სულიერი მდგომარეობა... მომიასლოვდა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— ორ საათში მასალას წავიკითხე, გეგეჭკორი წორებ და ჩამოგვზავნი მომიკითხე ბიჭებო! ყოჩაღად იყავით და თუ რამეში ჩემი დახმარება დაგვირდეთ, ნუ მოთეროდებით!... ნურაც დამემდურებით იმის გამო, რომ საავტორო კორექტურა ცუდი გამომდის... სხვაფერე არ იქნება! დაბეჭდილი ნაწარმოები ხალხში მიდის, ხალხი კითხულობ და სწავლობს. პოლა, როგორ შეიძლება — ხალხს დაუხედავია ნაწარმოები მიაწოდო? აქაო და ბევრი შრომა არ დავხარჯოო, უთავბოლო, გაუმართავი საკითხავი ნაწარმოები უნდა მიაწოდო მკითხველს?

ზეზე წამოვდელი და ფაცხა-ფუცით დავეშვი კიბებზე. როცა სტამბაში შევედი, დიღანს ვერ შევტყეო და ამშვიდებამ. ამხანაგებმა შემატყვეს აღელებმა და მიზუნი მკითხეს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვუამბე მათ ილიასთან შეხვედრის ამბავი.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აღარ მდირსებია ილიასთან ახლოს ყოფნა, ვით უმეტეს მასთან საუბარი. მას შორიდან ვხედავდი, როცა ის ღრმად ჩაფიქრებულ აივანზე ბოლთასა სცემდა, ან აივანიდან გადმომდგარი უცქეროდა სტამბის მუშების მიერ გამართულ ბურთის თამაშს. ამ დროს ყოველთვის სახეგაბრწყინებული და მოღმიარი იყო...

ილიას ბინაზე ბევრი ქართველი (და არა-ქართველი) მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე დადიოდა... და იქიდან ყველა გამხნეებული, წელში გამართული და მხიარული გამოდიოდა. ოღონდაც! ილიას მიერ მიცემული რჩევა-დარიგება და მითითებანი მათთვის ნამდვილ სახელმძღვანელო დირექტივას წარმოადგენდა.

მეფის მთავრობამ და მისმა ადგილობრივმა წარმომადგენლებმა ეს კარგად იცოდნენ. ილია მთავრობის მიერ საშუა პიროვნებად იყო მიჩნეული და თავისი აგენტების საშუალებით სასტიკი თვალყურს ადევნებდა მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ მოქმედებას. იმ სახლთან, რომელშიაც ილია ცხოვრობდა და „ივერიის“ რედაქცია და სტამბა იყო მოთავსებული, პოლიციის საიდუმლო აგენტების სადღე-ღამისო მორიგეობა იყო დაწყებული; ჩვენ, სტამბის მუშები, მიუხედავად იმისა, რომ აგენტები ყოველნაირად ინიღბებოდნენ, უშაღვე გაივებდით ხოლმე მათ ვინაობას და ჩვენის მხრივაც თვალყურს ვადევნებდით მათ მანევრებს. ასე გაგრძელდა 1901 წლის აპრილამდე.

აპრილის ბოლო რიცხვებში: მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში საპირველმისო პროკლამაცია დაიბეჭდა. ამას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი მისამზადებელი მუშაობის ჩატარება — ანაწყობის მოზადება, კორექტუ-



რის სწორება, ქალაქის მომარაგება და სხვ. პოლიციის საიდუმლო აგენტებს ალბათ ეს მუშაობა არ გამოპარვიათ მხედველობიდან და მზად იყვნენ ყოველი შემთხვევისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც შეცდნენ ახვარიშვი. პროკლამაცია დაიბეჭდა ღამით, „ივერიის“ მორიგე ნომრის ჩამობეჭდვის შემდეგ. დაბეჭდილი პროკლამაცია სტამბიდან ვაიტანეს 1—2 საათით ადრე, სანამ ჟანდარმები სტამბას დაეცემოდნენ, სტამბაში ჩატარებული სასტიკი ჩხრეკის შედეგად ჟანდარმთა როტ-

მისტრი ლაერთვი დარწმუნდა, რომ პროკლამაცია ხნის წინათ აქ ნამდვილად დაიბეჭდა საპირველშაისო პროკლამაცია, რომლის გატანაც მოასწრეს მის მისვლამდე ცოტა ხნით ადრე. ამის დასამტკიცებელი საბუთი იყო ნაბეჭდის კვალი საბეჭდო მანქანის დეკლზე და პროკლამაციის ანაწყოების დაბნეული შრიფტი. ეს ჟანდარმერიისათვის სავსებით საკმარისი იყო, რათა რამდენიმე შემჩნეული ასოთა მწყობრი დაეპატიმრებინა და სტამბა დაეხურა.



ნონა ლეხაძე

მე, ბებია, ილიკო და ილიკონი

მეველი

ერთ დღეს სკოლიდან ვბრუნდებოდი, მოკლეზე გადმოვჭერი და ჩაის პლანტაციით წამოვედი. იზაბელა მწიფე იყო და მაცდურად მიყურებდა ხიდან. ვერ მოვითმინე, ჩანთა ხის ტოტზე ჩამოვიცილე და ხეს კენწეროში მოვეჭეცი. დიდებულია იზაბელა, ქალაქელები ამბობენ, ბაღლინჯოს გემო აქვსო. მე არ ვიცი, ბაღლინჯოს როგორი გემო აქვს, არ გამოსინჯია, მაგრამ თუ ასე გემრიელია, ბარაქალა ბაღლინჯოს. ჯერ ჭაჭიანად ველაპავდი ყურძენს. რომ დაეწყარდი, რჩევა დაეუწყე.

— რომელი ხარ, მაგ ხეზე რომ გასულხარ და ანიაგებ საკოლმეურნეო ქონებას? — გული შემიქანდა და დროზე რომ არ მეტაცა ტოტისთვის ხელი, სული არ დამეყვებოდა დაბლა.

— შენ გეუბნები, რომელი ხარ-მეთქი, არ გეყურება? — დაბლა ჩამოვიხედე. ხის ძირში მხარზე ბაწარგადაკიდებული და ქმარში წაღდაჩრილი ილიკო იღვა, თან თხა ახლდა, რომელიც ჩემს ჩამოყრილ ჭაჭას აცმატუნებდა. გავიჩაბე.

— კაცო, არ ვესმის? რომელი ხარ-მეთქი, რომ მიდგომიხარ ამ კოლექტივის ქონებას და ატყბარუნებ. თუ ცოცხალი არსება ხარ, ამოიღე ხმა და თუ უწმინდური სული ხარ, არული კუდიანებს და ფეი ეშმაკს! თქვი ახლა, რომელი ხარ.

— ჭინკა ვარ, ჭინკა!

— მერე ჭინკა და კუდიანი რომ ხარ, რაგა არ იცი, კოლმეურნეობა ღმერთს იმიტომ კი არ გაუჩენია, რამდენი მშვიერი ძალდი და მამაძალი გაივლის, იმდენმა პირში ჩაიყაროს ყურძენი! ახლავ ჩამოდი ძირს, თორემ ჩამოგავდებ ჩიტვიით.

— ამოდი, თუ ბიჭი ხარ. და აქ მელაპარაკე.

— ჩამოდი, გელაპარაკები.

— არ ჩამოვალ.

— არ ჩამოხვალ?

— არა!

— აბა იყავი მანდ და ვნახე რამდენ ხანს გაძლებ, მე არსად არ მეჩქარება, — თქვა ილიკომ და დაჯდა ხის ძირში. მე ვანვაგრძე ყურძნის ჭამა. ერთი საათი მიწინ იჯდა ილიკო ხის ძირში, ბოლოს ველარ მოითმინა და ამომძახა:

— რას შვრები?

— ბუდეს ვიკეთებ! — ჩამოვძახე ზევიდან.

— ჩამოდი. მე შენ გელაპარაკები. და შენი ნებით წამყვეი კანტორაზე!

— მაკალე, ჯერ ეჭამო ყურძენი!

— კაცი ხარ თუ საწნახელი, შე შეჩვენებულო, ჩამოდი ძირს!

— არ ჩამოვალ.

— არ მემორჩილები, ხომ?

— არა!

— აბა შენ ყოფილხარ მეველი, ა ბაწარი, ა წალი, წალი და იმეველ! — თქვა ილიკომ და ბაწრის მოხსნა დაიწყო.



- რა გინდა, კაცო, რას გადაგიკიდე, ვერ წახვალ შენი გზით?
- რომელი ხარ, კაცო, მითხარი, სანამ ხალხისათვის დამიძახია! — ილიკომ ახლა შეამჩნია ხის ტოტზე ჩამოკიდებული ჩანთა და ჩამოხსნა.
- ახლა სად წახვალ, ხომ გავიგებ, ვინ ხარ! — ილიკომ მოხერხებულად მიორთხა ფეხები, ჩანთას აქეთ-იქით ყურბებში წაავლო ხელი და წინ გადმოაპირქვევა.
- „დეკამერონი“, — წაიკითხა ილიკომ და წიგნი გვერდზე გადადო. — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „მართოდ მართო კაციჰამიებს შორის“, „ტრისტანი და იზოლდა“, „ვეფხისტყაოსანი“. რომელი ხარ, შე უბედურო, ან სად სწავლობ, რვეული და ფანჯარი რომ არ გადგეს ჩანთაში! — ამომძახა იმედგაცრუებულმა ილიკომ.
- ზურიკო ვარ, ილიკო ბიძია!
- ოი, შეჩვენდი, ზურიკელა, არ მაცევა ჯვარს კაცი?! ჩამოფთვიე ძირს და ჩამომიტანე ერთი-ორი მტევანი ყურძენი, თორემ გამძვრა სული! — ხიდან ჩამოეხტი და ილიკოს მხარებზე შემოეხვევიე.
- როგორ ხარ, ილიკო ბიძია?
- ბიჭო, არ გრცხვინია, ჯვარს რომ მაცვი? შენ რა ვითხრა მე, როგორ წყალში ჩამიყარე მთელი იმედები.
- რაშია საქმე?
- რაში და აგერ ნახევარი წელია მეველედი რომ ამირჩიეს, შენც კი იცი.
- მერე?
- ჯერ იყო და ცხენი მომცეს, მომკლა იმის დევნამ. იმ დღეს სიბიტოს ძროხა დავინახე ყანაში, ჩამოეხტი ცხენიდან და ესტაცე ძროხას ხელი, მოვიხედე და სადაა ცხენი? გამოვეკიდე ცხენს, ძლივს დავიჭირე. მოვიხედე და სადაა ძროხა? ახლა ცხენს გავუშვი ხელი და ძროხას გამოვეკიდე. დავიჭირე ძროხა და სადაა ცხენი? გავუშვი ძროხას ხელი, გამოვეკიდე ცხენს. დავიჭირე, მოვიხედე და... მოკლდე, ასე დროვის ცხენივით დავბოძე ძროხასა და ცხენს შუა. სანამ ენა არ გადმომივარდა და ორივე არ გამექცა. გუშინ საერთო კრებაზე თავმჯდომარემ ასე მითხრა: ილიკო ჩივოვოვო, ან შენი ფუნქციები კეთილსინდისიერად შეასრულე, ან მოგხსნო.
- შერე რას აბირებ ახლა?
- ხეზე რომ კაცი დაეინახე, ვიფიქრე, გავკეთდი კაცი, დავიკერ ახლა ამას, კანტორაზე მივიყვან და შერე მითხრას თავმჯდომარემ თუ ბიჭია, ილიკო, ცუდად მუშაობო, მაგრამ რა, შენ შემჩნი ხელში! რა ვქნა ახლა. პირდაპირ არ ვიცი.
- წაგყვები თუ გინდა!
- შენ გიჟი ხომ არ ხარ, გინდა ბებიაშენმა მეორე თვალი ამომთხაროს?
- აბა რას იზამ?
- რას და აგერ ამ თხას წაიყვან და მივაშავებ! რაც უნდა ის უქნას.
- ვისია ეს თხა?
- ვისია და ჩემია, პირველად ხედავ თუ?
- კი მაგრამ წვერი რა უყო?
- რა უყო და შევეკრიბე!
- რატომ?
- რატომ და რომ არ იცნონ! სად გავინილა აბა, მეველემ საყუთარი თხა მიიყვანა კანტორაზე დაჭერილი.
- მერე?
- მერე მაგი თხად მაინც არ ვარგა, ერთი ბოთლი რძე რომ დააღვევო, ერთ ჭიქას არ მოიწვევლება; არც ხორცად ვარგა, ძვალი და ტყავია ცარიელი. მაინც ზარალია ჩემთვის, მიიყვან და მუშაობაში ჩამეთვლება.
- რომ იცნონ?
- რას იცნობენ, ისეა გამოცვლილი, მეც აღარ მჯერა, ჩემი რომაა. კარგად იყავი, ჩემო ბიძია, შენ გაგახარა ღმერთმა, ყურძენი რომ მაჭამე, გამშრალი მქონდა პირი.
- კარგად იყავი, ილიკო!
- ილარიონთან არ გამამხილო, ზურიკოს ვენაცვალე, თორემ დამლუპავს. — მთხოვა ილიკომ.
- ნუ გეშინია, ილიკო, სამარე ვარ.
- ერთი თვის შემდეგ წვერგაერკვილი და საკმაოდ მოსუქებული თხა, როგორც უბატრონო, პრემიის სახით საჯაროდ გადაეცა ილიკოს კარგი მუშაობისათვის.

სამართო კრება

ჩემი სოფლის გორაზე დგას ერთი ნაძვის ხე. ნაძვის ხეზე დანგრეული ეკლესიის სამრეკლოდან ჩამოხსნილი ზარი ჰკიდია. ეკლესია, სანამ დაანგრევდნენ, ჯერ კლებად გადააყეთეს, მერე საწყობად, მერე ბოსელი იყო შიგ, მერე მედმუნქტი, მერე ბიბლიოთეკა, მერე გარკად უნდოდთ გაეხადათ, მაგრამ მანქანა არ შეეცა შიგ. მაშინ დაარღვიეს და ფურნედ გადააყეთეს, მერე საკეთხველოდ, ახლა ისევ დაარღვიეს; ილიკო გაეხუმრა ბუბისა, მგონი ისევ ეკლესიად უნდა გადააყეთონო. მე არ მწამს ღმერთი და ჩემთვის სულ ერთია, ბუბისაც არ სწამს ღმერთი მიზნცდამიზნე, მაგრამ რატომღაც საკითხველოს ეკლესია ურჩევნია! ჰოდა, იმ ზარზე მოგახსენებდით: როდესაც ზარი დილით რეკს, ესე იგი სწავლა-განათლება იწყება, როდესაც ზარი საღამოთი რეკს, ან ხანძარია, ან კოლმეურნეობის საერთო კრება.

მე, როგორც ოჯახში ერთადერთ მამაკაცს, კრებაზე ყოველთვის მისწრებენ, ოღონდ სათათბირო ხმით.

დღეს ზარმა საღამოთი დარეკა. კვამლი არსაიდან ჩანდა, — ესე იგი კრება იქნება.

— ზურგიო, კრებაზე არ მოდიხარ? — გადმომასხა ილარიონმა.

— მოვდივარ, მოვდივარ, ილარიონ, — გავძახე და ღობეს გადავევლე.

— რაზე იწყებენ კრებას, ხომ არ იცი? — ვკითხე გზაში ილარიონს.

— მაგას რა ცოდნა უნდა, ისევ კანტორის შესახებ იქნება!

კრება დაწყებული დაგვხვდა. სიტყვას კოლმეურნეობის ბულალტერი ალფესი ამბობდა. მე და ილარიონი უკანა რიგში დავეკეით და გავინახეთ.

— ესე იგი, — განაგრძობდა ალფესი, — აქვსენტი რომ დანიშნეს თავმჯდომარედ, დაარღვია კანტორა და თავისი სახლის წინ ააშენა, მერე კირილე რომ ავირჩიეთ, იმანაც დაარღვია კანტორა და თავისი სახლის წინ წამოჭიმა, შარშან დიმიტრი იყო თავმჯდომარე და დიმიტრის სახლის წინ გადავიტანეთ, ახლა შალვა ამბობს, ჩემს სახლთან უნდა გადმოვიტანოთო. წინადადება, ისევ დაფარულით კანტორა და შალვა თავმჯდომარის სახლის წინ ავაშენოთ. აბა, ვის სურს სიტყვაში გამოხველა, გამოვიდეს, ოღონდ ზოგმა რომ იცის, გადაიკიდებს ენას მხარზე და აღარ ათაუებს, მაგ ამბავს შევეშვათ. რეგლამენტი ხელი წუთი!

— მე მაქვს ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება!

— აბა ჰე, ტრიფონ, თქვი!

— თქვენ როგორ ვსურთ, პატივცემულო შალიკო, ახალი კანტორა ავიშენოთ სახლის წინ, თუ ძველს კრამიტი გამოვუცვლოთ? ცოტა შელახულია სახურავი.

— ტრიფონა სიხარულით, ყბას ნუ მიქცევ და სერიოზულად ილაპარაკე, თორემ მე ვიცი შენი ადგილი. კანტორა უნდა დაირღვეს და ჩემს ახლის აშენდეს, ამდენი დროს დაკარგვა მე არ შემიძლია, დილას რომ ავდგები, საღამომდე ეუნდები კანტორამდე მოსვლას! — წამოხტა თავმჯდომარე.

— ცოტა უნდა აღჩქარო ფეხს, ჩემო შალვა!

— რომელი იყო, ადგეს და თქვას, თუ ვაეკაცია!

— ამხანაგებო, საკითხს ნუ გადაუხეიეთ. ვის აქვს კიდევ შეკითხვა?

— მე მაქვს! — თქვა მაკარია ცხოიძემ და ისე ჩაახველა, კინაღამ კისრის ძარღვები დააწყდა.

— მიდი, მაკარია!

— შარშან რომ სამტრედიის ბაზრიდან საჯიშე უშობელი ჩამოვიყვანე, რა იქნა იგი?

— თავმჯდომარის ცოლის მშობიარობას გადაყვა!

— ვინაა ის, პროვოკაციას რომ მიწყობს?!

— მე მაქვს ერთი წინადადება, თუ შეიძლება! — თქვა ილარიონმა.

— ვაცალოთ ილარიონს!

— ახლა ის რომ დაიწყეთ, უშობელი რა იქნაო, ან კლების საშენი მასალით თავმჯდომარემ სახლი რატომ აიშენაო, ან კოლექტივის ღვინო თავის ჭურში რატომ ჩაახსოო, სირცხვილია, ვაიგებს ვიღაცა და მოგვეჭრება თავი, ჩვენი გლახა ჩვენ უნდა შევიწინათო.

— ილარიონა შევარდნაზე, კარგი ციგანი ხარ შენც, ცილისწამებისათვის გავებინებ პასუხს. ახლა დაჯექი, გირჩენია!

— აცალოთ ილარიონს, მართალს ამბობს! — თქვა ილიკომ.

— ჰოდა, იმას გუებნებოდით: ხომ არ აჯობებდა თავმჯდომარის სახლი დაკვერღვია და კანტორასთან აგვეშენებია?

— რას ამბობ, კაცო, ერთი კვირის წინ გადახურა სახლი და ახლა დაურღვიო გინდა?



- აბა, მაშეინ ასე ვქნათ, თავმჯდომარე კანტორაში ვადმოვასახლოთ და თავმჯდომარის სახლი კანტორად გადავაკეთოთ.
- შენ ხომ არ გავიძლი, იმ დამპალ სახლში გინდა ჩემი ცინკით გადახურული სახლი გავიციელოთ? — აფეთქდა თავმჯდომარე.
- აბა, ასე ვქნათ, თავმჯდომარის სახლი დავარღვიოთ და კანტორის ეზოში დავდგათ, მერე კანტორა დავარღვიოთ და თავმჯდომარის ნასახლარზე ავაშენოთ.
- შესაყრებ რიცხვთა ვადანაცვლებით ჯამი არ იცვლება! — თქვა სკოლის მასწავლებელმა.
- აბა, მე მეტი წინადადება აღარ მაქვს! — თქვა ილარიონმა და დაჯდა.
- მე მაქვს ერთი წინადადება, — თქვა მარგალიტა ჰანტურიაძე. — ხვალ ჩვენს სოფელში თბილისიდან არტისტები ჩამოდიან და რადგან კლუბი არ გვაქვს, თავმჯდომარის სახლში ჩავატაროთ კონცერტი. ჩავატაროთ, ახია მაგაზე. ისინი უტირებენ ყოფას, ჯერ ხომ შეიკლავენ ხელში და მერე ტანისკერით გახეთქავენ.
- ახია ჩემზე, შენ რომ მერგოლურად მყავხარ.
- ერთი შეკითხვა მაქვს თავმჯდომარესთან: ძველი კლასი რომ დინგრა, ახალ კლასს როდის ააშენებს? — იკითხა ვილაკამ.
- მაგას რად უნდა კლასი, — თქვა ილარიონმა.
- თავმჯდომარე გაფიქრდა, საქმე გართულდა.
- მე მაქვს კარგი წინადადება, — წამოიღო ილიკო.
- თქვი, ილიკო, თქვი!
- მეგობრებო, ისევ გადავუხვიეთ საკითხს, ჯერ გადავწყვიტოთ კანტორას რა ვუყოთ და მერე ვილაპარაკოთ სხვა საკითხებზე. ახლა მთავარია სად დავდგათ კანტორა, — თქვა ილიკომ და ის ცალი თვალი ლურბმანდით დაარქო თავმჯდომარეს შუბლზე. თავმჯდომარემ ვერ გაუძლო ამ გამოხედვას, შუბლზე ხელი მოსვა და თავი ჩალუნა.
- თქვი, ილიკო, ნუ გადაგვაყოლე!
- იქნებ ვადაგვეჩინა კანტორა დარღვევას, ხომ არ აჯობებდა ფული შეგვევროვებინა და თავმჯდომარისათვის „ემალინი“ გვეყიდა?
- რას ამბობ, გვლუბავ? ავარია რომ მოუვიდეს, რა გვეშველება უბატრონოდ დარჩენილებს! მე მგონი აჯობებდა ყოველ დილით გაგვეზავნა თავმჯდომარის ოჯახში ორი კაი მოსული მუტრუკი ბიჭი და ხელში აყვანილი მოგვეყვანა.
- თავზე რომ გვაზის, ის არ ეყოფა, ახლა ხელით ვატაროთ?
- კარგია, აბა, კიდევ მაქვს ერთი წინადადება. ჩვენი შუტუყე შოფერი სადაა?!
- აგერ ვარ, ილიკო!
- რას შეება შენი მანქანა, ხომ კარგადაა?
- გმადლობთ, არა უშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით, ილიკო?
- ატყდა ფხუკუნი და ხითხითო.
- ზედმეტი ოთხი ბორბალი არ გაქვს, რომ გვაჩუქო?
- ბორბალი რად გინდა, ილიკო?
- რად მინდა? დავუყენოთ კანტორას და გავაგოროთ და გამოვაგოროთ, გავაგოროთ და გამოვაგოროთ! — დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, აღარათფერი აღარ ისმოდა. ყველანი რომ დაწყნარდნენ, ილიკო დაჯდა.
- ილიკო ჩივოვიძე, შენ თუ არ განანო დღევანდელი კრების ასე ჩატარება, შენი ფეხი დამაღვი ავირ, კისერზე! — თქვა თავმჯდომარე.
- ღმერთმა ხელი მოვიმართოს, ჩემი შალვა. ფოსტალიონად დამნიშნე-მეთქი, გეხეწევი, და მეველედ დამნიშნე ეს ცალთვალა კაცი, ამაზე უარესს რას მიხამ.
- აბა რა გეგონა, თავმჯდომარედ დავნიშნავდი?
- რატომ ვითობ, ვერ შეეძლებ თუ? სახლის ამენება და ყვირილი შენზე კარგი იცოდა და მუშაობა არც შენ ვყარებია! ისე ჰამაშიც ვაგეჯობრები, თუ ვინდა! — თავმჯდომარე გაშრა.
- ესე იგი, რა გადავწყვიტოთ, ხალხო? — ხელები გაასავსავა კრების თავმჯდომარემ.
- კიდევ ერთი წინადადება, თუ შეიძლება! — ეთქვი მე და ილარიონს შევხედვ.
- გაჩუმდი, შე მლილო! — გამაჩერა ვილაკამ.
- თუ კრებაზე ისწრებთ, სიტყვაც მივცეთ! — თქვა ილიკომ და ერთადერთი თვალი ჩამიბაჭუნა.
- თქვი, სულქალიანო, თქვი! — აყვირდა ხალხი.
- მე მაქვს ერთი წინადადება, რადგან მთელი სოფელი აქ ვართ და კრებაც დასასრულს უახლოვდება, ნუ წავალთ ისე. რომ გადაწყვეტილება არ გამოიტანათ...

— ამოდერლე, შე ცოდვილის შვილო, რისი თქმა გინდა!

— წყალი, თუ შეიძლება! — ვთქვი პირგამშრალმა.

— მიეცი თუ წყალი მაგ საწყალს!

ნახევარი გრაფინი გამოვცალე და, სული რომ მოვითქვი, ისევ დავიწყე:

— ესე იგი, რადგან ასე წვიდა საქმე და რადგანაც ვერაფერი გადაწყვეტილება ვერ გამოვიტანეთ...

— მოკლე შინაარსი მოყვი, შე უპატრონო, დავილეე კაცი მოლოდინში!

— ჩემი წინადადებაა, მოგხსნათ თავმჯდომარე და სხვა ავირჩიოთ.

დარბაზი ვაინაბა, მე კი მუხლების კანკალით ველოდი მეხის გავარდნას და მეხს გავარდა...

ეს იყო პირველი წინადადება, რომელიც მე ვთქვი საერთო კრებაზე და რომელიც ერთხმად გავიდა.

— აგაშენა ღმერთმა, შენ რომ არა, მაგი კრება დილაძე ვასტანდა. ხვალ ახალ თავმჯდომარეს ავირჩევთ და მოვიხვეწებთ, — მითხრა ილარიონმა და შუბლზე მაკოცა.

ნახალი, ჩაქმა და წინდები

წელს ძალიან ცივი ზამთარი დადგა, იმდენად ცივი და ქარიანი, რომ კედლის ჭუჭრუტანებში ქარი ვერაფრით დაეკავებო. ჰინებები რომ არ გვეყო, ბებიაჩემი საშინაო რვეულებს მიადგა. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით ვეხმარებოდი ამ ჩემი შემარცხვენილი დოკუმენტების განადგურებაში. ყველა ჭუჭრუტანა რომ დავგმანეთ, ოთახში ცოტა დათბა. გარეთ თოვდა. უსაშველოდ თოვდა. მე და ბებია ბუხარს მივუსხედით. ბებია რომელიღაც ზღაპარი დაიწყო, გზადაგზა გამომხედავდა და შემამოწმებდა, ყურს თუ მივდებდსო, მერე ისევ განაგრძობდა, თან ისეთი გატაცებით, თითქოს პირველად მიყვებოდი. მე ვიჯექი, ტკბილისკვებს ვეშუქავდი. თავს ვაკანტურბდი და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. სწორედ იმ ადგილას ვიყავით, რომელიც გმირმა ბროლის კოშკს რომ გაუფრინა თავისი თეთრი რაშით და ცხრაკლიტულში გამომწყვდეული მზეთუნახავის სიმღერა გაიგონა, რომ აივანზე ფეხების ბრახუნს ვაისმბო.

— გახვდი, ბიჭო, ვინ მოვიდა! — მითხრა ბებია და ბუხარში ცეცხლს შეუქცავდა.

გარეთ ვაიხილე. აივანზე ილიკო და ილარიონი იდგნენ და თოვლს იბერძნებდნენ. კარი გაავლე და ოთახში შემოვიპატიე ორთავე.

— გამარჯობა თქვენი, — თქვა ილარიონმა და ოთახის კუთხეში ახალთახალი თხილამურები დაყარა.

— სად იყო ეს თხილამურები, ილარიონ? — ვკითხე მე.

— სად იყო და, ხვალ სკოლაში წასვლას არ აპირებ? ამაღამ კისრამდე დადებს თოვლს, დილას აქეთაა ეწნავ, ნახე ერთი, თუ მოგერგება ფეხზე!

ილარიონს კისერზე მოვეხვიე, ვაკოცე, მერე ბებიას შევხედე მუდრით. ბებია თავი გადაიქნია, გაიღიმა და საკულნაოში გავიდა, რომელსაც რატომღაც სალაროს ეძახდა.

ბუხარს მივუსხედით, ბებია სალაროდან გამოვიდა, ცალ ხელში ერთი ბოთლი არაყი და ორი ჯანჯუხი ეკავა, მეორეთი — აკაბიწებული კალთა, რომელშიც ვაშლი და ხეჭეჭური მსხალი ეყარა.

— რად გინდოდა, ოლღა, ახლა მაგი, ზედმეტია, შენ ნუ მომიკვები. ისე გამოვიარეთ, სალაპარაკოდ, — თქვა ილარიონმა და ბებიას ბოთლი ჩამოარტოვა.

— წაიღებ უკან, შე კაცო! — თქვა ბებია.

— ილარიონა დასამუნჯებელი, შენ თუ არ გინდა, ჩემს ცოდვაში რატომ იდგამ ფეხს? — თქვა ილიკომ და მუგულებს მოჰკიდა ხელი.

— რავე, შენ სვამ არაყს თუ?! — ჰკითხა ილარიონმა ილიკოს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამაზე უფრო მის სიცოცხლეში არაფერი გაჰკვირვებია.

— ასეთ სიცივეში არაყს კი არა, გრადუსი ჰქონდეს და თერმომეტრს გადავცლაძავ, — თქვა ილიკომ და არაყი დაასხა.

— დიდი ზამთარია, წელს უბედურად ცივა. ამის მაღლი შეგვეწიოს!

— ცივა, — თქვა ილარიონმა და მანაც დაასხა, გადაჰკრა, დიჯღანა, მერე სახელოზე იყნოსა, ვაშლი ჩაებინა და თითქოს იცოხნისო, ისე იკითხა: — ეს შენი ვაშლი, ჩემო ოლღა, შემოდგომაზე ისე მკავეთ, დაბმულ ღორს აწყვეტინებს და ახლა რამ დაატკობ?

— შენ ოღონდ არაყი დაგაღვივის კაცმა და ისე დაიშაქრავ ენას, ტყემალს მურაბად გადააქცევ, — თქვა ბებია.

კიდევ თითო გადაჰკრეს. მერე კიდევ თითო, მერე კიდევ.



— დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩემთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მერვედ მე ვერ ვეტყვი, შენ უთხარიო, მითხრა, — თქვა ილარიონმა.

— შვილო, შვილო, უბედური შენი დედა! — შეიცხადა ბებია და ლოყა ჩამოიხოკა.

— ქერჩში დაღუპულა საცოდავი, — განაგრძო ილარიონმა, — ეს უკვე მეშვიდე ცნობა მოდის სოფელში.

— მერე, უთხარი გერასიმეს? — ვკითხე მე.

— შენ ხომ არ გავივლი, ბიჭო, კაცი ყოველდღე ელოდება ბიჭის დაბრუნებას და ახლ რომ ეს ამბავი უთხრა, ხომ დაინგრა ოჯახი! — შემომიტია ილიკომ.

— ღმერთო, შენ დანაგრიე პიტლერის ოჯახი. მაგან არ გაიხარა თავის ცოლ-შვილში. რასაც მე მაგას ვწყველი, როგორ უდგას სული, — მოთქმით თქვა ბებია.

— აბა რას ამბობენ?

— რას ეაბიებ? — მკითხა ილარიონმა და უბეჭო ხელი ჩაიყო. მერე იქიდან დაბეჭდილი ქალღელი ამოიღო. უყურა, უყურა და უცებ ბუხარში შეავლო, ალი ავარდა და ილარიონის სახე გაანათა. მის ლოყაზე ორი დიდი კურცხალი ვიდა.

— ამას ეაბიებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და ელოდოს მამამისი, კაცი იმედით ცოცხლობს. შენ არსად წამოგდეს, გეყურება?

— მეყურება, — ვთქვი მე.

— ოღლა! — ვაისმა ეზოში, მერე ვილაყა აივანზე ამოვიდა, თოვლი დაიბერტყა და ოთახში ჩვენი სოფლის აგიტატორი გიორგი ეაშვიძე შემოვიდა.

— გამარჯობა თქვენ, მამაბიძე, ასე გვიან რომ მოვედი, მაგრამ ვადაუდებელი საქმე მაქვს.

— აგიტატორს გაუმარჯოს, — თქვა ილიკომ და არაყი დასხა.

— მოიწიე ბუხართან, შვილო, — მიიბატყა ბებია.

— რას გვეტყვის ახალს აგიტატორი? როგორაა საქმე ფრონტზე? — თქვა ილარიონმა.

— ფრონტზე არა უშავს, მოწინააღმდეგის შეტევა შეჩერებულია, პიტლერის გეგმა ელვისებური ომის შესახებ დაინგრა!

— მაგი იანერის ვაზეთში ეწერა, ახლა კი თებერვალია, შენ რამე ახალი გვითხარი.

— ახლა მე თქვენთან სერაოზული საქმე მაქვს და დამიგდეთ ყური.

— დაიწყე. — უთხრა ილარიონმა. აგიტატორმა ჩააგველა, ფეხზე ადგა და ისე დაიწყო, თითქოს ათასკაციანი მიტინგზე გამოდიოდა.

— ამხანაგებო, სოციალისტური სამშობლო გასაჭირშია, ვერაგი მტერი თავის სისხლიანი ხელებით ეპოტინება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გმირულად ებრძვის ფაშისტურ ხროვას.

— რაეა ვაზეთივით გველაპარაკებო, შე უბატრონო, თქვი, რა ვინდა! — შეაწყვეტინა აგიტატორს მოთმინებიდან გამოსულმა ილიკომ. აგიტატორი სახტად დარჩა.

— თქვი, პო, რა ვინდა! — შეეშველა ახლა ილარიონი.

— წითელარმიელებისათვის საჩუქრებს ვაგროვებთ და თქვენც ხომ არ დაგვეხმარებით რამეს? — თქვა აგიტატორმა და ისე შევბოთ ამოისუნთქა, თითქოს ყელში წაჭერილი ბაჭარი შეეხსნათ მისთვის.

— ასე ვეთქვა. შვილო, იმხელა მოხსენება რომ წაგვიკითხე. — თქვა ბებია.

— მაინც რა საჩუქრები უნდა გავუგზავნოთ? — იკითხა ილიკომ.

— ყველაფერი — ხილი, ჩურჩხელები, თბილი ტანსაცმელი, ხელთათმანი, წინდა. დღეს ხუთშაბათია, ორშაბათს მთელი ეკონი საჩუქრები წაეა ფრონტზე ჩვენი სოფლის სახელით. თუ რამეს მოაგროვებთ, აქ მოიტანეთ, ოლასთან, ჩვენი ბიჭები გამოივლიან ხვალ და წაიღებენ. — თქვა აგიტატორმა და წავიდა.

დიდხანს უსმოდ ვიჯექით, ალბათ ყველანი იმაზე ვფიქრობდით გულში, თუ რისი ჩუქება შეგვეძლო წითელარმიელებისათვის. სინამდვილე ილიკომ დაარღვია.

— მე რა სიკეთე მამაღია ამ ქვეყანაზე, არაფერი. ერთი ნაბადი მაქვს და აგერაა აყუდებული კარებთან, ადექი, ზურიკელა, და შემოიტანე ოთახში.

გავიბრუნებულმა შევხედე ილიკოს.

— რას ვაღმოგიქაჩავს თვალები, ადექი და შემოიტანე. ჩემისთანა ხრონიცმა ბერიკაცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქვეყნა ქვეყანა. მე, ჩემო ბიძია, ამ დაბამულთათუ იოლად ვაიღო, აწი სადაცაა გაზაფხულდება.

გარეთ გავედი და თითქმის ახალი შავი ნაბადი ოთახში შემოვიტანე. ეს ის ნაბადი იყო, ილიკოს რომ საბნად ეხურა, სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხროვა ქორწილში — ვამიფუტებო.



— იყოს თქვენთან და რომ მოვლენ ის ბიჭები, გაატანეთ, — თქვა ილიკომ ისე, რომ წინასწარ არც გაუხედა.

— ილიკო ბრუციანო. შევარცხენი ის ღმერთი, რომელმაც შენ თვალი დაგიფსო, ოქროს გული რომ გქონდა, კი ვიცოდი, მაგრამ ამხელა ბაჯაღლო თუ გედო მაგ გამხმარ მკერდში, არ შეგონა, — თქვა ილარიონმა და თავი მოიფხანა. მერე ერთ ადგილზე აწრილდა. უცებ ადგა, ამ წუთში მოვალა, თქვა და გარეთ გავარდა.

— ვიცი ახლა სად წავიდა მაგი, — თქვა ილიკომ და გაიღიმა.

— სად წავიდა? — იციხა ბებია.

— სად და სახლში. არ იცი მაგის ამბავი? ახლა, ჩემს ჯინაზე, თუ რამე აქვს სახლში საუკეთესო, იმას მოიტანს, მაგრამ მე არ ვიცი, რაცხა გადღეტილია?!

არ გასულა ხუთი წუთიც, რომ ილარიონმა კარები შემოაღო, მერე მივიდა ოთახის კუთხეში და ილიკოს ნაბდის გვერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუტეხილი ჩექმები დააწყო.

— გაგიჟდი, უქაბო?! — შეუყვირა ილიკომ.

— ადექი, პერიკაცო, აქ ხომ არ აპირებ გათენებას, — უბასუხა ილარიონმა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

იმ დამით მე და ბებიას ერთად გვეძინა. ახალმიძინებული ვიყავი, რომ ფაჩუნმა გამომაღვიძა. თვალები გავახილე, ბებია ლოგინის ბოლოში ჩამომჯდარიყო და ფრთხილად იცვამდა. არაფერი ვუთხარი, თავი მოვიძინარე და თვალუფრის დევნება დაუწყე. ჩაიცვა, ადგა, თავისი ბალიში სკამზე გადადო, მერე ფეხები ფრთხილად შემოიკეცა და თავისი სასთუმლის მხრიდან ლეიბი გაარღვია, მერე ლეიბიდან ბლუჯა-ბლუჯად მატყლი გამოაძრო, ფეხაკრფით გავიდა სალონოში, საჩქელო გამოიტანა. ბუხარს ცეცხლი შეუკეთა და იქვე დაგებულ თხის ტყავზე მოიკალათა. საჩქელო მუხლებზე დაიდგა, მატყლი აიღო და საჩქელს ნემსებზე ჩამოჰკრა, მერე მთელი ტანით ხელების მოძრაობასთან ერთად რწვევა დაიწყო, თან რაღაცას ნეტბუტებდა.

ლოგინზე წამოგვეჭი, დიდხანს, დიდხანს ვუცქერდი ბებიას და თვალზე ცრემლმომდარი ვიფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებია მსოფლიო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამოთარი მატყლით ახლა ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას ქსოვდა.

ლიტერატურული სარამო

ზამთარში, საღამოობით, მე და ილარიონი ილიკოსთან ვიკრიბებოთ. ბუხარში დიდი წაბლის ჯიჩვი თვალს აბრიალებს, შაშხი შიშხინებს, ღვინით საესე დოქი თბება, ჩვენ კი წარდს ვავორებთ. ხან წიგნს ვკითხულობ ხმაშაღდა. უფრო ხშირად ილიკო და ილარიონი პოლიტიკაზე საუბრობენ. პოლიტიკა ყოველთვის ყურადღების ცენტრშია მართო ილიკოს სახლში კი არა, მთელ მსოფლიოში, რადგან 1942 წელია და გერმანელები მოსკოვთან დგანან.

— დუ-იაქე, ზურიკელა! — ამბობს ილიკო და კარს იღებს.

— შაშუ-ბეში, ილიკო! — ვეუბნები მე და ილიკოს კარიდან ქვა ვამომყავს.

— ექვსი და ხუთი თქვი, შე მამაშაღლო, თორემ გაგინთქავე თავს, ვინაა შენი შაშუ-ბეში?! რა ჩემი ბრალია, ილიკოს რომ ცალი თვალი აქვს და ისიც გაურბის, — მაგის შიშით შაშუ-ბეში ვეღარ მითქვამს.

— ხუთი და ექვსი, ილიკო!

— მასე! — მეუბნება ილიკო და მიბღვერს.

ილარიონი საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას კითხულობს.

— გათავებულია პიტლერის საქმე! — თქვა ილარიონმა.

— იავანი, — თქვა ილიკომ, ქვა მომიკლა და კარები ჩაკეტა, — შენი საქმეც გათავებულია, ზურიკელა, ადექი ახლა. რაო, რა წერია გაზეთში, ილარიონ?

— დადგენ მოსკოვთან და ფეხს ვეღარ იცვლიან ადგილიდან.

— მეორე ფრონტის რა ისმის?

— რა ეჭვარებათ. ისე დიდი ეშმაკია ინგლისი, ამერიკას ეუბნება, მე დამეხმარე და საბჭოთა კავშირს თავი დაანებო!

— მერე, რას ეუბნება ამერიკა?

— მაგი არაა შენი საქმეო!



- ახლა გერმანია ეუბნება თურქეთს და იაპონიას: მე რომ სტალინგრადში შევადრეოთ, თქვენს მამედან დაარტყითო!
- სტალინგრადში შესვლა მაგას წითელ ჯვარში შესვლა ხომ არ ჰგონია, ევრიჩა ბურ-ქულაძეს რომ განცხადებას დაუწერ და ტაშისკერით მივიღებს?!
- თურქეთის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს, ჩემო ილარიონ!
- მაგი ისეთი ქულიკია, თუ შეატყო, გაუჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუტყხადებს ომს.
- გაჩერდი, კაცო!
- აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია, ავი უღვაში გამბარსე, ასე თუ არ ქნას!
- იაპონია?
- იაპონია რა, გერმანია ეუბნება, დაიწყე, რაღას უყურებო და იაპონია ეუბნება, რომ დაგდებულხარ მოსკოვთან და ფეხს არ იცვლი, რომ დავიწყო, მეერ სად წავიდეო!
- გერმანია რას უჩივავ?
- ორჯერ ვადასცა რადიოთი, ავიღე სტალინგრადიო, მარა იაპონიას მოატყუებს მაგი? ზევით რომაა, ერთი იმხელა მიწაშია...
- გათავებულია მაგათი საქმე! დასახი, ბიჭო ზურიცელა!
- ლენის ვასხამ, ჭიჭიბს ვიღებთ და სამთავე ვსვამთ გამაზრკების, ჯარში წასულებისა და მშვიდობის სადღეგრძელოს.
- გუშინ ლექსი დაწერე! — თქვეი მე უცებ. ილარიონს მოულოდნელობისაგან შაშხის ჩაქერი გაუვარდა ხელიდან, ილიკოს კი ლენის გადაცდა სასულეში და მამლის კუჭით გა-ლურჯდა.
- რაო, რა სთქვი? — მკითხა ილიკომ, სული რომ მოიბრუნა.
- ლექსი დაწერე ომზე!
- წაგვიკითხე ერთი, შენს ვაზრდას! — თქვა ილარიონმა და ილიკოს გადახედა. ამოვიდე კიბიდან ლექსი, ფეხზე ავიდექი, მარცხენა ხელი წინ გავიშვირე და რაც შემეძლო ხმაშალა დაეწყე:

„სახიზლარი გერმანია
 გადმოვიდა ჩვენს საზღვრებზე,
 მაგრამ ფეხს ვერ მოიკიდებს
 ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალზე!
 ჩვენი გამირები დასცხებენ
 ზარბაზნებით, თოფებით და ტანკებით,
 თუ საჭირო შეიქნება,
 მტერს მეც ყელში დავეტაკები“ —

- დავაძაოვრე მე და გულისფანქვალთ ველოდი განაჩენს.
- ძალიან ხმაშალა დაწერილი! — თქვა ილარიონმა ნახევარსაათიანი პაუზის შემდეგ.
- მაგას კი ეშველება, ხმადაბლა წაიკითხავს კაცი, მაგრამ ამას რა ეშველება?! — თქვა ილიკომ და ისე გამოიხედა, ჩემი თავი შემეცოდა.
- როდის იგრძენი პირველად ტვინში ლექსის საამო ლიტინი? — მკითხა ილარიონმა.
- ერთი თვის წინ, — ვთქვი მე.
- მერე ამდენ ხანს სად იყავი, ოჯახაშენებულო, დროზე ვერ თქვი? რაღა გვეშველება აწი?! ოღლა ბებიაშენი მეცოდება, ნაშრომი რომ წყალში ჩაუცვივდა, თორემ შენ ერთ მშვენიერ დღეს ჯაკვით დასაბმელი რომ გახდებოდი, მაგი კი ვიცოდი. — თქვა ილიკომ და ხელი ჩაი-ქნია.
- ისე, როგორ ატყობ, ადვილად მოგდის ლექსი თავში?
- დღეში რვა-ცხრა ლექსს ვწერ ამისთანას, ქაღალდს ვერ ვშოულობ, თორემ მეტს დაე-წერდი!
- ცოტაა! — თქვა ილიკომ.
- ბებიაშენმა იცის, ლექსების წერა რომ დაიწყე? — მკითხა ილარიონმა.
- არა!
- ჰოდა, არ უთხრა, მისი გაჭირვება ეყოფა საწყალს. კიდევ გაქვს დაწერილი რამე?
- კი, სიყვარულზე!
- აბა ჰე, წაგვიკითხე.
- გაუბედავად შევხედე ილიკოს.
- მიდი, მიდი, აწი ერთი ფასი აქვს! — თქვა ილიკომ.
- კიბიდან მერე ლექსი ამოვაცოცე და ხმადაბლა დაეწყე:

„ღამე არის მთვარიანი,
თოვლიანი, ქარიანი.
ცრემლი მომდის სიხარულის,
მიყვარს ღამე სიარული.
მთელი ღამე უძილო ვარ,
სულ მთლად გადარეული ვარ“.

ბოლო სტრიქონები ისეთი განსაკუთრებული გრძნობით წავეციოხე, ყელში რაღაც მო-
მაწვა, თვალები მდუღარე ცრემლით ამევსო. პაუზა, რომ ეგელოდი, იმაზე დიდი აღმოჩნდა. ილა-
რიონი და ილიკო ნაცემი ძაღლებივით უყურებდნენ ერთმანეთს.

— რას იტყვი შენ? — ჰკითხა ბოლოს ილარიონმა ილიკოს.
— ბოლო სტრიქონი კარგადაა დაწერილი, ეტყობა უგრძვნია კაცს!
— კი მაგრამ სიყვარულზეა ლექსით და სიყვარულზე რატომ არაფერს ამბობ?
— სცხვენია და ვერ ამხელს! — თქვა ილიკომ.
— ეს ლექსია, ჩემო ილარიონ, ლექსში ყველაფერს ვერ იტყვი!
— ჯერ ერთი, მაგი რომ ლექსია, ისე დაგიმშვენდა შენ ცხვირი, მერე — მეორე, სიყვარულ-
ზე თუა, სიყვარული ასეენო უნდა მაინც.
— კაცი რომ უძილოა, გადარეულია და ღამე დადის, შეეყვარებულია, აბა რა ჯანდაბაა?! —
გავეცხარდი მე.

— გადარეული ილიკოც კია და მაგდენს ღამე ვინ დაეთრევა, მაგრამ შეეყვარებულია თუ
იცი? — თქვა ილარიონმა.

— ჰაიტ შე მყრალო ბერიაკო! — იყვირა ილიკომ. — მაგი გამოთავყვანებული ლექსს ვერ
წერდეს, ჩემი რა ბრალია, ახლავე შეყარე ბუხარში მაგი ნაცოდელიარი, თორემ ამოგაპრობ
ენას! — შემომიბთა ილიკომ.

— მოიცა, ჯერ გავარჩიოთ ლექსი! — შეაჩერა ილარიონმა. — თავში რომ გიწერია: მთვა-
რიანი ღამეაო, ქარიაო და თოვლიაო, ამაზე რას იტყვი?

მართალი გითხრაო, ამაზე ლექსის წერის დროს არ მიფიქრია და ახლა, ილარიონმა რომ
მკითხა, გავშეშდი.

— ჰოდა, უძილო თუ ხარ, ქარი და თოვლი თუა და ქვეყანა თუ ინგრევა, შენ რა გიხა-
რია, შე უპატრონო, სიხარულის ცრემლი მომდისო, რომ წერ! — მკითხა ახლა ილიკომ.

— თქვენ რა გესმით ლექსის, გამოტვინებულები ხართ ორივე! — გაგბრაზდი მე.

— შენ რომ ლექსები გვეციოხე ამელამ, გამოტვინებულები კი არა, სული როგორ გვიდგას,
გასაკვირია! — თქვა ილიკომ და ღვინო დაასხა. ილარიონმა ჰქია ასწია, თავზე ხელი ვადაძმისვა-
და აღერსიანად მითხრა:

— შენ რაღაცა სხვა უბედურება გჭირს, ჩემო ზურიკო, ლექსის წერას რა აწყებინებს
კაცს, კი ვიცი მე, შენხელა რომ ვიყავი, მეც დამაწერია ლექსი სიყვარულმა:

„ცოლად თუ არ გამომყვება,
შუბლში ვირტყამ პატრონასო,
რა სიკვდილი მოვუხერხო
უპატრონო მატრონასო!“ —

გახსოვს, ილიკო?

ილიკომ თავი დააკანტურა და კმაყოფილებით ჩაიხიბითხა:

— მაშინ შენც გადარეული მეგონე, მაგრამ მერე გაგიარა. ალბათ, ზურიკელასაც გაუვლის.

— ჰოდა, ჩემო ბიძია, შენგან ისეთი მოლექსე გამოვა, მე რომ გამოვედი. მე კი როგორი
სახელოვანი მოლექსე ვარ, აგერ ჰკითხე ილიკოს და გეტყვის. წერე, ჩემო ბიძია, მაგისტვის კა-
ციშვილი არ დავიკურს. იმ გოგოს, რომელიც გიყვარს, თუ შენსავით შტერია და მოეწონა შენი
ლექსები, ხომ კარგი, არა და ნურც მაგისტვის მოიკლავ თავს. სიყვარულს ახლა ჩაუდგია
აკერცხი შენს გულში, მერე გამოტვინებს, იბარტყებს, გადააფრენს კიდევაც, მერე ჰიოდა...
ივლა ამ დღნიაზე შეეყვარებულა. შენს სიყვარულს გაუმარჯოს, ჩემო ზურიკო!

მე ვიდექი თავჩალუნული, ყურებამდე გაწითლებული და ყურს ვუვადებდი ილარიონის
სიტყვებს. მას თითქოს ხელი ჩაეყო ჩემთვის უბეში, გული ამოეღო, ხელისგულზე დაიდო
ფრთხილად და სიტყვა-სიტყვით კითხულობდა, რაც უფიგ ეწერა.

პირველი სიყვარული

— ჩივოვიძე!
— ვარ, მასწავლებელო!
— კალანდაძე!
— აგერ ვარ, მასწავლებელო!
— სიხარულიძე!
— ავად გახდა, მასწავლებელო, და ჭყონიამ, ცენტრაძემ, ბურჭულაძემ, ქორიძემ, ნინიძემ და დლონტმა გააცილეს სახლში.

— მთელი კლასი ვერ გაყვიო? — იკითხა გულჩვილმა მასწავლებელმა.
— ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ მივეყვებოდი!
— ვაშალომიძე, ვაშალომიძე, ვა-შა-ლო-მი-ძე!.. — ყვირის მასწავლებელი და ხელს მაგი-
დაზე ურტყამს.

- აქ ვარ, პატივცემულო მასწავლებელო!
- მასეთი ყოფნა და არყოფნა ერთი და იგივეა!
- ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის! — ამბობს რომელი ჰათეტიურად.
- რომელი კალანდაძე, გაბრძანდი გარეთ!
- სიცივეა, მასწავლებელო!
- აიღე შენი წილი ნივთხალი და გაეთრე გარეთ! — მხარს ეუჭერ მასწავლებელს.
- რომელი გადის, მე კი უბედურება მატყდება თავს.
- რა გეჭონდა გაყვითლად, ვაშალომიძე?
- სოლევის ხერხით სოდის მიღება!
- აბა გამოდი დაფასთან!

წელმოწყვეტილივით გავეთრე დაფასთან და ცარცი ისე დავაჰირე დაფას, მარილივით ჩამეღშენა ხელში.

— დაიწყე, ვაშალომიძე!
— სოდის მიღების უამრავი ხერხი არსებობს, მაგალითად, ილიკო ჩივოვიძე ენაზე იყრის და პირდაპირ ისე ყლაპავს, ილარიონ შევარდნაძე კი ერთ სუფრის კოვზ სოდას ერთ ჭიქა თბილ წყალში ურევს და სულმოთქმელად სვამს პახმელიაზე, ბეზიაჩვი კი...

— ვაშალომიძე, გაეთრე გარეთ! ვინ არის მაგის მეზობელი?
— მე ვარ, — ამბობს მერი სიხარულიძე და ფეხზე დგება.
— დღეს მაგის მშობელთან წერილს გავატან და მიუტანე! ვაშალომიძე, გადი გარეთ!
— მე კი გაკაღ, მასწავლებელო, მაგრამ კლასში ვიდან დარჩება?
— გადი! — ჩურჩულით მითხრა მასწავლებელმა და სამელნეს გადახედა.
გავედი. ალბათ, კოლუმბოს მებღვაურებს მიწის დანახვა ისე არ გახარებიათ, როგორც რომულს ჩემი დანახვა.

— გამოვარდი?
— სულ შენი ბრალია!
— ჩემი რა ბრალია, შენ ჯირკვიით იდო გაყვითლზე, გგონია ვერ გატყობ, შეყვარებული რომ ხარ?

- ვისზე, სულელო!
- მერზე.
- მეორეჯერ არ თქვა, თორემ ავახლიჩავ ლაყუჩებს!
- მე კი არა, მთელი კლასი ლაპარაკობს.
- რა დროს ჩვენი სიყვარულია, ბიჭო! — ეთქვი მე.
- რატომ, ძმაო, ბეზიაჩვი თოთხმეტი წლის გათხოვილა!
- მერე შენ რა გინდა!
- მე რა უნდა მინდოდეს, თუ გინდა ვეტყვი, რომ გიყვარს.
- რომ მიყვარდეს, მე თვითონ ვეტყვი!

— შენ სიყვარულის ახსნა გაკვეთილის მოყოლა ხომ არ გგონია? მერე შენ რომ გაკვეთი-
ლის მოყოლა იცი, ვაგაყებ კიდევაც! სიყვარულის დროს წერილი უნდა მისწერო ვაგოს.

- შენ მიგიწერია როდისმე?
- რამდენიც გინდა! — დავაკვირი რომულს, ხომ არ ეშმაკობს რამეს-მეთქი, მაგრამ რო-
მული არ ხუმრობდა, მის თვალეში იმდენი სიმართლე იყო, ენდე და ვუთხარი:
- ბიჭო რომელი, შენ ძმა ხარ ჩემი და რაღა დაგიმალო, მიშველე, ბიჭო, რამე, მიყვარს



და რა გქნა! — რომელს ისე გაუხარდა ეს ამბავი, თითქოს ჩემს მაგივრად თვითონ ყოფილიყო შეყვარებული. ხელები მომხვია წელზე, პაერში ამწია, დამატრიალა და დამსევა.

— აბა დანარჩენი ჩემზე იყოს, ისეთი წერილი დაიწერო — ვარდი ვაპოს, გამოჩნდეს მუნ ბროლი გამომჟღავნაო.

ბრო ბებრი გვქონდა. შევედით ცარიელ საცალსო ოთახში. მე მაგიდას მივეჯექი, რომელ-მაც კი მასწავლებელივით ხელები უკან დაიწყო, ოთახში გაიარ-გამოიარა და დაიწყო კარნახი:

„ჩემო უძვირფასესო, უნეტარესო და სულზე უტკბესო, სიყვარული — ეს არის უდიდესი გრძნობა, სიყვარული ამუხუცებს, აყრუებს, აბრმავეს და ავიყებს ადამიანს.“

— ტყუილია მაგი! — შევაწყვეტინე შეშინებულმა.

— კი ვიცი, მაგრამ ასეა საჭირო, განაგრძე.

„მას შემდეგ, რაც პირველად დავინახე, მე ვაღიარე აბსოლუტური ქვეშაობიერება მშვენიერებისა. მე გავიგე არსი ჩემი ყოფიერებისა, მე აღვიქვი შენ, როგორც აბოთეოზი სულიერი განცდისა და ესთეტიკური შემეცნებისა.“

— საიდან მოგაქვს ასეთი სიტყვები? — ვკითხე გაბრუებულმა.

— ჩემს დას მოუვიდა წერილი თბილისიდან, ერთ სტუდენტს უყვარს და იმან გამოუგზავნა

— მერე, მიყვება შენი და?

— უნდა წაყოლოდა, მაგრამ მეზობელი ჩამოვიდა თბილისიდან და ამბავი ჩამოიტანა, ის სტუდენტი გაიყვებულა. ვანაგრძქ! „რაღა დავიძალო და მიყვარხარ, თავზე მტრად. მე შინდა შენ გახდე ჩემი სულიერი მეგობარი და ერთგულად წიო ჰპაანი ჩვენი. მე მაგიყებენ შენი თვალები, წამწამები, ტანი, გამოხედვა, ბროლის კბილები, თითები, მარჯნის ტუჩები, წარბები, მოკლედ მთლიანად მაგიყებ. მე კვედები უშენოდ. მე არ ვეთანხმები შექსპირს იქ, სადაც ის ამბობს: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“. ამით ვამთავრებ, ნახუამდის!“

— როგორია? — მკითხა რომელმაც და ღონიჯი შემოირტყა.

— ბეწუზება შენი და გადარჩენილი, — ვუთხარი მე.

— ქვეს ვახეთქავს! — თქვა რომელმაც.

ფოსტაში გავიქეცი. კონვერტი ვიყიდე, წერილი შიგ ჩავდე, ენა გავუხვ-გამოუხვსვი და უბეში ჩავიდე. გული ჩიტვით მიფართქალებდა. ამ წერილს უნდა გამოეტანა ჩემი პირველი სიყვარულისათვის განაჩენი.

ბოლო გაკვეთილზე წერილი მერის ჩანთაში შევაკურე და მიცვალბულივით გავინახე. არ გამიგია, როდის დაბრუნდა ხარი, როგორ წავიდნენ ამხანაგები შინ. ვიჯექი ასე გაშტერბული, ვიდრე დამლაგებელმა ქალმა არ შემანჯღრია და არ მითხრა:

— როდის მერე შეგიყვარდა, ვაშალომძე, ასე სკოლა, შინ რომ არ მიდისარ? აწიფეხები, უნდა გამოვხევეტო!

— გამარჯობათ, დეიდა მაკა...

— უი, დამეფსოს თვალები, მესევეჯერ გხედები დღეს და ახლა მეუბნები გამარჯობას?

— ნახუამდის, დეიდა მაკა.

— დმერთო, შენ უშველე ყველა გაქირვებულს! — დამლოცა დეიდა მაკამ, პირჯვარი გამოისახა და საჩქაროდ გავიდა კლასიდან.

სალამოს ისევე ილიკოსთან ვიჯექი და ნარდს ვავორებდით. დილის ზაფრამ გადამიარა და ახლა მხიარულად ვიყავი.

— დუ-ბეში! ლექსი ხომ არ დაიწერია, ბიჭო, კიდე? — მელაზნანდარბოდა ილიკო.

— შაშინ-ჩარი! წავიკითხე, თუ კაცი ხარ! — ყბას მიქცევედა ილარიონი.

— ილიკო! — მოისმა გარედან ხმა.

— რომელი ხარ?

— ოღდა ვარ, ილიკო, ჩემი კუდიანი ბიჭი შენთანაა?

— მობრძანდი, ოღდა, მობრძანდი, აგერაა შენი კუდიანი ბიჭი!

ოთახში წელში მოხრილი ბებიაჩემი შემოვიდა. თავშალი მოიძრო, გამარჯობა თქვა, ჯოხ ბუხრის კუთხეში მიაყუდა, ცეცხლთან ახლო მოეწყო და მე მომმართა:

— შევლო ზურიკო, შენი ქიმიის მასწავლებელი რა ხნისაა?

— იქნება ასე ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის. რაშია საქმე? — ვკითხე მე და სმენად გადავიქეცი.

ბებია მხრები აიჩეჩა, თავი გადააქანა და ისევე მკითხა:

— ცოტა შექანებული ხომ არაა?

— მაგის მასწავლებელს აბა რა მოუვა! — თქვა ილიკომ.

— შექანებული კი არა, ჰკუთთ გატენილია, — ვთქვი მე.

— ილარიონ, ნახე ერთი რას მწერს, თუ დმერთი გწამს, — თქვა ბებია და ილარიონს წე-

როლი გადასცა. შემეპრტოლა. ილარიონმა წერილი გამოართვა, სათვალე გაიკეთა და

— ვინ მოგიტანა, ოლა?

— ლადიკო სიხარულიძის გოგო რომაა, მერი, იმისთვის გამოუტანებია.

ილარიონმა წერილი გაშალა და კითხვა დაიწყო:

— ჩემო უძვირფასესო, უნეტარესო და სულზე უტკბესო...“

— შენ გწერს მავას? — იკითხა ილიკომ.

— კი, შენ ნუ მომიკვლები. — პირი გამიშრა, ხელები გამიცივდა და შუბლზე ოფლმა გამომჟონა. ილარიონი განაგრძობდა:

— „მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, მე ვაღიარე აბსოლუტური ქვემარტება მშვენიერებისა...“

— სად მნახა მაგ შეჩვენებულმა? — ჩაიხიბოთხა ბებია და ილიკოს გადახედა. ილიკოს პირი დაეღო და ყურებს არ უჯერებდა.

— „მე გავიგე არსი ჩემი ყოფიერებისა, მე აღვიქვი შენ, როგორც აბოთეთი სულიერი განცდისა და ესთეტიკური შემეცნებისა...“ — განაგრძობდა ილარიონი.

— ეს აღვინ რაღაც ვერ გავიგე, — თქვა ბებიამ.

— სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოლა. — თქვა ილარიონმა.

— კი მაგრამ სად მოსწრო შენი ასე შეყვარება! — თქვა ილიკომ.

— რასაც მავას ზურგიკლას საქმეზე სკოლაში იბარებენ, ამდენ სიარულში შეაყვარა ალბათ აღმიანს თავი.

— „მე მაგიყებენ შენი თვალები...“ — განაგრძო ილარიონმა.

— დაეფსო მავას თვალები! — თქვა ილიკომ.

— „წამწამები, — განაგრძო ილარიონმა. ილიკო ჩაბეჭირდა და იატაკზე დაგორდა, ილარიონს სლოკინი აუვარდა, მაგრამ კითხვას მინც განაგრძობდა: — ტანი, გამოხედვად, ბროლის კბილები...“

— აქ კი შეშლია ცოტა. — თქვა ილარიონმა.

— მიწა დაეყარე პირზე, რა ღროს ჩემი კბილებია! — გაასავსავა ხელები ბებია.

„თითები, მარჯნის ტუჩები, წარბები, მოკლედ მთლიანად მაგიყებ...“ — განაგრძო ილარიონმა და ცრემლები დაბალბუთი ვადმოსცივიდა.

— გაჩერდი, შე ურჯულო, გაეთავიდი კაცი! — იკივლა ილიკომ. — გაჩერდი, აღარ შემიძლია, გეყოფა აწი! — ილარიონმა კითხვა დაამთავრა და ილიკოს დაუწყო მოსულიერება, ბებია თავისთვის ხიხინებდა. მარტო მე ედემქი გამეხებული და გამშრალი.

— როდის აახოვებ ქალს, ქორწილი არ გამომაპარო! — შემომტირა ილიკომ და ისევ დაგორდა.

— აქ რაღაც სხვა ამბავია, — თქვა ილარიონმა.

— შენ რა გითხრა, ოლა, გავიგონია კაცის ასე გავიყება!

— ილიკო ბიძია! — მოისმა ამ ღროს გარედან.

— მობრძანდი!

ოთახში ლოყებდაწითლებული მერი შემოვიდა, გათოშულ ხელებს იორთქლებდა, მერე ჯვარედინად იღლიებში იჩრიდა და ფეხებს აბაკუნებდა.

— ილიკო ბიძია, ოლა ბებია თქვენთანაა?

— აგერ ვარ, შეილო, ეს რა წერილი მომიტანე, ამ სიბერეში სიცილით რომ სული კინალამ ამოგვხადე! — უთხრა ბებიამ და წერილი გადასცა.

— ოლა ბებია, მასწავლებელმა რომ წერილი გამომატანა, აგერ მოგიტანეთ, შემშლია თურმე. ეს წერილი საიდან განნდა, არც კი ვიცი. — თქვა მერი და ბებიას ნამდვილი წერილი მიაწოდა. ბებიამ წერილი ილარიონს გადასცა:

„გთხოვთ ხვალ გამოცხადდეთ სკოლაში თქვენი შვილშვილის უმსგავსო საქციელთან დაკავშირებით“.

— მომჭერი თავი, ხომ? — მკითხა ბებიაჩემმა და ჯოხს სტაცა ხელი. შურდულივით გავვარდი გარეთ.

— არ დაგინახო სახლში, სადაც გინდა წაეთრიე! — მომაკივლა ბებიამ.

ცოტახნის შემდეგ ოთახიდან მერი გამოვიდა, მოდიოდა თავჩალუნული, დაფიქრებული, გათოშულ ხელებს აღარ მალავდა, თავშალი მხრებზე დაკურებოდა, თმა საფეთქელთან ჩამოშლილია, რომელიღაც სახელოვანი მხატვრის ნახატს გავდა, სადღაც რომ მენახა და სახელი რომ არ ვიცოდი. ისე ჩამოიარა, ჩემსკენ არ გამოუხედავს.

— მერი! — ვთქვი ჩუმად. გაჩერდა. მიუახლოვდი. თმა გავუხსწორე. მერე ისევ ჩამოვეშალე.



- წაიციხე? — არაფერი მითხრა. ამომხედა ჭკვიანი თვალებით და წავიდა. ვარკინაღმ
სიბუღმსითხაა
- მერი! — ისევე გაჩერდა. მე დავეწვიე. — რომელიმე დამაწერინა, მე მასე არ მინდოდა.
- მითხრა, ასე უნდაო.
- ასე ხუმრობა არ ვარგა, ზურიკო.
- მე არ მიხუმრია, მერი, მე, მერი, შენ გგონია მე მართლა ცული ბიჭი ვარ?
- არა, ზურიკო!
- წავედით. იყო ქარი და არ იყო მთვარე, თოვდა. თოვდა ირიბად. მივდიოდით უხმოდ. ჩემს სახლს ჩავუერთ.
- ამის ძირში ჩემი მურადა მარხია, — ეთქვი მე და დათოვლილ ჰადას ავხედე.
- ვიცი!
- მე ძალიან მიყვარდა მურადა, ქვეყანას მერჩია, ის, ბებია, ილარიონი და ილიკო ერთნაირად მიყვარს.
- ვიცი, ზურიკო.
- მე ძალიან მიყვარს მურადა, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიყვარდება, მურადას მე ძალიან ვუყვარდი. მე მურადას, როგორც კაცს, ისე ველაპარაკებოდი. მეც მესმოდა მისი ლაპარაკი, ყველაფერი მესმოდა, სულ ყველაფერი. მურადა რომ მოკვდა, თავს მოვიკლავდი მეგონა, ჩემი მურადა ყველაზე კარგი იყო ქვეყანაზე და მე ყველაზე უფრო მიყვარს იგი ქვეყანაზე. სიყვარულით მართლა შეიძლება გაგიტყდეს კაცი! გცივა?
- კი, მცივა.
- მე არ მცივა! — გავიხადე ქურჭი და შერის მოვახურე, ხელი აღარ გამიშვია, ასე მივდიოდით თოვლში, უკვლავ თოვლში. შერის სახლს გავცდილი...
- გათბი?
- გათბი, ზურიკო.
- შენ ხომ იცნობდი ჩემს მურადას?
- კი!
- შენ ძალიან უყვარდი მურადას, სულ ასე მეტუნებოდა, მერი კარგი გოგოა, მერისთანავე გოგო ქვეყანაზე არ ღადაის, მერი სულ ყველას ჯობია, მერი ძალიან კარგი გოგოა, მერი ღამაში გოგოა, მერისნაირი ღამაში თველები არავეს არ აქვსო, მერი ძალიან კეთილი და ჭკვიანი გოგოაო. შენ ძალიან უყვარდი მურადას, ჩემსავით უყვარდი, არა, უფრო უყვარდი, შენ არასდროს არ გიღრუნდა. შენც ხომ გიყვარდა ჩემი მურადა?
- კი, ზურიკო, ძალიან მიყვარდა, ძალიან!..
- მერი!
- რა, ზურიკო? — საფეთქლებზე მოვიკიდე ხელი, ჩემსკენ მოვიზიდე და ჩემი სახე მის თმებში დავმაღე. მერი ტირიდა. ვტიროდი მეც. ირიბად თოვდა. იყო ქარი და იყო მთვარე. მზეც იყო, სიყვარულიც; ცრემლიც და ბევრი, ბევრი თოვლი. ილიკოსათვის რომ შეეცინა, თუ ქარი იყო, თოვლი იყო და ქვეყანა ინგრებოდა, შენ რა გიხაროდა, შე უპატრონოო. ყველაფერი იყო, ქვეყანაც ინგრებოდა და მე მიხაროდა. იმ დამით ბებიას რომ შეეეშვი, სახლში მაინც არ შევიდოდი. ირიბად თოვდა. იყო ქარი, იყო მთვარე, მზეც იყო და სიყვარულიც. და ბევრი, ბევრი თოვლი.

თვითმეტი ფუთი სიზინდი

ილიკოს ღორს დიდი, ჩამოფლარტული ყურები, პატარა თვალები, გარმონივით დაუქუპლი, მოკლე და ზვეით აპრებილი დრუნჩი ჰქონდა, ამიტომ მთელ სოფელში სერაპიონას ეძახდნენ. ნამდვილი იორქშირისა იყო, წელიწადში ორჯერ მაკობდა, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე. თორმეტ-თორმეტ გოქს იგებდა. ილიკო, რასაკვირველია, ყიდა გოქებს და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. ომის წლებში ილიკომ გოქების სიძინდზე ვადაცკლა დაიწყო, და სიძინდიც ყოველთვის უღევი ჰქონდა. ამის შეტყობა ადვილი იყო, ჩვენი სოფლიდან წისქვილში ყველაზე ხშირად ილიკო დადიოდა. თავს ერჩია ილიკოს თავისი სერაპიონა, მარჩენალს ეძახდა, ხელისგულზე ატარებდა ამ ათფუთიან ღორს. თვითონ იჯლებდა და ღორს აჰმევედა. თუ გინდოდით ილიკოს გულის მოგება, ღორი უნდა გექოთ, — დადნებოდა, ცალი თვალი ცრემლით აევსებოდა, გაიქცეოდა, არაყს გამოვიგრბენინებდა, უბილბლო თუთუნს მოგაწევენებდა, სანაშენად ყველაზე კარგ გოქს დაგვირდებოდა და ვინ იცის კიდევ რას. მე და ილარიონმა კარგად ვიცოდით ილიკოს ეს სუსტი მხარე და ოცდაათი საათი ილიკოს ღორის ქების მეტს არაფერს ვაკეთებდით.

აი ახლაც, ვსხედვართ ილიკოს ეზოში აბიზინებულ კონინდარზე, გვერდით მოღრუტუნე, თვალმინაბული, პოკოკებგაქიშული სერაპიონა გვიწევს და ილიკოს ვესაუბრებთ.

— ასეთი ღორის მნახველი არ ვარ, — ამბობს ილარიონი.



— ამით მიდგას სული, — ამბობს ილიკო და ღორს მუცელზე ხელს უთათუნებს. სერაპიონი განცხრობით ქშინავს, მუცელი გამობერილი აქვს და თორმეტზე ძუძუ დაწითლებული და სასვე, რაც იმას ნიშნავს, რომ სერაპიონას მალე თორმეტი გოჭი ეყოლება. და დღეს თუ ხვალ მოვლენ სიმინდის დატვირთული მუშტრები!

— სად იშოვე, ილიკო, ასეთი ჯიშისანი ღორი? — ეკითხები მე.

— მაგი არა, ჩემო ზურიკელა, და მაგის ბებიას დედა ბებიანამ კალენტის მოყოლია თავ-ბანტიდან მხოთვად. მძილი ყოფილა, მუნინია. ბაბუანამ ხარბონს დაუმორცხვებია, ავი სამარცხენო როგორ შემოვუშვა ოჯახშიო და გადავდება დაუბირებია.

— გადავდება ვინ გაიგონა, უნდა დაეკლათ! — თქვა ილარიონმა.

— მაშინ ვინ ჰამდა ჭირანი გოქს, ახლა რომაა, ისე კი არ იყო, — თქვა ილიკომ.

— ახლა ომია და უქირს ხალხს, — ვთქვი მე.

— მართალია, ძალიან უქირს ხალხს, ჩვენ რა გვიშავს, ლენინგრადში თურმე უარეს გა-პირებებაშია ალყადარტყმული ხალხი.

— ლენინგრადი რად გინდა, შე კაცო, სახლში გაცილების შემინია! — თქვა ილარიონმა.

— რა გჭირს? — ჰკითხა ილიკომ.

— რა მჭირს და, რომ გავიციან და კბილს გამოვანენ, ჩემს მამალს სიმინდი ჰგონია და ქო-რივით შემომავრინდება ცხვირ-პირზე.

— დაკალი მერე, ადამიანო! — ვუთხარი მე.

— მერე შენ გახვალ კობიტზე, შენ იყილებ და შენ გამაღვიძებ ყოველ აღმოსვლას? — მკითხა ილარიონმა.

— ჰოდა, იმას ვიყვებოდით, — განაგრძო ილიკომ. — ბაბუანამ ხარბონი გაქანულა, არ დამანახოთ მაგი ჭირისანი გოჭი, თავს ნუ მჭრითო, მაგრამ კალენტი ბებიაჩემს ქვა უსვრია და თავი შეუშვერა, არ იცით თქვენ მაგი რა ჯიშისანია, ცოტა აცალეთო. აცალა თურმე ბაბუანამ და თქვენი თვითონ ხედავთ თქვენი თვალებით, ეს ჩემი სერაპიონა იმ ქვეციანი გოჭის ნაგრაშია.

— ღორი კი არა, ბევრ ვეჯავს ჯობია. — ვთქვი მე.

— ზურიკოს ვენაცვალე, მაგისთანა ოჯახში შემომტანი ვინ გეგულდება ჩვენს სოფელში?! — თქვა ბედნიერი ღიმილით ილიკომ.

— მე თუ მკითხავ, ჩემო ილიკო, რად გინდა, თვალბდაქანული ნაყანადარი ბაბუანის სუ-რათი რომ გიკიდია ბუჩრის თავზე, დაუძახე პავლუშა ფოტოგრაფს, გადაუღე სერაპიონას სურა-თი, გაადიდებე და მაგის უჯეთესს რას დაკიდებ ოჯახში!

— ილარიონა შეგარდნამე, შენ თუ არ გჯობდეს ეს ღორი, მაგის კუბო გამეტანოს მაშინ ამ ოჯახიდან! — თქვა ილიკომ და ილარიონს ისე შეხედა, მიგზვდი, ჩხუბი დაიწყებოდა. ილარიონს თვალი ჩავუკარი, რა დროს ახლა ასეთი გაუფრთხილებელი ხუმრობა იყო, ილიკო იმ ფაზაში გვყავდა შეყვანილი, არაყო უნდა გამოეტანა.

— მაგას უყურებ, ილიკო? ღორი კი არა, ენა რომ მისცა, ადამიანია, — ვთქვი მე. ილიკომ გამომდგლად შემხედა, უტახად გავუსწორე თვალი. ხუმრობის ნატამალი რომ ვერ წაიკითხა ჩემს სახეზე, ადგა და ბუზღუნით წავიდა არაყის გამოსატანად.

— ახლა მოგინდა ხუმრობა? — ვუსაყვედურე ილარიონს, ილიკო რომ გავიდა.

— აგია ცხოვრება? მაგის დრუნჩიან ღორს უბატონოდ ხმას ვერ უნდა ვცემდე? — განწი-რული ხმით თქვა ილარიონმა.

ილიკო შემოვიდა. ერთი ბოთლი არაყი, ორი დაობებული ჯანჯუხა შემოიტანა და წინ და-გვიდგა. ორი პირველი სასმისი უხმოდ გადავკარი. მარტო თავები დაუქნით ერთმანეთს, მე-სამებზე ილიკომ სიტყვა წარმოსთქვა:

— ზურიკელა, შენ ახლა ნასწავლი კაცი გქვია, მართალია, დიდი წვალებით და ცოდვის ტრიალით, მაგრამ მაინც ხომ გადაერთიე მეცხრე კლასში? ჰოდა, ნასწავლი თუ არა, ვაგონილი მაინც გექნება, რომ ჩვენი წინაპარი მაიმუნი ყოფილა.

— ამა შენი წინაპარი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ იცი? — ჩაუბრუნა ილარიონმა. რა ენა-ღვლებოდა, არაყო უკვე გამოტანილი იყო. ილიკომ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— ახლა მე დიდი ნასწავლი კაცი არ ვარ, მაგრამ, არ გგონია სულ მთლად ასე ყოფილიყო. მე გგონია სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა წინაპარი ყავდა. მაგალითად, სერაპიონა სეფერთელა-ძის წინაპარი არ შეიძლება ღორი არ ყოფილიყო, შეხედე აგერ ჩემს სერაპიონას და შეხედე მერე სერაპიონა სეფერთელაძეს, არ არიან ტყულები? მერე რა მოხდა, ჩემმა სერაპიონამ ლაპარაკი რომ არ იცის, ხომ იბადება ზოგი კაცი მუნჯი? ასეა, ალბათ, ჩემი სერაპიონაც.

შეიძლებოდა ილიკოსათვის მუცენერულად დამემტკიცებინა, რომ ღორი არ შეიძლება ადამი-ანის წინაპარი იყოს, მაგრამ ილიკოს რას დაარწმუნებდი, როდესაც აგერ გვერდით ისეთი უტყუ-არი საბუთი ეწვა, ენა რომ ამოედგა, სერაპიონა სეფერთელაძე გვეგონებოდათ.



— მაგას ვეტყვი მე სერაპიონა სეფერთელაძეს, ჩემო ილიკო, და შენ და შენს უჯიშო ლეტიქიანელს ოთხში ამოვლებთ ორთავეს, — თქვა ილარიონმა.

— წაიღე და უთხარი, თვითონ არ იცის თუ? ახლა უკეთესი კიდევ; ამ ჩვენს ილარიონს ხომ უყურებ? — ილარიონი რაღაც უბედურების მოლოდინში გაინაბა.

— როგორ არ ვუყურებ!

— მაგის ჯიუტი ხასიათი ხომ იცი?

— ცოტა კია ჯიუტი.

— მაგის სიცილი ხომ მოგისმენია? ყროყინს რომ გავს!

თავი დავექნიე.

— მაგის დიდ ყურებს ხომ ხედავ? — ამაზე უარის თქმა აღარ შეიძლებოდა, ფაქტი იყო.

— ჰოდა, დამიმტკიცე ახლა, თუ ბიჭი ხარ, რომ ილარიონას წინაპარი ვიცი არ იყო!

ილარიონს ჯანჯუხა ყელში გაეჩხირა, ხველება აუვარდა, თხილს და ფელამუსს საფანჯივით ისროდა პირიდან. ხველება რომ გაათავა, ადგა, ქული აიღო, ჭიშკრისაკენ წავიდა, სასოებით გამოხედა ბოთლში დარჩენილ არაყს, მერე მობრუნდა, დასხა არაყი, სულმოუთქმელად გადაკრა და უხმოდ წავიდა. ჭიშკართან რომ მივიდა, ისევ შემობრუნდა.

— ჰაიტ შე ბრუციანო, შენ! — დასკყივლა ილიკოს და კარი გაიხურა.

ილიკო წხამალა ხითხითებდა და კმაყოფილი ისრესდა ერთადერთ თვალს.

ერთ კვირაში სერაპიონას აშკარად დაეტყო, რომ მის მშობიარობას დიდი-დიდი თხუთმეტი დღე აკლდა. დაიწყო ილიკოს ეზოში მუშტარმა დენა. ილიკო მუშტარს სიმინდს ართმევდა და სამაგიეროდ ასეთ ხელწერილს აძლევდა:

„მე, ილიკო ჩიოვგიძემ, ამა და ამ კაცისგან მივიღე ერთი ფუთი სიმინდის კაკალი, სამაგიეროდ ვაღლებული ვარ მივეცი ერთი გოჭი (აქ იწერებოდა ნეზეგი თუ ტახი), ძეძუს ჭამას რომ დაეთხოვება, მერე“. ერთი უბედურება სჭირდა ილიკოს — ხელწერილების გაცემის დროს ყველას ნეზეგი გოჭი უნდოდა სანაშენოდ, იშვიათად ვინმეს ტახი წაიყვანა, ამის გამო იყო გოუთავებელი ჩხუბი და კამათი.

— კაცო, რამ გადაგრიათ, სად გავონილა თორმეტი ნეზეგი გოჭი დაბადოს! — ყვიროდა განწირული ხმით ილიკო.

— რატომ, კაცო, აგერ კუჭულია ცინცაქეს თორმეტი გოგო არ ყავს?

— ჰოდა, აგერ არის კუჭულიაც, სერაპიონაც და მათ მოვლაპარაკეთ, ხელწერილსაც კუჭულია მოგცემთ. მე არაფერი არ ვიცი!

— ილიკო ჩიოვგიძე, ცოტა ახალგაზრდა რომ იყო, ამოგაპრობდი ენას! — იქაჩებოდა კუჭულია ცინცაქე.

— ცოტა ახალგაზრდა რომ ვიყო, გაგზლიჩავდი ნაკერავზე! — უტევდა ილიკო.

მუშტარებში ისეთი ხალხიც ვრია, რომლებიც გოჭზე კი არა, პირდაპირ სერაპიონაზე ევაჭრებოდნენ ილიკოს, მაგრამ ილიკოს ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა და ამიტომ ცხოვრებას საღი თვალის უყურებდა, სულს გაყიდდა და სერაპიონას არა, ერთი სურბელი ჩალვადარი ცხენსაც კი აძლევდა ილიკოს სერაპიონაში.

— ილიკო, მომეცი მაგი ღორი, რა გინდა მეტი, ცხენს გაძლევ შიგ, შემოდევზე ორას ფურცელ ნაძვის ყავარსაც ჩამოგიტან სურბიდან.

— ახლა სამხედრო მდგომარეობაა, ჩემო ასლან, შენს ცხენს ქე წვიყვანს კავალერია და ჩემი სერაპიონა ვის რად უნდა?

— ილიკო, ჰიტლერი კარზეა მონღღარი, გირჩევნია მომყიდე ღორი, თორემ სულ ერთია, ოხრად დაგრჩება, — აშინებდა ილიკოს ასლანი.

— იმის მოსელამდე არაფერი გეტყინოს, ჩემო ასლან, და თუ იცი, ჰიტლერი ჩემი ღორისთვისაა წამოსული ბერლინიდან? — ეკითხებოდა ილიკო.

ამის შემდეგ ასლანს ხელის ჩაქნევის მეტი არაფერი დარჩენოდა.

ერთ საღამოს ილიკო ჩვენს ეზოში ჩამოვიდა და ერთი ბათმანი სიმინდი დადო ზღმარტლის ძირში.

— რა არის ეს, ილიკო? — ჰკითხა ბებია.

— გუშინ, ჩემო ოლა, თერთმეტი ხელწერილი გავეცი სერაპიონას თაობაზე, თერთმეტი ფუთი სიმინდი მიღვეს ახლა სახლში, შემოდგომამდე აღარაფერი მიჭირს.

— თერთმეტი ფუთი სიმინდი რატომ, ილიკო, სერაპიონას ჯერ თორმეტ გოჭზე ნაკლები რომ არ დაუბადებია?

— ერთი გოჭი ჩემს სახელზე შენს კუდიან ბიჭს, ზურციკელს ვაჩუქე, ეს ერთი ბათმანი სიმინდიც საჩუქრად მოგიტანეთ. არ მიწყინო, ოლა, შენი ჭირიმე, კი იცი შენ, როგორ მიყვარს შენი ბიჭი მე.



— ღმერთო მაღალო, შენი მუხლების კირიმე, შენ ააცე ილიკო ჩიკოვადის ოჯახს, შენ გაამარავე მისი ნაგრაში, მშვიდობა და სიხარული მიეცი მის ჩამომავალს. — დაილოცა ბე-
ბია და აცემვლებულ ილიკოს შუბლზე აკოცა.

— ამღამით მე და შენ ერთად წავიდეთ წისქვილზე, ერთ საათში გამოვიარე. — მოთხრა ილი-
კომ და წავიდა.

კარგად გათენებული არ იყო, მე და ილიკომ სოფელში რომ შემოვდგით ფეხი. ქათმებით
დახუნძლულ ხეებზე თვალდახუჭული მამლები კისრის ძარღვებს ქაჩავდნენ, თითქოს ერთმა-
ნეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო შორს გაავიწიოს. უცებ საშინელი შეცხადება გავიგონეთ.

— მაშეოა! — მოთხრა ილიკომ, — საცოდავს ბიჟის ამბავი ხომ არ მოუვიდა ჯარიდან? —
ფეხს აფრქვართ.

— რაღა ჩემს ეზოში მოუსავდა ამ შეჩვენებულს, რა დააჯერებს ახლა იმ მყარალ ბერი-
კაცს, ჩემი ბრალი რომ არაა! — განაგრძობდა მაშეო. ილიკო გაკვირებული მიყურებდა.

— ღმერთო, რაღა ჩემს ეზოში ჩამოათრიე, ილიკო ჩიკოვადის ეზოში ადგილი არ იყო?! —
მოთქვამდა მაშეო. ილიკო გაშეშდა, მოუსავდა და საფუქვანიან ჩაჯდა გზაზე. ტომარა და-
ვადე და გავიქეცი. მივირბინე მაშეოს ეზოსთან და რას ცხედავ — სერაპიონა დაგორებულა
მაშეოს ეზოში, დრუნნი წაუგრძელებია და კრუსუნებს.

— რა მოხდა, მაშეო! — მივეარდი გაფოფრილ მაშეოს.

— აგერ ღობეში გამომძვარა სერაპიონა და შევდარი გოკები მოყარა. რამდენჯერ ვუ-
თხარი ილიკოს, დაადევი უღელი, თორემ გაგამწარებს-მეთქი, არა და არ იქნა ამის უღლის და-
დება, უყაროს ახლა კეკელი... — მომბატრა მაშეომ.

მეზობლები მოგროვდნენ, ზოგი გოკის მომავალი პატრონი, ზოგი უბრალოდ შეშინებუ-
ლი, ზოგიც სერიას საყურებლად მოსული. ყველაზე გვიან ეზოში ილიკო ჩამოვიდა. კაცის ფე-
რი აღარ ედო. ფეხს ძლივს ითრევდა. მივიდა სერაპიონასთან და დიდხანს, დიდხანს უყურა,
მერე მოიხადა ქული, მიწაზე დაანარცხა და თქვა:

— შევარცხინე, ღმერთო, შენი სამართალი, რა ვქნა ახლა!

— რა მოხდა, შე კაცო, ხომ არ მომკედარა, მაგის ტემპერამენტი რომ ვიცი, ერთ თვეში
კლდე დაშავდება, — თქვა ვილაყამ. ხალხმა მორიდებით გაიღიმა.

— ამ ხელწერილებს რა ვუყო?! — თქვა ილიკომ და მუხლმოკვეთილი დაეშვა მიწაზე.

— რა უნდა უყო, ხელწერილში ხომ გიწერია „ძუძუს ჭამას რომ დავთხოვებთან, მერე
უნდა მივცეო“? აიღე და დაუბრევე მის-მის პატრონს, აწი მაგენი რომ ძუძუს ჭამენ, ისე ჭამა
შენმა მტერმა, — თქვა ილარიონმა. ყველას გაეცინა.

— ილიკო ბოუციანო, ას ძაგ ღიოს გამოუცვალე სახელი, ან დარიშხანს დაგაღვივებთ
ორივეს! — მოვარდა აქვლებული სერაპიონა სეფერთელად.

— რა ვინდა, შე ღეთის პირიდან ვადეარდნილო! — შეუღრინა ილიკომ.

— რა მინდა?! მთელ სოფელში ხმა დავარდა სერაპიონამ გოკები მოყარაო და ზღვა ხალ-
ხია ჩემს სახლთან თავმოყრილი. გაფრთხილებ, ილიკო, ან ღორს სახელი გამოუცვალე და
თავს ნუ მჭრი, ან გავარდნილი ტყვია ვარ შენთვის!

ახლა მარტო ჩვენ კი არა, ილიკოც ხარხარებდა. გაქანული სერაპიონა სეფერთელადე კი
ორ კაცს გაყავდა მაშეოს ეზოდან.

— ისე, თორმეტზე გოკი ნეზვია, თუ ხედავთ! — თქვა ილიკომ და კუჭულია ცინცამეს
გადახედა.

— წამოდი, შეილო, ამას ცალი ფეხი სამარეში რომ ედვას, მინც არ მოიშლის ხუმრო-
ბას, — თქვა კუჭულია ცინცამე და თავისი ერთ-ერთი, ხოჭოსავით შავი გოგო წინ გაიგდო.
მეზობლები ნელ-ნელა დაიშალნენ. დავრჩით მარტო მე, ილარიონი, ილიკო და სერაპიონა.

— ამან დააქცია ჩემი ოჯახი, — თქვა ილიკომ.

— ადექი, ილიკო, — თქვა ილარიონმა.

— ადექი, ილიკო, — ეთქვი მე და ილიკო ადგა. იმ ღამით ჩვენ სამთავენი დავთვერიო
ილიკოსთან.

სიმფიზის აბესტატი

ღრო საოცარი სისწრაფით ვარბოდა. დღეები ლადარში გამომცხვარი ბებიაჩემის მკაღები-
ვით აღარ გავდნენ ერთმანეთს. ყოველ ახალ დღეს ახალი სიხარული მოყვებოდა. შინ ბრუნდ-
ბოდნენ ჯარში წასული ძმები და მამები, შინმოუსვლელთა პატრონები იმედით სავსე თვალე-
ბით გაჟურებდნენ სოფლის შარას და ელოდნენ.



ჩვენი ოჯახიდან ჯარში არავინ იყო წასული, მაგრამ მეც ველოდი. ყოველ დღე ხვდებოდნენ და სოფელში მოსულ საბარგო მანქანებს, რომლებსაც დაქირებები, ხეობები, ორდენისნებნი, სრულიად ჯანსაღები, სახედაღარული და გარუჯული მეომრები მოჰყავდათ. სხვებთან ერთად ვკოცნიდი და ვეხვეოდი მათ. უცნობები უხერხულად მიღიმოდნენ, ნაცნობები ლოყაზე ხელს მითათუნებდნენ და ამბობდნენ: რამხელა გაზრდილა, დაეკაცებულაო. სოფელში ბრუნდებოდა ოთხი წლის წინათ გათენების ქამს მოულოდნელად წასული სიხარული, ბედნიერება და მშვიდობა, და სოფელი ხვდებოდა მას, როგორც დიდი ხნის დაკარგულ და შინ-მობრუნებულ შვილს. ეს იყო 1945 წელი.

სკოლაში მეცადინეობა შეწყვეტილი იყო. ჩვენ გამოცდებისათვის ვემზადებოდით. მე და მერი დიდიდანი მივიდოდით სოფლის ბოლოში უპატრონოდ მიგდებულ ძველ წისქვილთან. მიგვექონდა წიგნები, რვეულები, ფანქრები. ვჯდებოდით კაკლის ძირში და ვმეცადინებოდით. დღესაც მე და მერი კაკლის ძირში ვსხედვართ და ქართულ ზეპირს ვიმეორებთ.

— ლექსი ზებირად უნდა იცოდე, — მეუბნება მერი და მიკითხავს ვალაქიონის ლექსს:

გულო, ოცნებას მალაე,
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ვიცი: დაცა, ქალაე!
ქალი: დაგიბრმეს თოლი!

— ამას ბებიანჩემი ასე იტყვოდა — შენ დაგედსო თვალები, შე უცხვირიბირო! — გამბობ მე. მერი კარკაცებს და ტუჩზე ხელს მფარავს, ნუ მიშლიო. მერე მე ვკითხულობ ლექსს, რომელიც პროგრამაში არ არის, მაგრამ მე მიყვარს; ვიცი, გამოცდაზე არ მკითხავენ ამ ლექსს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი მას.

...ქსანზე, არაგვზე ისევ ყვავიანი
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩები ისე ტკბილია,
როგორც ბადავი დადუღებისას.

მერის მუხლებზე ხელები შემოუხვევია, თავი უკან გადაუგდია და სადღაც მალა. კაკლის ფოთლებში ჩამომდნარ მზის სხივს ვასცქერის უსასრულობაში.

მოდი, გეძახი ათას წლის შემდეგ,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა... —

განვავრძობ მე.

— შენ კიდევ არ მოიშალე, ბიჭო, ლექსების წერა? — მომესმა უცებ. თითქოს ცივი წყალი ვდამასხესო, ისე შემოვტრიალდი. ჩემს უკან ილარიონი იდგა და ხითხითებდა. მერი წამოდგა, კავიერებულმა შემხედა.

- საგამოცდოდ ვემზადები, ილარიონ. გამარჯობა შენი!
- კარგად ემზადები, შენ ნუ მომიყვებები, გაგიმარჯოს! — მითხრა ილარიონმა და ჩამოჯდა. მე და მერი გარშემო შემოვუხსხელით.
- როგორაა თქვენი საქმე? — თქვა ილარიონმა.
- ვამთავრებთ, ილარიონ ბიძია! — თქვა მერიმ.
- ამთავრებთ, თუ ახლა იწყებთ? — იკითხა ილარიონმა.
- შენ ხომ არ გვაქვს, ილარიონ, ერთი გამოცდა დავგერჩა! — ვთქვი მე.
- ერთი გამოცდა დავგერჩათ კი არა და გამოცდა ახლა გეწყებათ, ჩემო ზურციკო. მე რაზეც ვკვითხებები, ის მითხარი შენ!

მივხვდი, ილარიონი რასაც ვკვითხებოდა, მაგრამ ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერაფერი ვკვირე და მხრები ავიჩეხე.

ილარიონმა ჯოხით კენჭს დაუწყო ჩიჩქნა. როგორც იქნა, მოთხარა, გადმოაბრუნა. მერე ჯოხი გაჰკრა და შორს მოისროლა. თუთუნი ხომ არ გაქვსო, — მკითხა. უარი რომ ვუთხარი, ათვისი ამოიღო, დინჯად გაახვია და გააყოლა. ერთხანს თვალი გააყოლა კვამლის ქულას, რომელმაც საავდრო ღრუბელივით გადაგვიარა თავზე მე და მერის, და უცებ წარმოთქვა სიტყვა, რომლის მსგავსი მე ილარიონისგან არ მომესმინა მანამდე.



— ცხოვრება, ჩემო ბიძიებო, წისქვილს ვაგს. აგერ, ქვევით, ხომ ხედავთ ბუჩქნაღწევის ბედის ჩარხი და ბორბალია. აგერ ღარში რომ წყალი მოდის, ის სიცოცხლეა, ძალაა. წყალი მავარია, ბიძიებო. წყალი ცეცხლზე მავარია. ქარზე მავარიც არის. წყალი ქვეს ხერტს. ამ ძალას როგორც მიუშვებ, ისე იბრუნებს წისქვილი. ეს წყალი ამუშავებს ამ წისქვილს. მოდის მერე ხალხი, ზოგი ფეხავს, ზოგი ღერღავს, ზოგი მინდს იღებს, ზოგი არაფერს არ აკეთებს, ტყუილად მოდის წისქვილში, ზის მთელი დღე, უგდებს ყურს სარეველას კაკუნს და მიდის მერე. ეს წყალი ახალგაზრდობაა, ჩემო ბიძიებო. ჩვენ რომ კოლმეურნეობის წისქვილს ვაშენებდით, ლაშის ღელის წყალი მივუშვით ღარზე, არ ეყო ძალა, ვერ დაატრიალა ბორბალი. მერე მეორე დღეუდ ვამოვავადეთ ლაშის ღელეში. ორი იმხელა ვახდა, ძალაც ეყო და წისქვილი კინაღამ წაიღო. ვეყურებოთ, რას ვეუბნებით? ორი მდინარე მავარია. მართალია, ადიდება და მოვარდნა იცის ვაზაფხულზე, ჯებირსაც დაარღვევს, წისქვილს ბორბალსაც გამოსტაცებს ხოლმე. მაგრამ ამა როგორ ვინდა?! ჯებირს გამავრება უნდა, ბორბალს გამოცვლა, ისე რის წისქვილია. ჰოდა, ეს ძალა ახალგაზრდობაშია, ჩემო ბიძიებო. ამ წისქვილს რომ უყურებთ, მშვენიერი წისქვილია, მაგრამ რად ვინდა, — წყალი არ აქვს. წისქვილს თუ წყალი არ ექნა, მაშინ ჰაერში გამოკიდებული ოთხი კედელია, მეტი არაფერი. ახლა თქვენ ამთავრებთ ათწლეულს და კიდევ ისწავლით, ალბათ. ნამუხანს ნუ გადაყვებით, თორემ ქალაქმა სოფლის დაიწყებდა იცის. ამხანაგის და ნათესავის დაიწყებდაც იცის. შენ მიდიხარ ქალაქში სასწავლებლად, შვილო? — უცებ ჰკითხა ილარიონმა მერის.

— არა, ილარიონ ბიძია, წელს ვერ წავალ, — თქვა მერიმ.

— ამა არა უშავს, ეს ბიჭი აღარ დაგვეკარგება, — თქვა ილარიონმა და თიები მომჭახა. მერიმ თავი ჩაღუნა. ილარიონი ადგა, ჩვენც ავდექით.

— თქვენია ქვეყანა, ბიძიებო, თქვენი, ამა ჩვენ — მე და ილიკო იმას ვგეგმავთ, — თქვა ილარიონმა და წისქვილის ეზოში დაგდებული ძველი დოღბისაყენ გაგვახედა, რომელზედაც დიდი ნაცრისფერი ხელიკი ამჭვრალიყო, თვალები დაეხუტა, ოთხში ამოღებულივით გაჰიმულიყო და მთელი არხებით ნებზერობდა იგნისის მცხუნვარე მზეზე.

*

სიმწიფის ატესტატები საზეიმო ვითარებაში გამოგვეცეს სოფლის ჩაის პუნქტში, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში კლუბის მაგიერობასაც სწევდა. ჩვენს სკოლის სასულე ორკესტრი არ ჰყავდა, ამიტომ ტუშის დამკერვლებად რაიონიდან დასადღავებაზე რომ მუსიკოსებს ჭირაობენ, ისინი მოვიყვანეთ. სანამ საზეიმო სხდომა დაიწყებოდა, სასულე ორკესტრმა რომელის დაკვეთით „ღელას ყავდა ერთი შვილი“ დაკერა. მერე მე ვთხოვე ორკესტრანტებს რამე უფრო მხიარული დაკერათ და უფროსს, კლარნეტზე რომ უკრავდა, შვიდი მანეთი ჩავუკაშე ჯიბეში. ორკესტრმა „სპირიდონა ძამია!“ დასცხო, მერე ვილაყამ თხოვა „ხასანბეგურა“ დაუკრითო. მაგრამ ორკესტრის უფროსმა უარი უთხრა — მაგას ჩვენი ორკესტრი ვერ ასრულებს, კრიმანჭული არ გამოვდისო.

შუადღეზე ყველამ მოიყარა თავი და საზეიმო სხდომა დაიწყო. პრეზიდენტში მასწავლებლები და ნიქიერი მოსწავლეების შრომლები ისხდნენ. ბებია ვერ ესწრებოდა სხდომას და ამიტომ პრეზიდენტში ერთი სკამი ცარიელი იდგა.

სკოლის დირექტორმა თავის შესავალ სიტყვაში მოკლედ მოხაზა განათლების მნიშვნელობა ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში. მერე გეთხრა, რომ ჩვენ დღეიდან დამოუკიდებელი ხალხი ვართ, რომ სკოლამ რაც შეეძლო მოგვცა და ვაგვიყვით, რომ აწი როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით, თუნდაც კისერი გვიტენია. მერე ანზანის მიხედვით დავეიწყეთ გამოძახება. თეთვული მოსწავლის გამოძახების იგი ამ მოსწავლეს მოკლედ ახასიათებდა, სიმწიფის ატესტატს აძლევდა, ხელს ართმევდა მაგრად. მერე გაიხედავდა პავლუშა ფოტოგრაფისკენ, რომელსაც აპარატზე ჩამოკიდებული ოყნა მზად ჰქონდა: პავლუშის ნიშანზე გაშეშდებოდა, პავლუშა აოს დაითვლიდა გუნებაში და უცებ ხელს დაიქნევდა — მორჩა, ჩიტი გამოფრინდაო. და სწორედ მაშინ ორკესტრი ტუშს დასცხებდა.

ჩემი დახასიათებისას ორკესტრის წევრებს დაეუწყალო, საზეიმო სხდომაზე რომ იყვნენ და „თავო ჩემო“ დაუკრეს. დირექტორმა თვალები დააბრიალა და ორკესტრი „თავო ჩემოდან“ უცებ ტუშზე გადავიდა. საზეიმო სხდომის შემდეგ საკონცერტო განყოფილება უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან უნდა ემღერა ჩვენი სოფლის გუნდს, რომელიც ათასჯერ გვყავდა მოსმენილი, ყველანი შინ წავიდეთ.

სახლში რომ მივედი და ბებია სიმწიფის ატესტატი ვაჩვენე, ბებია მ გულში ჩამიკრა, — აწი რა მომკლავსო, — თქვა და ცრემლებით დაასველა ჩემი ატესტატი. მერე უცებ სერიოზულა.



გამოტყვევლება მიიღო, ირიბად გამოიხედა, ატესტატი მაგიდაზე დადო და ოთახიდან გადმოვიდა. ვერ ვაივინე, რას აპირებდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ეზოში ბებია ჩამოვიდა, იგი წინ მოუძღვებოდა ილიკოსა და ილარიონს. სამივენი ოთახში შემოვიდნენ.

— დაჯექით, მეზობლებო! — თქვა ბებიამ. ილიკო და ილარიონი დასდნენ.

— რა ქენი, ბიჭო, კიდევ რამე უბედურება ჩაიდინე? — მკითხა ილარიონმა.

— არაფერი, სიმწიფის ატესტატი მოვიტანე! — ვთქვი მე და ატესტატი ვაუწოდე.

— სწორედ ამ სიმწიფის ატესტატის თაობაზე დავიძახეთ, — თქვა ბებიამ. — ნახეთ ერთი, ღვთის გულისათვის, ნამდვილი სიმწიფის ატესტატი თუ ისეთია, შარშან რომ ქების სიველი მომიტანა და მერე სხვისი აღმოჩნდა.

ილარიონმა ატესტატი ჩამომართვა, დიდხანს ატრიალა ხელში, ხან ბუკვლად დააკვირდა, ხან ხელმოაწერდა, მერე მწვანე ქაღალდს სინათლეზე ვახედა და ილიკოს გადასცა. ილიკომ იგივე გააკეთა, ოღონდ უფრო გულდასმით და ატესტატი ბებიას ვაუწოდა.

— მაგისია, წყალი არ გაუეცა! — თქვა ილიკომ.

— ნამდვილად? — ჰკითხა ბებიამ.

— ნამდვილად: ჯერ ერთი, სიმწიფის ატესტატის ბლანკს მაგი ვერ იშოვიდა, მერე მეორე — ბუკვლი ნამდვილია. მერე მესამე — ატესტატი მეორე მხრიდან რუსულადაა შევსებული, ზაბლონის მოწიფე ამას რუსულად ვერ შეავსებდა. მერე მეოთხე — ვერ ხედავ, ერთი ოთხი რომ არ ურევია და სამებითაა გატენილი?

— შენ გაიხარე, ილიკო! — შევებით ამოისუნთქა ბებიამ.

ილარიონმა ისევ აიღო ატესტატი.

— სიმწიფის ატესტატი — დამარცვლა მან. მერე ადგა, შუბლზე შუანა თითი დამოკაქუნა, ყური მიუვლო, როგორ ხმას გამოიღებო. შედეგით უკმაყოფილომ კოპები შეიკრა და ილიკოს უთხრა:

— აგი თუ მწიფია, ჩემო ილიკო, მაშინ მე ღვივა ვყოფილვარ.

— არა უშვავ, — თქვა ილიკომ, — ქალაქში რომ პაილორი მიაქვთ გასაყიდად, კუხეს კრეფენ. არ დაიუყლიტოსო, მერე გზაში მწიფდება. ალბათ, მაგასაც მასე მოუვა.

— რადგანაც მასია, გადაეწყვიტოთ ახლა რა ქნას, სად მოეწყოს, რა პროფესია აირჩიოს. ასე შიშველი გადარეულივით ხომ არ წავა ქალაქში, რალაც გვემა ხომ უნდა ჰქონდეს კაცს? — თქვა ილარიონმა და გადახედა ილიკოს.

— რომელ ფაქულტეტზე აპირებ შესვლას, ბიჭო? — მკითხა ილიკომ. მე მხრები ავიჩიჩე.

— ჩემი შვილიშვილი ექიმი უნდა გამოვიდეს! — თქვა ბებიამ. — მოხუცდი აწი და მოვლა-პატრონობა მინდა!

— მაინცდამაინც მაგის ხელისგან გინდა მოკვდე? — თქვა ილიკომ.

— მე მგონი ისტორიულზე აჯობებს, ისტორიკოსები თანამდებობის კაცები გამოდიან! — თქვა ილარიონმა.

— იურისტობა ჯობია! — თქვა ილიკომ. — ხომ ხედავ, ჩვენი მოსამართლე დასაზღა კაცი, ჩვეს სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალ-ცალი კალოში ეცვა, ახლა ტყავის პალტოში და რეზინის ჩექმაშია გამოქიმული.

— იქნება ლიტერატურულზე შესულიყო, ლექსის წერა ეხერხება და ენაგატლეკილიც არის, მეტი რა უნდა! — დაიწყო ილიკომ ლაზღანდარობა.

— რამე ისეთი არ არსებობს, პირდაპირ პროფესორი რომ გამოვიდეს? — იკითხა ბებია-ჩემმა.

— როგორ არ არსებობს, მაგი სასწავლებელი ილიკოს აქვს დამთავრებული, ახლა ბიჭი ყავს გაგზავნილი. — თქვა ილარიონმა.

— ილარიონ შევარდნაძე, ჩემი ბიჭი ბევრ პროფესორს ჯობია, თვეში ოთხას მანათ თეთრ ფარას მიგზავნის ქალაქიდან, და მთელი რაიონის განათლება მაგას ახარია.

— არ გადამრიო! მართლა, ილარიონ? — თქვა ბებიაჩემმა.

— კი, მაგის ბიჭი ორჯონიკიძის რაიონში სინათლის ფულს აგროვებს, ჩემო ოღლა.

ილიკოს რალაც ბიჭი თქვა უნდოდა, მაგრამ ქვეყანამ იცოდა მისი ბიჭის ამბავი და რალა ეუქმოდა.

— მაინც სად გინდა შეხვიდე, შე უპატრონო, აღარ იტყვი? ხომ ხედავ, გადმოაგდო თავისი მყარალი ენა და მწამლავს კაცს! — შემომიტია ილიკომ.

— მე საარტისტოზე მინდა! — ვთქვი უცებ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

- დამეფსო თვალები, მრავალკოლიანი გინდა გამოხვიდე? — შემიცხადა უცებ ბებია.
- ვაი შენს პატრონს! — თქვა ილიკომ.
- საბჭომ გათენებამდე ვასტანა, ბოლოს ილარიონის აზრმა გაიმარჯვა. მისი აზრით, ჩემი შარვლის პატრონი ეკონომიურზე უნდა შესულიყო, რათა მომავალი ცხოვრება ეკონომიურად და მატერიალურად უზრუნველყოფილი ჰქონოდა. ბებიამ გულიდან ჩამოიხსნა ვერცხლის ჯაჭვზე დაკიდებული დიდი ბრტყელი გასაღები, მივიდა დიდ სკივრთან, რომელსაც სეფთვის ეძახდა, სასოებით ამოალაგა იქიდან ბაბუაჩემის ნაქონი, მუხლებსა და საჯდომზე სიმაგრისა; თვის ტყავამოკრული მწვანე ხავერდის გალიფე, ჩემი ფეხისთვის სამი ნომრით დიდი ნალგებიანი ხრომის ჩექმა, შავი კარაკულის ფაფახი, ჯიბეებიანი შალის ხალათი, ვერცხლის ქაშარი, ჩემს წინ დალაგა, თვალზე მომდგარო ცრემლები კაბის კალთით შეიმშრალა და მითხრა:
- ა, შეილო, ჩაიციე, შენს უკეთესი ვინ ჩაიცივას. აბა მათხოვარივით ხომ არ გავიშვებ უცხო ქვეყანაში? შენისთანა გამოწყობილი ერთი არ უნდა დადიოდეს ქალაქში. — ბებია გულში ჩაიეკარი, თვალები დაეუკოცნე, მერე მეორე ოთახში გავედი, გამოეწყვე და ისე გამოეცხადი კომისიის წინაშე.
- სიმონა დოლიძეს არ გავს ეს შეჩვენებული? — თქვა ილიკომ და სახე ამარიდა.
- კვირას, ალოონზე, მე, ბებია, ილარიონი და ილიკო სოფლის შარაზე ვიდექით და ყველა გამკლულ მანქანას ხელს ვუქნევდით. ირიბად წვიმდა, იყო ქარი და ციოდა.
- შოფერს გრაფინიაში ჩაუჯექი! — მარიგებდა ბებია.
- ნიორის ჭამა არ დავაგვიწყდეს, რამე არ შეგეყაროს! — მეუბნებოდა ილარიონი.
- ვაგონში რომ შეხვალ, ლადეკალონი გადაისხი თავზე, კბენარი და ბალღონჯო არ შეგაგოდეს! — მაფრთხილებდა ილიკო.
- ჩასული რომ არ მეგონო, წერილი აქ იყოს!
- დემეშა გამოგზავნე, ფული თუ არ დაგირჩა, ვინმეს გამოატანე, უფრო მალე მოვა!
- ქალაქელ ბიჭებს არ აყვე!
- მალე ჩამოდი.
- ჩემს ბიჭთან მიდი, გადაგყვება ზედ.
- ღვინო თუ დაგჭირდეს, არ მომერიდო!
- როგორც იქნა, ერთმა საბარკო მანქანამ გავეიხერა. მძღოლს კაბინაში ბავშვიანი ქალი ეჯდა. ბებიამ სამჯერ დამატრიალა წალმა, ილიკომ და ილარიონმა სამ-სამჯერ ჩამკოცნეს, — აბა, შენ იციო. მითხრეს და ძარაზე ავძვერი. მანქანა დაიძრა. უცებ შარაზე გამოჩნდა გოგონა. იგი მობრბოდა, ხელში რაღაც გახვეული ეჭირა, მობრბოდა გამეტებით. მანქანამ სვლას უმატა. გოგონამ სირბილს, მერე უკლო, ნაბიჯით მივიდა იმ ადგილას, სადაც ბებია, ილიკო და ილარიონი იდგნენ. დიდხანს უყურა მანქანას, მერე მიბრუნდა და ილიკოს მკერდში ჩარგო სახე. ალბათ, ტიროდა. ვტიროდი მეც, მანქანის ძარაზე ამჭერალი. მანქანა კი მიჰქროდა და სულ უფრო მაშორებდა ოთხ საყვარელ ადამიანს. ირიბად წვიმდა. იყო ქარი და ციოდა. იქ, შორს. იდგნენ ოთხნი, ილიკოს მკერდზე ტიროდა გოგონა. ვტიროდი მეც და მიხაროდა, რომ ის ტიროდა. იყო წვიმა, იყო ქარი, იყო მზეც, სიყვარულიც იყო, სიხარულის ცრემლიც. და, ალბათ, ილიკოს აღარ უკვირდა, როგორ იყო მთვარე ცაზე, როდესაც თოდდა, რატომ ვიყავი უძილო, რატომ მდიოდა სიხარულის ცრემლი, და რა მიხაროდა მე ამ ქვეყანაზე.
- მანქანა მიჰქროდა. სოფლის შარაზე აღარავინ მოჩანდა. მე ვიდექი ძარაზე და ვწურწულებდი:
- მშვიდობით, ბებია!
 - მშვიდობით, ილარიონს!
 - მშვიდობით, ილიკო!
 - მშვიდობით, მერი!



ალბანეთი

ხალხური მუსიკის ფესტივალი

წელს, შემოდგომაზე, ტირანაში მოეწყობა ხალხური მუსიკის ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური საკრავების ორკესტრები, მომღერლები, მსოფლიოები და მოცეკვავეები, რომლებიც გამოავლენენ ალბანური ფოლკლორის მთელს სიმდიდრეს.

არგენტინა

თეატრის კრიზისი

„სულ მალე არგენტინის დედაქალაქი შესაძლოა უთეატროდ დარჩეს“, — წერს ჟურნალი „ვეა და ლეა“. ჟურნალი აღნიშნავს, რომ თეატრალური მოღვაწეობა არგენტინაში თანდათან მცირდება, თითქმის ყოველ წელს იხურება თითო თეატრი. თუ 1935 წელს ბუენოს-აირესში 50 თეატრი იყო, 1959 წლისათვის 21 დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში ორ მათი-ონამდე გაიზარდა, გადარჩენილი თეატრებიდანაც ბევრს მოვლის მოსპობა, მრავალი სათეატრო დარბაზი კინოდარბაზად გადაკეთდა. „ერთი ხანობა — ისინებებს ჟურნალი — ბუენოს-აირესი სამართლიანად ითვლებოდა ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების თეატრალური ცხოვრების ცენტრად; მალე ის იქცევა ლათინური ამერიკის დედაქალა-

ქად, სადაც თეატრების რიცხვი უზომოდ მცირე იქნება“.

თეატრალური კრიზისი გამოწვევა არა მარტო დედაქალაქში; არამედ მთელს არგენტინაშიაც, პროვინციული თეატრები საწყობებად აქცეიეს.

ამას წინათ ბუენოს-აირესში მოეწყო სპეციალური პრესკონფერენცია, რომელიც მიმდევნა თეატრალურ კრიზისს. ამ პრესკონფერენციის მონაწილე თეატრალურმა საზოგადოებამ აუცილებლად მიიჩნია საგანგებო გაერთიანების შექმნა, რომელიც იბრძოლებს არგენტინული თეატრის აღსადგენად.

ა რ უ

სამპრტომელოს დადგმები

შექსპირის ამერიკული ასოციაციის ოფიციალურ ორგანოში „შექსპირ კვორტერი“ გამოქვეყნდა ვინმე ალის გრიფინის ბიბლიოგრაფიული ნაშრომი შექსპირის თეატრალურ დადგმათა შესახებ მსოფლიო თეატრების სცენაზე 1956 — 1957 წლების სეზონში. ამ ნაშრომში ვხვდებით შემდეგ ორ ცნობას:

„ამლექტი“ — დეკემბერი-იანვარი. საქართველოს სსრ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ქალაქი ბათუმი. სსრკ. სახელმწიფო ქართული თეატრი. დამდგმელები არჩილ ჩხარტიშვილი და შალვა ინსარაძე მხატვარი გ. ცენტრაძე“.

„რიჩარდ III“ — მაისი. საქართველოს სსრ. ქალაქი თბილისი. სსრკ. კ. შარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატ-

რი. დამდგმელი ვასილ ყუშიტაშვილი. მხატვარი ჟოზეფ სუმბათაშვილი. კომპოზიტორი კ. მეღვინეთ-უზუცესი“.

„სტანისლავსკის მემკვიდრეობა“

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის 60 წლისთავისა და კ. ს. სტანისლავსკის 95 წლისთავის აღხანიშნავად ნიუ-იორკში გამოვიდა წიგნი „სტანისლავსკის მემკვიდრეობა“, რომელშიც თავმოყრილია გამოჩენილი რეჟისორის სიტყვები, სტატიები, შენიშვნები და მკვლევანობები.

ამერიკულმა თეატრალურმა ჟურნალმა „ტიეტრ არტს“ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნა სტატია სტანისლავსკისა და მისი მეთოდის შესახებ.

ხელს იზანს...

ლოს-ანჯელოსის წიგნის კომპანიის „დაუსონს ბუქშოპის“ ბიულეტენი „კატალოგი 303“ იტყობინება, რომ ებტონ სინკლერმა თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან გაუიდა ჯექ ლონდონის თხზულებათა ორმოცი ტომი.

ცნობილია, რომ ეს მწერლები თავის დროზე მეგობრობდნენ და ერთად მონაწილეობდნენ სოციალურ ბრძოლაში. მაშინ აჩუქა ჯექ ლონდონმა სინკლერს ეს წიგნები თავისი ავტოგრაფებით.

რამ აძიულა ებტონ სინკლერი ჩაღის ფასად გაუიდა მეგობრის ნაწუქარა წიგნები? ამის მიზეზი არ უნდა იყოს მატერიალური ხელმოკლეობა.



საფორტებელია, რომ რაკი სინკლერიმა უღალატა ამერიკელ მშრომელთა საქმეს, მან აღარ ისურვა წიგნის თაროზე ჰქონილა თავისი „სინკლერის შეცდომათა“ უტყვი მოწმებები.

სტინენბერის ახალი რომანი

„ოდესღაც იყო ომი“ — ასეთი ხათური აქვს ცნობილი ამერიკელი მწერლის ჯონ სტინენბერის ახალი რომანს. მკორე მსოფლიო ომის დროს სტინენბერი ამერიკული გაზეთების კორესპონდენტად იყო გაგზავნილი ინგლისში, ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში. ახალი რომანი გვაცნობს მწერლის ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროის ჩანაწერებსა და შთაბეჭდილებებს.

50.000 წლის თესვამ ინარა

ვაშინგტონის ნაციონალურ პარკში იხარა ლოტოსმა, რომლის თესლი 50.000 წლისაა. თესლის „ასაკი“ ნახშირბადის რადიოიზოტოპის მეშვეობით დაადგინეს მანჯურიასში, იმ ადგილწვეთ, სადაც იპოვნეს. სპეციალისტებმა იმედს გამოთქვავენ, რომ სხვა უძველესი მცენარეების თესლებიც განიხარებენ.

საბჭოთა მფარლები ამერიკაში

ამერიკაში ინგლისურ ენაზე გამოვიდა საბჭოთა მწერლების მოთხრობები. ამერიკელ მკითხველს შეუძლია თუნდაც თითო მოთხრობით გაეცნოს ტოხოვს, პალსტოვსკის, ინბერს და ნაგიბინს.

ბარდინცვალა ჰოლივუდის მემბრანი

გარდაიცვალა ჰოლივუდის ერთ-ერთი „მეფე“ — რეჟისორი-დირექტორი სესილ ბლონტი დე მილი. კინოხელოვნების ზოგად ისტორიის აზრით იგი

ჰოლივუდის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, მას ეკუთვნის მთელი რიგი ნოვატორული გამოგონებანი კინოტექნიკის დარგში (განსაკუთრებით ფერადი კინოს შექმნაში).

დე მილის ფილმები ძირითადად იმით იქცევა ყურადღებას, რომ მათ გადახალებად ყოველთვის „უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა“ (მისი თითო ფილმი ზოგჯერ მილიონობით დოლარი ჯდებოდა), ხოლო მოქმედ პირთა რაოდენობა ხშირად ათასებს აღწევდა.

დე მილის ფილმების ძირითად შინაარსს შეადგენდა ბილიური თემატიკა — „იესოს ცხოვრება“, „მეფეთა მეფე“, „სამსრნი და დალილა“, „ათი მცნება“ და სხვ. მილი ამბობდა, მინდა კაცების, ქალებისა და ბავშვების გონების თავალი კვლავ სახარებისკენ მივაყურრო.

ოქროს ბრამფირიტბ

ამერიკაში ჩვეულებად იქცა ის ამბავი, რომ როცა რომელიმე გრამფირიტის ტირაჟი 1 მილიონს მიაღწევს, მომღერალს, რომელმაც ეს ფირფიტა ჩააწერინა, ოქროს გრამფირიტას აჩუქებენ ხოლმე. პოპულარულმა ამერიკელმა ჯაზის მომღერალმა ფრენკი ლეინმა (წარმოშობით იტალიელი) ამას წინათ მიიღო მეცამეტე ოქროს გრამფირიტა.

ჰემინგუეის ინტერვიუ

ჰემინგუემ კუბაზე უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბების თაობაზე ინტერვიუ მისცა ამერიკელ ჟურნალისტს უოტსონს. მისი აზრით კასტროს აჯანყება კუბაზე მომხდარი პირველი რევოლუციაა, რომელიც იმსახურებს ამ სახელწოდებას. ეს არ ყოფილა გაყვლილი ხალხის მიერ ექსპლოატატორთა უბრალო ჩამოფრება. ბატისტას რეჟიმს წარმოუდგენელი სისასტიკითა და საღიზმით სდევნიდა თავის მოწინააღ-

მდეგებს. და თუ ვინმეს უჩრხულებს ასამართლებენ და სიკვდილით სჯიან, ჰემინგუეს აზრით, ესაა ერთადერთი შესაძლო გამოსავალი, ვინაიდან სხვაგვარად მათ სულ ერთია თვითონ ხალხი ან რომელიმე შურისმგებელი მოუღებდა ბოლოს. „მე პო-ს ვეუბნები კასტროს რევოლუციას, რადგან მას მხარს უჭერს ხალხი, მე კი მუამს ხალხისა“, თქვა ჰემინგუემ. მან განაცხადა: კვლავ მინდა დავბრუნდე კუბაზე, სადაც ბოლო წლებში გამოუღმებით ვცხოვრობდი და ვპოვე სიუჟეტები რომანისა „ქონება და არქონება“ და მოთხრობისა „ბერიკადი და ზღვა“.

მუსიკის კრიტიკოსის აღიარება

„ძაღვე მძიმეა სერიოზული მუსიკოსის გზა ამერიკის შეერთებულ შტატებში“, — აღიარებს კრიტიკოსი როს პარმენტერი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ მოთავსებულ სტატიაში. მისი ხატკვით, ძნელია თავიც მისტანო, დაოსტატდე კიდევ და მხატვრული დამოუკიდებლობაც შეინარჩუნო. მხოლოდ დიდი ორკესტრების წყაყვანი ღირფსობები იღებენ კარგ ხელფასს (ასეთები სახელმწიფოში მხოლოდ 28 კაცია), დანარჩენები კი საარსებო მინიმუმსაც ვერ შოულობენ.

ბანა

პირველი ქამბული

ამას წინათ კავშირგამბულობისა და რადიოგადაცემის სამინისტრომ გამოსცა ლექსებისა და ანდაზების ერთტომეული, რომელშიაც შეტანილია მანამდე ხალხში შეპირისპირებურად გავრცელებული ფოლკლორული ხასიათის მასალეი. შავი აფრიკის ხალხის ისტორიაში ესაა პირველი წიგნი, რომელიც გამოიცა მ ადგილობრივ ენაზე, აგრეთვე ინგლისურ ენაზეც. კრებულს ერთ-



თვის აგრეთვე პატარ-პატარა მოთხრობების, ლექსებისა და პიესების სერია, რომელიც ასახავს ვანის ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ბერამანი

ბერამანის დემოკრატიული რესპუბლიკა

ახალი პრეზიდენტი

ბერლინის სამხატვრო აკადემიაში მოხდა ნაწილობრივი არჩევნები. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არჩეული არიან მწერალი ვილი ბრედელი, კომპოზიტორი პაულ დესაუ და კომიუტო პაულის დირექტორი ვალტერ ფელზენშტეინი. აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეული არიან საბჭოთა მოცეკვავე გალინა ულანოვა და პროგრესული ჰოლანდიელი მწერალი ტონ დე-ფრისი.

ჰაინრიხ მანის პრემიები

ამის წინათ მოხდა 1959 წლის ჰაინრიხ მანის სახელობის პრემიების გადაცემა. გერმანიის ხელოვნების აკადემიამ ჯილდოები გადასცა ჰანს ლორს ბერს, ცოლ-ქმარს ინგა და ჰაინერ მიულერებს.

ჰანს ლორსბერს პრემია მიეკუთვნა რომანისათვის „განსაწმენდელი“, და მოთხრობათა კრებულისათვის. მისი წარმომებზე ემსახურებთან გერმანელი ხალხის დემოკრატიული სულიანკვეთებით აღზრდას. რომანში „განსაწმენდელი მან პირველად შესაძლო მხატვრულად აესახა ლუთერის სახე გერმანულ ლიტერატურაში.

ინგა და ჰაინერ მიულერებმა პრემია მიიღეს პიესებისათვის, რომლებშიც გაბედულად გააძვირეს და ახსნილია გერმანული სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები.

მიმართვა უველა ხელოვანს

გღრ-ს 10 წლისთავთან დაკავშირებით (1959 წლის 7 ოქტომბერი) ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდმა“ ამის წინათ გამოაქვეყნა კულტურის სამინისტროს, მხატვართა, მწერართა და კომპოზიტორთა კავშირების შემდეგი მოწოდება:

„ჩვენ მივმართავთ უველა ხელოვანს, მწერალს, დრამატურგს, პოეტს, მხატვარს, კომპოზიტორს, კინომუშაკს, გამოავლინონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი, უნარი და ნიჭი, და მდიდარი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ნაწარმოებების შექმნით ვეჩვენონ, რომ ისინი ნამდვილად ახალი, სოციალისტურ-შემანისებელი კულტურის შექმნენი არიან გერმანიაში.“

ინგლისური ფილმების ფესტივალი

ბერლინში ახლანა დაშთავრდა ინგლისური ფილმების ფესტივალი, რომელიც ლონდონში ჩატარებულ გღრ-ს ფილმების ფესტივალის საპასუხოდ გაიმართა.

ფესტივალმა დიდი წარმატებით ჩაიარა. 7 დღის განმავლობაში გერმანულმა მაყურებელმა ნახა 7 ინგლისური ფილმი: „ჰამლეტი“, „რიჩარდ III“, „რომეო და ჯულიეტა“, „სერიოზულობა უველაფერია“, „ერთიველი მაინც იყო მილიონერი“, „მიშველეთ, ექიმი მოდის“ და „გრძელი ხელი“.

როგორც გაუთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, ფილმების გაცემა-გამოცემა დიდი ინტერესს გამოიწვია ლონდონსა და ბერლინში. მან ხელი შეუწყო გერმანიასა და ინგლისს შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, უარდა ახად იმ ცრუ პროპაგანდას, რომელსაც ეწვივან გღრ-ს წინააღმდეგ.

კინომსახიობებმა დოროტი

ტიუტინმა და ბაზილ ჰარტმანმა განაცხადეს: „ჩვენი აზრით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ სახეებით ეწინააღმდეგება ინგლისში გავრცელებულ აზრს. ჩვენ შეგობრებთან ვიყავით, მათი შეხვედრები და სიტყვები გულწრფელი, გულთბილი და ხალასი იყო. ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთმეგობრობას და ურთიერთგაგებას განამტკიცებს კულტურული კავშირის შემდგომი გაღრმავება.“

გღრმ შეისყიდა ფესტივალზე ნაჩვენები უველა ფილმი. გარდა „გრძელი ხელისა“.

შილერის დღეები

დიდი გაცხოველებით ეშვადღებან შილერის იუბილეისთვის, რომელიც ნოემბერში ჩატარდება. ქ. ვაიმარში დაიწყება პოეტის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც გაიხსნება 6 ნოემბერს სამეცნიერო კონფერენციით. ვაიმარის ნაციონალურ თეატრში გაიხსნება გამოფენა „შილერის სენაზე“, ჩატარდება ვაიმარის ახლანაზრდობის ფესტივალი. ეკრანზეც გამოვა ახალი მხატვრული ფილმი „ვერაგობა და სიყვარულის“ მიხედვით (რეჟისორი მარტინ პელბერგი), ნაჩვენები იქნება აგრეთვე დოკუმენტური ფილმი „შილერზე“. გარდა ამისა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების თეატრებში, კულტურის სახელებსა და კლუბებში ჩატარდება საღამოები, გამოვა წიგნი შილერის შესახებ და შილერის ნაწარმოებთა სრული კრებული.

მინდელსონის ხელნაწერი

ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექციაში იპოვნეს ხელნაწერი მინდელსონის კანტატისა, რომელიც ავტორმა მიუძღვნა ალექსანდრე პუშკინს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა I ყროლობის გამო ბერლინში 1828 წელს. ეს ხელ-



ნაწერი დაკარგულად ითვლებოდა. კანტატას შესარულებენ მაისში, მუმბოლდტის საიუბილეო დაღეძეში, პროფესორ ფრანც კონვიჩნის დირიჟორობით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ველარ ცნობათ...

ამას წინათ ეკრანებზე სრულიად შეცვლილი სახით აჩვენეს ჩარლი ჩაპლინის ცნობილი ფილმი „ახალი დროება“. ეს მწვევე სატირა უბრალო, იაფფასიან კომედიადაა ქცეული. მიუხეხენის შურნალი „პანორამა“ წერს, ვისაც ეს ფილმი საზღვარგარეთ უნახავს, ვერცო იცნობს, იმდენად ფაღსიფიცირებულაა ყველაფერი ამ ოდესღაც შესანიშნავ ფილმშიო.

თანამედროვე ჟაიდაზე

დასავლეთ გერმანიის თეატრმა ბოხუმმა პარიზის ეროვნული თეატრის სცენაზე მეტად „თავისებურად“ დადგა „შექსპირის „იულიუს კეისარი“. მაგალითად, კასიო და მისი მომხრე შეიქმუდნი სცენაზე გამოდიან სავიომარ ლაბადებში გამოწყობილნი, ხოლო ბრუტუსი თანამედროვე ავეჯით მოწყობილ ოთახში ზის და ფიქრობს რომის ბედობაზე. ბროქლის ველი წარმოადგენლია კოსმიური რაკეტების მოვლანილობის ორი კონუსის სახით. იულიუს კეისარი უწყინარი შემოილიდა, ხოლო ბრუტუსი ერთი თავზეხელაღებული ხულივანი.

საფრანგეთის პრესამ ერთსულოვნად დაიწუნა ეს დასავლეთ-გერმანული „ნაწარმი“.

ხელმეორედ სტრემებს სამოგლობოს

„საომარი სულისკვეთების წინააღმდეგ“ — ასე დასათაურა გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ფრიც ფონ უნრუმ თავისი საჯარო გამოსვლა და-

სავლეთ გერმანიის პრესაში. „იდე ანდერე ცაიტუნგი“ ამბობს, ესაა მწერლის უკანასკნელი გამოვლა: მწერალმა, რომელმაც ერთხელ უკვე დასტოვა გერმანია, განაცხადა, ისევ მივდივარ საზღვარგარეთო. იქვე აღნიშნავს, რომ ფრიც ფონ უნრუმ სინამდვილეში უკვე კარგა ხანია „შინ აღარ არის“. მწერალმა ჯერ კიდევ ამ უნწლის წინათ მიატოვა სამშობლო. მაშინ იგი ჰიტლერის საომარ რეჟიმს გაექცა და ამერიკაში გადაიხვეწა. დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეებისათვის იგი ახლაც უცხოა რჩება. „ფედერაციული რესპუბლიკის თეატრებში მისი ნაწარმოებები არ იდგება, ხოლო გამოცემლები მის წიგნებს არ ბეჭდავენ“. ბონის რესპუბლიკა აშკარა მილიტარიზაციის გზას ადგას და მას აღარ ესაქიროება შეიარაღების მოწინააღმდეგე მწერალი.

ფრიც ფონ უნრუმ შემოთხებულია და აცხადებს: ვიდრე გვიან არაა, თავს არ დავაგებებ მოწოდებასა და გაფრთხილებასო. შურნალი აღნიშნავს, რომ მწერალს არც ამერიკის მიმართ აქვს ილუზიები, მაგრამ, იკაური ამბები ასე მანისაც არ მატყენენ გულს და არ შემაშფოთებენო. „გერმანია... სათვის მე მხოლოდ ერთი რამ მჩრება, — ამბობს მწერალი, — ესაა გაფრთხილება... იქნებ აღმოჩნდეს ყური, რომელიც შეისმენს“.

ღირსად არ ცნის

ქ. ლიუბეკის სენატმა გადაწყვიტა თომას მანის სახელი მიენიჭებინა ქალაქის ერთ-ერთი ქალთა გიმნაზიისათვის. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გაილაშქრეს ადენაუერის პარტიის წევრებმა, რომელთა აზრით სახელგანთქმული გერმანელი მწერალი, ლიუბეკის საპატიო მოქალაქე, თავისი პოლიტიკური პოზიციის გამო ღირსი არაა ასეთი პატივისხ.

რამივიზი
კინემატოგრაფიული

წელს კინოპრემია „ბამბი“ მიენიჭათ ჯინა ლოლორტივიდას და ტონი კერტისს, როგორც საუკეთესო უცხოელ მსახიობებს, მეორედ და მესამედ ადგილი მოიპოვეს ამერიკელმა მსახიობმა ქალმა ოდრი ჰეპბერმა და ფრანგმა მსახიობმა ქალმა ნორიჯიტ ბარდომ, ხოლო მამაკაც მსახიობთა შორის — ამერიკელმა რუკ-მადსონმა და ფრანგმა უან მარემ. საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმების პრემია მიეკუთვნათ საბჭოთა ფილმს „მიფრინავენ წეროება“ და ამერიკულ ფილმს „ხიდი მდინარე კვიაზე“.

ღანი

შპველესი კულტურის აღმოჩენა

დანიურმა ვაზეთმა „ლანგოგ ფოლკმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა ცნობილი მწერლის ჰანს კირკის საუბარი პროფესორ პ. ვ. გლობთან, რომელიც ხელმძღვანელობს დანიის არქეოლოგიურ ექსპედიციას სპარსეთის ყურეს ჰაბრუნის კუშპულეებზე. ექსპედიციამ აქ აღმოაჩინა უძველესი ტაძრების საძირკვლები და ხელოვნების აურაცხელი ნიმუში, რომლებიც მიეკუთვნება დღემდე სრულიად უცნობ უძველეს, სავსებით მომწიფებულ კულტურას. პროფ. გლობი ამტკიცებს, უძველესი ქალაქი დღემდის აღმოვაჩინეო. ვინაიდან გათხრები კიდევ გრძელდება, მან ჯერ ვერ მოიცვალა ნაპოვნი მასალები და საგნების მეცნიერულად დამუშავებისათვის, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი შენატენი იქნება არაბული აღმოსავლეთის უძველეს კულტურათა საგანძურისა.

სსსპნეთი

დონ კოსტო
კომუნისტი!

საბჭოთა ფილმმა „დონ კოსტო“ როგორც იქნა ფრანკისტულ ესპანეთშიც მიადგინა და აი როგორ შეეძდა მას ესპანური გაზეთი „ინფორმაციონი“: „უნდა ვამხილოთ ეს საიდუმლო აგენტი, რომელიც დაეხეტება ლა-მანჩის ველებზე და კომუნისტურ იდეებს ავრცელებს. ასეთი ფილმი ჩვენ არავითარ ინტერესს არ აღვიძრავს“. უნდა აღინიშნოს, რომ ფილმს დიდი წარმატება აქვს მაყურებლებში.

პიეტრო ნენის ახალი წიგნი

გამოცემლობა „ავანტიმ“ გამოსცა პიეტრო ნენის ახალი წიგნი „სპანია“. ეს ნაწარმოები ასახავს სამოქალაქო ომს ესპანეთში — პიეტრო ნენის უშუალოდ მონაწილეობდა ამ ომში, როგორც საერთაშორისო ბრიგადების კომისარი.

სიურპრეალისტური ფილმი

ესპანელმა სიურრეალისტმა მხატვარმა სალვატორე დალიმ განაცხადა, მინდა ახლა კინოში ვცალო ბედიო. ის ამზადებს ფილმს, რომლის მთავარი გმირი იქნება... ჩვეულებრივი წერტილი. მხატვარმა მთავარი გმირი ქალის როლი შესთავაზა იტალიელ კინოსმსახიობს სილვანა მანიანის. ამბობენ, მანიანმა იწყინა და უარი თქვაო. დალი ისედა დარჩენია, რომ ან განაგრძოს მსახიობის ძებნა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, თვითონვე იყოსროს იმ თავისი წერტილის პარტნიორობა.

იაკონია

მსოფლიოში უდიდესი ტრაკიოში შენდება აღმოჩენილი კულტურის ბილიოთეკა, რომელიც მსოფლიოში უდიდესი იქნება. ამ ორგანიზაციას, სადაც თავმოყრილი იქნება აზიის მხატვრული და

ლიტერატურული სიმდიდრენი, საფუძვლად დაედო წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მეშვეობით 1954 წელს გაუგზავნა პოეტმა გო მო-უომ. ამას მოჰყვა საჩუქრები ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების მხატვრებისა, სწავლულებისა და ორგანიზაციებისაგან. ამიერიდან ყველა ეს კოლექცია ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ინგლისი

თეატრის გასაპირი

ლონდონის ერთ-ერთი უძველესი თეატრი კვენტ-გარდენი წელს სახელმწიფოსაგან იღებს 362,000 გირვანჯა სტერლინგს სუფსიდიას. ეს თანხა ვერ სწვდება თეატრის ხარჯებს, რადგან კრიზისის ძირეული გადაქრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ სუფსიდიამ ნახევარ მილიონ გირვანჯა სტერლინგს მაინც მიაღწევს.

პოლ რობსონი ოტელოს როლში

შექსპირის სამშობლო ქალაქ სტრეტფორდში დიდი დრამატურგის მემორიალური თეატრის წლევანდელი სეზონის „ოტელიოთი“ გაიხსნა.

ვაზეთ „დეილი უორკერის“ ცნობით მემორიალური თეატრის ეს დაღვმა აღინიშნება სამი დადებითი მომენტით: ოტელოს როლს შესანიშნავად ასრულებს ცნობილი ზანგი მომღერალი და მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლი პოლ რობსონი. გარდა ამისა, საინტერესოა ტონი რიჩარდსონის რეჟისორული ნამუშევარი და დაუდონ სეინტილის მხატვრობა.

აღნიშნავენ რობსონის დაფიქრებულ, მაღალსტატურ თამაშს, რამაც განსაზღვრა კედლე სპექტაკლის წარმატება.

ამასთან წითელთებენ დაჯერებულ მსახიობთა თამაშის სპექტაკლში ხარვეზებზე: რეცენზენტ მიკე მაიზონის აზრით, სემ უენინ-მეიერის იაკო მეტად სადავო სცენური სახეა, ამ როლის გააზრება სეროფულუ ვადასინჯვას მოითხოვს. მსახიობი მეტისმეტად გაუტაცნია იაკოს სიბოროტის ვარცხნილ ჩვენებას, რაც, ბუნებრივია, სქემატურად და წარმოშობდა.

მერი იურის მიერ შექმნილი დეზდემონას სახეც საკმაოდ სუსტი ყოფილა. თურმე მაყურებელი განცვიფრებულია, რანაირად შეძლო რობსონის ოტელოს „ასეთი შინაარსგამოცლილი დედაკაცის შეყვარებაო“.

კარგე შთაბეჭდილება დაუტოვებთ ვენეციის მთავრისა (მსახიობი იან ჰოლმი) და კასიოს (მსახიობი ალბერტ ფინეი) როლების შემსრულებლებს. მაგარა, როგორც რეცენზენტი ასკვნის, „ეს მაინც რობსონის სპექტაკლი, რომლის ტრიუმფი იყო“...

რობსონმა ოტელოს როლი 1943 წელს ითამაშა ამერიკაში. მისი „ოტელიო“ 29-ჯერ იყო წარმოდგენილი, რაც თავისებური სარეკორდო ციფრია შექსპირის ამერიკული თეატრის სცენაზე დადგმის ისტორიაში.

ოლდრიჯის პასუხი მაკმილანს

ინგლისის პრემიერმინისტრმა მაკმილანმა ამას წინათ სსრკავშირში მოგზაურობის გამო თქვა, საბჭოთა აღმიახნება ინგლისს თითქმის მხოლოდ დიკენსის მიხედვით იცნობენო. მის ამ განცხადებას უპასუხა ინგლისელმა მწერალმა ჯიმს ოლდრიჯმა სტატიით, რომელშიაც ურჩევს მაკმილანს, დაავალეთ ინგლისის საელჩოს თანამშრომლებს შეიარაღონ მოსკოვის რომელიც გნებავთ წიგნის მაღაზიაში, სადაც ისინი ადვილად დარწმუნდებიან თქვენი განცხადების უსაფუძვლობაშიო. ზოლო რადგან მკ-



მილანმა ეს განაცხადა ლიტერატურის მეფეობით სავრთაშორისო ურთიერთგაგების თაობაზე, ოლდრიჯი სხვოვს, ერთი გვიხიხართ, რამდენი საბჭოური რომანი წაგიკითხავთ.

პროზის პიქსა
პარკალმს

ინგლისში განუსაზღვრელი ვადით აიკრძალა დადგმა ცნობილი რომანისტი და დრამატურგის კრონინის პიქსისა — „იუპიტერი იცინის“. როგორც ცნობილია, ამ პიქსაში დრამატურგი აშკარა სიმშათის იჩენს ჩინეთისადმი.

სხვათა შორის, „იუპიტერი იცინის“ წარმატებით იღვმება საბჭოთა კავშირში. პიქსა ახლანდა დადგა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა, ხოლო შარშან თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა წარმოადგინეს.

„ისმს დიქსენსებურად“

ბირმინგემის ოლდერმენმა (ე. ი. ქალაქის საბჭოს წევრმა) მარი უოტონმა განაცხადა, რომ ქალაქში 50.000 სახლია, სადაც შეუძლებელია ნორმალური ცხოვრება და სადაც ადამიანები დიქსენის რომანებში აღწერილ პირობებში ცხოვრობენ.

ინფორმაცია

რაჭა კაპურის ახალი ფილმი

ცნობილი ინფორმაციის მხარხარობი და რეჟისორი რაჭა კაპური იღებს ახალ კომედიას „კარგი კაცი“, რომელშიაც მთავარ როლს თვითონვე შეასრულებს.

ინფორმაცია

ქორეოგრაფიული აღმგორბი

ამას წინათ ბანდუნგში წარმოადგინეს ქორეოგრაფიული აღდგორბი „დასავლეთ ირანის ვათავისუფლება“, რომლის შინაარსი ასეთია: გაუმძღარი,

სისხლისმწოველი ობობა თავის ქსელში აბამს საცოდავ ადა. მიანს და ცდილობს მის გაგუღვას, მაგრამ აღმონდებთან ადამიანები, რომლებიც ყოველ დონეს ხმარობენ ტყვის გასათვისუფლებლად და აღწევენ კადეც თვინთ მიჯანს. ამ აღდგორბას დიდი წარმატება ზვდა. ობობას სახით გამოუვანილია ჰოლანდიის იმპერიალიზმი, ტუვისა — დასავლეთ ირანი, ხოლო გამათვისუფლებლები ინდონეზიელი ხალხია.

ირლანდია

ცინის ცხოვრება
სენაზე

ირლანდიელმა მწერალმა ბრენდონ ბეჰანმა, რომელსაც ანტიინგლისური საქმიანობისათვის ახალგაზრდობისას რამდენიმე წლით გამასწორებელ სახლში ყოფნა, ხოლო შემდეგ კი ციხე მიუსაჯეს, გამოსცა თავისი მოგონებები, სადაც აღწერილია ეს ხანა მისი ცხოვრებისა და ლივერპულის ციხეში გაატანა საშინელი ბანდიტური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ბეჰანის ორმა პიქსამ, რომლებშიაც დახატულია ცინის ცხოვრების სურათები. კრიტიკოსთა უმრავლესობის აზრით ბეჰანი ღირსეული მემკვიდრეა დიდი ირლანდიელი მწერლების — ბერნარდ შოუსა და შონ ო'კეისისა. მისი პიქსები მსოფლიოს მრავალ სენაზე დაიდგა.

იტალია

მოუხმარებელი ცოდნა

ამას წინათ გამოცხადდა კონკურსი 8.600 პედაგოგის ადგილზე, მთხოველი კი 123.600 აღმოჩნდა. ამ მამავთან დაკავშირებით შედგა სტატისტიკური ცნობა უმუშევარი მასწავლებლების შესახებ და გამოიჩვენა, რომ 130.000 უმუშევარი პედაგოგი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ იტალიაში

წერაკითხვის უცოდრებლად 5.000.000 კაცი, ასევე უმუშევარი პედაგოგები მშვენივრად ეუფოდნენ წერაკითხვის უსოდინართ, სამუშაოს რომ აძლევდნენ.

ჯანი როდარის ახალი წიგნი

გამოვიდა ჯანი როდარის „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“. პატარა ბიჭი, ჯელსომინო, რომელსაც საცრუად ძლიერი და სასწაულმოქმედი ხმა აქვს, გოგონა რომოტეხასა, კატა ქობინოსა, მანია პანოკიასა და მხატვარ ბანანეტოსთან ერთად მსვდებდა ცრუთა ქვეყანაში. თავის მეგობრებთან ერთად იგი „რევოლუციას“ ახდენს და ცრუთა ქვეყანას მართალთა სახელმწიფოდ აქცევს.

ჯანი როდარის ეს ზღაპარი დიდი მოწონებით მიიღეს პროგრესულმა საზოგადოებამ და პატარა მკითხველებმა. კრიტიკოსმა პიერო დელამანომ დიდი რეცენზია დაუქვდა ვაზეთ „პეზე-სერაში“ ამ ახალი ზღაპრის შესახებ. მისი აზრით ჯანი როდარის ეს ზღაპარი მთელი თავით მალდა დგას იტალიის ბურჟუაზიულ საბავშვო მწერალთა ზღაპრებზე — მისი ზღაპრების გმირებს სძლეთ ძალმოშობება, სიცრუე და პირმოთენობა.

დალამანო იხსენებს ამ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირში მოგზაურობას და უამბობს მკითხველს, თუ რა უდიდესი პოპულარობა აქვთ ჩვენში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში როდარის ნაწარმოებებს, ბოლოს გულისტკივილით დაუბრუნებს, რა სამწუხაროა, რომ სახეებით გასაგები მიწვევების გამო ამ ნიჰური მწერლის სახელი ვაჯივლებით უფრო ნაკლებ პოპულარულია მის სამშობლოში.

მიტაცებული ბანკეული

საზოგადოებრიობის დიდ აღფოთებას იწვევს იტალიის მთავრობის უმოქმედობა იმ

კულტურულ და მხატვრულ ფასეულობათა დაბრუნების საქმეში, რომლებიც გერმანიაში გაზიდეს ჰიტლერელმა ფაშისტებმა იტალიის ოკუპაციის დროს. 14 წელია, რაც ომი დამთავრდა და 6 წელია, რაც დე გასპერმა და ადენაუერმა ხელშეკრულება დადეს, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა ამ განქველდობათა მოქმენადაბრუნების საქმეში. ცნობილი მხატვრული კრიტიკოსი რობერტო ლონგი ვერ კიდევ 1957 წელს გამოვიდა ამ მიზნით შექმნილ იტალია-გერმანიის კომისიიდან — ეს იყო მისი პროტესტი უსაშველო გაქაინურება-გაპინდებათა (რასაც ჰქმნის ადენაუერის მთავრობა) და იტალიის მთავრობის უგუნური პაათის გამო. იტალიის კულტურული და მხატვრული წრეები დიდად ადელვებულნი და აღშფოთებულნი არიან ამის გამო და შიშობენ, სულ არ დაკარგოთ ეროვნული სიმდიდრე, რომლის დაბრუნებაზე ვერაფერობით არაფერს ფიქრობენო.

„გადავარჩინოთ

„ლა სკალა“

„გადავარჩინოთ „ლა სკალა“ — ამ მოწოდებით მიმართავს მილანოს გაზეთი „კორიერ დელა სერა“ იტალიის საზოგადოებრიობას და სთხოვს ფულადი შემოწირულებებით უშველონ მსოფლიოში განთქმულ საოპერო თეატრს, რადგან „ლა სკალას“ უფულობის გამო დახურვა მოელოს.

იუმბოსლავია

მოღაერნიშის ტყვეობაში

ბულგარეთის მწერალთა კავშირის ფურნალ „პლაშკი“ მოთავსებულია გ. ვრბანოვ-კოსტაროვის სტატია „შენიშვნები თანამედროვე იუგოსლავურ ბელეტრისტიკაზე“, რომელშიაც ნათქვამია:

იუგოსლავურმა ლიტერატურამ ფართოდ გაუღო კარი და-

სავლეთის დაცემულობის განწყობილებებს; სწარმოებს აღვირახსნილი პროპაგანდა „სოციალისტური რეალიზმის“ წინააღმდეგ. უკველივე ამის გამო თანამედროვე იუგოსლავურ ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო თავს იჩენს ე. წ. მოღაერნიში. გაჩნდნენ აბსტრაქციაში ჩავარდნილი ახალგაზრდა პოეტები და მწერლები, რომლებიც განგებ ამხინჯებენ ადამიანურ შეტყველებასა და გონიერ აზრს და უგულვებელყოფენ ფაბულას.

სტატიაში მოტანილია ერთი იუგოსლავი კრიტიკოსის აზრისილავ მიხაილოვიჩის აზრით მწერლებზე, არსად მსოფლიოში არ წერენ და არც უწერიათ ისე გაუგებრად და უხეიროდო, ამბობს კრიტიკოსი, როგორც იუგოსლავიაში. ყველაზე ჩვეულებრივ დაილოგიზო იუგოსლავი მწერლები განგებ ცდილობენ ხელი შეუშალონ მკითხველს მიხვდეს, თუ ვინ ან რას ლაპარაკობს. და როცა მკითხველი ბოლოს რის ვიჯვალახით თავს გაართმევს ამ აბლაუბდას, ირკვევა, რომ ერთ კაცს მეორისთვის გამარჯობა უთქვამსო.

სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მწერლები ბაძვენ ერთმანეთს ათასგვარ „სტილიში“, ბრმად მიჰყვებიან სხვადასხვა „ავტორიტეტს“, ხოლო მოღაერნისტი კრიტიკოსები ტაშს უკრავენ და ხობტას ასხამენ „ახალ რეალიზმს“, „წმინდა ხელოვნებას, რომელიც თავისუფალია სავნობრიობისა და დროისაგან“.

ზოგი კრიტიკოსი თავისი ქვეყნის რომანისტთა პირველ რიგში აყენებს იარუ რიზნიკარს. მათ მხედველობაში აქვთ მისი რომანი „რატომღა დამხინჯებული თქვენი სახე“. ამ ნაწარმოებში აღწერილია პათოლოგიური მღვდმარეობა ომში დასახიჩრებული ერთი პარტიზანისა, რომელიც ბოლოს კაცისმკვლელი ხდება. ამ კრიტიკოსთა ქებას იმსახურებს

აგრეთვე სლავკო ნაწარმოები „ორი მარაში“, რომელშიც მთვრალი ექიმის ბოღვის მეთე არაფერია. ვრბანოვ-კოსტაროვის აზრით ამგვარი ლიტერატურის თაყვანისმცემლების გარდა სხვას ახთვის ეყოფა მოთმინება არათი ნაწარმოების ბოლომდე წასაკითხად. მოღაერნისტიზისთვის რეალური სამყარო ან არ არსებობს, ანდა ყურადღების დირის არ არის. მათი ნაწარმოებებშიაღან გამოიციტულია მუშა, ამ უკანასკნელს ისინი მითხველებადაც კარ მიიჩნევენ. ისინი ხელოვნურად და უშედეგოდ ისწრაფვიან გასალონ თავიანთი ნაწარმოებები „პროგრესულობისა“ და „თანამედროვეობის“ იარლიყით. ისინი თავიანთ გმირებს პარტიზანებისა და კომუნისტების სახელით ნათლვენ, ხელოვნურად ხტავენ მათ გმირული რევოლუციების ფონზე, აჭკვიტ მშენებლობის ხარაჩოებზე. ასეთთა ოსკარ დავიროს ნაწარმოები „სიმღერა“. ამ ნაწარმოებში იგი ლაპარაკობს ბრძოლაზე, რომელიც არ ივრძობა, წერს ოკუპაციაზე, თუმცა ამ შემთხვევაში ოკუპაციის წლებში მხოლოდ მარჯვე ფონია მის მიერ აღწერილი თავგადასავლებისა.

ასეთივეა მიოდრავ ბულატოვიჩის მოთხრობათა კრებული „ემუკები მოდიან“. ამ ნაწარმოების „გმირები ცოცხლადვე მკვდარი აღამიანებია. ეხენი არიან ფსიქოპატები და შიზოფრენიკები, რომლებიც ჩაუყრიათ პირქუშ, აშორებულ და შემაზრვენ ვარემოში, სადაც ბოგინობს ნენულება, სიკვდილი, ჩირქმდინარე იარები, სიბინძურე და მატლებდახვეული საფლავები“. ტყუილად როლი აქვს წიგნს ასეთი ემიგრავი: „განა რას წარმოადგენს აღამიანი, რომ ღირდეს მისთვის ზრუნვა?“. თვით მოღაერნისტი კრიტიკოსი პეტრ ჯაჯიჩი ამბობს, მავარი ნერვები უნდა ჰქონდეს ბულატოვიჩის პროზის წამკითხველს, იმდენი



მანინჯი და ხეიბარი ჰყავს ავტორის გამოყვანილით.

ბულატოვიჩის პროზას არ ჩამოუვარდება ბორის ჩოსჩინის „ქურალების სახლი“. უფრონაღ „პლაჰის“ სიტუებით, „ეს უფაბულო რომანი საშინელი და შემარწმუნებელი გამასხრება ადამიანისა“.

ვებანოვ-კოზაროვი აღნიშნავს, „დაცემულობის მოვლენები იუგოსლავურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ნათელი ილუსტრაციაა წონასწორობიდან გამოსული იუგოსლავი ავტორებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციისა. თავიანთ შემოქმედებით ბოლიაში ისინი ნებითა თუ უნებლიეთ ბაძვენ იმას, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო, რაც გაუარბის ადამიანებს და რასაც აწინებს ადამიანის გონიერება“.

ერთ-ერთი უბუცესი იუგოსლავი მწერლის მიროსლავ კრლეფას სიტუებით, „უფროსადევი ეს მხოლოდ იმას მეტყველებს, თუ რაოდენ უდიდოდ იბრან ქედს ისინი სულიერი სილატკის წინაშე“.

შემდეგ სტატიის ავტორი აღნიშნავს, „ვიწინიდან სოციალისტური რევოლუციის მეთოდი იუგოსლავიაში ოფიციალურადაა უარყოფილი, ამიტომ ბევრი ნიჭიერი მწერალი აღარც იყენებს მას. სოციალისტური რევოლუციის მეთოდს რომ იყენებდნენ, მათი ნაწარმოებები გაცილებით ძლიერი, მგზნებარე და ამაღლებებელი იქნება“.

იუგოსლავურ ლიტერატურას გზაზე რომ არ ეხიარებოდეს მოდერნიზმი, ბურჟუაზიული ვავლენა და რევოლუციონიზმი და ტვის არ უნებევდეს ბევრი ნიჭიერი მწერალი, იუგოსლავურ ლიტერატურას გაცილებით მეტი მიღწევები ექნებოდა, — წერს სტატიის ავტორი. — და აზრთა ბრძოლას რომ საფუძვლად ედოს ქეშმარიტი შემოქმედება, ამ ბრძოლაში რომ არ ეროდნენ ბურჟუაზიული შემგონებლები, ანარქონიზმისსტორია და რევოლუციონის-

ტული „რევოლუციონერები“, ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი თავს დაანებებდა მეტაფიზიკას, არ დაიწყებდა სისულელოების წერასა და კოსმოსში ფრენას და გვერდში ამოუდგებოდა იუგოსლავური პროზისა და პოეზიის ისეთ კლტებს, როგორებიც არიან კრლეტი, ანდრიოვი, დესანკა მაქსიმოვიჩი და ლობორცა ცეცარიჩი.

კანადა

პირველი თარგმანები
ამას წინათ გამოსცეს კანადური ლექსების კრებული ინგლისურ ენაზე. კრებული იმითაა ხაინტერესო, რომ შიგ პირველადაა შეტანილი თარგმანები ეკიმოსური და სხვადასხვა წითელკანიანი ხალხების ენებიდან.

ლიბანი

საბმოთ მწერლები
არაბულად
ლიბანის გამოცემლობამ არაბულ ენაზე გამოსცა ბორის პოლევოის რომანი „ამბავი ნაშეილი ადამიანისა“ და გადღწია ნიკოლაევას რომანი „მკა“; ბეირუთის გამოცემლობამ გამოსცა გორკის „თომა გორდევო“ და „არტამანოვების საქმე“, აინის „ბუზარა“; დამასკოში გამოვიდა შჩიპაჩევის ლექსები, რომლებიც თარგმნა ცნობილმა სირიელმა პოეტმა ამჟდ სულიემან ამჟდ-ბა, ტოსონოვის მოთხრობები კრებული, ფადევის „დარბევა“ და პავლენკოს „ტრამალის მწე“; გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა კინორეჟისორის პუდოვკინის წიგნი კინოხელოვნების შესახებ, გორკის „დედა“ და კრიშოვის „ტანკერი დერბენტი“.

სამხრეთ ავრიკის კავშირი

.....და რა არის ცუდი“
მთავრობის ოფიციალურმა ორგანომ „გვერდნმეტ გაზეტ-

მა“ გამოაქვეყნა ახალი, ოცდამეექვსე სია სახელმწიფოში აკრძალული წიგნებისა. ამ სიაში შეტანილია 179 ნაწარმოებში, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით „არასასურველი ან უღირსია“. ამ სიაშია ვ. მაიაკოვსკის „რა არის კარგი და რა არის ცუდი“. ყოველკვირულშია უფრანდლმა „ნიუ ეიჯმა“ გამოაქვეყნა ამ საყვედთაოდ ცნობილი საბავშვო ლექსის მთლიანი თარგმანი და ბოლოს დაუბრუნო: „1955 წლის საბჭო კანონის 126 და 128 მუხლების საფუძველზე ყველა ვინც განზარაბინახავს ან უიღის ამ ლექსს, სწადის დანაშაულს, რისთვისაც ჯარიმდება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ან 1.000 ვირჯანკა სტერლინგით, ან 5 წლის პატიმრობით, ანდა ორივე სასჯელით“.

საფრანგეთი

ახალგაზრდობის ინიციატივით
პარიზის ყველაზე დიდ საკონცერტო დაზბაში „ალგამბრაში“ ნაჩვენები იქნა საბჭოთა ფილმი „კომუნისტი“, რომელიც საფრანგეთში ცნობილია სახელწოდებით — „ეს მოხდა განთავლზე“. ამ ფილმის ჩვენება მოხდა საფრანგეთის კომუნისტი ახალგაზრდობის ინიციატივით.

სახლ „უკვდავთა“ არჩვენები

მაისსა და ივნისში, აკადემიიდან გამოსულ „უკვდავთა“ სანაცვლოდ, უნდა არჩეული იქნან საფრანგეთის აკადემიის ახალი წევრები. ელუარდერიოს მემკვიდრედ ასახლმებენ მეცნიერ-ნატურალისტს უან როსტანს („სირანო დე ბერჟურაკის“ ავტორის ედმონდ როსტანის შვილს). კლოდ ფარერის ადგილს ოხოულოვს პოლ მორანი — პეტენის მთავრობის ყოფილი ელჩი რუმინეთში, მაგრამ მორაკმა, დიუ-

ამელმა და კიდევ ათმა სახელ-
განთქმულმა აკადემიკოსმა გა-
ნაცხადეს, თუ მორანს აირ-
ჩევთ, ყველანი გამოვალთ აკა-
დემიიდანო.

**რინე კლმირის პირველი
თეატრალური დაღმბა**

პარიზის ახლანდელ თეატრა-
ლურ ცხოვრებაში ყველაზე
დიდი სენსაცია ის იყო, რომ
საფრანგეთის სახალხო თეატრ-
მა დაღდა მიუსეს განთქმული
კომედია „ისევარულს ნუ თა-
პაშეში“. პიესა დაღდა მსოფ-
ლიოში სახელგანთქმულმა კი-
ნორტისორმა რენე კლმირმა,
რომლისთვისაც ეს თეატრში
მუშაობის პირველი ცდაა. პიე-
საში მთავარ როლს ასრულებს
ჟერარ ფილიპი, დეკორაციები
ეკუთვნის გამოჩენილ ფრანგ
მახატვარს პინიონს. კრიტიკა
ერთხელად აღტაცების გა-
მთქვამს მიუსეს პიესის და-
ღმვის გამო.

**„X საუკუნის მარკო
პოლო“**

პარიზის ეკრანებზე აჩვენეს
პროგრესული კინორეჟისორის
რობერ მენეგოზის დიდი დო-
კუმენტური ფილმი — „ჩინუ-
რი კედლის მიღმა“. ამ ფილმის
ტიქსტი, სიმართლითა და საფუ-
ძვლიანად რომ აღწერს ახალ
ჩინეთს, დაწერა მწერალმა
ქალმა სიმონა ბოვუარმა, რო-
მელმაც ამ რამდენიმე წლის
შუალ სენსაცია გამოიწვია თა-
ვისი წიგნით — „დიდი ლაშქ-
რობა“ — ეს იყო კრებული
რეპორტაჟებისა, სადაც ასახუ-
ლი იყო ჩინეთის სახალხო გა-
მათავისუფლებელი არმიის სა-
სახელო ლაშქრობა. საფრან-
გეთში მენეგოს „X საუკუნის
მარკო პოლო“ უწოდეს.

„მირთ კვირა ღმეს“

პროგრესული ფრანგი ახალ-
გაზრდობის ცხოვრება არანაკ-
ლებ პროგრესულ ივრში — აი
თქმა კინოფილმისა, რომელსაც
იღებს ახალგაზრდა კინორეჟი-
ოსი ალო კირუ. მის ქალამს

ეკუთვნის კრიტიკული წიგნი—
„ისევარული, ეროტიკა და
ფილმი“ და სატირა — „ნამდ-
ვილი მაყურებლის სახელმძღ-
ვანელო“. ფილმს ეწოდება
„ერო კვირა ღმეს“ და, რო-
გორც ჩანს, ეს იქნება პატარა
კინოფილმები, თუმცა მისი
ჩვენება 20 წუთზე მეტს არ
გასტანს. სცენარის დაწერაში
მონაწილეობდნენ ახალგაზრ-
დები, უმთავრესად ივრის ქარ-
ხნებრს მუშა ახალგაზრდობა;
ბევრი მათგანი ითამაშებს კი-
დეც ამ ფილმში, რომელმაც
უნდა გვიჩვენოს მუშა ახალ-
გაზრდობის ჯანსაღი სახე.

**„აფრიკული მუსიკის
ანთოლოგია“**

ცნობილი მუსიკისმცოდნე
ჰერბერტ პეპერმა გამოსცა
„აფრიკული მუსიკის ანთოლო-
გია“, რომელიც უთუოდ პირ-
ველია მსოფლიოში. პეპერმა
ამ წიგნზე მუშაობას 15 წელი-
წადი მოაწოდოა. ის მთელს აფ-
რიკაში აგროვებდა ხალხურ
სიმღერებს და იწერდა ნაწი-
ლებს. წიგნის უმეტესი ნაწი-
ლი ეძღვნება ცენტრალური
კონგოს მუსიკას, რომელიც,
როგორც აპობენ, ყველაზე
ორიგინალური შემოქმედების
რიაონად ითვლება დღემდე.
შეგროვებული მასალების თე-
ორიული ანალიზისა და სანო-
ტო ჩანაწერების გარდა ანთო-
ლოგიაში დაბეჭდილია სიმღე-
რების ტექსტიც მშობლიურ
ენაზე და რამდენიმე მსოფლიო
ენაზე.

უნგრეთი

**ხორტის უპანასკნელი
ღღემაი**

ბუდაპეშტის კინოსტუდიამ
ამას წინათ დაამთავრა კინოკო-
მედია „უკანასკნელი აქტი“,
რომელიც შედგება ხორტის
ეპოქის დოკუმენტური და რე-
პორტიორული ფილმებისაგან
და გვიზატავს ხორტისტული
უნგრეთის უკანასკნელი დღე-
ბის სურათს.

ფინეთი

**სამრსაშორისო
თეატრალური
კონგრესი**

1 — 7 ივნისს ჰელსინკში ჩა-
ტარდება თეატრმცოდნეობის
საერთაშორისო ინსტიტუტის
IX კონგრესი. კონგრესზე გან-
ხილული იქნება თანამედროვე
ავანგარდული თეატრის მიმარ-
თულებანი. პროგრამაშია აგ-
რეთვე მრავალი პრაქტიკული
საკითხი, მაგალითად, მსახიო-
ბების საერთაშორისო გაცვლა-
გამოცვლა და თეატრალური
დახების საერთაშორისო გას-
ტროლების მოწყობა.

შვეიცარია

**საშადრაკო
გაერთიანების
150 წლისთავი**

ციურიხის საქადრაკო გაერ-
თიანება, რომელიც ერთ-
ერთი უძველესია მსოფლიო-
ში, აღნიშნავს თავისი დაარს-
ებისა და განუწყვეტელი საქად-
რაკო საქმიანობის 150 წლის-
თავს. ამის გამო ეწყობა დიდი
საქადრაკო ტურნირი, რომელ-
ზეც მიწვეული არიან საბჭოთა
მოქადრაკეები ტალი და კარესი,
იუგოსლაველი გლიგორიჩი და
ამერიკელი მოქადრაკე-ვენ-
დერკინდი ზობი ფიშერი.

ჩეხოსლოვაკია

**პართიული მემორების
დაქარგვა**

ჩეხოსლოვაკიის პრესა გულ-
წრფელი გულისტკივილით გა-
მოხებმურა მწერალ შალვა
გვინჩიძის გარდაცვალებას. ლი-
ტერატურული გაზეთი „ლიტე-
რატურული სიახლენი“ წერს:
„თბილისში გარდაიცვალა ჩვე-
ნი ენის მცოდნე და ჩეხური-
დან ქართულად მთარგმნელი
შ ა ლ დ კ ვ ი ნ ი ძ ე.
გარდა ჟურნალ-გაზეთებში გა-
მოქვეყნებული მრავალი ჩე-
ხური მოთხრობისა და სტატი-
ისა, მან ცალკე წიგნად გამოსცა
კარელ ჩაპეის მოთხრობათა



კრებული, ი. ა. კომენსკის რჩეული ნაწერები, ჰაშეკის „შევიკი“ და მისი თეატრისათვის გადამუშავებული ვარიანტი. ჩეხურმა კულტურამ მისი სახით დაჰკარგა გულმხუვრაველი და დაუქანცავი პრამაგანდისტი“. შურნალი „კულტურა“ წერს: „...ევირა არ გავიღოდა, რომ ქართულ შურნალ-გაზეთებში არ ყოფილიყო სტატია ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი რაიმე კულტურული მოვლენის შესახებ — და ამ სტატიას ყოველთვის შეეღვა გვიჩიოდნენ და ხელს. განსაცვიფრებელი იყო მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ...ჩემმა ხალხმა მისი სახით დაჰკარგა თავდაღებული მეგობარი“.

ფუჩიკის პირველი გიოგრაფია

ჩემმა ლიტერატურისმცოდნემ მოიძიარა ვარიანტი ახალგაზრდობისათვის დაწერა იუდეუსე ფუჩიკის ბელეტრიზირებული ბიოგრაფია — ესაა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის პირველი ბიოგრაფია. მიუხედავად უაზრობისა, ესაა სერიოზული ნაშრომი ლიტერატურისმცოდნეობის დარგში. როცა ვარიანტი განიხილავდა აქწერა ფუჩიკის საოცრად დრამატული ცხოვრება, მან

შეაგროვა რაც კი რამ სტატია ან მოგონება არსებობდა, შეისწავლა ლიტერატურული და დოკუმენტური მასალები, იცნაობრა ყველას, ვინც კი ეცნობდა ან ვისაც უმუშავნია ფუჩიკთან.

„პრალის გაზაფხული“

პრალში გაიხსნა „1959 წლის პრალის გაზაფხულის“ ერთ-ერთი ღონისძიება — საერთაშორისო მუსიკალური ფესტივლი. ფესტივალზე ჩატარდა კონკურსი მუსიკალურ ჩასაბერ ინსტრუმენტურ საუკეთესო შესრულებისათვის. კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ქვეყნებში. პრალში უკვე ჩავიდა ფლეიტის, პობოის, კლარნეტის და ფაგოტის 101 დამკვირედი 16 ქვეყნიდან. მთელი რიგი ქვეყნების რადიოკომიტეტებმა ჩეხოსლოვაკიის რადიოს დაუდეს ხელშეწყობა, რომ ფესტივალის დროს კონცერტები გადასცენ თავის ქვეყანაში.

ჩინეთი

„გაზაფხულის დასაწყისი“

გამოჩენილმა პროგრესულმა პოლანდიელმა კინორეჟისორმა

უორის ივენამ ჩინეთში უფრო მეტად დაამთავრა ახალი ფერადი დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულის დასაწყისი“, რომელიც ასახავს სახალხო ჩინეთის ბუნების სილამაზეს.

სახალხო ოპერების კრებული

ჩინეთის მსახიობების კომიტეტი მუშაობს ადგილობრივი მნიშვნელობის ოპერების კრებულის შედგენაზე. აქ წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ოპერები ხუბების და ხუბების პროვინციებიდან. რომლებიც ამ მხრივ ყველაზე მდიდარია. მთელი კოლექცია შეადგენს 20 ტომს, რომლებშიც შევაჯგუფებთ ეროვნულ უმცირესობათა ოპერების ნიმუშები და პროვინციებისა და ქალაქების ტრადიციულ ყოველწლიურ თეატრალურ ფესტივლებზე პრემიერებული ოპერები. ჩინური ოპერების სიუჟეტი უმთავრესად აგებულია ხალხურ ზღაპრებზე ან ისტორიულ ლეგენდებზე, ხოლო მუსიკა და სიმღერები სახალხო მომღერლებს ეკუთვნის.



579/152

ფან 6 856.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»